

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

16 ნოემბერი 2012

№23(179)



სულხან-საბას კვალში  
ლია სტურუას ლექსები  
საუბარი თემურ ჩხეიძესთან  
მანანა ავალიშვილის ნოველა  
იოსებ ჭუმბურიძე თამაზ ჯოლოგუაზე  
თეიმურაზ დოიაშვილის ლიტერატურული დეტექტივი  
ემზარ კვიციანიშვილის საყმანვილო პოემა  
ერთგვაროვანი აზროვნების საფრთხე  
დომიტრი უზნაძე ნაპოლეონზე  
დოლი: საკულტო რიტუალი  
პატრიკ უაიტის მოთხრობა

## შინაარსი

<b>რედაქტორის გვარდი</b>	<b>2</b>	<b>დოლი: საკულტო რიტუალი</b> (ნოშრევან არაბულის მონოგრაფია „ხევესურული დოლი“)
<b>ჩვენი შოვა, წითისოვანი</b>	<b>3</b>	<b>ნოშრევან არაბული „დამდგარა ნაბუბარეპი“</b>
<b>ენა და პაღისწარა</b>	<b>5</b>	<b>თამარ ყალიჩავა ერთგვაროვანი აზროვნების საფრთხეა</b> (გამომხაურება კლოდ აჟეჟის ინტერვიუზე)
<b>მსარკეს-ჩინებრეპი</b>	<b>6</b>	<b>ნინო ჩხეიძე „სიკაძე, მხოლოდ სიკაძე!“</b> (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
<b>ჩანახატი</b>	<b>7</b>	<b>ქეთევან შენგელია ფიქრები ქარინან ამინდში</b> (ოთარ ჩხეიძის სემინარების გახსენება)
<b>პროზა</b>	<b>8</b>	<b>ირაკლი სამსონაძე ღრუბელი, სახელად დარინდა</b>
<b>პოეზია</b>	<b>22</b>	<b>მანანა ავალიშვილი სტუმარი</b>
<b>ლიტერატურული სხოვრება</b>	<b>24</b>	<b>ლია სტურუა რემინისცენცია და სხვა ლექსები</b>
<b>იხარდა, მხანა ჯაჯილო</b>	<b>25</b>	<b>სალომე ასათიანი უნამუნოს ქართული მამგურის</b> (მერი ტიტვინიძე)
<b>წარსული მოგვლისათვის</b>	<b>26</b>	<b>ემზარ კვიციანი ნილსი და გარეული ბატები</b> (სელმა ლაგერლიოფის ჩრდილოური ზღაპარი)
<b>უსხოთის სხოვრებიდან</b>	<b>28</b>	<b>მერაბ კალანდაძე დიმიტრი უზნაძე ნაპოლონზე</b>
<b>ღიალოგი</b>	<b>32</b>	<b>ფინანსური სამყარო ცხოვრობს რეპორტაჟებით</b> (ინტერვიუ კრისტოფ მაგნუსონთან)
<b>გადი კასისა</b>	<b>33</b>	<b>თეატრი უნამუნს უნდა მსახურებოდეს!</b> (ნინო ჩხიკვიშვილს ესაუბრება თემურ ჩხეიძე)
<b>ლიტერატურული დამატები</b>	<b>37</b>	<b>როსტომ ჩხეიძე აქა ამგავი აქსენტი ყაზაქისა და მისი პარიზული წერილისა</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>40</b>	<b>თეიმურაზ დოიაშვილი „იგი, თანამგზავრი, ხშირად მიჩვენება“</b> (გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მზეო თიბათვისა“)
<b>ახალი თარგმანები</b>	<b>45</b>	<b>ლექსო დორეული „ალაპარდი“ შენთან ვარ, მკითხველო!</b>
<b>ახალი წიგნები</b>	<b>52</b>	<b>პატრიკ უაიტი სავსე კუჭი</b>
<b>მოზიკა</b>	<b>60</b>	<b>იოსებ ჭუმბურიძე პარგად შესწავლილის შესასწავლად</b> (თამაზ ფოლოგუას „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“)
	<b>62</b>	<b>მარინე კაკაჩია სულხან-საბას კვალში</b> (იორამ ლუდუშაურის „მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი“)
	<b>63</b>	<b>შედევი შენათვისა</b>

**ორკვირული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 77) 11\_24\_30

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ილუსტრაცია ირაკლი სამსონაძის რომანისა

„ღრუბელი, სახელად დარინდა“, მხატვარი აივენგო ჭელიძე

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 30 ნოემბერს

# დოლი: საკულტო რიტუალი

რომაული საისტორიო წყარო შემოგვინახავდა ამბავს იბერიის მეფე ფარსმან ქველის სტუმრობისა მსოფლიო იმპერიის დედაქალაქში II საუკუნის შუა ხანებში — ოჯახსა და დიდებულებთან ერთად. ფარსმანს, მის ძესა და დიდებულთ ისე მოუხიბლავთ მასპინძლები თავიანთი ცხენოსნობით, რომ რომის იმპერატორი ანტონინუს პიუსი ქართველი მეფის ქანდაკებას, ცხენზე ამხედრებულს, დადგამდა რომში და დედაქალაქის კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის უფლებასაც მისცემდა.

აღარ შემორჩებოდა ეს ძეგლი, თუმც ჩვენს თავმოსაწონებლად ეს ისტორიული ცნობა მაინც შემონახულიყო.

მაგრამ ლეონტი მროველი რომ არ იხსენიებდა ამ ეპიზოდს თავის მატთანეში ფარსმან ქველის ბიოგრაფიის უმთავრეს მომენტთა აღდგენისას?

შესაძლოა მის დრომდე ვეღარც მოეღწია ამ ცნობას.

თუმც სხვა ახსნაც შეიძლება გამოძებნოდა ამ ეპიზოდის ამოგდებას იბერიის მეფის ცხოვრების ქრონიკიდან:

— რეალური მნიშვნელოვანი დიპლომატიური შედეგის გარეშე დარჩენილი ვიზიტის აღნიშვნა აუცილებლობად არ მიიჩნია, ხოლო ცხენოსნური ტრიუმფი ისეთი რამ ჩვეულებრიობა იყო ქართველთა ცხოვრებაში, რომ საგანგებო აღნიშვნის ღირსად აღარ ჩათვალა.

ასე ნოშრევან არაბული განმარტავდა ეთნოლოგიური ყაიღის ნაშრომში „ხევსურული დოლი“ („უნივერსალი“, 2012), რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებულიყო მარტოდენ ხევსურული დოლის აღწერად იმ სახით, დღესდღეობით როგორც შემოგვრჩენია. თუმც ძიება აიყოლიებდა და ვრცელ თხზულებას შეაქმნევინებდა, რომლის ფაბულასაც განსაზღვრავდა, ერთი მხრივ, ისტორიული ფონი აპოლოგიურ ცნობათა უხვი მოხმობით, და მეორე მხრივ, საკუთრივ ეს საკულტო-რელიგიური წესი და სპორტული სანახაობა.

მთავარი მისთვის სწორედ ეს გახლდათ, რომ დოლი მკითხველს ალექვა და გაეაზრებინა არა მინდორში ცხენების ჭენებად, არამედ საკულტო-რელიგიური წესის დადასტურებად, მიცვალებულის კულტის განუყოფელ ნაწილად.

თავანწყვეტილი ჭენება თავისთავად...

— მრავალნაირი დოლი მენახა, მაგრამ ამ გიჟურ სრბოლას ვერც ერთი ვერ შეედრებოდაო, — თავის დაკვირვებას „თეთრი საყულოს“ მთავარ გმირს ათქმევინებდა მიხეილ ჯავახიშვილი, — სცადონ და ამ დოლში მონაწილეობა მიიღონ ნაქებმა დრაგუნებმა, ყაზახებმა, არაბებმა და ინგლისელებმაცო.

ამ ციტატას ეპიგრაფად გაიტანდა ეთნოლოგიური ნაშრომის ავტორი, რომელიც იმ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ ფარსმანის შემდგომ — თითქმის ათას რვაასი წელი რომ ჩაივილიდა — ქართველი მხედრების ცხენზე ჯდომის ხელოვნება (ცხენს საკუთარი სხეულივით რომ გრძნობდნენ და ისეთ სისხარტესა და ელასტიკას აჩვენებდნენ, მაყურებელს მანამდე მხოლოდ მტაცებელი ნადირისა რომ ენახა, გაეგონა თუ წაეკითხა) კვლავ რომ გააოცებდა დასავლეთურ სამყაროს, მათ იქ... კაზაკებად მოიხსენიებდნენ.



ამ და მსგავს სამწუხარო რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ ხოლმე.

— თქმა არ უნდა, ძველი იმპერიები უფრო კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ ქართველებს, ვიდრე ახალი...

მსოფლიოს თვალში მიიჩქმალებოდა ქართველთა სახელი, ქართველობის თვალში კი — ავი ბედისწერის გამოისობით — მიყრუვდებოდა და მიიკარგებოდა ცალკეული კუთხეები და ხევსურეთიც ნატამალდა დარჩებოდა რალაც დიდი სამყაროსი თავისი შინაგანი სტრუქტურით.

ამ ნატამალში სადღა გვეძებნა დოლი და მისი საკულტო-რელიგიური წარმომავლობა?!

ნოშრევან არაბული ვერ შეეგუებოდა ჩვენს თვალწინ უამრავი ტრადიციისა თუ წეს-ჩვეულების თანდათანობით ქრობას და ხევსურული დოლის გადარჩენას რომ შეეცდებოდა, ამ მცდელობას ალიქვამდა — არც მეტი, არც ნაკლები — დაიწყების „გრიგალთან“ შებმად.

და სავსებით სამართლიანადაც!..

მითუმეტეს, რომ მარტოდენ ორიგინალურ და შთამბეჭდავ ნიგნს კი არ შექმნიდა ამ თემაზე, უშუალოდაც ჩაერეოდა ამ საკულტო ჩვეულების შენარჩუნებაში და ხან თაოსანი იქნებოდა ხევსურული დოლისა და ხანაც — ხელშემწყობი.

და რასაც უმტკიცებდა და ეჩიჩინებოდა ყველას, სადამდეც სიტყვა მიუწვდებოდა, საბოლოოდ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებადაც გარდასახავდა, ერთდროულად მეცნიერული ღირებულებაც რომ აქვს და პუბლიცისტიურიც, და კიდევ ერთხელ შეგვაგონებს, რომ სახელმწიფოს თავგამოდებისა და მიზანმიმართული პოლიტიკის გარეშე სულ უფრო გაძნელდება ხევსურული დოლის შენარჩუნება.

აზა, ხალხი კი გადაარჩენს დოლს, მაგრამ ჯერ თვითონ ხალხია გადასარჩენი — ხევსურეთია გაქრობის პირას და მის წეს-ჩვეულებას — ასერიგად მრავალფეროვანს, მიუხედავად ამ კუთხის ტერიტორიული სიპატარავისა, ყველა თემს საკუთარი წესები რომ მოეპოვებოდა — ეთნოგრაფიულ ნაშრომებშილა დავუწყებთ ძებნას, თუკი სასიკეთოდ არ შემოტრიალდება, და თანაც რაც შეიძლება მალე, ამ მხარის ყოფა-ცხოვრება.

ნოშრევან არაბულის ბელეტრისტული გამოცდილება „ხევსურული დოლის“ სტილურ დახვეწილობასა და ექსპრესიამდეც მკაფიოდ იჩენს თავს, და სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რაკილა ნოდარ ებრაღიმეძე ცხენსა და ცხენოსნობაზე წერა ისეთ სიმაღლეზე აზიდა თავისი მომხიბლავი, დიდებული ესეების სერიით, რომ ყოველთვის თვალშისაცემი იქნება ამ თემის შედარებით იოლად გააზრებაც კი, არამცთუ ჰაიპარად დამუშავება.

და ნოშრევან არაბული სწორედ ამ კვალში ჩამდგარა, ეს რანგი თავის სიმაღლეზე რომ დარჩეს და უამრავი ცნობა და რეალია ისე მარჯვედ გადაეხას ერთმანეთს, თხრობის ისეთ ქარგაში მოექცეს, ამ წეს-ჩვეულებას რომ შეუფეროს, ხევსურულ დოლს — მიცვალებულთა სულის საოხსაც და სამხედრო-სპორტულ სანახაობასაც, იმ გიჟურ სრბოლას, რომელსაც ადვილად ვერ აპყვებიან ნაქები დრაგუნები, კაზა-

ნომრევან არაბული

# „დამდგარა ნაბუბარები“

სულეთის ღმერთიც მოწყალე იყო იმ დღეს და სამზეო-სიც:

იქ გამიხარდი არაბულის სული ილხენდა, აქ — მისი ჭირისუფლების, მხედრების და უამრავი მაყურებლის.

დიახ, ოქტომბერი მთაში უკვე მკაცრი თვე — ალისფერი ნაყოფით თავდამძიმებული ცირცლები სინითლეში გადადიან, უგუნებოდ მომრიალდე არყები და ტირიფები — სიყვითლეში, მაგრამ მზე მაინც ალერსიანად დასთამაშებს ფერგახუნებულ მთებსა და ფერდობზე შეფენილ შუშაბან-დიან სახლებს.

დღეს დოლი იქნება ხეობაში... ძველი მხედრის — გამიხარდი არაბულის სულის საოხად გამართული დოლი.

ეს ის გამიხარდია, ჯერ კიდევ ყმანვილობაში ერთგვარი რეკორდიც კი რომ დაამყარა ხევში — ორი დოლი ორ დღეში და ორივეში პირველი ადგილი ერთიდაიმავე ცხენით!

მერე იგონებდა ხოლმე, სოფელ ფხელშეში, დოლის დანყებადღე, ერთმანეთში როგორ საუბრობდნენ მოხევეები: „ალბათ ობოლ-ობერია, თორო პატრონი რო ჰყვანდეს ამ პირზე რძეშეუმრალ ბალღს დოლში ვინ გამოუშვებდაო“.

მაშინ თორმეტი წლისა ყოფილა...

ეს ის გამიხარდია, კოლმეურნეობის კუთვნილი ცხენებიდან, სადაც ფაქტობრივად ჩამონერილ ჯაგლაგებს უყრიდნენ თავს, ერთი ისეთი ცხენი რომ ამოარჩია, შეისყიდა და გაზარდა, ტოლს რომ აღარავის უდებდა შემდგომ ხევსა და ხევსურეთში.

მოხეურ დოლში ხუთჯერ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, ხევსურულში — თერთმეტჯერ.

იმასაც იტყოდა, ცხენს თუ ყურთშუაში ამობურცული ძვალი წვეტიანი და მკვრივი აქვს, არ მოსცდებოა.

და დასდო სამოცდაათს გადაცილებულმა გამიხარდი-მაც მხედრის მათრახი...



დოლში გამარჯვებული ბერდია არაბული



ჭირისუფალი ბერდია არაბული და შენდობის მოქმელი თათუა არაბული

ახლა მისი სულისთვის დადგმულ ტაბლასა და ტალავარს უვლიან გარშემო ძუაგამოკრული და მწვერებავით წელგანვრილებული სადოლე ცხენები.

საგანგებოდ დაკვართული ვაჟები ერთნაირად აოკებენ მოუსვენრობაშეყრილ ულაყებსა და გულში ჩასახლებულ მღელვარებას.

ოთხმოცგამოვლილი ბენინათ თათუა „შანდობას“ ეუბნება ცხენსაც და ტაბლასაც — „ცხენიანთაშიამც გაერევი, უცხენოიმც ნუ იქნები“...

სამჯერ გადაჰკრავენ სულის ცხენს მათრახს, სასმელს აპკურებენ ნაბად-უნაგირს.

„შაუნდნას“... დაიბუბუნებენ ქედადრეკილი ჭირისუფლები.

ყველა მხედარი თითო ჭიქით ეუბნება შენდობას და გადიან ცერემონიიდან.

წინ „სულის ცხენი“ მიუძღვით, ზედ ბაკურხვევლი მხედარი, გამიხარდის ცოლისძმა, იმედა ფიცხელაური ამხედრებულა.

უკანასკნელად აკვალთანებს მხედრებს და „ჭკუისკენ მოუხმობს“ გამიხარდის ვაჟი ბერდია, რათა წესრიგის დარღვევა და რაიმე სახის უსიამოვნება არ მოხდეს.

ახლა მხედრები ჯუთისწყლის ხეობით თავქვე დაეშვებიან, იქ რვა-ცხრა კილომეტრით დაშორებულ სოფელ ახალციხეში ტაბლა გამიხარდის მძახლებს — ქერაშვილებს — დაუდგამთ.

იქაც ეტყვიან „შანდობას“ და უკან გამობრუნდებიან — „ძალს იქამენ“.

\*\*\*

მანამდე კი...

ეს ამბავი ხევსურულ სოფელ ჯუთაში ხდება 6 ოქტომბრის მზენათელ დღეს.

იქ, სადაც „ვეფხისტყაოსანს“ მონაცვლეობით ზეპირად ყვებოდნენ „კაცდიაცნი“ მგელათ ბენინა და მზექუა.

აქ უხმობდა სალოცავებს მეზღვნე-მეხვეწურის საოხად ყრუანტელისმომგვრელი ხმით ჯუთის ჯვარის განთქმული ხუცესი კურდღელათ ივანე — გაგანია კომუნისტობაში აღმასკომის თავმჯდომარის სავარძელზე რომ თქვა უარი და ხუცესის ურსა შეიბა ნელზე.

აქ კურნავდა „ხელდაუდებელ“ ჭრილობებს თავადაც შულღში გამობრძმედილი, თვითნასწავლი „აქიმი“ გოგიტათ ბენინა, რომლის საქმიანობითაც 1970-იან წლებში რუსი ეთნოგრაფი ალ. კუნეცოვიც დაინტერესდა და წერილების სერია გამოაქვეყნა „ვოკურგ სვეტაში“.

აქ მოძღვრავდა ყმანვილებს რეპრესიებამოვლილი, ნაციმბირალი „ვლასოველი“ და ხელმადლიანი პედაგოგი



ფოტოები ავტორისა

**ჭიუხები**

ვანო ჩაბაიძე, რომლის მოსწავლეებმაც შორს გაიტანეს მშობლიური სოფლის სახელი.

აქ დადგა ეკლესიების ნგრევის ჟამს საყდრის სტილის სალოცავი ინჟინერმა გიგლა არაბულმა ადრე და ახლა უკვე კეთილმონათესაო სასტუმრო.

და „ჯუთის გორსაც“ შეიძლება გაუსწორო მზერა, სადაც ერთმანეთის გვერდში დანოლილან შინში პოეტები შალვა და შაბურა და თვითმკვლეელი მწერლები შოთა და გოგიტა არაბულები.

აქ დღეს ტურისტების უწყვეტი ნაკადი მხოლოდ ცადაზიდული ჭიუხების მასივით ტკობისკენ მიედინება. არავის აინტერესებს აქაური ხალხის წარსული, ცხოვრების წესი, ეთნიკური თავისთავადობა და პრობლემები...

\* \* \*

...და უცებ:

— მოდიან!

გვამცნო მაცნემ და წამოიშალა მოლოდინით დაღლილი ხალხი.

მოძრავი წერტილივით გამოჩნდა თვალსაწიერზე მენი-ნავე მხედარი.

აჩოჩქოლდა გაღმა-გამოღმა ფერდობებზე შეფენილი მაყურებელი.

დურბინს იმარჯვებს ლოდზე ჩამომჯდარი როსტომ ჩხეიძე, ფოტოაპარატს მისი ბიძაშვილის შვილი პროფესიონალი მხედარი — გიორგი.

მოგვიანებით მეორე მხედარიც გამოჩნდა, მესამეც...

ამ ბილიკებზე ჩამოალამეს თავისი არსებობა მუხლმოდულელმა ხვადებმა, გიორგით ნათელიძის „ჯერანამ“ და ბერდიათ აკიას „ალიმ“.

ცხენოსანთა შორის მანქანებმაც გაიღვეს. ესენი ნიადაგ მოურჯულელები გულშემატკივრები იქნებიან. წესით ცხენ-მხედარს ხელი არავინ და არაფერმა არ უნდა შეუშალოს.

ფინიში ხიდისყურთანაა, აქვეა „არბიტრიც“ — დავითთ სოსო, რომელიც მხედრების რიგითობას ფინიშის ხაზთან აღნიშნავს და თუ სადავო სიტუაცია შეიქმნება, იქაც გადაწყვეტ სიტყვას იტყვის.

ხიდისყურთან მანქანების ტევა არაა, არც ხალხის, მრავლად არიან ფოტო და ვიდეო რეპორტიორები, უცხოელები, შინაურები, გარეულები.

და აი, ფინიშის ხაზს პირველი კვეთს კობათ ბერდია, ერეკლეთ პაატას უკვე სახელგანთქმული ცხენით — „ალი“.

ბერდიაც უკვე სახელმობვეჭილი მხედარია, ფრინველივით მსუბუქი და ნადირივით სხარტი.

მენინავე ცხენ-მხედარი გულშემატკივართა ალყაში იკარგება, ისმის შეძახილები, მილოცვა, შეკითხვები, შეკითხვები, შეკითხვები.

ალის თანმიმდევრული დასვენების მიზნით აქეთ-იქით და-არბენინებენ, ქვეითად, ნარბენი ცხენის გაჩერება არ შეიძლება. ამასობაში ფინიშზე შემოდის მეორე ცხენ-მხედარი ყანობიდან, მესამე უკვე არხოტელი ჯარჯია განთქმული მხედრის — ბაიჭაურთ ხვთისოს შვილიშვილი.

და ასე შემოდინან დანარჩენი მხედრებიც არაქათგამოცლილი, გაქაფული ცხენებით, აქვეა სულის ცხენიც, რომელიც კონკურენციაში არ მონაწილეობს და არც პრიზი ეძლევა.

ყველა მხედარმა გადაკვეთა ფინიში და დოლიც დასრულდა.

წინდაუკან დაარბენინებენ ოფლში გახვითქულ ცხენებს. ყველაფერი მშვიდობით დასრულდა, არც უბედური შემთხვევა, არც დაზიანება და მარცხი, არც გაუგებრობა.

დაღლილ-დაქანცული მხედრები გულშემატკივრებს ჰყავთ ალყაში, აქებენ, ანუგეგმებენ, უღებენ...

სად იყო ამდენი ხალხი? კაცი რომ დაკარგო, პოვნა გაგიჭირდება.

ალარც ყურთასმენაა ამდენ ჩოჩქოლში, ცალკე კიდეც ეს ჯუთისწყალი, მოდის და მოჰყვავს და მოშხუის, მოშხუის და გიყვება ვინ იცის როდინდელს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს...

ერთადერთი ჭიუხი დგას გამტკნარებული, მარტო ამას არ შესტოკებია შუბლზე ძარღვი, ამას ბევრი უნახავს მსგავსი სანახაობა, ოღონდ უფრო სხვაგვარი... მარილიანი...

დგას დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ ეს ჩვენი გაქვავებული წარსული და არავის უმხელს, რომ იქ, შიგნით, ყინულის ბეგთარით შემოსილი გული გამალებით უცემს და სტიკავა.

სტიკავა უმარილობა ჩვენი, სტიკავა...

ხოლო გაკრიალებულ ლაჟვარდს, სადაც ანგელოზის დანახვაც კი შეუძლია მოდარაჟე კაცის თვალს, წამიერად ჰკვეთს ლოცვად დავარდნილი კაცის მობუბუნე ხმა — „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“

\* \* \*

მზე ჯერაც მაღლა იდგა, უკან რომ გამოვბრუნდით, წინა დღის ნანვიმი იყო, ეტყობა, ალაგალაგ გუბებში ტოპავ-და მანქანა და ახლა უკვე შემშრალ მინას უხვად ეტყობოდა დოლის ცხენთა ნატოტარები.

თამარ ყალიჩავა

# ერთგვაროვანი აზროვნების საფრთხე

„...ფრანგული ნაკლებ ძნელი ენაა, ვიდრე, ვთქვათ, რუსული, არაბული, ქართული, ან, განსაკუთრებით, ინგლისური“... **„ჩვენი მწერლობის“ მე-19** ნომერში დაბეჭდილი ინტერვიუ ფრანგ ლინგვისტთან, **კლოდ აჟეჟთან**, **„ენის თავს მოხვევა ნიშნავს აზროვნების თავს მოხვევას“**, ინტერესს ნამდვილად იწვევდა, მაგრამ **მიშელ ფელტენ-პალასთან** დიალოგში ამ წინადადების ამოკითხვა ნამდვილად მოულოდნელი და სასიამოვნო იყო, რადგანაც უცხოელ ენათმეცნიერთაგან ხშირად არ გვესმის ამგვარი შეფასებანი, თუმცა ხშირადაც რომ გვესმოდეს, ზედმეტი არ მოგვეჩვენებოდა და არანაკლებად აგვაღელვებდა ყოველ ჯერზე...

„ენის საშუალებით ყალიბდება აზროვნება“, — აცხადებს 80 წელს მიტანებული ენათმეცნიერი, რომელიც მისივე სიტყვებით, „ერთ ათეულ“ ენას ფლობს და — რუსთველური პრინციპით — ისეთი სამყაროს დამფასებელია, რომელიც, ღვთის განგებით, „გვაქვს უთვალავი ფერი“... კლოდ აჟეჟი დაუფიქრებლად გვიბეჯითებს, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. გვარწმუნებს, ერთ ენას „ერთგვაროვან აზროვნებამდე“ მიყვავართო.

საუბარი ინგლისური ენის წარმოუდგენელი გავრცელების არეალს, მასშტაბებს უტრიალებს და იმ მითის დარღვევას ცდილობს, რომლის მიხედვითაც მთელს მსოფლიოში ინგლისური უნივერსალურ ენად მოიაზრება. მეცნიერი ამ იდეის დაკანონებას მოდას აყოლილ წრეებს, რეკლამის ან ჟურნალისტიკის სფეროს წარმომადგენელთ მიაწერს, თუმცა ამ ადამიანთა მცდელობას მეტიჩრობად აღიქვამს და მათ ამერიკანიზაციის მსხვერპლებად მიიჩნევს.

ფრანგული ენის შერყვნის წუხილით შეპყრობილ სწავლულს არც მედროვეთა ხსენება ავიწყდება: „მტრის ანუ დამპყრობის ენის გათავისებით ადამიანები იმედოვნებდნენ რაღაც გამორჩენა ნახონ, ან მათდამი შემგუბლური დამოკიდებულებით გაიუმჯობესონ საკუთარი მდგომარეობა.“ სამწუხაროდ, ცალკე ისინი ამძიმებენ ვითარებას „ვინც ირწმუნებთან, ჩვენი კულტურა უფრო დაბალ საფეხურზეა...“ არადა, არც ისე სრულყოფილია გაბატონებული ენა, უფრო მეტიც, ლინგვისტი ეჭვქვეშ აყენებს ხუთივე კონტინენტზე გაუგონარი მასშტაბების მომცველი ენის, ინგლისურის უნივერსალურობას.



კლოდ აჟეჟი

სწორედ ჩვენს რეალობაზეა ნათქვამიო, იფიქრებ, კლოდ აჟეჟი ქართულ სინამდვილეზე საუბრობსო... არცერთი ზემოთხსენებული მანკიერება არ გვაკლია და სამწუხაროა, რომ ამ „მოდას აყოლილებმა“ ხეირიანად არც ქართული იციან, არც ინგლისური. სწორედ ამგვარ ქართველებს გულისხმობდა **მიხეილ ჯავახიშვილი** და სწუხდა: „უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩასცივდებიან საფლავებში.“

აი, ასეთი ჰიბრიდები არიან, რომ ქართულ ენას და კულტურას უმზადებენ ლათინურ და ირლანდიურ ენების ბედს, ე.ი. ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას - მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და ხმოვანს“.

ყველა ეპოქაში პატარა საქართველოსთვის აქტუალური საფრთხე, საკვირველია, რომ საფრანგეთის წინაშეც დამდგარა და როცა ლინგვისტს გამოსავლის ძიება დაწყებით სკოლაში მიიყვანს, კიდევ ერთხელ აღფრთოვანდები იმ სასწაულით, **იაკობ გოგებაშვილმა** რომ მოახერხა: ცარიზმის პირობებში თითქმის გაბატონებულ რუსულს „დედაენის“ მადლით დაუპირისპირდა და დაკნინებული ქართული გაქრობას გადაარჩინა.

თავის დროზე, მოდას აყოლილთა „მეტიჩრობა“ **ოთარ ჩხეიძეს** გადაგვარებისა და სრული განადგურების საფრთხედ აღუქვამს. მწერალს ხორციელ ვენებათა ტყვეობაში მყოფთა საპატრონოდ განწირული ენისა თუ მარადიულ ღირებულებათა ხელიდან გამოცლის გარდუვალი საფრთხეზე ასე მიუნიშნებია ტრაგედიაში **„თედორე“**:

**ჰარი-ჰარალით, ტაშითა და ვაშას ძახილით,  
ერთ მშვენიერ დღეს სამუდამოდ გავჩანადგებით,  
ან თუ ვიქნებითა, არ ვიქნებით რანიც ვყოფილვართ,  
ალარ გვექნება ჩვენი სახე, არც ენა ჩვენი,  
ალარცა მინა, არც წარსული, არც მომავალი...**

ცხადია, კლოდ აჟეჟს, პოლიგლოტობა დიდ სულიერ საყრდენს აძლევს, რწმენას უძლიერებს და, ბუნებრივია, სხვებსაც რომ უთვალსაჩინოებს ერთგვაროვანი აზროვნების ნაკლოვანებებს. როცა ფრანგი ლინგვისტის მშობლიური ენაა საფრთხეში, ჩვენ გაასამაგებელი გაფაციცებით, ნებისყოფის მოკრებით, დაჟინებითა და თვითშეგნების ამაღლებით გვემართებს მოძალადე ენის, კულტურისა თუ სხვა სახის ზეგავლენათაგან თავის დაცვა...

ვეიქრობ, მკითხველი არ გაიკვირვებდა **ლია რუხაძისაგან** ამ დიალოგის გადმოქართულებას. მისი კითხვისას, წამოშლილ საფიქრალთან ერთად, სულ მცირე სიამაყის, წინაპართა მიმართ მონინების საოცარი გრძნობა ალბათ, ყველას გვეუფლებოდა და გამოცდილი მთარგმნელისათვის უმთავრესადაც ამ მიზნის მიღწევა ვიგულისხმობ.

ნინო ჩხეიძე

# სიკეთა, მხოლოდ სიკეთა!

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა ჩემი სამშობლო — საქართველო ასეთ მდგომარეობაშია და ქართველი ხალხი ისეა გაღატაკებული ბუნკერში ეძებს საჭმელს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— არსად საქართველოს გარდა!

— რა არის უმალესი ბედნიერება?

— სამშობლოს სიყვარული... როცა შეგიძლია ღირსეული შთამომავლობა დატოვო.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— კონსტანტინე გამსახურდიას რომანის პერსონაჟები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— რეზო ლალიძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— განონასწორებულ ხასიათს, ვაჟკაცობას, სინდისიერებას, ინტელექტს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ტრადიციებისადმი ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— როცა ადამიანი სიტყვით ვერ გამოხატავს, მაგრამ საქმით ყველაფერს გიკეთებს...

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— წერა-კითხვა.

— თქვენთვის ნაცნობი, რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მე, როგორც მსახიობი, მინდოდა, ცოტათი მაინც ვმგვანებოდი ვერიკო ანჯაფარიძეს.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— თავმდაბლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, გულწრფელობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— შეუხედავი ვარ, ულამაზო.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა ჩემს გარშემო ყველა ბედნიერია, სამშობლო აღორძინებული.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— სიკვდილი...

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მშვენიერი, განათლებული, სულიერად ძლიერი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყავისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბულბული.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— დიდი კონსტანტინე გამსახურდია.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ლადო ასათიანი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ვერ ვიხსენებ.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპული უსახელო ბიჭები...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან დედოფალი.

— საყვარელი სახელები?

— ნინო, თამარი, ხათუნა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიცრუეს, ორგულობას, ქურდობას, უზნეობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— ვერ ვიხსენებ.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი. ერეკლეს მიერ გადახდილი ომები.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმალეს შეფასებას აძლევთ?

— სსრკ-ს დაშლა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მე ასე ვერ გავკადნიერდები, მაგრამ მინდოდა რომ დიდი მსახიობი ვყოფილიყავი.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— არცეთნაირად! ძალიან მჭირდება სიცოცხლე, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს მოსაგვარებელი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— შემართული, უკეთესს ველოდები.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— თუ მშვიდი ადამიანი პურს მოიპარავს.

— თქვენი დევიზი?

— სიკეთე, მხოლოდ სიკეთე!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მომიტევებია შენი ცოდვები, მომიტევებია ის რომ... შენი უშანგი ვერ დაიცავი ექიმების წამებისგან.



ქეთევან შენგელია

# ფიქრები ქარიან ამინდში


(ოთარ ჩხეიძის სემინარები)

შემოდგომაა. ქარი ქრის. მიქრიან ფოთლები... „მიჰქრიან. მიჰქრის წუთისოფელი. ამათაც ერქარებათ. ვინ ვის გაუსწრებს: წუთისოფელი კაცთა თუ კაცნი — წუთისოფელსა: ვინ ვისა, ვინ ვისა!“ — მაგონდება ოთარ ჩხეიძის სიტყვები, მაგონდება შემოქმედის ფიქრიანი სახე და წყნარი საუბარი; თვალწინ მიცოცხლება მისი „სამწერლო ეპოქის“ ორომტრიალი, რომელიც ისე დახატა, რომ არასდროს წაიშლება. არასდროს გახუნდებიან პერსონაჟები და მკითხველს ეცოდინება, რომ „იმათაც“ ერქარებოდათ. ნამდვილი მწერლობა ხომ ყველაზე დიდი ისტორიაა...

შემოდგომა იყო მაშინაც... ქარი ქროდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გალაკტიონის კაბინეტში ვისხედით და ოთარ ჩხეიძის მობრძანებას ველოდებოდით. ფილოლოგიის ფაკულტეტზე ახალი გახსნილი იყო კრიტიკისა და მხატვრული შემოქმედების განყოფილება. სულ რამდენიმე სტუდენტმა ავირჩიეთ ეს სპეციალობა. სემინარები მონვეულ მწერლებს უნდა ჩატარებინათ; ზოგიერთმა არ ისურვა ეს საქმე.

მინდა მოვიგონო 1985 წელი და დიდი ოთარ ჩხეიძე... ჩვენი ბატონი ოთარი, ჩემი და ჩემი რამდენიმე მეგობრისთვის საყვარელი მასწავლებელი; თურმე რამდენი საქმე ჰქონია, რამდენი ტკივილი და საზრუნავი, და ისე გვექცეოდა, თითქოს ჩვენს გარდა არაფერი იყო მნიშვნელოვანი. ყოველ ხუთშაბათს მოდიოდა სემინარზე და ამხელა მწერალი 20 წლის გოგო-ბიჭების ნაწერებს ისე ყურადღებით ისმენდა, თითქოს ის დღე ყველაზე მთავარი იყო ჩვენსა და მის ცხოვრებაში; ამით მიგვანიშნებდა, მწერლობა სერიოზული და დიადი საქმე რომ იყო, დასაფიქრებელი, სააზროვნო და საშრომი.

ერთ-ერთ სემინარზე ჩვენს თანაკურსელს — ჟანა ოთხვანს, თავისი ლექსები უნდა წაეკითხა. აბა, ახლა ყურადღებით მოვისმინოთ და მერე თქვენი აზრი მაინტერესებს, რას იტყვითო — მოგვმართა მე და ნინო ჩხიკვიშვილს — ის კი არ მაინტერესებს, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ; უნდა ამხსნათ, ეს ლექსები რატომ მოგწონთ ან რატომ არ მოგწონთო. ასე გვასწავლიდა ოთარ ჩხეიძე ლიტერატურაზე საუბარს და მსჯელობას... შევუდექით მუშაობას. უცებ კარი გაიღო და უცნობი ქალბატონი ლექციაზე დაუკითხავად შემოგვეჭრა. წინ და უკან დადიოდა, რალაცას ეძებდა... ბატონ ოთარს ყურადღება არ მიუქცევია, იჯდა და ჩვენს თანაკურსელს უსმენდა, ჩვენც იძუ-



ლებულები ვიყავით ყურადღება არ მოგვედუნებინა. ქალბატონი გავიდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ დაბრუნდა ყოველგვარი მობოდიშების გარეშე... სტუდენტი კვლავ კითხულობდა. ბატონი ოთარი არც ახლა განძრეულა და დიდი ყურადღებით ისმენდა მის ლექსებს. ქალი არ დაგვეხსნა და მერე პირდაპირ ბატონ ოთარს მიმართა: აქ, ქალბატონ ვიოლეტას საქალაქე უნდა დაეტოვებინა, ხომ არ გინახავთო. არა ქალბატონო — უპასუხა ბატონმა ოთარმა „დაუბატივებელ სტუმარს“. იქნებ მაგ მაგიდის უჯრაშია, სადაც ზიხართ, შეიძლება ვნახო? — გააგრძელა ქალმა. კი ბატონო — თქვა ბატონმა ოთარმა და წა-

მოდგა. ქალმა ვერაფერი იპოვა და წავიდა. ჩვენს მასწავლებელს გუნება გაუფუჭდა, შუბლი შეეჭმუნა: შეიძლება ლექსების კითხვა ასე შეაწყვეტინო ადამიანს, რა არის ეს? ჩვენ აქ ასეთ სერიოზულ საქმეს ვაკეთებთ... — გულწრფელად შეწუხებულმა გაშალა ხელები. ჯერ უმნიშვარი ავტორების ნაწერსაც კი საოცარი გულისყური ეკიდებოდა. ისე გაიოცა შეწყვეტილი მეცადინეობა, მიხედვებოდა, რომ აუცილებელი იყო გვეცოდნოდა, ამ საქმის ღირებულება. მისი საქციელის შემდეგ ერთი-ორად გავიზარდეთ; დავიჯერეთ, რომ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდით. ბატონ ოთარს არასდროს თავის შემოქმედებაზე არ უსაუბრია ჩვენთან. საკუთარი თავის გამოჩენით ხომ ისედაც არასდროს ყოფილა არსად დაკავებული. ყოველთვის იქ იდგა, სადაც საქართველოს სჭირდებოდა. სიკეთე, ნიჭი და პატიოსნება... რამხელა საჩუქარი ერგო ღვთისგან...

რას ნიშნავდა ოთარ ჩხეიძის მიერ გაღებული სიტობი, მისი დარიგებანი და ზრუნვა, ძნელი მისახვედრი არ არის. ის ამით თავისი სამშობლოს მო-

მავალს ეფერებოდა და ესათუთებოდა. ყველა სტუდენტი მისი შვილი იყო, იმიტომ, რომ ჩვენ საქართველოს შვილები ვიყავით. მას მარტო მწერლური კი არა, ადამიანური ღვაწლიც აქვს განუული ქვეყნის წინაშე და ისე, რომ არაფერი არ ეზედმეტებოდა, არ ეზარებოდა.

რაკი ზრუნვას, ღირსებას და ღვაწლს შევეხეთ, არ შემიძლია ჩვენი სასწავლო სემინარებიდან არ გავიხსენო მნიშვნელოვანი მწერალი და ჩემთვის საპატივცემულო პიროვნება ნოდარ წულეისკირი. მემამყება, რომ სტუდენტობისას უმცროს მეგობრად ჩამთვალა, გვერდით დამიდგა. ასეთი პიროვნებებისგან კეთილი შეფასებანი, გზის დალოცვა, დიდი საჩუქარი იყო პირადად ჩემთვის; ამის დავინწყება არ ხდება, ეს სამუდამო სინათლეა ხსოვნაში ჩარჩენილი და თუ ახალგაზრდობისას ვინმე ამ სანთელს გულში დაგინთებს, მერე ხანგრძლივად გინათებს გზას ის შუქი. ამის გაკეთება კი ერთეულიზს შეუძლიათ.

„მწერალი მხატვარია პირველყოვლისა, ოღონდ მემატინავცა ეპოქისა იმავე დროისა“... — დღემდე გვარიგებს ჩვენი მასწავლებელი. გვენატრებით, ბატონო ოთარ! ოღონდ აქედან ძალზე შორია უდარდელი სტუდენტობის წლებამდე.

...ამასობაში ქარიც ჩამდგარა.



ირაკლი სამსონაძე

## ღრუბელი, სახელად დარინდა

ასე გრძელდება წლიდან წლამდე; ერთხელ ჰკითხა საფლავების მომვლელმა, ვის საფლავს უვლიო, ბებო? ცვილისფერსახიანმა, გალუღმა ქალმაც ერთხელ გასცა საფლავების მომვლელს პასუხი:

— არა, — თქვა მან, — საფლავს არ ვუვლი; ჩემს შვილიშვილს ვბან, ვახოს, მისი გაბანის დროა; და დაერქვა მას მერე იმ დროს, როცა ალისფერი ყაყაჩოები ჩაიყენებენ ხოლმე თეთრ, შხამიან რქეს, — ვახოს გაბანის დრო.

ის მერვე იყო თორმეტი მსგავსიდან, — შენ, ნიკა, ვახო და პეპელა მეგობრობდით, ერთად გაიზარდეთ, ახლა შენ-ლა შერჩი.

პეპელა ყველაზე ჯანიანი იყო თქვენს შორის, საკლასო ოთახში ბოლო მერხზე იჯდა, მეგის კეფას უმ ზერდა და იქიდან დაძრულ სიფრიფანა სხივს თვალს ვერ სწყვეტდა დღიდან დღემდე.

მეგის კეფიდან თავბრუდამხვევი სუნამოს, ჩვილი თმისა და იმ სიცოცხლის სუნი მოდიოდა, სადაც შეუძლებელია იყო გულგრილი, სადაც ან ტირი ბედნიერებისგან ანდა შეშლილივით იცინი.

მართალია, პეპელას ჯანი მოსდევდა, თუმცა არც ზაზა იყო ნაკლები და ორივეს უყვარდა მეგი.

პირველად უბნის ბარუსზე, „სოკოებთან“ იჩხუბეს, დაუსისხლიანეს ერთმანეთს ცხვირ-პირი და დაშორდნენ.

მერე ისევ იჩხუბეს მადოს რკინის ჯიხურთან, მერე ისევ — სკოლასთან. ყველამ იცოდა, რა მიზეზითაც ჩხუბობდნენ პეპელა და ზაზა; ეს, რაღა თქმა უნდა, მეგამაც იცოდა, მაგრამ არჩევანში არ ჩქარობდა; ალბათ, სიამოვნებდა კიდეც, მის გამო რომ ჩხუბობდნენ ბიჭები, მერე კი მეგი გათხოვდა, ვიღაც სხვა უბნელ ბიჭს გაჰყვა; წესით და რიგით პეპელა და ზაზაც უნდა დაემოშინებინა ამ ამბავს, მაგრამ ასე არ მოხდა; მაინც ჩხუბობდნენ ხოლმე, გადაანყებოდნენ თუ არა, ჯერ თვალთა და დანის გარეშე იჩხუბებდნენ და დაშორდებოდნენ, იჩხუბებდნენ და დაშორდებოდნენ, ისევ და ისევ იჩხუბებდნენ და ისევ დაშორდებოდნენ, სანამ ერთ დღეს ბორიას ჯიხურთან არ შეხვდნენ და ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე, ორჯონიკიძის ძეგლისკენ არ გაუყვნენ გზას, იქიდანაც ერთად ამობრუნდნენ და თითქოს ახალა გამოერკვაო, ისე მიმართა ზაზამ პეპელას:

— რამდენიც გინდა, იმდენი ვიჩხუბოთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ, თუ ძმა ხარ, გამახსენე, რატომ ვჩხუბობთ?

— მე მეგისთვის ვჩხუბობ, — თქვა პეპელამ, — საკლასო ოთახში მეგის უკან, მერხზე ვიჯექი, თმის ყველა ღერი გადათვლილი მქონდა მეგის კეფაზე, თანაც იქიდან დაძრულ სუნს ვგრძნობდი, — თავბრუდამხვევი სუნამოს სუნს, ჩვილი თმის სუნსა და სიცოცხლის სუნს, რომელშიც არ შე-

იძლება იყო გულგრილი, ან ბედნიერებისგან უნდა იტირო, ანდა შლეგივით გეცინებოდეს... დილიდან ამ სუნს დავეყვები და ჰა, აქ ვარ, მოდი, ვიჩხუბოთ!

ზაზა ჩაფიქრდა, შემდეგ თქვა:

— მე ფეიხოსას სუნს დავეყვები დილიდან; ეტყობა, შენ უფრო გყვარებია მეგი, აღარ გეჩხუბები.

აღარ უჩხუბიათ, მერე მეგი გაშორდა ქმარს და რამდენჯერმე შენიშნეს კიდეც პეპელასთან ერთად მიმავალი ქუჩაზე. ისიც შენიშნეს, რა ცეტი, არაბუნებრივი ღიმილი დასთამაშებდა პეპელას ბაგეს, ისიც — როგორ უადგილოდ, მართლაც შეშლილივით გადაიხარხარებდა ხოლმე პეპელა და თქვენს უბნელებმა — ალბათ მიაღწია პეპელამ სანადელს, ჩვენს დასანახად შლეგივით იცინის; თავისთვის, სახლში, ალბათ ტირის კიდეც ბედნიერებისგან.

მერე ომი გაჩაღდა. პეპელა და ზაზა ომში წავიდნენ, მეგი კი რომელიღაც ჭუმანიტარულ მისიაში მიიწვიეს თარჯიმნად.

ლტოლვილთა დიდი ნაკადი სვანეთის გზით დაიძრა, მათ შორის სამხედროებაც იყვნენ, სამხედროებს შორის კი პეპელა და ზაზა, რომელსაც ცალი ხელი დაეკარგა ომში, ჰოსპიტალში ინვა, როცა სოხუმი დაეცა, გამოჰყვა ლტოლვილებს, გზაზე კი პეპელას გადაანყდა, ახლა ერთად მოდიოდნენ.

მოდიოდნენ და ლტოლვილებთან ერთად, თითქოსდა მძიმე ჯაჭვით, მოეზიდებოდნენ მაგნოლიებს, ზღვას, ნესტას და სიცხეს, ნაპირზე დახეტქებული ტალღის ხმას, დაბალ კონდარს, ბზის ჩრდილს მზით გათანგულ შუადღეში, მოეზიდებოდნენ ხურმის შეცეცხლილ ხეებს, ჭილყავებისა და თოლიების რონინს დაცარიელებული სანაპიროს ქვებზე და იმ ქვებსაც მოეზიდებოდნენ თითქოს სანაპიროდან; ამასთან ერთად კი მოეზიდებოდნენ უღლიან ღორებს, ნეკნებდამჩნეულ თუ მაძღარ საქონელს, ფერად იხვევს, ერთმანეთის გატანასაც და ვერგატანასაც მოეზიდებოდნენ და მათი მსვლელობა იყო მძიმე რიტმში ამოთქმული ჰოუ-ნანასავით შენელებული, — ჩადაბლდებოდა ოდნავ რიტმი — ჰოუ-ნანაზე, შემდეგ სადაც, გულგვამის რომელიღაც ღრმა ნერიტილიდან დაიძვრებოდა დიდოუ-ნანა, და ასე, ერთ სუნთქვად, ერთ მძიმე რიტმად, ერთ ტკივილად ამოთქმულ ჰოუ, — ნანა, დიდოუ, — ნანაში, მხარზე გადაკიდებული, რკინის ჯაჭვით, ხალხის თვალუნვდენელი, გრძელი რიგი მოეზიდებოდა დამარცხების სიმწარეს, მამა-პაპის სამარეებსა და თოვლიან მთებს, შემოდგომის წვიმებს, ყავახანებსა და მოხალეული ყავის არომატით გაბრუებულ ბულვარებს, მოეზიდებოდა ფიჭვებს, მშობლიურ ფშვინვას ზღვისას, სახლს, კერიას, შეჩვეულ და შეუმჩნეველ აქამდე ნივთებს, რომლებიც მერე გაგახსენებენ თავს, მონატრებ, მოისაკლისებ, გაგიმწარდება სული და იტყვი: — იქ მე დამრჩა ჩემი ჭიქა, ის სულ სხვა იყო, სხვანაირად ისმებოდა წყალიც და ღვინოც იმ ჭიქიდან, ჩანგალი დამრჩა, ჩემი ჩანგალი, კოვზი და დანა, რითიც პურს ვჭრიდი, ალბომი დამრჩა, სადაც იყო ჩემი წარსული, — ვილიმეოდი ალბათ, ან ნაღვლიანი ვრანდი ფოტოზე; სულაც, პასპორტისთვის გადაღებული ფოტო დამრჩა, ჰალსტუხი თავად შემირჩია ფოტოგრაფმა, ჰო, ფოტოგრაფებს სალონებში აქვთ ჰალსტუხები, პიჯაკებიც — სხვადასხვა ზომის, ისეთ ფოტოს ვერც ვერასდროს გადამიღებენ; იქ მე დამრჩა ჩემი ამბორიც, სიყვარულიც, მატრახაზობაც, შვებაც, შურიც, რითიც მე მშურდა ან მშურდათ ჩემი, — ესეც ჩემია, ესეც დამრჩა, — მოვეზიდები. ჰოუ, — ნანა, დიდოუ, — ნანა, გა-

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №20, 21, 22.

დამიგლისა მხარი ჯაჭვმა, ნანა; მოვეზიდები დედის სილბოს, მამის სიმკაცრეს, ჩემს ღრეობებს, სიბეჯითეს, უმონყალოდ გაფლანგულ დროსაც, — ჩემს ცხოვრებას მოვეზიდები, რითიც აქამდე მიცხოვრია ავად თუ კარგად, ცოდვა-მადლით, ის ცხოვრება ჩემი არის, მოვეზიდები — ჩემს სამოთხეს და ჩემს ჯოჯოხეთს, — ჩემს სამშობლოს მოვეზიდები; არ იკუმშება მინა, არც ცა, არც ზღვა არ იკუმშება, ამიტომაც, ყველაზე მეტად დამარცხებას მოვეზიდები; ჯაჭვი მძიმეა, გადამიგლისა მხარზე ხორცი, ნანა, მძიმეა ჯაჭვი, ჰოუ-ნანა, მარცხის სიმწარე მასზე მძიმე, ნანა, ჰოუ, — ნანა, დიდოუ, — ნანა, ნანა...

ფერდობზე კაცი შენიშნა პეპელამ და ეცნო ის კაცი. ქვების ხაჭუნში, ჩვილებისა და ბავშვების ტირილსა თუ კაცებისა და ქალების გადაძახილში ვერ გააგონა ზაზას თავისი ხმა და ხელმეორედ გაუმეორა:

— ნიკას მამას ვხედავ, იქ, ფერდობზე, დააკვირდი, ნიკას მამაა?

გზა გააგრძელეს. მიუახლოვდნენ.

კაცი იდგა, თვალები მოსწყლიანებოდა და ბუტ ბუტებდა: — როგორ მოგვსდევს, როგორ, როგორ...

— აქ უსაფრთხოდ ვართ, — უთხრა კაცს პეპელამ, — უფრო მაღლა ჰუმანიტარულ დახმარებასაც მოგვანვდიან, მეგის ველაპარაკე.

კაცმა პეპელას გამოხედა და უთხრა:

— რას ნიშნავს უსაფრთხოდ ყოფნა, როცა მთავარი ვერ გავიგეთ, — როგორ ვიცხოვროთ ადამიანურად, „ვრემიას“ გარეშე; არა, არა, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ნიკას მამამ, — „ვრემია“ კი არ მოგვსდევს, „ვრემია“ ტვინში ჩავვისახლდა, როგორც ბაცილა, როგორც სიმსივნე... სადღაც, რომელიღაც მთაზე უნდა მოვიძიო პასუხი, თუ როგორ განვთავისუფლდეთ „ვრემიასგან“, ასე გვასწავლის მთავარი ნიგნი, პასუხი იქ იქნება, რომელიღაც მთაზე, — თქვა ეს და აღმართს შეუყვავა, შემდეგ ვინრო ბილიკს დაადგა. ხალხი ერთ გრძელ რიგად მიუყვებოდა გზას, ნიკას მამა კი განცალკევებით შემდგარიყო ვინრო ბილიკზე.

პეპელამ თვალი გააყოლა მას და ჩაილაპარაკა:

— აღარ მეგონა ცოცხალი, — შემდეგ ზაზას მიუბრუნდა, — ნავიდეთ, — თქვა პეპელამ, — მეგი გველოდება მაღლა, ჰუმანიტარული ტვირთი გადმოუტანიათ ვერტმფრენით.

ზაზამ თავი გადააქნია:

— არა, — თქვა მან, — იქ მე ჩემი ცალი ხელი დავტოვე, სანამ ეს ხალხი უკან არ ჩამოივლის, აქ ვიქნები, რათა ფეიხოს სურნელში წავყვე მათ და ხელი დავიბრუნო.

თქვა ეს და ქანდაკად იქცა.

პეპელა ზაზას ქანდაკებას მიაცქერდა, უცქერდა დიდ-

ხანს, დიდხანს, სანამ ვილაც შუახნის კაცის ხმა არ ჩაესმა:

— ვისი ქანდაკებაა, მეგობარო, — უთხრა ლტოლვილმა პეპელას, — არ მეგონა, თუ ქანდაკებას ნავანყდებოდი აქ!

— ზაზაა, — თქვა პეპელამ, — არავინ იცნობდა ამ კაცს ჩემსავით, რადგან ბევრჯერ მომხვედრია მისი მუშტი და მეც ბევრჯერ მიხეთქია ჩემი მუშტი ზაზასთვის; ჰო, არავინ იცნობდა მას ჩემზე მეტად, ამიტომაც ვამბობ, როცა უკან დავბრუნდებით, ზაზა სულს ჩაიდგამს და ისევ ზაზა გახდება; იქნებ გავქვავეზულიყავი კიდევ მის გვერდით, მაგრამ მეგი მელოდება, — თქვა პეპელამ და ხალხის ნაკადს მიჰყვა.

ნამოთოვა, — თოვდა ზანტად, აცაბაცა ფიფქებით. ვერტმფრენი მართლაც დაუხვდათ. პეპელამ შორიდანვე შენიშნა მეგი, რომელიც ქერათმიანი უცხოელის გვერდით იდგა ვერტმფრენთან.

პეპელას ბაგე გაეხსნა მეგის დანახვისთანავე, იდგა, მეგის უცქერდა და ილიმებოდა.

მერე მეგიმაც შენიშნა პეპელა, ხელი დაუქნია და მისკენ გამოემუხრა. ერთმანეთი გადაკოცნეს.

— სხვა კოცნას ველოდი, — თქვა პეპელამ და გული მოენურა, რადგან იგრძნო, ახლა თავზარდამცემ სიტყვებს გაიგებდა მეგისგან.

მეგიმ უხერხულად გაიღიმა, თვალი აარიდა პეპელას და თქვა:

— იმ უცხოელს მიყვები, მოვილევთ ჰუმანიტარულ მისიას და ერთად მივდივართ აქედან, მაპატიე!..

პეპელამ თვალი გააყოლა ქერათმიანი მამაკაცისკენ მიმავალ

მეგის და თქვა გულში პეპელამ: „— დამამძიმა ამ ავტომატმა, ფარაჯამაც, სიყვარულმაც, — მოდი, პეპელად გადავიქცევი“, — და შავ, ყვითლად დაკოპლილ პეპელად გადაიქცა.

ვერტმფრენმა ჯერ ნელა, შემდეგ უფრო ღონივრად აამოძრავა ფრთა, ვერტმფრენთან შექუჩული ხალხი კი მაინც არ იშლებოდა. მეგიმ ვერტმფრენის სარკმლიდან დაინახა ერთი ბენო, ყვითლად დაკოპლილი შავი პეპელა, რომელიც ზანტ, აცაბაცა თოვდაში აფათქუნებდა ფრთებს, მაგრამ ვერტმფრენი ადგილიდან აინია და მეგიმ ველარ შენიშნა პეპელა და რადგან არ იყო პეპელის დრო, რადგან თოვლი გაფენილიყო უკვე მინაზე და ისევ თოვდა, პეპელამ უცებ შეწყვიტა ფარფატი, მოწყვეტით დაეშვა და თოვლს დააკვდა; ჯერ ერთი ფიფქი დაეცა, მერე — მეორე, ისევ და ისევ, მერე ვილაცის ფეხსაცმლიდან ასხლეტილი თოვლით შეირხა მისი სიფრიფანა, გამზრალი სხეული და ფიფქები, ისევ ფიფქები, — უფრო ხშირი, თეთრი ფიფქები და მცირე ხანში შავი, ყვითლად დაკოპლილი პეპელა სრულად დაკარგა თოვლის სითეთრემ.



მხატვარი აივენგო ქელიძე

ზაზა და პეპელა მეცხრე-მეათე იყვნენ თორმეტი მსგავსიდან. მეცხრე-მეათე; მეცხრე-მეათე; თუკი შენი ოთახის ერთი კუთხიდან გააბიჯებ ლოჯიის კუთხემდე, სწორედ ათი ნაბიჯია; დეგები, ბორიალობ ოთახში, — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი! ლოჯიის კუთხე და ისევ აქეთ, ისევ ითვლი და მერე იქით, იქითაც ითვლი, თითქოს არ იცოდე, თითქოს უთვალავჯერ არ გქონდეს გადათვლილი. ცხოვრება ლამის გაილია ნაბიჯების უსაგნო თვლაში, ვიღაცის ზეიმებში, ლოთობასა და მეგობართა დაკრძალვებში; ცხოვრება მიდის პოსტსაბჭოეთის ერთ მარშრუტზე, ბაქნიდან ბაქნამდე პოლიტიკაზე ყაყანში, დღიდან დღემდე ერთ ხედს ხედავ მატარებლის სარკმლიდან, დღიდან დღემდე ერთი და იგივე სახეები ახმაურებენ ერთსა და იმავე, წინასწარვე ნაცნობ აზრებს, დაახლოებით ერთმანეთის მსგავს მოვლენებზე; ქვეყანა კი კვლავინდებურად ვიღაცისთვის ცხოვრობს თითქოს, თავისთვის არა, ვიღაცისთვის, ვისაც თავი უნდა მოაწონოს; გეგონება, სოფლელ გოგოს დაუყინია, გინდა თუ არა, ქალაქელს უნდა გაეყვე ცოლადო და ამაზრზენად ბაძავს ქალაქელ გოგოებს, გულში კი უყვირს, რატომ ინვეს მისი საქციელი თუ სიტყვა-პასუხი შეფარულ, მაგრამ მაინც საგრძნობ ირონიას ქალაქელ ბიჭებში. ეს ჩვენი ცხოვრებაა, სამსონ, ჩვენი ხვედრი, ჩვენი მარშრუტი დროის ამ მონაკვეთში, რადგან უდაბნოს შუანელში ვბორიალობთ ახლა, აქვე მოგვესაჯა ჩანრეტვა, როგორც ღრუბელი — დარინდა ჩაინრიტა წვიმად რინის ტბაში.

შენ ახლა გჯერა უკვე, რომ სწორედაც ასე მოხდა — ქალი ღრუბლად იქცა, ჯერ არველოდის საფლავს დაადგა თავზე, შემდეგ დაიძრა მძიმედ, მძიმედ, ფორმა არ უცვლია, ხოლო როცა პირველი ტყვია გაეარდა აფხაზეთში, იქ ჩაინვიმა თავი, სადაც ცისფერი, კამკამა ნაკადული ჩაედინება რინაში.

ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, სამსონ, შენ ახლა გჯერა და რადგან გჯერა, სიმარტოველა გაკლია, რათა საქმეს ჩაუფუდე და ახალ სამყაროსთან ერთად დაიბადო ხელახლა.

სიმარტოვე, იცოცხლე, თავზე გადაგვდის, სამსონ, რაც მართალი — მართალია, სიმარტოვე არ გვაკლია.

გახსენდება ქეთი, ირიდებ ქეთიზე ფიქრს, უცქერ ღია სარკმელში ჩამომდგარ ღამეს.

„რა მოულოდნელად დაღამდა“, — ფიქრობ, — „როდის დაღამდა, როგორ შემომადნა ეს დღე“? — ფიქრობ, ტრიანალები, მაგიდას უბრუნდები, ჯდეები სავარძელში და ფურცელს აჩერდები. „მითები და ზღაპრები პოსტსაბჭოურ ხანაზე“, — კითხულობ, შემდეგ ღია სარკმელს უცქერ და გახსენდება დედა, რომელმაც ნიკას დედა მოგაგონა.

— ახლა მოხდება რაღაც, ახლა აუცილებლად მოხდება რაღაც, — თქვა თავის ხელებს ჩაცქერილმა ნიკას დედამ, რომელიც თბილისში, თავის ბინაში, სამზარეულოში იჯდა სკამზე და მართლაც, ქალაქიდან შორს, ნიკას დედისთვის სრულიად უცნობმა, მაგრამ სოფელში ერთობ სახელგანთქმულმა კაცმა, ვისაც გურგენი ერქვა, თანასოფლელები კი გურგენ მოჭირნახულედაც მოიხსენიებდნენ, თავის ბაღში, ასწლოვანი ნიგვზის ხესთან დალია სული.

გურგენი მეურნე, მტერ-მოყვრიანი კაცი იყო; თორმეტი ვაჟი ჰყავდა, მიუხედავად კომუნისტური იდეოლოგიისა, კოლექტივიზაციისა თუ სხვა ჯურის ჯანდაბა-დოზანისა, თავისი ცხოვრების წესით ცხოვრობდა, თერმეტ ვაჟს

გადაუხადა ქორწილი, თერმეტი ვაჟი დაასახლა თავის მეზობლად, მეთორმეტეს, — თორნიკეს თავისი ხელით ნალოლიავები ეზო-კარი დაუტოვა, სიკვდილის წინ კი ასე დაუბარა: — ეტყობა, სანუთროს წესი ყოფილა — დარდი უნდა გაგაყოლოს, არაფერზე ვინაღვლებდი, შენს დაოჯახებას თუ შევესწრებოდი, ეს დარდი მიმყვება...

თქვა ეს გურგენმა და თავის ბაღში დალია სული.

ჭირს გამაგრება უნდა.

დადგნენ ძმები ერთად, მხარში ამოიყენეს ცოლ-შვილი, მამას წესი აუგეს, იგლოვეს, როგორც წესი და რიგი მოითხოვეს; ის იყო, უნდა დაეკრძალათ კიდეც, რომ გათხრით სამარესთან ნალველიდან დაძრულმა სიმწარემ მოკვება მუხლი გურგენის ნაბოლარას, — თორნიკეს, მის ირგვლივ დატრიალდა სიმწრის სუნად, გააბრუა და ათქმევინა:

— წინაკას მოთხოვეს ნალველიდან დაძრული სიმწარე, რათა ერთმა სიმწარემ მეორე მოკლას.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს, იფიქრეს, მამის გარდაცვალებამ იმოქმედა ჩვენს ძმაზე ასეო, მხარზე შემოჰკრეს ხელი თორნიკეს, წამოაყენეს, უთხრეს: — გამაგრდი, ძმაო, მხარში დგომით ამ სიმწარესაც მოვერევი! — ამის შემდეგ მიაბარეს გურგენ მოჭირნახულე მინას და როგორც წესი და რიგი მოითხოვეს, დაკრძალვაზე შეკრებილ ხალხს სთხოვეს, პატივი მიეგოთ მათი მამისთვის.

დაიძრა ურიცხვი ხალხი თორმეტ დიდ სეფად გაშლილი საქელეხო სუფრისკენ. თორმეტი ხარი და თორმეტი ჭედილა დაეკლათ ძმებს, თორმეტ უშველებელ ქვაბში მოეხარშათ საქელეხო ლობიო, თორმეტი ასოცკოკიანი ქვევრისთვის მოეხადათ პირი, თავად მუხლი არ ჩაუხრიათ, სკამზე არ დამსხდარან, სუფრის წესსა და რიგს ადევნებდნენ თვალს, ხალხს ემსახურებოდნენ და ასე მიაგებდნენ პატივს მამას.

ქელეხი რიგიანად გასრულდა, მაინცდამაინც არავინ დამთვრალა, მაინცდამაინც არ უყაყანიათ, თქვეს, რასაც წესი და რიგი მოითხოვდა, გარდაცვლილებსაც მიაგეს პატივი და ჭირისუფლებსაც, მერე დაიშალნენ.

ამის შემდეგლა თქვა ძმებს შორის უფროსმა ძმამ:

— ახლა შეგვიძლია, ჩამოვსხდეთ!

ჩამოსხდნენ თორმეტნი და თორმეტის თერმეტი ცოლი, ერთმანეთს თვალი შეავლეს და თქვეს გულში: — „ერთად კარგია, ასე უფრო ძლიერნი ვართ“, — მაგრამ უეცრად ისევ წამოუარა ნალველიდან სიმწარემ თორნიკეს, გააბრუა და ათქმევინა:

— ლუკმას ვერ გავლექავ, ჭიქა ღვინოს ვერ შევესვამ, სანამ თორმეტი უნიფხვო ქალის დათესილი თორმეტი წინაკით არ დავიცხრობ ნალველიდან დაძრულ სიმწარეს.

ერთხანს დუმდნენ ძმები, შემდეგ ძმებს შორის უფროსმა ძმამ თქვა: — თორნიკე, ძმაო, მსმენია, რომ უნიფხვო ქალის დათესილი წინაკა გამორჩეულად მწარეა, მაგრამ დაფიქრდი, სად გიპოვოთ ახლა თორმეტი ქალი, რომელიც აღიარებს, რომ უნიფხვოდ თესდა წინაკას, სად, ძმაო, აბა, მითხარი?!

— მაშინ, მოკვდები, — თქვა თორნიკემ, მიიბჯინა ნალველზე ხელი და გაყუჩდა.

შენუხდა უფროსი ძმა, დაფიქრდა, შემდეგ თქვა:

— სტალბერი როა, ჩვენი სოფლელი, იმას ყავს აშარი ქალი ცოლად, მასზე ამბობენ, უნიფხვოდ თესავს წინაკასო, მივიდეთ სტალბერთან, ვთხოვოთ წინაკა, იქნებ გემწაროს და ერთი სიმწარე მეორემ მოკლას. სანამ შენ არ გადა-

იცდენ ყელში ლუკმას, სანამ შენ ვერ შესვამ ჭიქა ღვინოს, რა მომასვენებს!

— კარგი, — თქვა თორნიკემ, — წავიდეთ! — თქვა და წამოდგა.

წამოდგა უფროსი ძმაც, წამოიშალა სუფრა და თქვეს თორნიკეს ძმებმა:

— სანამ ჩვენი ძმა ვერ გადაიცდენს ყელში ლუკმას, სანამ ჩვენი ძმა ვერ შესვამს ჭიქა ღვინოს, რა მოგვასვენებს!

მივიდნენ სტალბერთან, შელაგდნენ ერთიმეორეს მიყოლებით სახლში და რას ხედავენ, — ზის ეს გადაღრძობული სტალბერი თავის გადაღრძობულ დედაბერთან ერთად მაგიდასთან, რომელზეც წითელი სუფრაა გადაფენილი, სტალბერის მხარეს სტალინის პორტრეტი ჰკიდია კედელზე, სტალბერის ცოლის მხარეს — ბერიას პორტრეტი, თვითონ სტალბერი მარცხენა ხელით წერს რაღაცას, მისი დედაბერი კი მწვანე წინაკებს ახარისხებს, თანაც ჩიფჩიფებს:

— ეს წინაკა მწარე იქნება, ეს უფრო მწარე, ამისი კი რა მოგახსენო; ეტყობა, ციოდა იმ დღეს და ნიფხავი ამოვიცვი, ეს წინაკა არ ივარგებს, არა...

„ბიჭოს!“ — იფიქრა თორნიკეს უფროსმა ძმამ, — „სწორედ იქ მოვსულვართ, სადაც საჭიროა“, — შემდეგ სტალბერს მიმართა:

— სტალბერ, ჩემს ძმას, თორნიკეს, თორმეტი ცალი ყველაზე ცხარე წინაკა სჭირდება, რათა ნალველიდან დაძრულ სიმწარეს სიმწარით მოერიოს, რასაც დააფასებ, გადაგიხდი!

— ფული რა სახსენებელია, ერთ სოფელში ვცხოვრობთ, — თქვა სტალბერმა, — წინაკაა, ის ხომ არაა, — გადახედა თავის დედაბერს და უთხრა, — მიეცი, დედაბერო, წინაკა, მიეცი, მიეცი!..

— შენ დავითესია თუ შენ მოგინევი, ჩემს ნაოფლარს რომ ანიავებ?! — შეუტია ქალმა ქმარს, — გადაიხადონ თითო წინაკაში თითო თუმანი და მიეცემ, რატომაც არ მიეცემ! — თქვა ეს და ავად მოწკურული თვალებით გადახედა ძმებს.

— ბიცოლა, — მიმართა თორნიკეს უფროსმა ძმამ სტალბერის ცოლს, — ძვირს კი აფასებ, მაგრამ არც მაგაზე გევაჭრები, სახელი მიბოძე შენი, რაღაც უნდა მოგახსენო...

— რომელი შენი ბიცოლა ვარ, — თქვა დედაბერმა, — ანდა, თუ მეზობლობაა, ჩემი სახელი რად არ იცი? თუ არაა, ასეთი ლენჩი როგორ გამოდექი, სტალბერის ცოლს რომ ბერსტალი ერქმევა, მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა!

— ჰოო, — თქვა მძიმედ ძმებს შორის უფროსმა ძმამ, — მაგას კი უნდა მივმხვდარიყავი, — მერე ჯიბეზე გაიკრა ხელი, თორმეტი თუმანი გადათვალა, დედაბერს მიაცქერდა და უთხრა: — აი, თორმეტი თუმანი თორმეტი წინაკისთვის, მაგრამ თავდებში ვინ დამიდგება, რომ უნიფხვოდ თესდი წინაკებს, თორნიკეს ყველაზე ცხარე წინაკები სჭირდება, რათა წინაკის სიმწარემ ნალველის სიმწარე მოუკლას.

— თავდებში ვინ დამიდგებაო, — ხმას აუნია დედაბერმა და მაგიდას გამოეცალა, — როგორ თუ ვინ დამიდგება თავდებში... — და ძმებისკენ დაიძრა.

სტალბერზე უკეთ ვის ეცოდინებოდა ცოლის აშარი ზნე, ამიტომაც წამოიძახა სტალბერმა:

— მე დავუდგები თავდებში, მე! — სულმუდამ უნიფხვოდ თესდა წინაკას, ისეთი ცხარეა, ისეთი, ისეთი, რომ...

— აი, ჩემი თავდები! — მოწკურული თვალებიდან ცეცხლი გააკვესა დედაბერმა, კაბა წამოიხადა, ჯერ პირდაპირ ეჩვენა, მერე შესაშური სიცქავით მოტრიალდა და იქიდანაც დაამტკიცა უნიფხვობა, ისევ მოტრიალდა და შემკრთალ, მორცხვად თავდახრილ ძმებს მიუგო:

— არავის თავდებობა არ მჭირდება, რასაც ვამბობ, წყალი არ გაუვა, დილაბნელზე წინაკა რომ დავთესე, მას მერე ასე დავიარები; ანდა, რა ფასი აქვს ნიფხვიანი დედაკაცის დათესილ წინაკას, — ეგე! — მიუთითა ბერსტალმა გადარჩეული წინაკებისკენ ძმებს, — ზედვე ეტყობა, რომელი დავთესე უნიფხვოდ, რომელი კიდევ, ნიფხვით, იმასაც უნიფხვოდ დავთესდი, რადგან წინაკა თუა, ცხა რეც უნდა იყოს, მაგრამ ციოდა მაშინ, ცისტიტისა შემეშინდა და ნიფხავი ამოვიცვი, აკი ზარალიც ვნახე, ვის რად უნდა ასეთი უგერგილო საქონელი, განა ასეთი წინაკას, წინაკა ეთქმის, — თქვა ქალმა, ერთ-ერთი წინაკა გადატეხა და თორნიკეს უფროს ძმას მიუტანა პირთან, — აბა, გასინჯე!..

თორნიკეს უფროსმა ძმამ ენა ნაჰკრა გადატეხილ წინაკას, თქვა — უფ! — მერე კიბორჩხალასავით განითლდა, რამდენჯერმე გაიმეორა: — უფ! უფ! — ბოლოს კი დასძინა: — ასეთი ცხარე არაფერი მიგემია, ეს დათესე ნიფხავამოცმულმა?

— ისემც ხვალინდელი დილა არ გამითენდეს, როგორც რომ ნიფხავამოცმულს მქონდეს დათესილი, — თქვა ეს და სხვა წინაკას მიეტანა, მაგრამ თორნიკეს ძმამ ხელები გაასავსავა და შეუძახა:

— არა, არა, ის თუ ისეთი მწარე იყო, უნიფხვოდ დათესილი რალა იქნება; გაუსინჯავადაც ვატყობ, რომ ცხარეა, დამარწმუნე და ისაა, აღარც თავდებს ვთხოულობ, ვყიდულობ, ვყიდულობ!

— ჰოო, — უცებ მოლბა დედაბერი, — უნდა იცოდე, ვისთან როგორ ილაპარაკო, — შემდეგ ფული გამოსტაცა ხელიდან, გულდასმით გადათვალა, თორმეტი წინაკა გამოარჩია, მაგიდაზე გამოაჩოჩა და თქვა: — ყველაზე მწარეებია, შექრად!

თორნიკე მაგიდას მიუახლოვდა, აიღო ერთი წინაკა, ყუნწამდე ჩაკბიჩა, დალეჭა, გადაყლაპა და თვალები მოხუჭა.

— ამას უყურე! — გაოცება ვერ დამალა დედაბერმა და ქმარს გადახედა, რომელიც თორნიკეს უცქერდა, გაკვირვებისგან ყბა მოჰქცეოდა, თანაც ჩურჩულებდა: — შეუძლებელია, შეუძლებელია...

თორნიკეს თვალები არ გაუხელია, ხელი მოაფათურა მაგიდაზე, მეორე წინაკას მისწვდა, ისიც ყუნწამდე ჩაკბიჩა, დალეჭა, გადაყლაპა და მეტად მოხუჭა თვალები, თუმცა სულ ეს იყო, — ერთი ბგერაც არ დასცდენია.

ახლა დედაბერსაც მოექცა ყბა, ის აჩიფჩიფდა: — შეუძლებელია, შეუძლებელია!.. — თორნიკე მესამე წინაკას მისწვდა.

— ჩემი წინაკა ასე არავის უჭამია, — თქვა დედაბერმა, — აუცილებლად გადავირევი, თორმეტივე თუ შეჭამია! — დასძინა შემდეგ.

მესამე წინაკას მეოთხე მოჰყვა, მეოთხეს — მეხუთე, მეხუთეს — მეექვსე, რაც უფრო მეტ წინაკას ჭამდა, უფრო მტკივნეულად ეხუჭებოდა თვალები, მაგრამ არც ხმა გაუღია, არც გმინვა აღმოხდენია, არც სიმწრის ოფლი დასხდომია შუბლზე, თვალდახუჭული მოაფათურებდა ხოლმე

მაგიდაზე ხელს, იპოვიდა მომდევნო წინაკას, ყუნწამდე ჩაკბენდა, საფუძვლიანად დაღეჭავდა, მერე ყლაპავდა.

მეთორმეტე წინაკის გაღეჭვის შემდეგ, წამით გაირინდა, უეცრად ერთბაშად დააჭყიტა თვალები, სტალბერისკენ მიუთითა და თქვა: — ეს კაცი ანონიმკას წერდა ჩვენზე!

სტალბერი მაგიდას გადაემხო, ფურცელს გადაეფარა, მაგრამ თორნიკეს უფროსმა ძმამ ქეჩოში ჩაავლო ხელი, სკამიდან აზიდა, თავისუფალი ხელით ფურცელს მისწვდა და ხმამაღლა წაიკითხა: — „რა სახსრებით თორმეტი სეფა, რა სახსრებით თორმეტი ხარი და თორმეტი ჭედილა“... — მერე ხელი გაუშვა მოხუცს, რომელიც სკამზე დაეხეთქა და გაბმით მოჰყვა: — მიშველეთ, მიშველეთო! — თუმცა თორნიკეს შეძახილმა ისიც მიაჩუმა:

— დავინახე, ახლა სრულად დავინახე, რა სიმწარეშიც გამოატარეს ჩემი ხალხი! — ჯერ სტალინის პორტრეტისკენ გაიშვირა თითი თორნიკემ, შემდეგ ბერიას პორტრეტისკენ, — მათი ცოდვა თაობიდან თაობაში გამოგვეყვება, სანამ ერთხელ და საბოლოოდ არ მოვიწინებთ და ცოდვისგან არ განვინმინდებით!

ეს თქვა, — სტალინის პორტრეტს მიეჭრა, კედლიდან ჩამოგლიჯა და სტალბერს გადაახეთქა თავზე, მერე ბერიას პორტრეტს მისწვდა, ისიც ჩამოგლიჯა და ბერსტალს ჩამოამხო, — წავიდეთ აქედანო! — შეუძახა ძმებს და ეზოში გამოეწიო. ძმებიც მას მიჰყვნენ, ხოლო შინდარჩენილმა სტალბერმა და ბერსტალმა, რომელთაც თავი ამოერგოთ სურათის ჩარჩოდან, ერთმანეთს გადახედეს და მათთვის უჩვეულო, სათნოებით აღსავსე ხმით მიმართეს:

— მე გავგიჟდი, ბერსტალ, შენ როგორ გრძნობ თავს? — ჰკითხა სტალბერმა ბერსტალს და თანაც სევდიანად გაუღიმა.

— მე უფრო გავგიჟდი, სტალბერ; გავგიჟდებოდი კიდევ, აბა, რა მომივიდოდა, უნიფხვო ქალიც გამიგია და მისი დათესილი წინაკაც, მაგრამ ჩემს დათესილს, თანაც ერთდროულად თორმეტი ცალ წინაკას თუ ვინმე შეჭამდა ერთბაშად, რას ვიფიქრებდი?! — თქვა ეს ბერსტალმა, წამოდგა, ხელი ჩასჭადა მიუღლეს და მანაც სევდიანი ღიმილით დასძინა: — ეჰ, წავიდეთ, სტალბერ, წავიდეთ!..

— წავიდეთ, ბერსტალ, ჰო, წავიდეთ, ეჰ! — თქვა სტალბერმაც, ცოლთან ხელჩაჭიდებულმა გამოაბიჯა შინიდან, კარი მზრუნველად გადაკეტეს გასაღებით, და ასე, მხრებზე ჩარჩოჩამოხობილებმა და ხელობილჩაჭიდებულებმა გასწიეს მახლობელი ფსიქიატრიული კენ, რომელიც რაიონულ ცენტრში მდებარეობდა.

მეორე დღეს თორნიკე ნაცნობი სიმწარის სუნმა გააღვიძა, თვალი გაახილა და იფიქრა: „თბილისში უნდა წავიდე, სტალინთან და ბერიასთან ერთად ორჯონიკიძესაც ეკუთვნის თავისი წილი“...

ძმებისთვის არაფერი უთქვამს, დაჯდა საჭესთან, ჩართო ძრავი და თბილისისკენ გამოემშურა.

მანქანა დელისის მეტროსთან გააჩერა, დაუყვა ქუჩას, მას მერე, რაც თერთმეტი თავისნაირი ბიჭი იხილა ძეგლთან, მას მერე, რაც ერთად მოიმოქმედა თორმეტმა ერთნაირმა ბიჭმა, თორნიკე აღმართს შეუდგა და მანქანას მიაკითხა. ის იყო, მანქანის კარი უნდა გამოეღო, რომ ძალიან ლამაზი გოგო დაინახა ქუჩაში, შეუყვარდა ამ გოგოზე გული და იფიქრა: „სიმწარეზეც მეტი სიმწარე შემაცნობინა ბერსტალის წინაკამ, იქნებ ეს გოგო მეცხოს სალბუნად“, — მიიჭრა ყვავილების გამყიდველთან, შეიძინა ვარდების თაი-

გული, თავს შეუძახა, გამხნევედა და მოახლოებულ გოგონას მიმართა:

— მოდიოდი, დავინახე, გულს გაუხარდა, მიიღე ჩემგან ეს თაიგული, ბერსტალის დათესილი თორმეტი წინაკა მიჭამია ერთიმეორეს მიყოლებით, უარს თუ არ მეტყვი, ისე გავიხარებ, თითქოს თორმეტი კვინტა შაქარი მეჭამოს!

გოგონამ დაკვირვებული მზერა სტყორცნა ბიჭს, შემდეგ თქვა:

— ძალიან მიყვარს ვარდები, მითუმეტეს, რომ მეც ვარდი მქვია ერთგვარად, როზალია, — თქვა ეს და თაიგული ჩამოართვა.

— მე თორნიკე მქვია, — თქვა თორნიკემ, შემდეგ მახლობელ ყავახანას მიაკითხეს და ყავაც მიირთვეს ნაყინთან ერთად.

ყავახანაში იგრძნო თორნიკემ, რომ როზალიასგან რომელიღაც მისთვის უცნობი ვარდის თავბრუდამხვევი სურნელი მოდიოდა, ამან დაბანგა, ერთი ნახვით შეუყვარდა ეს გოგო და იქვე, ყავახანაში გადაუხსნა კიდეც გული:

— როზალია, ისე შემეყვარდი, როზალია, თუკი შენი თანხმობაც იქნება, მზად ვარ, ახლავე დავექორწინდე შენზე, მაგრამ მამა გარდამეცვალა ახლახან, წესია ასეთი, ერთი წელი უნდა შევინახო გლოვა, და თუ ერთი წლის შემდეგ შენი თანხმობაც იქნება, დავექორწინდეთ, რადგან სიცოცხლეზე მეტად შემეყვარდი, როზალია!

— რატომაც არა, — მიუგო როზალიამ, — დავექორწინდეთ, კი ბატონო; სიმართლე გითხრა, ამჯერად არც მე ცალა ქორწინებისთვის, რადგან უცხოეთში მივდივარ სასწავლებლად, ჩამოვალ ერთ წელიწადში და მერე, კი ბატონო, რატომაც არა?!

მოილაპარაკეს, ამბორითაც დაადასტურეს თავისი ლტოლვა და ერთობლივი ოჯახის შექმნის წადილი, წავიდა შემდეგ როზალია, რათა ბარგი ჩაელაგებინა და უცხოეთში გამგზავრებულიყო, თორნიკემ თავისი სოფლისკენ გამოსწია და ისე ჩამოვიდა, ვერც კი გაიგო, რადგან როზალია ედგა თვალწინ და მასზე ფიქრი არ ბეზრდებოდა, — ამანაც შეუმოკლა გზა.

ჩამოსვლისთანავე აუწყა ძმებს უეცრად წვეული სიყვარულის შესახებ:

— მამაჩვენი ძლიერ დარდობდა, რომ ჩემს დაოჯახებას ვერ შეესწრო; ამიტომაც სწორედ აქ, ამ ასწლოვანი ნიგვზის ჩრდილში გაუწყებთ ახალ ამბავს, გოგო შემეყვარდა, გაივლის გლოვის ერთი წელი და ცოლად მოვიყვან, სულ ესაა!

ძმებს შორის უფროსმა ძმამ უთხრა თორნიკეს:

— ჩვენ რა გვეთქმის, ძმაო, სიმართლით იქცევი, რომ გლოვის ერთ წელს ინახავ, დანარჩენს ცხოვრება გვანახებს; გილოცავ, ამჟამად ამის თქმა თუ შემიძლია!

იგივე გაიმეორეს სხვა ძმებმაც:

— გილოცავთ, ძმაო! — თქვეს მათ, — სიმართლით იქცევი, რომ გლოვის ერთ წელს ინახავ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ისიც კარგია, რომ სწორედ აქ შეგვეყარე, იმ ნიგვზის ჩრდილში, სადაც მამაჩვენს სული ამოხდა, ვინ იცის, იქნებ გვხედავს კიდეც მალლიდან, ვინ იცის, იქნებ შენი ამბავიც უწყის უკვე და თავისთვის ხარობს!

გავიდა ერთი წელი, დაბრუნდა როზალია უცხოეთიდან, გამოემშურა მის დასახვედრად თორნიკე, შესვდნენ აეროპორტში, გადაკოცნეს ერთმანეთი და უთხრა თორნიკემ როზალიას:

— მართლაც ვარდივით გაფურჩქნულხარ, ჩემო როზალია, წავიდეთ შენს მშობლებთან, დებთან, ძმებთან, ნათესავ-მოკეთებებთან, ჩაფჭიდოთ ხელი და გავეშუროთ ჩემს სოფელში; თორმეტი სეფას გავშლით მე და ჩემი ძმები საქორნილოდ, თორმეტი ხარი და თორმეტი ჭედი ლა შევიგულეთ დასაკლავად, თორმეტი ასოცკოკიანი ქვევრი ელის პირის მოხსნას; ღვთის მადლით, არც გული გვეშურება მოკეთესათვის, არც ხორავი გვაკლია, რათა მოვილხინოთ, რაც უფრო მეტნი შევიყრებით, უფრო გავიხარებთ, ნამო, ვიქორნიოთ!

— ვიქორნიოთ, ვიქორნიოთ, — დაეთანხმა როზალია თორნიკეს, — კი ბატონო, ვიქორნიოთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ დედაჩემი ამჟამად საფრანგეთშია, მამაჩემი — კანარის კუნძულებზე, ჩემი დები — ზოგი ამერიკაში, ზოგი — ჰოლანდიაში, ზოგიც გერმანიაში და ასე შემდეგ. ძმები არ მყავს სამსუხაროდ, ბიძაშვილი მყავს ერთი, — ბიჭია, მაგრამ პორტუგალიაშია ახლა; მგონი, გათხოვდა კიდეც, ასე რომ, თუ არ გადავიფიქრებია, მარტო ჩემზე მოგიწევს დაქორწინება, თუ არადა, არც ეგაა პრობლემა.

— ქორწინებას ისედაც მხოლოდ შენზე ვაპირებდი, — შემცბარი ღიმილით მიუგო თორნიკემ, — მაგრამ ვიფიქრე, როგორც წესი და რიგია ისე მოვიქცეთ-მეთქი, თორე...

— ნახე, რა კარგი ვარდი ჩამოვიტანე! — უთხრა როზალიამ თორნიკეს და პატარა ქოთანში ჩარგული ვარდი ამოიღო პოლიეთილენის შავი პარკიდან.

— ჰო, ლამაზია, — თქვა თორნიკემ.

— უნიკალური, — თქვა როზალიამ, — ამისგან ზეთს ხდიან, ძალიან სასარგებლო და ძვირადღირებული პროდუქტია, თქვენს სოფელში ხარობს ვარდი? — დაეკითხა იქვე.

— კი, — თქვა თორნიკემ, — როგორ არა, ყველაფერი ხარობს...

— წავიდეთ, წავიდეთ, — თქვა როზალიამ, — ისე მაინტერესებს... სხვათა შორის, ვარდისფერი საქორნილო კაბა შევიძინე, გასაგიჟებლად ლამაზია; მოდიხარ?!

და წავიდნენ.

გადაიხადეს დიდი ქორნილი, მიირთვეს პურ-ღვინო, მოილხინეს როგორც წესი და რიგია, მაინცდამაინც არავინ დამთვრალა, მაინცდამაინც არ უყაყანიათ, მღეროდნენ მრავალხმიან სიმღერებს, მაგრამ სადაც ქორნილია, უნდა იმღერონ კიდეც, მერე დაიმაღლნენ და ახალგაზრდები მოასვენეს.

შევიდა საწოლ ოთახში თორნიკე, რათა შეეცნო თავისი ცოლი, როზალია და ზღურბლთანვე იგრძნო რომელიღაც უცხო, მისთვის აქამდე უცნობი ვარდის გამაბრუებელი სუნი. რაც უფრო უახლოვდებოდა საწოლს, მეტად და მეტად ეხვეოდა სურნელში, მეტად და მეტად იბანგებოდა და აი, მიუნვა როზალიას და აღმოაჩინა, რომ სარეცელი ვარდის ფურცლებით მოეპენტა პატარძალს.

მხოლოდ დილისკენ ჩაიძინა თორნიკემ, რადგან მთელი ღამის განმავლობაში ალაგზნებდა ვარდის სუნი, რომელიც ნესტოებიდან მოუძვრებოდა ტვინში და დაუოკე ბელ ჟინს უჩენდა, ისევ და ისევ განეცადა თავბრუდამხვევი ნეტარება.

ჩაძინების წინ გაეფიქრა: „ეს რა იყო? ქალი შევიცან თუ ვარდის ფურცლები მათოვდა ღამით“?!

თვალი რომ გაახილა, გაშლილი ვარდივით სახეგადანათებული როზალია დაინახა, რომელსაც ხონჩით მოერთმია

მეუღლისთვის საუზმე. ესამოვნა თორნიკეს ცოლის ყურადღება, თავისკენ მოიზიდა, აკოცა და ჰკითხა:

— აბა, რით მიმასპინძლებდა ჩემი ცოლი, ჩემი ლამაზი როზალია!

— ვარდის ჩაი მოგართვი ვარდის მურაბით, — მიუგო როზალიამ, — შეფიცხებული პური ვარდის კარაქითა და ვარდის ჯემით.

— საუცხოო, უცნაური... — თქვა თორნიკემ, ბალიში შეიკეცა, მოხერხებულად მოთავსდა სანოლზე და იქვე მიირთვა საუზმე, შემდეგ წამოდგა, მონესრიგდა და ეზოში გამოვიდა. ხედავს, — როზალიას მუშები დაუქირავებია, განკარგულებებს აძლევს მათ:

— ბოსელი მოშალეთ, იქიდან ცუდი სუნი მოდის, იქ ვირჯინიულ ვარდებს დავრგავ; ბელელიც მოშალეთ, იმ ადგილს ჰოლანდიური ვარდები მოუხდება; ვენახი აჩეხეთ, თუ შეიძლება, ბრაზილიური შავი ვარდი უნდა ვახარო ვენახის ნაცვლად!

— როზალია, — დაუძახა თორნიკემ ცოლს, — რა ხდება, როზალია, ვენახი თუ ავჩეხეთ, ბოსელი და ბელელი თუ მოვშალეთ...

— შენ არ იცი, არ იცი, — გაანწყვეტინა როზალიამ თავის ქმარს სიტყვა, თანაც ფეხები დააბაკუნა და თქვა, — იქ ასეა მიღებული, შენ ბევრი რამ არ იცი და არ გინახავს, მე კი მინახავს და ვიცი, დამიჯერე, დამიჯერე, აქაურობას ნალკოტად ვაქცევ!

— როზალია!... — თქვა ისევ თორნიკემ, მაგრამ როზალიამ სახე მოიქუფრა და მოუნდა თორნიკეს, გადაშლილი ვარდივით გადასხვიოსნებოდა კვლავაც როზალიას სახე და თქვა თორნიკემ: — კეთილი, როზალია, თუკი აქაურობას ნალკოტად აქცევ, მაგას რა სჯობს, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ შენი სახლ-კარიცაა...

როზალიამ გაიღიმა და თქვა:

— მომენდე, მომენდე, აი, ნახავ...

შუადღისთვის საქორნილო საჩუქრები მიიღო როზალიამ: საფრანგეთიდან ფრანგული ვარდი ფრანგულ ქოთანში, კანარის კუნძულებიდან კანარის კუნძულებზე რომ ხარობს ვარდი და კანარის კუნძულებზე რომ აკეთებენ ქოთნებს, — ისეთ ქოთანში, ამერიკიდან ვირჯინიული ვარდი ამერიკულ ქოთანში, პორტუგალიიდან პორტუგალიური ვარდი და კიდეც ბევრზე ბევრი ვარდი, იმათ რა ჩამოთვრის.

გაიჩეხა ვენახი, მოიშალა ბოსელი, ბელელი და მარანი, მთელი ეზო-კარი ვარდებით მოიპენტა, ლუოდნენ სხვადასხვაფრად, იქაურობა მართლაც ნალკოტს დაემსგავსა.

თორნიკე სიზმარში ცხოვრობდა თითქოს, დაბანგულებით დაბორილობდა ვარდებს შორის გაკვალულ, კენჭებით მოკირწყლულ ბილიკებზე და რაც უფრო ემატებოდა მის ეზოს ვარდები, მით უფრო იბანგებოდა ვარდის სურნელით. დღით მიირთმევდა ვარდის ჩაის ვარდის მურაბით, ვარდის კარაქითა და ვარდის ჯემით; სადღიად ვარდის შეჭამანდს და ვარდის ფურცლებიდან მომზადებულ, ვარდის ზეთით შეკმაზულ სალათს ახვედრებდა როზალია; მოსალამოვებულზე სვამდა ვარდის ლიქიორს, რასაც აყოლებდა რომელიღაც უცხო კერძს, როზალიას თქმით, — ვარდის პაშტეტს და იყო თორნიკე დღიდან დღემდე ასე, სანამ ძმებს შორის უფროსმა ძმამ არ მოიკითხა და უთხრა:

— სოფელი იყრება, ძმაო! ვარდის ჭიამ ხეხილი აღარ

შეგვარჩინა და ვენახი, უცხოეთში მიდიან საშოვარზე, ჩვენი ძმებიც აყრას ფიქრობენ, შენ რას ფიქრობ?..

— აყრას ის არ სჯობს, ყველამ ჩემსავით მოაშენოს ვარდები? — კითხა თორნიკემ თავის ძმას. უფროსი ძმა ნაბოლარას მიაცქერდა, უცქირა დიდხანს, დაკვირვებით, მერე თქვა:

— შემოლანუნება რომ გიშველიდეს, არ დაგზარდებოდი და შემოვილანუნებდი კიდევ, მაგრამ ისეთი სენი შეგყურია, სიამაყეს რომ კლავს კაცში, ჩემი შემოლანუნება სიამაყეს ვერ დაგიბრუნებს, თვითონ უნდა დაიბრუნო, სხვა ვერ გიშველის! — თქვა ეს, გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ აივანზე გადმომდგარი როზალიას ხმა გაიგო და შემობრუნდა.

— თუ შეიძლება, ცხოვრებას ნუ გვასწავლით! — გამოსძახა როზალიამ მაზლს, თანაც ფეხები დააბაკუნა: — ნუ გვასწავლით, ნუ გვასწავლით, ძალიან გთხოვთ! როგორც იქაა მიღებული, ისე ვცხოვრობთ! თქვენ არ იცით, არ იცით...

თორნიკეს უფროს ძმას არაფერი უპასუხია რძლისთვის, გატრიალდა და წავიდა.

შეუჩნდა როზალია თავის ქმარს, თორნიკეს, გინდა თუ არა, ნიგვზის ასწლოვანი ხე უნდა გადაჭრა, გვინეიდან უნიკალური, ლურჯი ვარდი გამომიგზავნეს, იმ ხის ადგილზე დავრგავ, თანაც ფანჩატურს მოვანყობო; თორნიკე ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს ამაზეც დაითანხმა ცოლმა, მიადგა თორნიკე ასწლოვან ხეს, ჩართო ელექტროხერხი და გადაჭრა, შემდეგ მორებად დახერხა, მორებიც დაანანევრა შეძლებისდაგვარად, გაიტანა ეზოდან და დიდი კოცონი გააჩალა, რათა თავისი სირცხვილი დაევიწყებინა როგორმე და აღარასოდეს ენახა ხე, რომლის ჩრდილშიც მამამისმა, გურგენ მოჭირნახულემ დალია სული; თუმცა, ბოლო წამს, ერთი ნაფოტი მაინც ჩაიღო ჯიბეში, ასე მობრუნდა შინ.

მეორე დილას, თვალი რომ გაახილა და ისევ ვარდის სუნი ეცა, გულზიდვის შეგრძნება გაუჩნდა, ხოლო როცა როზალიამ შემოალო საწოლი ოთახის კარი და ვარდის ჩაისთან ერთად ვარდის კარაქი და ვარდის ჯემი შემოიტანა ხონჩით, თანაც გაფურჩქნული ვარდით გადასხვიოსნებული ღიმილი სტყორცნა ქმარს, თორნიკემ თქვა:

— როზალია, ნადი, როზალია, მეზიზღები, როზალია, ნადი!

როზალიამ ელვისუსწრაფესად მოსხიპა ღიმილი, თავი გადააქნია და ქმარს მიუგო:

— უი, უი, შე ტლუე, ხეპრეე, შე ადრე და მალე მოსასპობო, შე გადმონაშთო ბნელი წარსულიდან, არ გინდოდა ადამიანური ცხოვრება?! — არ გინდა, — ნუ გინდა, ვირო მადლიო, შენზეა ნათქვამი; აბა, „პაკა“, „გუდბაი“, წავედი, ისედაც ბევრი დრო დავკარგე შენთან, საქვეყნო საქმეს უნდა მოვეკიდო!

თქვა ეს, ჩაალაგა ბარგი, რამდენიმე განსაკუთრებით გამორჩეული ვარდიც გააყოლა ხელს და წავიდა ქალაქ თბილისში, სადაც ჯერ ვარდების მალაზია გახსნა, შემდეგ კი ანაიდას პარტიში ჩაენერა და უკანასკნელი, გადადგომისწინა სურვილიც შეუსრულა თავისი პარტიის ლიდერ ქალბატონს, — აივნებზე ჩაის ვარდი გაუშვა; მოგესხენებათ, თუნდაც აივნებზე გადამდგარი ერქვას, ქალი მაინც ქალად რჩება, გადამდგარ ქალსაც უხდება ვარდები.

როზალიას წასვლის შემდეგ როზალიას ხელით დარგული ვარდები საკუთარი ნებითა და სურვილით დაჭკნენ; გამოვიდა თორნიკე ეზოში, გადამჭკნარ ვარდებს შეავლო თვალი. შეეცადა საქმისთვის განეწყო თავი, — იქ ბელელი იდგა, იქით ბოსელი, იქ კი ვენახი მქონდაო, — იფიქრა, ისიც იფიქრა, — უნდა აღვადგინო ყველაფერი, მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ ფრიად და ფრიად ჭკუისასწავლი ამბავი გადახდენოდა თავს და იქნებ იმისთვისაც დაბადებულიყო, იმისთვისაც ეცხოვრა და იმისთვისაც შემცდარიყო ასე მწარედ, რომ მისი ამბავი თაობიდან თაობას გადასცემოდა ლეგენდად, ლეგენდას კი, თუნდაც სულ მცირე, მაგრამ მაინც სჭირდება სასწაული და მიხვდა იმასაც, რომ მზად იყო სასწაულის მოსახდენად და წავიდა.

ჩაიარა გაპარტახებული სოფელი, გავერანებული ვენახები და ბალები, გამოცარიელებულ-გამოყრუებული სახლები, ჯერ ერთ ძმას შეუძახა, მერე მეორეს, — მესამეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველანი უცხოეთში გახიზნულიყვენ საშოვარზე.

უფროსი ძმა შინ დაუხვდა, თორნიკე მიუახლოვდა მას, ყელში ცრემლი მოაწვა და თქვა:

— ძმაო, ჩემო უფროსო ძმაო, უნიფხვო დედაბრის დათესილ წინაკებზე მეტად როზალიას ვარდებმა გამამ წარეს ჩემს თაობაში. დაუძახე შენს ვაჟებს, როგორც მასსოვს, თორმეტი გყავდა!

უფროსმა ძმამ აუსრულა სურვილი თორნიკეს. თორმეტი ვაჟი გარსშემოეჯარა მამას და ბიძას, მაშინ თორნიკემ თქვა:

— მწარე გაკვეთილად დაისახეთ ჩემი ამბავი და თაობიდან თაობას გადაეცით; როგორც ჩანს, იმისთვის დაგზადებულვარ, ჯერ ბერსტალის თორმეტი უცხარესი წინაკა მეჭამა და წარსულის სიმწარე განმეცადა, შემდეგ კი როზალიას ვარდებს გავემწარებინე ჩემს დღეებ ში; მამაჩემი თავისი მამა-პაპის წესსა და რიგს მისდევდა, თქვენც მას მისდიეთ! ახლა დროა, ჩემი გასახმობი ხელით გადანაჭერი ხის ნაფოტი გავლექო და ნიგვზის ნერგად ვიქცე, რომლის ჩრდილშიც იცხოვრებთ დიდხანს, დიდხანს, სულსაც იქ დალევთ, შემდეგ კი თქვენი შვილები, თქვენი ნაგრამი იცხოვრებს დიდხანს, დიდხანს, მერე მათი ნაგრამი და... ეჰ, რამდენს ვლავობ! — თქვა თორნიკემ, უბიძან ნაფოტი ამოიღო, გალექა და ნიგვზის ნერგად იქცა და იქნებ ასეცაა, ვირის ტვინაჭამ თუ უცხო ვარდის სურნელით ტვინდაბანგულ კაცს ნერგად გადაქცევის სასწაული თუ დაუბრუნებს სიამაყეს, — სხვა ვერაფერი.

ის მეთერთმეტე იყო თორმეტი მსგავსიდან, ჯერი შენზეა, სამსონ, უფრო სწორად, იმ სამსონაზე, პერსო ნაჟზე, რომელიც ისე გგავს, როგორც ვაჟი ემსგავსება მამას, ერთიმეორეს ასლი არაა, თუმცა სისხლია სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

ახლა მეძებ, ახლა ნამდვილად მეძებ, რადგან შენც გაინტერესებს ის სამსონა.

დგები. ოთახის ერთი კუთხიდან ლოჯიის კუთხემდე მიდიხარ; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, — და შემდეგ ლოჯიის კუთხიდან ოთახის კუთხემდე და ისევ ითვლი, და ასე რამდენჯერმე, სანამ უეცარი ხმა და ნათება არ წყვეტს შენს ბორიალს, უახლოვდები ფანჯარას, ფოიერვერკი!

ფუნიკულორის განათებული ანძა; სადღაც, ანძის სი-

ახლოვეს ღამეში აჭრილი ნათება, რომელიც ალის ვინრო ზოლს ტოვებს კვალად, შემდეგ სკდება, — ჩშშ, — ჩშშ, — იშლება ნითელ, ცისფერ, მწვანე და ყვითელ ვარსკვლავებად, ხან ცრემლის ფორმას იღებს, ხანაც წრისას, გამოეკიდება ღამის ცაში, ნელ-ნელა კარგავს თავის მყვირალა ფერს, სანამ ახალი ნათება არ იჭრება ისევ და ახლა ის იშლება ვარსკვლავთა გუნდად და კვლავაც ისმის — ჩშშ, ჩშშ, — და კვლავაც ნათდება ღამე თუ ცრემლის ფორმად შეკრული ნითელი, ცისფერი, მწვანე და ყვითელი ვარსკვლავებით, თუ წრედ გაშლილი მჭახე ფერებით...

ეს იმ ზეიმის გაგრძელებაა, რომელზეც წარმოდგენა არ გაქვს, რატომღაც, საერთოდ, ზეიმი. ეს იმ ზეიმის გაგრძელებაა, რომელსაც იქ აერიდე, თეატრში, მაგრამ ზეიმმა მაინც გაგახსენა თავი, მთელი ქალაქის დასანახად გამოეკიდა ზაფხულის ღამეში, ფოიერვერკად გადანათდა და გაგრძნობინა, რომ შენ თუ არა ხარ ამ ზეიმში, შენს თავსვე უნდა მოკითხო, თორემ ის, ვიღაც, ვისაც ეზიემება და შენც გეპატიჟება თავის ზეიმში, კარგის მეტს არაფერს აკეთებს, ზეიმობს და რომელიღაც გამარჯვებას გთავაზობს, და თუ შენ არ გჯერა ამ გამარჯვების, ესეც შენს თავს უნდა მოკითხო, რადგან ისეთი იდიოტი გამოდექი, რომ შემოთავაზებულ გამარჯვებაზე უარს ამბობ, გამოეკეტის ხარ შენს ნაჭუჭში და შენსავე დარდში იხარშები, მაგრამ ჰა, ისევ იჭრება მკვეთრი ნათება, ისევ ისმის — ჩშშ, ჩშშ, — და დოღრიალა ფოიერვერკი შემოთავაზებულ გამარჯვებაზე კი არა, ნიკაზე გაფიქრებს, შენს ნიკაზე, შენი გულის ნაწილ ნიკაზე გაფიქრებს, ვის სახესაც მიცვალებულის მუქი ფერი დასდებოდა, მაგრამ ვისი ხელებიც სიცოცხლის სივარდისფერს არ კარგავდნენ და მათგან ნაცარა ვაშლის ჩუმი, შორეული სურნელი მოჟონავდა; დოღრიალა ფოიერვერკი შემოთავაზებულ გამარჯვებაზე კი არა, ძმათამკვლელ ომში მოკლულ არველოდიზე გაფიქრებს, სამსონ, — თავისი მარადიული ტკივილის წრეზე მავალ შვიდ შაოსან ქალზე გაფიქრებს, გელოდის ცრემლებით რომ რწყულდებიან, გაფიქრებს იღბალზე, იგივე ილოზე, არეულ დროში გაჯეჯილებულ ყაჩაღს რომ უთხრა, ხალხსაც ეცი პატივი და პურსაც, რომელსაც აქამდე ურიგოდ იღებდიო, და შენ იცი, შენ გჯერა, რომ ილოს სიკვდილის დღეს ქალაქში ჩამორიგებულ ყველა პურში ერია იღბალს ერთი წვეთი სისხლი, და — ჩშშ, ჩშშ, ჰა, ისმის — ჩშშ, ჩშშ, — და მკვეთრი ნათება კვლავაც გთავაზობს გამარჯვებას, რომელიც არ იცი, რატომღაც გამარჯვება, მაგრამ ეს შენს თავს უნდა მოკითხო, თუ არ იცი რატომღაც შემოთავაზებული გამარჯვება — გამარჯვება და ისიც შენს თავს უნდა მოკითხო, რატომ გეფიქრება ამ თავანყვეტილი, მართლაც რომ დოღრიალა ფოიერვერკის ნათებაში თელაველ გიორგიზე და ბათუმელ ვაჟაზე, ვისი დაჭრილი თავებიც მსოფლიოს რუკაში გამოკრეს, სხვა დაჭრილ თავებთან დააგორეს გავრის საფეხბურთო მოედანზე და სისხლითა და ცოდვით ცოფდარეულებმა ფეხბურთი ითამაშეს დაჭრილი თავებით, ხოლო ქარმა მსოფლიოს რუკა აიტაცა და ფრანად გაშლილი მსოფლიოს რუკა, ფრანად გაშლილ მსოფლიოს სირცხვილად აქცია, და შენ იცი, შენ გჯერა, რომ ღრუბელი — დარინდა ერთადერთ შენობას დაადგა ქუჩაზე და მთელ ქუჩაზე მხოლოდ ერთადერთ შენობას დაენვიმა და ის შენობა ძველი ბიბლიოთეკა აღმოჩნდა, რომელშიც ვიღაცამ ღამის კლუბის გახსნა მოინდომა და აი, ზურამ, მესაათე კაცმა,

ვინც საათების ნიკნიკისგან ისვენებდა ბიბლიოთეკაში და ვინც მარადიულობის ნესტგამჯდარ, მშვიდ, ოდნავ მტვრიან სუნს უყურებოდა ბიბლიოთეკის ერთ-ერთ სკამზე, სიტყვებს ვერ გაუჭრა კალაპოტი, ვერ გაახმაურა თავისი პროტესტი, მაგრამ იმ სკამზევე აღესრულა სპეცნაზელის ტყვიით, ხოლო ცოლმა, ზურას ცოლმა კი ყველას გასაგონად, ტელევიზიით თქვა: — მშვიდი, განონანსწორებული კაცი იყო ჩემი მეუღლე, მაგრამ ერთხელაც ძალიან უცნაურად მოიქცა, მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, მაშინვე... — და ამ განცხადებით კიდევ ერთხელ მოკლა მეუღლე, რადგან შემოიღოთ გამოაცხადა იგი საქვეყნოდ, და ჰო, სამსონ, ჰო, იქნებ მართლაც შევიშალეთ ზურასთან ერთად, სამსონ, იქნებ შეგვმალეს ნიგებმა, რომლებშიც არც ტკივილია, არც სიყვარული, არც ვნება, არც ფიქრი, არამედ ლიტერატურულ „ტუსოვეკებზე“ თავის მოსანონებელი თითლიბაზობაა მხოლოდ; თუ არადა, ბილნსიტყვაობა, რომელსაც თურმე ნუ იტყვი და, მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორს სითამამე ეყო და ერთ ბილნ სიტყვას ბილნსიტყვაობის უწყვეტი ნაკადი მოაყოლა, თავისუფლებად, ავტორის გამარჯვებად გვასალებს თეფო; თეფო გვასალებს გამარჯვებად იმასაც, რომ ოთხი ახალგაზრდა ბიჭი და გოგო ერთმანეთს აფურთხებს და ამბობს თეფო, თეფო ამტკიცებს, — ოჰ, ოჰ, რა კარგია, შთამბეჭდავი, ავანგარდული, როცა ერთი აფურთხებს მეორეს, მეორე — მესამეს, მესამე — მეოთხეს, მეოთხე კი პირველს უბრუნებს ფურთხს და ტრიალებს მათი ფურთხი და სირცხვილი წრეში, რისიც შერცხვებათ მერე და მერე, წლების შემდეგ, მაგრამ თეფოს ეს არ ანალვებს, თეფო აქეზებს, ეუბნება: — მიდით, მიდით, ახალგაზრდებო, მოწინავე სამყაროს უახლოვედ ერთ თქვენი ფურთხით და სხვისი ფურთხით, რომელიც ახლა სახეზე გაქვთ მიღურნული, მიდით, მიდით, ახალგაზრდებო, ეს ისე უცხოა, ისე შთამბეჭდავი, და ჰო, ჰო, დაახლოებით ამ ფოიერვერკით შთამბეჭდავი, რომელიც შენთვის გაუგებარ ზეიმსა და შენთვის გაუგებარ გამარჯვებას გჩრის თვალებში და ჰა, შეგვმალეს ალბათ, შემოთავაზებულმა გამარჯვებებმა შემოთავაზებულ ზეიმებთან ერთად, სამთავრობო კონცერტების შემოთავაზებული მომღერლებითურთ, სამსონ, რადგან იქ გვაბრუნებენ ასეთი კონცერტები, იქ, იმ დროში, როცა საათებს „ვრემიაზე“ ასწორებდნენ, ჩვენ კი გვეგონა დავიძარიო, გამოვცდით სადგურს, სადაც საათებს „ვრემიაზე“ ასწორებდნენ, ჩვენ კი გვეგონა მივდიოდით, იქით, სადღაც, ადამიანისკენ მივდიოდით, მაგ რამ არა, მაგრამ არა, წრეზე ვტრიალებთ, სათამაშო მატარებლის ერთ ლიანდაგზე ვტრიალებთ წრეში, ეს ჩვენი წრეა, ჩვენი ხვედრი, პოსტსაბჭოური უდაბნოს ერთ ლიანდაგზე შემდგარი მატარებელიც ჩვენი ხვედრია, ჩვენ დავიძარიო სადგურიდან, ვტრიალებთ წრეზე, — დგნ, დგნ, დგნ, — ასე ამბობენ მატარებლის ბორბლები და მოძრაობენ და მიდიან, თანაც მიჰყავთ მატარებელი, რომელიც ჩვენი ხვედრი არის ამ ლიანდაგთან ერთად და ფოიერვერკთან ერთადაც ზაფხულის ღამეში, — და-ჩშშ, და-ჩშშ, იშლება ცრემლად, იშლება წრედ ვარსკვლავთა მჭახე გუნდი და მოდი, — გეუბნებიან, — მოდი ჩვენს ზეიმში, რომელიც არ იცი, რატომღაც, ზეიმი, — მოდი, — გეუბნებიან, — მოდი, მოდი, გამარჯვებას გთავაზობ, მოდი, — მაგრამ შენ არც ის იცი, რატომღაც ხარ გამარჯვებული, მეტიც, განა მართო არ იცი, რატომ ხარ გამარჯვებული, არამედ



შეურაცხყოფილი ხარ შემოთავაზებული გამარჯვებით, ამ დოღორიალა ფოიერვერკით, რომელიც უსაგნო, სულგამოცილილი სიტყვებით ხმაურობენ, სიტყვები კი ასე მარტივად არ უნდა იფანტებოდნენ, სიტყვები სულში უნდა გამოატარო, სიტყვებს უნდა უდარაჯო, სიტყვები მდუმარებით უნდა მოიპოვო, როგორც შოთამ მოიპოვა ის ორი სიტყვა, რის შემდეგაც ჩაცხრილეს, მაგრამ შოთასგან დარჩა ცვილის ლაქა მიწაზე და იმ ლაქაზე ფეხშემდგარმა ჟინოთიამ იქით, სადღაც, შორს, ღრუბელთან ცხადად იხილა არველოდი და თქვა მაშინ ჟინოთიამ, — ცხადად ვიხილე არველოდი, რა ლამაზია! — და ჰო, ვინ იცის, აბა, მითხარი, ვინ იცის, იქნებ მართლაც ვახოს ნასროლი ტყვიით განიგმირა არველოდი ძმათამკვლელ ომში, რადგან ძმათამკვლელ ომში ნასროლი ტყვია, ბედისწერის სასტიკი კანონით სწორედ იმას კლავს, ვინც ზურგს გიმარებდა, მხარში გედგა, ვინც ძმა იყო და აღარ არის, არც თავს ვავინყებს, როგორც ვახომ ვერ დაივინყა არველოდი და ჰო, ვინ იცის, აბა, მითხარი, ვინ იცის, რატომ მივიღტვით ასე დაუზარელად, რათა დაგებულ ხაფანგში ვტუცოთ ფეხი, რატომ, რატომ, რატომ, რატომ გვინდა ასე ძალიან ვილაცას ვგავდეთ, ჩვენს თავს — არა, იმას, ვილაცას, მაგ რამ მესმის, ესეც მესმის, — მონობის სახლიდან თავდაღწეულთა ბორიალი პოსტსაბჭოურ უდაბნოში, — ჩვენ გამოვედით იმ ბაქანზე, სადაც საათებს „ვრემიაზე“ ასწორებდნენ, შემდეგ ჩამოდგა მატარებელი, ავედით, მოვთავსდით ჩვენ-ჩვენ კუპებში, მატარებელი დაიძრა და ჰე, მივდივართ, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ასე ამბობენ მატარებლის ბორბლები, მატარებელი მიდის წრეზე, ჩვენ ვინრიტებით უდაბნოში, თანდათანობით ვინრიტებით და იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ ერთ წრეზე მსვლელობის რიტმმა არ შეგვშალოს, ვიგონებთ რაღაცას, რაღაც ისეთს, რაც ჩანრეტვის წინ თავს მოგვატყუებინებს და გვათქმევინებს: განვთავისუფლდით მონობის სახლიდან, შევიცვალეთ ზნე და იერი, რომ ახლა ვგავართ თავისუფალ ადამიანებს, ანდა არა, კი არ ვგავართ, თავისუფალნი ვართ, ზეთავისუფალნი, ზეზეზეთავისუფალნი, იმდენად ზე და იმდენად თავისუფალნი, რომ იმათაც კი ვაჭარბებთ, ვისაც არასდროს უცხოვრია მონობის სახლში, რომ გვიხარია გზადავზა რაღაც, ვანყობთ ზეიმებს, რომლებიც არ ვიცით, რატომნა ზეიმები და ვიგონებთ გამარჯვებებს, მაგრამ ზეიმს, რომელიც არ იცი რატომნა ზეიმი და გამარჯვებას, რომელიც არ იცი, რატომნა გამარჯვება, ფოიერვერკთან ერთად მქუხარე და ხანგრძლივი ოვაციები სჭირდება, რათა მოტყუდე და დაიჯერო და აი, ისიც, მქუხარე და ხანგრძლივი ოვაციები, ტაში-კუკულიკოების მთელი არმია, ტაში-კუკულიკოების ტაში ერთ წრეზე მავალ მატარებელში, ტაში, ტაში, ტაში-კუკულიკოების ტაში, მათი მამა ტაში-კუკულია, მათი დედა — საკანალიზაციო მილი, სადაც ტაში-კუკულიმ თავადვე ჩაირეცხა თავი, მაგრამ სანამ თავს ჩაირეცხავდა, იქამდე ხომ თავდაუზოგავად იღვანა და აი, კიდევ ერთი დასტური, რომ ბუნებაში არაფერი ქრება უკვალოდ; აი, შედეგიც — ტაში-კუკულიკო კაცი, ტაში-კუკულიკო ქალი, არსებები პროტესტის გარეშე, ტაშის დაკვრის ჟინით ალტკინებული არსებები, — დამაკრევიანეთ ვინმესთვის ტაში, დამაკრევიანეთ ვინმესთვის ტაში, — თხოულობენ მათი თვალები და შენ გახსოვს ეს თვალები, ეს ამაზრზენი გამომეტყველება, გახსოვს იქიდან, იმ დრო-

იდან, როცა საათებს „ვრემიაზე“ ასწორებდნენ და შენ იცი, რომ მათთან ერთად მგზავრობ წრეზე და მწველად, მწველად გეკუმშება გული, რადგან ტაში-კუკულიკოების მატარებელი მხოლოდ წრეზე სიარულისთვისაა განწირული, ტაში კუკულიკოების მატარებელი ვერასდროს გაიგნებს გზას ადამიანისკენ, ადამიანი შეიძლება პეპლად გადაიქცეს, როგორც სიყვარულით გულმოკლული პეპელა გადაიქცა შავ, ფრთებზე ყვითლად დაკოპილ პეპლად და რადგან მაშინ არ იყო პეპლების დრო და რადგან თოვდა, თოვლს დააკვდა და თოვლის სითვითე დაკარგა შემდეგ, — ეს შეიძლება მოხდეს და მოხდა კიდევ, მაგრამ ვერასდროს, ვერასდროს, ვერასდროს გადაიქცევა ტაში-კუკულიკო ადამიანად, იგი იქნება ვილაც, რაღაც, თუნდ კონდუქტორი, თუნდ ვაჭარი, მოსამართლე, პროკურორი, ესტრადის მომღერალი, ანდა მოხელე, მაგრამ ვერასდროს, ვერასდროს, ვერასდროს გახდება ადამიანი, — რადგან მისი მამა ტაში-კუკულია, დედა — საკანალიზაციო მილი; ტაში-კუკულიკო პოსტსაბჭოური ეპოქის პროდუქტია, ტაში-კუკულიკო ჰიბრიდია, რომელიც საბჭოური და პოსტსაბჭოური ეპოქების ურთიერთტოლვის შედეგად შეიქმნა და ჰე, ტაში-კუკულიკოები, ჰე, ეს ზეიმი, რომელიც არ ვიცო, რატომნა ზეიმი, თქვენი ზეიმი, და ჰე, ტაში-კუკულიკოები, ჰე, ეს ფოიერვერკი, რომელიც ზაფხულის ღამეს ანათებს, თქვენთვის მოიგონეს და ტაში ტაში-კუკულიკოები, ტაში, ტაში, ცხარე ტაში ტაში-კუკულიკოები, რათა ვენდოთ და დავუჯეროთ გაუგებარ ზეიმებსა და შემოთავაზებულ გამარჯვებებს, რომელსაც ასე უხვად გვთავაზობენ ერთ წრეზე მავალი მატარებლის სასონარკვეთაში, და აი, გესმის, გესმის, მართლაც გესმის ტაში-კუკულიკოების ცხარე ტაში და იცი, იცი, ზუსტად იცი, რომ სანამ ტაში-კუკულიკოების ცხარე ტაში იქნება მოთხოვნა, ეს მატარებელი ვერასდროს გაიგნებს გზას ადამიანისკენ, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ამბობენ მატარებლის ბორბლები დაულალავად, დგახარ ვაგონში, ფანჯარასთან, ოდნავ ირწვევი, ხედავ მკვიდრად მკერულ ღრუბელს, რომელიც მატარებელს მოსდევს, ფიქრობ შენთვის: „ეს დარინდაა, ჩვენი მონობის სახლიდან მოგვსდევს, სად განვიმდება ღრუბელი — დარინდა, რას მიგვანიშნებს მონობის სახლიდან გამოყოლილი ღრუბელი“, — ფიქრობ, თანაც უცქერ ნაცნობ ხედებს და ისევ ფიქრობ — „აქ ხომ ვიყავით, აქ ვიყავით, ჩვენ აქ ვიყავით“, მერე კი წრეა, წრის მოსახვედრი მატარებელი კუდს იქნევს და სხვა ვაგონის ფანჯარასთან მდგარ ქეთის ხედავ, ხელსაც უქნევ — ჰე, ქეთი, აქ ვარ, მხედავ! — გხედავს ქეთი, ისიც ხელს გიქნევს, მერე სწორდება მატარებელი და ქეთის კარგავ, ქეთი დაკარგე, მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარი გქვიათ, დაკარგე ქეთი, ჰო, დაკარგე ან დაგკარგა, მის წესრიგში შენთვის ადგილი არ აღმოჩნდა, ან პირიქით, — შენ ვერ იგუე ქეთის წესრიგი, — ეგ სულერთია, ახლა მგზავრობთ, შენ შენს ვაგონში, ის სხვა ვაგონში, — „არა“, — ფიქრობ, „არა“, ვერ ვნახავ ქეთის, დღეს ვერ ვნახავ, ხვალ მოვიწახულებ, ფულს მივანვდი, დღეს კი ვერა“, — მერე ტრიალდები, შედინარ კუპეში, სადაც დედა ზის, ხელს ჩასცქერის და ტელევიზორს კი არ უცქერს, არამედ უსმენს; რას გვთავაზობს მატარებლის ტელევიზორი? პოლიტიკას, პოლიტიკური ექსპერტები, მათ შორის თეფო, — დემოკრატიის ფასადისთვის შექმნილი თეფო, მახინჯი ჯინი თეთრი ქუდით, რომელიც ტელე-

ვიზორში ჩასვებს და თავისუფლებაზე აქადაგებენ უკვე რახანია, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ბორბლები, თეფო ტელევიზორში, ისიც ჰიბრიდი, — სახელისუფლებო გრანტიებისა და ფასადური დემოკრატიის ურთიერთლტოლოვის შედეგად მოვლენილი პოსტსაბჭოური უდაბნოს წრეზე და იქვე ფიქრობ, — „ეს ჩემი მატარებელია, — ჩემი ხვედრი, ეს ჩემი წრეა, რომელზეც ჩემი მატარებელი დაუღალავად დადის და დადის, ეს წრეც ჩემი ხვედრია, ის ღრუბელიც, ამ მატარებელს რომ მოსდევს, — ისიც ხვედრია“, — და გამოდისხარ კუპედან, ოდნავ ირწევი, მიდიხარ სად? — ბიჭებთან, ჰო, დეკორაციულის ბიჭებთან, მაგრამ ღია კუპეში ნანას ხედავ, ახლა ლურჯად შეუღებავს თმა, ნანა ბერდება, კუპედანაც ისე გიცქერს, თითქოს შეშინებული მელია იცქირება სოროდანო, ულიმი ნანას, ეუბნები, — ჰო, გიხდება, ძლიერ გიხდება ლურჯი თმა, ნანა! — მართლა მიხდება?! — გაკვირდება, — ჰო, ნანა, ჰო, გიხდება, — ისევე ეუბნები, რადგან იცი, ნანას სჭირდება გამხნელება, და საერთოდ, ადამიანებს სჭირდებათ გამხნელება, წრეზე მავალ ადამიანებს მითუმეტეს, ჩასანრეტად განწირულთა სვლა ერთ წრეზე, ჩასანრეტად განწირულთა სვლა ერთ წრეზე, — დგ, დგნ, დგნ, დგნ, — ბორბლები, — რომელთაც გამოიარეს ომები და რევოლუციები, გამოიარეს შიმშილობა და კაცის კვლა, კვლავაც მიდიან, მატარებელი მიჰყავთ წრეზე ღამეებში, გათენებებში, შუადღეებში, საღამოებში, ჩვენ ცოცხლები ვართ, ჯერ კიდევ ვსუნთქავთ, მივდივართ წრეზე, ზამთარ-ზაფხულ მივდივართ წრეზე, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ასე ამბობენ ბორბლები, როცა მიდიან წრეზე, — ქანდაკდეცეული, ცალხელა ზაზა კი დგას გზაზე, ელოდება, კერიას მონყვეტილი ლტოლილები როდის ჩამოვივლიან და ფეხისას სურნელში გაიყოლებენ, რათა ზაზამ თავისი ხელი დაიბრუნოს, ის იქ დგას, გზაზე, ჩვენ მივდივართ, მივდივართ წრეზე, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ასე ამბობენ ბორბლები, როცა მიდიან წრეზე და აი, თორნიკესავით ერთიმეორეს მიყოლებით შევჭამეთ ბერსტალის თორმეტი წინაკა, სული და ხორცი გაგვიმწარდა, დიდმა სიმწარემ დაგვანახა ჩვენი წარსული, მერე როზალიას ვარდთა სურნელმა დაგვანახა სრულად და იმ ბანგიდან ნერგადქცევის სასწაული თუ დაგვიბრუნებს ღირსებას, რომელიც მამაპაპის დარგული, ასწლოვანი ნიგვზის ჩრდილში ეწვევათ ხოლმე კაცებს; ჰო, იმ კაცებს, თავის ცხოვრებით რომ ცხოვრობენ და არა სხვისი, ვინც ზუსტად იცის, რას ზეიმობს, როდის იმარჯვებს ან მარცხდება. რა შორი გზაა თურმე გასავლელი, რათა საკუთარ თავამდე მიაღწიო, ჩვენ მივდივართ, მივდივართ წრეზე, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ასე ამბობენ ბორბლები, როცა მიდიან წრეზე, ჩვენ ცოცხლები ვართ, ჯერ კიდევ ვსუნთქავთ, მივდივართ წრეზე, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ფოიერვერკი მოგვანახარეს, რათა ვირწმუნოთ გამარჯვების, ანდა უფრო მეტად შეირყეს სასონარკვევით შერყეული ჩვენი ტვინები და არ ვიკითხოთ, აღარასოდეს არ ვიკითხოთ, რატომ დავდივართ წრეზე, რატომ, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ჩვენ მატარებლის მგზავრები ვართ, დავდივართ წრეზე, ჯერ კიდევ ვსუნთქავთ, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ასე ამბობენ მატარებლის ბორბლები, როცა მატარებელი დაჰყავთ წრეზე.

ფოიერვერკი დასრულდა. ფანჯარას ეცლები, მიდიხარ კარისკენ, კარს ალებ, დედა თავის ხელებს ჩასცქეროდა და

რადიოს უსმენდა, ვერ შეგამჩნია, მიდიხარ იქით, ლიფტისკენ.

**თორმეტი მსგავსიდან  
მეთორმეტას ამაგავი**

ლიფტი, ლიფტში, ლიფტიდან, — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, მარჯვენა ფეხი კენტ რიცხვზე, მარცხენა — ლუნზე. ლიფტიდან სადარბაზომდე ოცდაერთი ნაბიჯია.

ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი, — ზუსტად! — დგნ, დგნ, დგნ, დგნ.

სადარბაზოდან მალაზიამდე ოთხმოცდაოთხი ნაბიჯია, — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, — მარჯვენა ფეხი კენტ რიცხვზე, მარცხენა — ლუნზე.

ოთხმოცდაორი, ოთხმოცდასამი, ოთხმოცდაოთხი, — ზუსტად! — დგნ, დგნ, დგნ, დგნ. მალაზიის კიბეებთან ეზოს ძაღლი, — უთვალეო.

— უთვალეო, დამელოდე! — ეუბნები უთვალეოს და კიბეზე ადიხარ. უთვალეო დაგელოდება, უთვალეო ჭკვიანია, ხმაზეც გატყობს, რომ მოიკითხავ ახლა, მაგრამ უთვალეო ვერ მხედავს, — ჰე, უთვალეო, ვერ მხედავ, უთვალეო?! აქ ვარ, სამსონას ვადგავარ თავზე! — არა, ვერ მხედავს უთვალეო. დგას, გელის, კუდს ატოკებს, ზუსტად იცის, რომ მოიკითხავ.

ოთარი სკამზე. თვალს უკრავ ოთარს, ის ხელს გი ნევს.

— ნატო, ორი „ჩეკუშკა“ მომეცი! — ეუბნები ნატოს, — და ორი სოსისი უთვალეოსთვის!

ნატომ ზუსტად იცის, რომელი არყის „ჩეკუშკას“ სვამ. პოლიეთილენის პარკში გინყობს, განვდის. იღებ სოსისებს, აცლი ბადეს. გარეთ გამოდიხარ.

უთვალეო იქაა, კიბესთან. უთვალეოს კუდი გამალეობით ამოდრავდა. ერთ ამოსუნთქვაზე სანსლავს ორივე სოსისს; მოვიკითხეთ უთვალეო, მაგრამ არ მოვიკითხეთ ოჯახი.

მზერა ფანჯარას, არა, ქეთი არ ჩანს ფანჯარასთან, მაგრამ ბინიდან შუქი იღვრება. „ხვალ“, — ფიქრობ, — „ხვალ ავალ, რამეს ავიტან, დღეს არა, ხვალ“, — ფიქრობ, მე კი გეკითხები, სამსონ, — რას ნიშნავს, სამსონ, ხვალ?

არა, არ მიგდებ ყურს, დალევა გინდა, მიდიხარ: — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, — მარჯვენა ფეხი კენტ რიცხვზე, მარცხენა — ლუნზე, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მალაზიიდანაც ზუსტად ოთხმოცდაოთხი ნაბიჯია სადარბაზომდე.

ოთხმოცდაორი, ოთხმოცდასამი, ოთხმოცდაოთხი, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ. კიბეები. ოცდაერთი ნაბიჯი ლიფ ტამდე. — დგნ, დგნ, დგნ, დგნ.

ლიფტი, ლიფტში, ლიფტიდან.

დედა ზის, რადიოს უსმენს, ხელებს ჩასცქერის. კარს ჩუმად ხურავ. ბუნაგში გადიხარ. ერთ ბოთლს ტუმბოში მალავ დილისთვის, მეორე ბოთლს ხსნი, სავარძელში ჯდება, უცქერ ღამეს ღია სარკმელში, მერე ბოთლიდან იპირქვავებ არაყს ხახაში და აჰჰ, სამსონ, აჰ, რატომ ამდენი ერთდროულად, სამსონ, რატომ ამდენი ერთ...

მდაა...

სივარეტი თითებსშუა, სანთებელა, კვამლი.

მდაა...

ჯერი შენზეა, სამსონ, უფრო სწორად, იმ სამსონაზე, მესამეზე, პერსონაჟზე.

სამსონა თმას ივარცხნიდა სარკესთან, საათს გახედა,

თერთმეტი დაწყებულიყო, ჯინის ქურთუკი მოისხა და შინიდან გააბიჯა.

სველი მიწის სუნმა ჩაიყვანა ორჯონიკიძის ძეგლამდე, იგი მეთორმეტე აღმოჩნდა თორმეტი მსგავსიდან, თითქოს მის მოსვლასლა ელოდნენო, ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ მახლობლად მდებარე საყოფაცხოვრებო მაღაზიაში შეაბიჯეს, იყიდეს საღებავები, შეახალეს ძეგლს და თავთავის გზას გაუყვეს.

სამსონა ჭერმის ხეებითა და მაღალი ბუჩქებით მიმა ლული სკამისკენ გაეშურა, ჩამოჯდა სკამზე და მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა არ ჰქონდა დათქმული ქეთისთან, მოეჩვენა, მეტიც, თითქოს დაიჯერა კიდევ თავი, რომ ქეთი აუცილებლად გამოჩნდებოდა აქ და ახლა.

ქეთი მართლაც მოვიდა. თითქოს იგივე ქეთი იყო, მაგრამ გამოჩნდა თუ არა, სამსონა მიხვდა, რომ რაღაც შეიცვალა ქეთიში.

— როგორ ხარ? — კითხა სამსონამ ქეთის.

— კარგად, — უპასუხა ქეთიმ, შემდეგ გაყურდა და ისევ თქვა: — ფეხმძიმედ ვარ, აი, როგორ ვარ...

სამსონას მოეჩვენა, რომ ჭერმის ხეებიც, მაღალი ბუჩქებიცა და ეს სკამიც შეიცვალა და თქვა სამსონამ:

— ჰო, ნაბიჯია გადასადგმელი, იმ ნაბიჯს ერთად გადავდგამთ, ნავიდეო დედასთან, ამიერიდან ერთად ვიცხოვრებთ.

და ცხოვრობდნენ იმ დღიდან ერთად; ქეთის მუცელი ეზრდებოდა, სამსონა ყურს მიაბჯენდა ხოლმე ქეთის მუცელს, თვალებს მილულავდა, ქეთი კი თმებში შეუცურებდა ხელს სამსონას და იყენებდა მოლოდინში გაყურსულნი, და როცა ბავშვი შეტოკდებოდა, ამით ბედნიერი და ალტკინებული და სამსონა ამ დროს ამბობდა: — მომესალმა, ახლა მომესალმა, ნახე, რა დღეშია! — ხოლო ქეთი იცინოდა და ეუბნებოდა სამსონას: — რა სულელი ხარ, რა სულელი ხარ, — და იყენებდა ასე, მოლოდინთან ერთად ქეთის მუცელიც იზრდებოდა და ეჩვენებოდათ, რომ ამ ბედნიერ მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ მუდმივად, რადგან კარგი იყო ეს მოლოდინი და თითქოს ხელახლა აღმოაჩინეს თავისი თავიც და ერთმანეთიც ამ მოლოდინში და ეს თამაშსაც ჰგავდა ცოტათი, ისეთ თამაშს, რომელიც არ გბეზრდება, რომელშიც არ იღლები და გიყვარს ახლებურად.

სამშობიაროში სწორედ მაშინ გამოირთო შუქი, როცა ქეთის ამშობიარებდნენ.

ბავშვის გადარჩენაც ვერ მოხერხდა.

ერთ დღეს სამსონამ თვალი შეავლო ბინის კედლებს, მერე დედას გახედა, გაახსენდა, რომ სანამ ქეთის შეხვედებოდა და შინ წამოიყვანდა, სადღაც იყო, ჰო, სადღაც იყო და იქ თავისი მსგავსი თერთმეტი ბიჭი ნახა, თავისთვის კი იფიქრა: — იქნებ თერთმეტი სამსონა დგას ჩემს გვერდით, ან იქნებ მე დავმსგავსე ჩემს მეგობრებს და მე გავხდი ვახო, პეპელა თუ ნიკაო, გაახსენდა ისიც, რომ ერთ დროს მამა ცხოვრობდა ამ ბინაში და კითხა სამსონამ დედას:

— დედა, სად არის მამა?

სამსონას დედამ გამოხედა თავის ვაჟს, ღრმად ამოილუნთქა და სამზარეულოში გავიდა.

ქეთის გარდაცვალების შემდეგ სამსონას დროდადრო ემართებოდა ასე, თვალი გაუშტერდებოდა ხოლმე, უცნაურ კითხვას დასვამდა, მაგრამ თუ პასუხს არ გასცემდი, მფოთში არ ვარდებოდა, თავის მარტობაში იძირებოდა

მეტად, ეს იყო და ეს. შინიდან იშვიათად თუ გავიდოდა, ფიქრობდა, გამუდმებით ფიქრობდა და რაღაცის გახსენებას ლამობდა; შემდეგ ფურცელ-კალამი მოითხოვა და შეეცადა ფურცელზე აღენუსხა თავისი მოგონება, რათა ერთხელ გახსენებული ხელახლა არ დაგინწყებოდა, პირველი წინადადება კი, რომელიც ფურცელზე გადაიტანა იყო: „მოლოდინი რომ არ ყოფილიყო ასეთი დიდი, ჩემი და ქეთის მოლოდინი რომ არ ყოფილიყო ასეთი დიდი, ჩვენი მოლოდინი ასეთი დიდი რომ არ ყოფილიყო“. — დასვა წერტილი და იმის გახსენებას შეეცადა, თუ რისი მოლოდინი ჰქონდა. ერთ დღესაც შინიდან გავიდა.

მინა-ტარის ჩასაბარებელი რკინის ჯიხურისგან მადოს ასვენებდნენ. უბნის ყველა ლოთს მოეყარა თავი, იყენებდა მადოს ნათესავები და იყო ალიხანაც, რომელსაც, რატომღაც, მშენებლის რკინის ჩაფხუტი ჩამოემხო თავზე. უსაშველოდ მსუქანი ცხედარი უსაშველოდ განიერ კუბოში ესვენა, კუბოს ბუზების ურიცხვი ჯარი დასტრიალებდა. შეუდგნენ კუბოს მადოს ნათესავები, უბნის ლოთები და ალიხანა, რკინის ყვითელი ჩაფხუტით, როგორც იქნა ასნიეს, გამოასვენეს ჯიხურიდან, ქუჩაზე ჩაატარეს, ბუზების ურიცხვი ჯარი კი კუბოს მოქცეოდა თავზე და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბუზებიც მიაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე მადოს.

ოციოდე ნაბიჯზე რომ ჩაიარეს, მადოს რკინის ჯიხური თავისთავად ჩამოიქცა და ღვინის მუყავე სუნთან ერთად მადოს მუყავე ოფლისა და მტვრის ბული აიჭრა ჰაერში.

უბანი გაპარტახებული და უცხო ეჩვენა სამსონას და იფიქრა სამსონამ, „უნდა აღვწუსხო როგორი იყო და ისიც უნდა აღვწუსხო, როგორია ამჟამად, რათა არ დამავინყდეს“. შემდეგ სკოლის გაჩეხილ ბაღს მიაკითხა, გული მოენურა და ისევ იფიქრა, „ალარც ჩვენი სკამია, ალარც მაღალი ბუჩქები და ჭერმის ხეები; მახსოვს, ცხადად მახსოვს, სკამზე წამოწოლილი ტოტებს შორის გამოჭიატებულ ვარსკვლავიან ცას შევცქეროდი და თავისუფლად მესუნთქებოდა ქეთისთან ერთად, უნდა აღვწუსხო, რათა არ დამავინყდეს, უნდა აღვწუსხო“...

გამობრუნდა; გზად სსრკ-ის ისტორიის მასწავლებელი, დარინდა შეხვდა. დარინდა ჩამომდნარიყო, ფოსოები ჩაშვებოდა და ჰკითხა სამსონამ თავის მასწავლებელს:

— როგორ ხარ, დარინდა მასწავლებლო?

— ეჰ, — თქვა დარინდამ, — რაღა, როგორ ვარ, როცა არველოდი მომიკლეს, ჩემი არველოდი, ჩემი, ჩემი... — თქვა ეს და გზა განაგრძო, — და იფიქრა მაშინ სამსონამ, „არველოდი მოუკლავთ, უნდა აღვწუსხო ეს ამბავი“.

შინმიბრუნებულს შემფოთებული დედა დაუხვდა და უთხრა დედამ სამსონას:

— შვილო, პურზე ჩავედი, შენ კი შინიდან გასულხარ, აღარ მოიქცე ასე...

— იცი, დედა, — თქვა სამსონამ, — ჭერმის ხეები გაუჩეხავთ, ალარც სკამია, ალარც „სოკოები“, მადოს რკინის ჯიხური ჩამოიქცა, არველოდი კი მოუკლავთ...

— ჰო, — თქვა დედამ, — ომია; დაგავინყდა, რომ ომია, არველოდის ამბავიც ხომ იცოდი!..

— ომია? — იკითხა სამსონამ, — უნდა აღვწუსხო ომი, რათა არ დამავინყდეს, — და გაბრუნებას აპირებდა, რათა ნანახი და გაგონილი აღენუსხა, რომ დედამ უთხრა:

— ამ ბინის გადაცვლა მოგვიწევს, უსახსროდ დავრჩით, ვალეების აპარა.

— გადავცვალოთ, — უთხრა სამსონამ დედას, — ბევრი რამ უკვე გავიხსენე და ფურცელზეც გადავიტანე; ალბათ, აღარ დამავინწყდება, თანაც ის ჭერმის ხეები აუჩიხავთ, სკამიც მოუშლიათ.

თემქის ერთ-ერთი მიკრორაიონში გადაბარგდნენ, — გაურემონტებელ, ოროთახიან ბინაში; შემის ლუმელს თუ-ნუქის ფირფიტაში გააყოფინეს მილი, შემით თებოდნენ ზამთრის ცივ საღამოებში. ერთ დღეს შენ მიაკითხე მათ, სამსონ, და იმის, იმ მესამე სამსონას დედამ გითხრა:

— წერს, წერს, გამუდმებით იხსენებს და წერს, რათა არ დაავინწყდეს; არ ვიცი, ამ ბიჭს რა ელის, მე კი ისე ცუდად ვარ...

მაშინ მიიხედ-მოიხედე, ამბავი გაიკითხე და მახლობელ ავტოფარეხში შეიგულე დარაჯის ადგილი. ნამოგყვა, აუხსნეს რა და როგორ უნდა გაეკეთებინა; გაიგო, ან რა იყო გაუგებარი, სამ დღეში ერთხელ უნევედა ცვლა, რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, შინ აღნუსხავდა მომხდარს და გაგონილს, თუ დარაჯის ჯიხურში, — იქაც წერდა და იქაც; ჰოდა, სააარსებო წყაროც გაუჩნდა. მერე დედამ დაგირეკა და გითხრა: — მოდი, საქმე მაქვს!

მიხვედი, დედა ხელებს ჩასცქეროდა, ხელებს ჩაცქე-რილმა თქვა:

— ახლა მოხდება რაღაც, ახლა აუცილებლად მოხდება რაღაც...

თქვა ეს და მოკვდა.

დაკრძალეთ. სამსონამ დედამისის ოთახის კარი გამო-კეტა და თქვა:

— „შელის ნუკრის ნაამბობი“ რომ ნავიკითხე, იქიდან მოყოლებული მაშინებდა ეს დღე. დედა უნდა გავაცოცხლო, უნდა აღვწერო, როგორ ჩასცქეროდა თავის ხელებს; დედას ოთახის კარს კი გამოვკეტავ, რათა ვიფიქრო, რომ დედა იქა და ისვენებს.

დროდადრო აკითხავდი, საუბრობდით, შეამჩნიე, რომ თანდათანობით გამოიხედა თვალში, მარტოობით დალდას-მულს ჰგავდა, თავისი აკვიატებებიც ჰქონდა, მაგრამ ვინ არის აკვიატების გარეშე, ისიც ასე იყო, რაც მთავარია, შეშლილი აღარ ეთქმოდა. შემოდგომის იმ დღეს რომ მოი-ნახულე, აღმოაჩინე, რომ მწყერი გაჩენილიყო მის ბინაში, კითხე კიდევ: — ეს საიდან?

— არ ვიცი, — გიპასუხა, — ლოჯიაში ვნახე ცოცხალ-მკვდარი; ეტყობა, მეორე ნაყარისაა და მწყერების გუნდს ჩამორჩა. ვუპატრონე; მგონი, გამოკეთდა.

ეს რომ თქვა, მწყერს გახედა და მიხვდი, რომ თუკი მწყერს სჭირდებოდა ეს კაცი, მასაც არანაკლებ სჭირდე-ბოდა ვილაცაზე ეზრუნა, თუნდაც ამ პატარ ჩიტზე, რომე-ლიც მის ოთახში აცერცეტიბულიყო და წინ და უკან მიდა-მორბოდა.

მართლაცდა, ამის მერე უფრო გახალისდა, წერდა გა-ტაცებით, წერდა ბევრს, იხსენებდა, იხსენებდა და ფურ-ცელზე გადაჰქონდა ყველა მოგონება და ყველა ამბავი, რა-საც შეესწრო თავის დღეებში.

ერთხელაც გითხრა:

— ხშირად ვიხსენებ იმ დღეს, როცა ჩემი მსგავსი თერთ-მეტი ბიჭი ვნახე მოლაღატის ძეგლთან. მათზე ვწერ და ასე მეჩვენება, რომ წერის დროს ვეძებ კიდევ მათ. იქნებ მომიხ-მონ, როგორც მაშინ, სველი მინის სუნი რომ ვიგრძენი; იქნებ მომიხმონ, რომ კვლავაც ვნახო და უკეთ გავიცნო ისინი.

ტელევიზორში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ

განხორციელებულ მოსმენებზე საუბრობდნენ და მან თქვა:

— საზიზღრობაა, დადგმული საზიზღრობა, რაც იმ დროს მახსენებს, როცა საათებს „ვრემიაზე“ ასწო რებდ-ნენ.

მან ასე თქვა, მე კი ჩაგძახე, ჰო, ჩაგძახე მთელი ხმით: — ეგ „ლევას საათია“, — სისტემის კაცებისგან გაბახებული დრო, რომელიც შორეულ წარსულში, ჩვენი მონობის სახლ-ში მოიქოქა და იქიდან მოყოლებული ნიკნიკებს და ნიკნი-კებს, უდაბნოში ხეტილის ჟამსაც არ ჩერდება, მოდის, მოგვყვება, როგორც მდეგარი, როგორც ტვინში ჩაბუდე-ბული სიმსივნე და ფეთქავს სიმსივნე და თავს გვახსენებს წრეზე მოძრავი მატარებლის მგზავრებს.

მაშინ გაიგე ჩემი ხმა. წერდი გაცატებით, არ ლოთობდი და ჯანიც მოგდედა წერის ჟინთან ერთად. სექტემბრის თვეში დაასრულე მუშაობა, ოქტომბრის 12 რიცხვში კი მო-ინახულე, ბადურით აიტანე სასმელი და ხორავი. მაგიდას მიუსხედით, მწყერი ოთახში დარბოდა, თვალში გეჩხრიე-ბოდა და თქვი:

— ეს მწყერი კიდევ არ შეგიჭამია? თუ გინდა, მე შეეჭამ. გაელიმა, არაფერი უპასუხია, მწყერს მიაჩერდა ერ-თხანს. მერე, როცა სმაში შეხურდით და სიტყვამ მოიტანა, უთხარი, რომ ის მწერალია, რაზეც თავი გადააქნია, იყურა და თქვა:

— არა... მწერალი შენ ხარ, — ისევე გაყურდა ცოტა ხნით, შემდეგ კი გითხრა, — მე ჟამთაღმწერელი ვარ. თვალი გა-დავავლე ჩემს ჩანაწერებს და მივხვდი, — სულ ჟამია, მძი-მე ჟამი, სადაც თორმეტმა ერთმანეთის მსგავსმა ერთმანე-თი დავეკარეთ...

— ბევრი მეგობარი ნაგვართვა „ვრემიამ“, — თქვი შენ. თავი დაგიქნია, არაფერი უთქვამს, ასე დაგეთანხმა.

გვიანობამდე სვამდით, მერე წამოხვედი და აღარც გი-ნახავს, რადგან უკვალოდ გაქრა და არ იცი სადაა. მე მო-გიყვები, რაც გადახდა:

შენი წასვლის შემდეგ ჟამთაღმწერელი ტახტზე ჩამოჯ-და, აფორიაქებულ მწყერს მიაცქერდა, გაიღიმა და თქვა:

— სულელო, ჩემო სულელო, პატარა ჩიტო, რას ფორი-აქობ, იქნებ მართლაც შემეჭამე...

რა უცნაურიც არ უნდა გეჩვენოს, სამსონ, მწყერმა გაი-გო ჟამთაღმწერლის სიტყვები, მიხვდა, რომ კაცი ხუმ-რობდა ახლა, მაგრამ მაინც დაინყვიტა მასზე გული და იფიქრა, „ხვალ დიდი გადაფრენა იწყება, მეც გავფრინდე-ბი“, — მერე დაიძინეს.

ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა დილით, თავი მოინეს-რიგა, მაგიდას მიუჯდა, სიგარეტი და საფერფლე მოიგა და წერას შეუდგა.

მწყერი ელოდა, როდის გააღებდა კაცი ლოჯიის კარს, რათა ღია ლოჯიაში გაეღწია როგორმე, შემდეგ კი სამუდა-მოდ მიეტოვებინა ეს ბინა, რადგან დარწმუნებული იყო, ზუსტად იცოდა, რომ თბილისის ზღვის მახლობელ სერეზ-ზე შეფენილი მწყერების დიდი გუნდი, სწორედ დღეს აპი-რებდა გადაფრენას.

წერით გართულმა როდის-როდის იგრძნო, რომ სიგა-რეტის კვამლით გაბუღულ ოთახში სუნთქვა ჭირდა, წა-მოდგა, ლოჯიის კარი შეაღო და მწყერმაც ისარგებლა ამით, ფეხდაფეხ მიჰყვა, შემოჰკრა ფრთა ფრთას და გაფ-რინდა.

სახტად დარჩა. მთელი წელი იყვნენ ერთად, ერთად გადაიზამთრეს, რამდენჯერ თავისი ხელით უჭმევია მწყრისთვის ხორბლის მარცვალი, რამდენჯერ გადაუხსნია ჩიტისთვის გული და მოსჩვენებია კიდეც, რომ მწყერს ესმოდა მისი, ახლა კი, ვითომც არაფერიო, გაეცალა და გაფრინდა...

„რალაცის ნიშანია“, — იფიქრა ჟამთაღმწერელმა, — „ეს რალაცის ნიშანი იყო“, — იფიქრა კვლავაც და აი, მაშინ, სწორედ მაშინ მოიხელთა ის ნაცნობი, ოდესღაც განცდილი, სველი მიწის სუნი და თქვა გულში, — „თერთმეტი ჩემნაირი კაცი მელის, უნდა წავიდეს“.

შეიმოსა, მოისხა ლაბადა, გასვლის წინ სარკეში ჰკიდა თავის თავს თვალი, — გამხდარი იყო, აწონილი, პირგაუპარსავი, შემეჩხრილი კბილებითა და ჭაღარაშერეული თმით. „მაშინ ბიჭები ვიყავით, ჯინსის ქურთუკები გვეცვა; ახლა, ალბათ, ისინიც ასეთები იქნებიან, ჩემსავით დაბერებულები“, — იფიქრა ჟამთაღმწერელმა და შინიდან გააბიჯა.

ფეხით მიდიოდა, რადგან არ იცოდა, სად უნდა წასულიყო და სველი მიწის სუნი ჰყავდა გზამკვლევადა. გზადაგზა ისვენებდა და წუხდა, რომ ისვენებს; ეჩვენებოდა, თითქოს ძალიან აგვიანდებოდა სადღაც.

ასე, სვენებ-სვენებით, მოსალამოვებულზე მიაღწია ხიდთან; აქ კი იგრძნო, რომ სველი მიწის სუნი ახლოა, ძლიერ ახლო, მერე კი იქ, ცირკის ასახვევთან, ორ ბოძს შორის, მკვდარი მწყერი დაინახა, ჩაიმუხლა, ჩიტი ხელში მოიმწყვდია და თქვა:

— საბრალო, შე საბრალო, ჩემო საბრალო, პატარა ჩიტო...

მწყერი გულის მხარეს, ლაბადის შიდა ჯიბეში შეინახა და იფიქრა, რომ მერე, როცა თავის მსგავს თერთმეტ კაცს ნახავდა, მიწას მიაბარებდა ჩიტს.

გმირთა მოედნისკენ დაიძრა, მაგრამ მოეჩვენა, რომ დაკარგა სველი მიწის სუნი, შემობრუნდა, ისევ ხიდისკენ გაეშურა და შენიშნა მსუქანი ქალი, რომელიც დაჟინებით უტყერდა მას.

ქალს არ ეცვა ისე, როგორც იაფფასიანი მეძავეები იმოსებიან ხოლმე, მაგრამ მეძაობის, რალაცნაირი ბინძური შემგუებლობის დამლა აშკარად ეტყობოდა სახეზე.

გაცსდა მეძავეს, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უეცრად გაიგო მისი ხავილი: — გთხოვოვ, გთხოვოვ, მე შენ ძალიან, ძალიან გთხოვოვ!

პირი იქცია მისკენ, ქალი მიუახლოვდა, ჩაეკრა, გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებდა, ისევ ხაოდა: — გთხოვოვ, გთხოვოვ, მე შენ ძალიან, ძალიან გთხოვოვ“!

— ჰო, მაგრამ რას მთხოვ? — იკითხა როდის-როდის.

ქალი არაფერს ამბობდა გარკვევით, მხოლოდ ხაოდა, სახე გადაბუნოდა ცრემლითა და იაფფასიანი ტუშით და მაშინ გაეფიქრა ჟამთაღმწერელს, რომ ეს ქალი, რომელსაც მეძაობისა და ბინძური

შემგუებლობის დამლა აღბეჭდვოდა სახეზე, ძალიან ჰგავდა დღევანდლობას, რომელიც სადღაც, შორეული წარსულიდან, მონობისა და მეძაობის სახლიდან დაიძრა და აქ, მეძავების ბირჟასთან გადაეყარა მას, ჟამთაღმწერელს, და თითქოს ამას სთხოვდა ახლა ეს ქალი, — დამინახეო, მე დამინახეო, შემამჩნიეო, მე შემამჩნიეო, — და იფიქრა ჟამთაღმწერელმა, რომ აუცილებლად უნდა აღენერა ეს ქალი, მაგრამ სველი მიწის სუნი უხმობდა და გაეცალა მეძავეს, ისევ გმირთა მოედნისკენ წავიდა, იქ კი ხალხის დიდი ნაკადი შეგროვილიყო, აქეთკენ მოდიოდნენ, ვიღაც დამაჯერებელი ბარიტონით სკანდირებდა:

— გაუ-მარ-ჯოს!

— ჯოს, ჯოს, ჯოს! — სკანდირებდა ხალხიც.

მათ შეუერთდა. რკინიგზის სადგურისკენ დაიძრნენ, მიყვებოდა ნაკადს და თვალს აცეცებდა აქეთ-იქეთ, რათა თავისი მსგავსნი შეენიშნა; დარწმუნებული იყო, — აქ იყვნენ ისინიც.

მერე რაც დატრიალდა, სიგიჟეს ჰგავდა. უეცრად მოესმა ბოძზე შეჯახების ხმა, — ერთის — მეორის, ბევრის, პანტაუნტად ბევრის და მიხვდა, დაინახა კიდეც, როგორ ეცემოდნენ მწყერები ქუჩაზე, როგორ იტაცებდა ხალხი გაბრუებულ, რეტდასხმულ ჩიტებს და როგორ ახეთქებინებდნენ ბორდიურზე თავს.

„სწორედ ისეა, როგორც მაშინ“, — იფიქრა ჟამთაღმწერელმა, — „უდაბნოს წრეზე შემდგარებმა ხორცი მოითხოვეს და მიეცათ, მწყერი მართლაც ნიშანი იყო, ჩემი მწყერი, რომელიც ახლა მკვდარია და უბეში მიდევს, გულის მხარეს“.

გზადაგზა ომახიანად სკანდირებდა ბარიტონი, ხალხიც ომახიანად ჰყვებოდა ბარიტონს: — ჯოს, ჯოს, ჯოს, გაუ-მარ-ჯოს!

რკინიგზის სადგურზე ჩაფხუტიანი ჯარისკაცები იდგნენ ხელკეტებითა და ფარებით. „როგორც მაშინ, იმ დროში, „ვრემიაზე“ რომ ასწორებდნენ საათებს“, — იფიქრა ჟამთაღმწერელმა. უეცრად ხალხი აირია, რადგან ჩაფხუტიანებმა ხელკეტები დაატრიალეს და ხალხს დაერივნენ. ცდილობდნენ გამოეცალკეებინათ პატარ-პატარა ჯგუფები, წრეში მოემწყვდიათ და ისე ეცემათ. ჟამთაღმწერელს მოეჩვენა, რომ იქით, ბურჭებიანი შემალლებული ადგილისკენ თავის მსგავს ლაბადას ჰკიდა თვალი და ისიც იქით გაიქცა, რათა თავისი მსგავსი კაცი ამოეცნო და სწორედ იქ, იმ შემალლებულ ადგილას წამოენია ტკივილი, რომელიც თავში იგრძნო, თვალის კუთხით კი ჩაფხუტიანის ხელი დაინახა და ის ხელი ისევ შეიმართა მის თავზე-მოდ, ხელში კი კეტი, მძიმე, მტკივნეული კეტი და ისევ დაეშვა მის თავზე ტკივილი და ისევ დაეშვა და ისევ და ისევ და დარჩა იქ, შემალლებულ ადგილას, ბურჭებთან, სისხლი სდიოდა, მაგრამ ტკივილს ვეღარ გრძნობდა და მიხვდა, რომ



კვდება, რადგან ტკივილს ველარ გრძნობს; მერე კი ის დაინახა, ის, და ჰკითხა უხმოდ, თავის გულში ჰკითხა:

— მამაჩემი ხარ თუ ნიკას მამა?

კაცს თეთრი წვერი ჰქონდა, შელახული სამოსი ეცვა, დასცქეროდა. გაუმეორა კითხვა:

— მამაჩემი ხარ თუ ნიკას მამა, რომელიც მთას ეძებდა, რათა გაეგო?

— ალბათ ერთხელაც უნდა გაგვახსენონ თავი საათებმა და ერთდროულად ახმაურდნენ, — თქვა კაცმა და გატრიალდა.

— სად მიდიხარ, — გულში შეუძახა ჟამთაღმწერელმა კაცს, — ნუ მიმატოვებ, ვკვდები!

— მთაზე მივდივარ, — თქვა კაცმა, — ჩემს მთას ვეძებ! — და წავიდა, გაქრა.

ჟამთაღმწერელს სხივი ჩაუქრა თვალებში, აღარც სხივი იყო, აღარც ტკივილი, აღარც ის კაცი.

დასუფთავების სამსახურის სამკაცციანი რაზმი აღმოაჩენს მის ცხედარს; ამ ამბის გახმაურებისა შეეშინდებოდა, მანქანაში ჩატენიან, ოქროყანაში აასვენებენ, ფიჭვის სამ ხესთან ჩამარხავენ ნაწვიმარ, სველ მიწაში და ასე შეეცდებიან იმ ჟამის დამალვას, რომელიც მონობის სახლიდან მოყოლებული მოდის, მოდის, პოსტსაბჭოურ უდაბნოში წრეზე ტრიალებს, თითქოსდა მატარებლიდან მოისროლეს გვამი, რათა ყველას თვალწინ არ გახრწნილიყო და წრეზე მავალთა შეძრული გონება უფრო არ შეეძრა წრეზე მავალთა სისასტიკეს.

„ვინცებ“, — ფიქრობ, — „ხვალიდან ვინცებ“, — ფიქრობ.

ტაში-კუკული, ტარამ, ტარამ! — რამდენი ასეთი „ხვალ“ იყო, სამსონ, შენს საქმეს ხარის ჯანი სჭირდება, თანდათანობით უნდა აკრიფო ძალა, მართათნელივით უნდა გაირჯე.

ხელი ბოთლს, ბოთლი ბაგესთან, — ჰუჰჰ.

„ხვალიდან ვინცებ“, — ვიჭერ შენს ფიქრს.

კარგი რა, სამსონ, კარგი, რა!..

ხელში სიგარეტი, სანთებელა, კვამლი. მობილურში იას ნომერს ეძებ.

ია აგარაკზეა, სამსონ, ხომ არ დაგავინცდა?

არა, არ დავინცებია, ლაყბობა უნდა. რეკავ. იას ხმა.

— როგორ ხარ? — გეკითხება ია.

— კარგად, შენ? — ეკითხები იას.

— რა ვიცი, ვისვენებთ, — ამბობს ია.

— ია, მაგინებინე, რა, შენი თავი! — თხოვ შენ.

ია იცინის, მერე გეუბნება:

— კი ბატონო, მაგინე, რამდენიც გინდა!

აგინებ იას, ია იცინის, მერე ეკითხები:

— ხო კარგად ვიგინები, ია?

— გადასარევად, — იცინის ია.

— ჰოდა, ხვალიდან ვინცებ მუშაობას, გინებების კრებულს უნდა გამოვცე, მიმდინარეობაა მწერლობაში ახალი, თეფომ დაამკვიდრა.

ია იცინის, გემშვიდობება. მობილურს მაგიდაზე დებ, უცქერ ტუმბოს.

სამსონ, არ გვინდა, რა, სამსონ, დილისთვის შევიინა ხოთ, სამსონ, შენ რომ იცოდე, რა დილას ვითენებ, სამსონ, შენ რომ...

დგები, ტუმბოსკენ მიდიხარ. — ერთი, ორი, სამი, ოთხი,

— ფეხი გერევა.

## დილის შვიდის ნუთაჯა და ღრუბლები

ჰაე-რი... რი... ჰაე-რიიი, სამსონ, ჰაე-რიი...

ჰაერიი! მზერა ტუმბოს.

რას გეუბნებოდი, რამ ჩაგახეთქა ის „ჩეკუშკა“, იდიოტო, ჰაე, ჰაე, ჰაერიი!

გული ყელთან ცემს, ჩქარ-ჩქარა ყელთან, გული ყელთან, წყალი! წყალი!

ხელი ბოთლისკენ, წყალი — თბილი, ღია სარკმლიდან ჩიტების შემანუხებელი, თავანყვეტილი ჟრიაბული. შვიდის ნუთები იქნებაო, — ვიჭერ შენს ფიქრს და მეც გეთანხმები, — ჰო, შვიდის ნუთები იქნება, ნისია მალაზია დაკეტილია, მაგრამ სადღელამისო მალაზიაში ჩადი, ფული გაქვს ახლა, იქ იყიდე „ჩეკუშკა“, თორემ ჰაერი, სამსონ, ჰაერი, სამსონ, სადაცაა მოგწყდები, სამსონ, ჰაერი მჭირდება!..

დგები; იცვამ შორტს, კედებს, მაისურს, გადიხარ ტულეტში, გული კი ყელთან გიცემს — ჩქარ-ჩქარა, ავად, ნერვიული, სწრაფი ბიძგებით.

ტულეტტიდან სააბაზანოში, წყალი, მუჭი, მუჭში წყალი — ერთი, ორი, სამი. ცივი წყალი სახეზე. კბილებს მერე გაიხეხავ, მაგისი დრო არ არის, სამსონ, ჩქარა, სამსონ, ჩქარა!

მზერა სამზარეულოსკენ. არა, დედა არ ჩანს. კარისკენ. კარი. კარიდან სადარბაზოსკენ.

ლიფტი, ლიფტში, ლიფტიდან.

ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი, — ნაბიჯებს აღარ ითვლი, მიდიხარ, რათა თავს ვუშველოთ, — ერთი-ორი, ერთი-ორი, კიბეები, კიბეებზე, უთვალელო კიბეებთან! უთვალელო, ხედავ, რა დღეში ჩამადგო ამ ლოთმა, უთვალელო, ხედავ?! არა, ვერ მხედავს უთვალელო, სამსონას მისდევს, — ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი. ფოლკლორისტი მუხლებთან გამობერილი, იასამნისფერი სპორტული შარვლით, რალაცის თქმა უნდა, რა დროს ფოლკლორისტია, სამსონ, სადღელამისო მალაზიაშიც ორმოცდაათიოდე ნაბიჯი იქნება აქედან, ჩქარა, სამსონ, იქაა შვება.

— ისაა, გამარჯობა! — გესალმება ფოლკლორისტი.

როგორ წელავს სიტყვას ეს ფოლკლორისტი, როგორ, როგორ...

ჩერდები, ესალმები, არა, არა, ამით არ დაასრულებს, არა, — ბროშურას განვდის, თანაც გეუბნება:

— თქვენი აზრი მაინტერესებს, ჩვენი პარტიის პროგ რამაა და ისაა... — გიცქერს დაკვირვებით.

მე ფოლკლორისტი მეგონა, ეს კი ტაში-კუკულიყო ყოფილი, — წადი, შენი! — ვაგინებ ფოლკლორისტის ყიფლიბანდის ბინადარს, ხოლო შენ ფოლკლორისტს ეუბნები:

— სხვა დროს იყოს, აფთიაქში მიმეჩქარება, დედა ვერ მყავს კარგად...

— უჰ, ბოდიში, მაპატიეთ! — გეუბნება ფოლკლორისტი.

აბა, წავედით, სამსონ, წავედით, ჩქარა!

— ერთი-ორი, ერთი-ორი, გული ყელთან, ნემსებივით, გული ყელთან, — დგნ, დგნ, დგნ, დგნ, — ერთი-ორი, ერთი-ორი და...

ჩერდები. ტრიალდები. სად? ნაბიჯს დგამ იმისკენ, ვის-

განაც მოევლინე სამყაროს. ტკივილი კუჭიდან იწყება. მწვავე. მწვავე. და ნაბიჯი იქით, და ფიქრი, უეცრად წვეული ფიქრი „დედა!“ — და ისევ ნაბიჯი იქით, ვისგანაც მოევლინე სამყაროს და იქით და...

გწყდები.

შენ კი იქ, ფილაქანზე და მე მოგწყდი, ან შენ მომწყდი, მაგრამ შენ იქ, ფილაქანზე და რალა მნიშვნელობა აქვს ვინ ვის მომწყდა, რადგან მოგწყდი და დაგტრიალებ და ვხედავ, როგორ შემნიშნა უთვალეობა, როგორ ნამოზიდა ჩემსკენ დრუნჩი და — აუუ! აუუ! — მომამყმუვ ლა უთვალეობა და ამ ყმუილმა თითქოს შემკრა, ძალა მომცა და დაიწყო ჩემი ნაბიჯები, — ერთი ნაბიჯი — ერთი სართული, კიდევ ერთი ნაბიჯი — მეორე სართული, მივ ყვები ჩემს გზას ჩემი ნაბიჯებით, მაღლიდან გხედავ ფილაქანზე გამოტილს, შენს გვერდით უთვალეობა დგას და მომყმუის, რადგან ახლა ნამდვილად დამინახა უთვალეობა; შენც შეგნიშნეს, სამსონ, შენი უსულო სხეულიც შენიშნეს, ჯერ ფოლკლორისტმა, რომელიც ნაბიჯს უჩქარებს შენსკენ, იმ კაცმაც, სიგარეტს რომ ეწეოდა მესამე სართულის სარკმელში, ახლა ცოლსაც უთითებს და ფანჯარას ეცლება, რათა მოგეხმაროს, სამსონ, ჰო, გვიანია, გვიანია, უკვე მეტიმეტად გვიანია, უკვე ჩემი ნაბიჯების დრო მოვიდა და მივიწვევ მაღლა, უფრო მაღლა და ვხედავ დედას, რომელიც ბელურას უყრიდა პურის ნაფშხვენებს ფანჯრის რაფაზე და უეცრად ჩააცქერდა ხელებს და იფიქრა: ახლა რაღაც ცუდი მოხდა, ახლა რაღაც გამოუსწორებელი მოხდა, — და ჰოო, დედა, ჰოო, მოხდა ის, რაც წრეზე მავალთა უცილობელი ხვედრია, დედა, სიკვდილი წრის რომელიღაც მონაკვეთზე, მაგრამ მე ვარ, დედა, მე ვარ და ვხედავ და გეცლები თანდათან, რადგან ჩემი ნაბიჯების დრო მოვიდა და ჰე, მაღლა, უფრო მაღლა და ჰე, ვიკვრები, ვსხეულდები და მერე ვხედავ ზუსტად ერთმანეთის მსგავს თერთმეტ ღრუბელს, თითქოს მე მელოდნენო, თითქოს, თითქოს, და ვიცი, მჯერა, ვხედავ კიდევ ჩემს თავს გარედან, მეც ღრუბელი ვარ, მათი მსგავსი, მათი ალი და კვალი ღრუბელი. მერე, თითქოსდა ერთ დაძახილებო, თითო-თითო ფთილა ღრუბელი წყდება ჩვენს სხეულებს და ჩვენს წინ ახალი ღრუბელი იქმნება, ეს დარინდაა, დარდის ღრუბლად შეკრული დარინდა, ჯერ დარინდა დაიძრა, ნელა-ნელა, ჩვენც მას მივყევით, ნელა-ნელა, თორმეტი ერ-



მანანა ავალიშვილი

## სტუმარი

ტოტებგაშლილი კაკლის ქვეშ იჯდა და ფოთლების სურნელში გახვეულიყო. შემოდგომის მიღებული მზე ტალღებად ედებოდა ქალის სახეს. პარკში ჟრიამული, ძახილი, მღელვარე საუბარი, მარტოსულის სიჩუმე ერთმანეთში არეულიყო.

გასწვრივ პენსიონერი მამაკაცები ისხდნენ: უდრეკი მზერა, შეუცვლელი აზრი, ერთგვარი რიხი ერთმანეთს დაუსხნელად აკავშირებდა. ვილაც ქალი გაბმით გაიძახოდა: — გეგა, გეგა, სად დამეკარგე!

მოიბრინა სპანიელმა, პატრონის ფეხებთან გაჩერდა, ფეთქავდა, წრიალებდა, ცელქად შეჰყურებდა თვალეობაში. „ამ დროს ვილაც ბიჭი აქეთ-იქით იყურება, ვინ მეძახისო“, — გაიცინა მოსიერე ყმანვილმა.

ორი შეხნიერებული ქალი ახლო წარსულს იხსენებდა: შავბნელს, იარალის ბრჭყვიალით, სიკვდილის თარეშით, ტყვიებით დაცხრილულს; გაქანებული მანქანებიდან ავად მზირალ ავტომატის ლულას, უსინათლო ქალაქს, პურის უსაშველო რიგებს, თითზე პასტით მიჩხაპნილ რიგის ნომერს. იხსენებდნენ და სხეულში შემოდოდა ყრუ, საშიში განცდა. ქალი ნამოდგა, ქუჩისკენ დაიძრა, კაკლის ფოთლების სურნელმა გააცილა.

შინ რომ მივიდა, ქმარი სამზარეულოში შფოთავდა, ჯამ-ჭურჭელს ლანა-ლუნი გაჰქონდა. ავ გუნებაზე იყო და ცოლს მწყრაღად უთხრა:

— რამე ხომ არ გაქვს დასარეცხი, დასალამბი.

— არა, — მოჭრით მიაკერა სიტყვა ცოლმა და გავიდა.

ზარის ხმამ ბინა შემოიბრინა. კაცი აჩქარებით მივიდა კართან. ხალისიანმა ხმამ თითქოს ზარს გადაუსწროო.

— ნანას ვახლავარ! — კართან ტანმორჩილი, ჩასუქებული ქალი იდგა. მრგვალი, თეთრი სახე, ვიწრო შუბლი, ღია ნაბლისფერი თმა, ცბიერი მზერა, ბიჭურად გაკრეჭილი თმა. რუხი ფერის სადა კაბა ეცვა, ერთადერთი სამკაული, ვერცხლისფერი ყვავილი, მხარმარცხნივ ებნია.

ორივენი დასხდნენ. ნანამ ნახაზი გაშალა. კაცი დააკვირდა, ქალი უხსნიდა, რომ შენობას კამაროვანი სახურავი ექნება, სეისმური სარტყელი გამძლე უნდა იყოს. „აი, აქ პატარა უზუსტობაა“, — კაცმა თავი აიღო. უცნაურად უელავდა თვალეობა. ქალი ფრთხილი, შემპარავი ღიმილით უცქერდა. კაცს სითბომ დაუარა ძარღვებში და ხმადაბლა თქვა: „არაჩვეულებრივია შენსავით“. ამ დროს ცოლი შემოვიდა — ცოტა შებოროკილი, ცოტა შემკრთალი. ლანგარზე ხილი დაეწყო. მაგიდაზე დადგა ტკბილ წვეინთან ერთად. თეფშებს მაღალი ჭიქები მიუდგა და ჩამოჯდა. სტუმარმა თვალი შეავლო მის ხელებს, ბეჭედზე შეაჩერა მზერა და შემადლებული ხმით იკითხა: „რა ქვაა?“

ცოლმა თავის ხელს დახედა, თავი გვერდზე გადახარა და წყნარად თქვა:

— დიდი ხნის წინ ვიყიდე ცხინვალში, წარწერა ჰქონდა: ამდენი გრამი ოქრო, ფასი ესა და ეს, „ცერკოვნი კამენ“, — სტუმარმა გაიცინა, არადჩასაგდები მზერა შეაგება და თქვა:

— ეს ცხინვალსკი კამენ იქნება, დამიჯერე — მერე კაცს მიუბრუნდა, ნახაზი თავისკენ მისწია და ახსნა გააგრძელა. ცოლი სრულიად გაინაპირა, თითქოს წუთისწინანდელი საუბარი არც ჰქონოდა და მის სიახლოვეს ამ კაცის გარდა, არასდროს არავინ იყო.

ცოლი ისევ სამზარეულოში გავიდა. გულხელდაკრეფილი, მოწყენილი კედლებს ათვალეობდა. ქმარი შემოვიდა გახალისებული, გადასხვაფერებული.

— ნახე, რა უნაკლოდაა შესრულებული ეს ნახაზი, გაზომვები, შენ შეგიძლია ასე უნაკლოდ რამის გაკეთება?

— მე უნაკლოდ ვისვრი ტირში, არ ავაცდენ ისე, — გაიხმაურა ქალმა.

— რაო, — დაიძაბა კაცი, — რა გინდა, რატომ პანიკობ? — მე რაც მინდა, იმის ახდენა შეუძლებელია. მინდა, დედამა ცოცხალი მყავდეს, საღამოს ერთად ვუსხდეთ მაგიდას, ვსვამდეთ ჩაის, წინ ბლინები მენყოს და მათი სითბო მიცავდეს. კიდევ რა მინდა იცი? მეცხრე კლასში ვიყო, ვიჯდე თამარ მაჩაბლის გაკვეთილზე. ის კი ღრმა ქართულით ცდილობდეს საუბარს. „ვაგლახ, რომ ასეა“... იტყოდა და ეს ნამოძახილი სრულიად შეუსაბამო იყო იმ მკაცრ საგანთან, მათემატიკა რომ ერქვა. მინდა, ჩვეული წესით ავუყვე ქუჩას — მათემატიკის წიგნით ხელში, მივდიოდე ჩემს კლასელთან, ბობი ფიშერით რომ იყო გატაცებული, მივუახლოვდე კერძო სახლს, გავიარო განიერი დერეფანი, შევიხედო მის ოთახში. ის იჯდება ჩაფიქრებული, მე კი დავიყვირებ. უცებ შეხტება, ფიქრები შემოეცლება. იცი, რა თქვა ბობი ფიშერმა ინტერვიუში? მიყვარს დიდმკერდა და კისკისა ქალებიო. ჩემი ამხანაგი საყვედურით შემომხედავს, წამიც და იტყვის: „მერე რა, მინც ბობი ფიშერია“. ახლა დალაგებული გონებით გეუბნები, რომ მე, მე ვარ და რადგან საკუთარი სახე მაქვს, მაკომპლექსებდი მეთოდურად, თანმიმდევრულად, ხანმოკლე შესვენებით. — კაი ერთი, მაგისტრის ვყოფილვარ გამზადებული, — ცალყბად მიუგო ქმარმა.

ქალმა ნათქვამი აიცდინა და განაგრძო:

— შენგან ბევრი რამ ვისწავლე, ისე კარგიც იყავი და ცუდიც.

— ვიყავი არა?.. — ჩაიღიმოდა კაცმა.

— ჰო, ნამყო სჯობია, მე მგონია, შენი ცუდი უფრო გამოადგა ცხოვრებაში.

— დაბლა, კარადაში, ღვინოა და მომანოდე, — ცოლმა ღვინო ჩაის ჭიქაში ჩამოსახა, მზაკვრულად ჩაიცინა და დალია.

— ისე რა „რაზბორკები“ დაგენყო, — დაცინვა გაცურდა კაცის თვალებში.

— ახლა ღვინო შენ ჩამოასხი, — გაისმა ცოლის შეუვალი ხმა. ქმარმა მაშინვე შეასრულა მოთხოვნა.

„სწორედ რომ მისწრებაზეა საქმე. ერთი შვილი დეტროიტის კოლეჯში ეუფლება განათლებას, მეორე მუსიკოსობს ჰამბურგში, ასე რომ გადავხედოთ, რაც ჩავლილია, — თვალეზში მიაცივდა ქმარს. ღვინო გადაკრა და ისევ შეახალა სახეში ბრძანება: „კიდევ ჩამოასხი“.

„ერთხელ სოფელში ბინდი როცა გაიხლართა ვაშლის ტოტებში, რალაცნაირად შეიცვალე. ოთახში ბუხარი გუგუნებდა, ბუხართან დიდი, ლამაზი კატა იჯდა — გარინდებული. მაგიდაზე ცხელი მჭადის ნაჭერს ორთქლი ასდიოდა, ვიგრძენი, რომ ეს იყო სახლი და სამშობლოც“.

— შენ ასეთი არასოდეს მინახავხარ, რა ხდება?

— აბა, როგორ მინახავდი, მე ისიცოცხლეში პირველად ვთვრები. დამისხი, — ჭირვეულად თქვა ქალმა.

— მეტი ხომ არ მოგდის?

— მეტი ყოველთვის კარიერის მაძიებლებს მოსდით, განათლებულებსაც, ისე როგორც მივხვდი, ზოგს ვერც განათლება შველის და, სამწუხაროდ, ვერც რელიგია.

ცოლი მძიმედ წამოგდა, ბარბაცით მივიდა ფანჯარასთან. ცრიდა, ქუჩა ცარიელი იყო. გაჩერებასთან გოგო და ბიჭი იდგნენ; ორივენი ერთი სიმაღლისა, ორივენი აღნაგები, ერთმანეთს შეჰხაროდნენ, გულიანად იცინოდნენ; წვიმა დასდიოდათ სახეზე, ტანსაცმელზე, მერე ერთმანეთს ჩაეხვივნენ. შემოდგომა იცრემლებოდა, ნისლი სახლის სახურავებზე ფაქიზად ეფინა.



მხატვარი ბერდია არაბული

ქალი შემობრუნდა, ცოტა გამოფხიზლდა, ისევ მაგიდას მიუჯდა. ქმარს ახედა და ყურადღებით შეათვალიერა; კაცი შეიშმუშნა.

— ისე სიყვარულს არაფერი სჯობია, მაგრამ ჩვენ ვალაქავებთ ხოლმე.

— ჩვენ თუ ცხოვრება?

— ცხოვრებაზე ცოტა უკეთესი ხომ უნდა იყო, კარგო, — დაცინვამ გამოიხედა ცოლის თვალებიდან.

სიჩუმე გაინაბა, მერე ქალმა უგულოდ თქვა:

— დღეს ჩემი დაბადების დღეა.

— სულ დამავინყდა, — მორიდებით ჩაილაპარაკა კაცმა.

— ეგ არაფერი, დამოუკიდებლობის დღე ხომ არ არის, გახსოვდეს.

— გავიხედავ ფანჯარაში, იქ სიყვარული ხარობს, — ჩაილაპარაკა ცოლმა.

— გაიხედე, ეგებ რომეო და ჯულიეტა როგორმე დაინახო, — მიადევნა ქმარმა. ქალმა თავი მოაბრუნა, უცნაურად დაამტკრდა. ახლა სრულიად უცხო ეჩვენა და გულისწყევლით თქვა: „ორი გვარის სიძულვილის გამო ბევრი დაიხოცა, სხვათაშორის უაზროდ. ასე იცის სიძულვილმა. სიყვარული დაილუპა და მოვიდა შერიგება, თვალის ახელა ჩემთვის, შენთვის და ბევრი სხვა ვინმესთვისაც. მაგრამ ქართული ტრადიციის თანახმად, თვალის ახელა ნიშნავს ძმაცაცობის, ნაცნობობის, მამამშვილური ჩალიჩის მიხედვით დაფასებას, აღიარებას. იცი, კიდევ რა, სულ ისეთი ქალები მოგწონდა, სულიერებით რომ მარიაყოფდნენ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ჩაგაბეტონებდნენ ისევე სულიერების სახელით“.

— ეს რა, ჩემი და საქართველოს ავადმყოფობის ისტორიაა?

— როგორც გინდა გაიგე, მე კი სიყვარულს აუცილებლად დავინახავ.

ქალი გამართული ნაბიჯით მივიდა ადგილამდე, ფანჯრის მინას შუბლი მიადო, სიგრილე ესიაშოვნა. ქუჩაში აღარავინ ჩანდა, აღარ ცრიდა; ნისლი აკრეფილიყო, სიყვარული კი სხვაგან წასულიყო.





ლია სტურუა

თანხვედრა დროში?

რუსთაველი მახსოვს ბავშვი.  
გალაკტიონ ტაბიძე

როგორ ჩნდებიან პოეტები?  
ერთმანეთს თხზავენ  
საუკუნის აქეთ-იქიდან.  
მანძილი რაა? გეოგრაფია ლექსად,  
დრო — ხავერდის ტყუილი  
მუნუკებიან ფასადზე.  
ერთმანეთს აშენებენ:

ცოტა ჭერი, ცოტა უფსკრული,  
სიგიჟე და აზრი თანაბრად,  
ენა მხარზე გადადებულის,  
ორივე ფრთა ალოკილი,  
აცდენილი დაშტამპულ ფრენას.  
აქვე არ არის მე-12 საუკუნე?  
ის ბავშვი ნავში (მარტივი რითმა),  
მაგრამ ოქროსი, ხანაც ოქროსი —  
მეფეებისთვის, პოეტებისთვის —

გადახვეწის,  
სამკურნალო კომბინატის ფანჯრიდან  
გადახტომის.

როცა ლექსში ორკესტრი გიზის,  
ძნელია მისი ხელმძღვანელობა,  
თუ რომელიმე ვიოლინოს არ უყვარხარ  
და გარეთ თუ არავის?  
თუ ყადაღას გიდევენ მოძრავ ქონებაზე:  
ზურგისქარზე, ჩრდილზე,  
დნმ-ის ოდესლაც წვიმაზე?  
რა შეგიძლია? ან ქვასავით,  
ზევიდან ქვევით, ან უცხო მხარეში,  
ისევ ქვასავით, რომელიც ფიქრობს,  
რაც კიდევ ერთმა იცის თქვენს გარდა...  
არული, არული კუდიანებს!  
სტამბის სუნიან წიგნებს,  
მეტაფორის უხერხულობას XXI საუკუნეში!  
კულისებში გაიტანეთ!  
ხავერდის ხაოები ნითლად რომ დაწვებიან,  
ეს თუ გაანათებს, მზეც, ზოგჯერ,  
ჭინჭარივით არამშობლიური.

\* \* \*

მინაში რაა?  
ჭიები, შენუხებული ჩონჩხები  
უნწყლობით, უცეცხლობით,  
ჰაერის დეფიციტით.  
ბალახიც, თმასავით, ზევით იზრდება,  
მინაზეა გადავარცხნილი,  
მოსავალს რევოლუციური ჩონჩხები  
იდლევიან:

ნითელ ლობიოს, ნითელ ღვინოს,

პური პურია,  
ზევით რომ ჭამენ  
და თბილ საუბარს აყოლებენ,  
სინათლე მინაშიც ჩადის,  
ყველაზე ღრმა მკედრებისთვის  
ალმასის ფრჩხილები აქვს  
(დაჭრილი შუშის ნიმუშებით),  
სხივების წვეტიანი ქუსლები —  
ტკივილის შთაბეჭდილებას ქმნის,  
თითქმის, სახლში დაბრუნების,  
ამ სუროგატულ ორომტრიალში.

ილენა

არა გული, თავი  
და მათზე მორგებული სიტყვები  
სისხლი მინუხს მის გამო  
ჩემი პატარა ნითელი ბურთულა!  
მალე მოვიდეს!  
ნახმარ მანქანებს ჯაგლაგა ცხენები ყავთ,  
კომპლექსიანები სასტიკები,  
შუბლით მივებეჭდები,  
თავში ზარი ამის გამო,  
თავისივე მაღალი ბგერებისგან სცივა  
(ვერტიკალი ზევიდან ქვევით)  
ორმოს მოგიტეხავო — მეუბნება  
საიდან აიღო ჩემი გენი?  
მიკროსკოპიდან, თაბახის ფურცლებიდან?  
ტკივილის ზღურბლი იმსიმაღლეა,  
მუხლებში ზამბარები გამინყდება  
თუ ვერ გადმოვაბიჯე,  
ყმუილის მთვარეზე ხახუნით  
თეატრს ავუშენებ,  
თავით ზარს დავრეკავ,  
გაკვეთილები გათავდა,  
იქ, მაინც, არ ასწავლიან  
ვინმეზე სისხლით ნუხილს,  
არც საკუთარი ტყავისგან  
ყდის გაკეთებას ამ უცნაურობისათვის.

შენ და მე

სანამ ანატომიას  
მაგიდაზე დაგიდებენ,  
წნევის საზომსაც კი ებლაუჭები:  
სვეტები, სვეტები — მთელი პართენონი,  
შიგ ცხოვრება ბებერი გიდივით  
შეკითხვაზე: — ვის ახსოვხარ ტკბილად?  
ჩაიჭრები,  
ფიდიასზე\* ილაპარაკებ ბრინჯაოს ხმით,  
ამ ენაზე მოკვდები...  
როცა სახლს, ღამე,

\* ძველი ბერძენი მოქანდაკე

აბსოლუტური სმენა გაუხდება,  
 ესმის,  
 მთვარე რომ ტოტებში ჭრიალებს  
 და ვისაც არ ძინავს,  
 ყველანი რომ მის მიმართ მგლები ვართ.  
 შენი ხმაც ესმის,  
 არ გაგვაშეშო უკულმა ამოტრიალებულები,  
 თორემ ქვეყანა დაიქცევა!  
 ფენოვანი დღე ვერ იმუშავებს,  
 შიგ ჩატენილი ტელევიზორებით,  
 ელვარე სისხლით და უნიჭო ლირიკით  
 ამ სისხლზე ვდგავარ,  
 შესაძლოა, ანემიურზეც,  
 ინფორმაციის ფერები იტყუება,  
 ერთი-ორ ხესაც, რომელიც მიყვარს,  
 ყოველ განძრევაზე ძვლები უჭრიალებს...


**რეზინისცენცია**  
*(მოდილიანის გამოფენიდან)*

თვალბში როგორ უნდა ჩახედო?  
 შიგ წყალი უსხია,  
 ორჯერ რომ ვერ შეხვალ და ა.შ.  
 მზერა რომ ჩამოუფარდეს,  
 თუ არ გაირეცხა,  
 წყალთან ლურჯ რეაქციაში არ შევიდა,  
 სახეს გამომეტყველებად არ დააჯდება,  
 უკეთეს შემთხვევაში, ფარნებად.  
 რამ სიშორეს მიყვარს, მთვარემდე!  
 სანამ ღმერთის ნარატივი მომყვება,  
 ტექსტს რომ ვერ დაარქმევ,  
 ადაპტირებით ვერ დაიხსოვებ,  
 იმდენი დოლი უდგას ზურგსუკან,  
 ზედ გადაკრული ჯოგებით,  
 ნაცნობი ყელეების იმპლანტაციით  
 აღდგენილი ორღანი,  
 სულ ხუთ ხმოვანზე დახარჯული  
 სპილენძის მადანი,  
 რომ პირობებს ვერ უყარნახებ,  
 კარგად გამართული ორკესტრის ჭიპიდან  
 ბანალურ კრავს ვერ ამოიყვან,  
 მშიერი ტვინის შეგეშინდება,  
 თუ სულელური იდილიის...  
 სილამაზის კანონებისგანაც  
 კონსტიტუციას ვერ შეადგენ,  
 ისე უნდა გახსოვდეს, ზეპირად.



რუსიკო ჩიკვაიძე  
 ქროზანთელები

**უნამუნოს ქართული მეგზური**



ამასწინათ პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი მასპინძლობდა ესპანურენოვანი ლიტერატურის მოყვარულებს. მკითხველთა წინაშე გამოცემლობა „სიესტამ“ წარმოადგინა ახალი წიგნი — დიდი ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს რომანი „ბურუსი“ და მისი მთარგმნელი მერი ტიტვინიძე.

ესპანურენოვანი ლიტერატურის თარგმნას ჩვენში დიდი ხნის ისტორია არა აქვს (განსხვავებით გერმანულ-ფრანგულ-ინგლისური ლიტერატურისაგან) და მისი თარგმნა სწორედ ამ ქალბატონის სახელთანაა დაკავშირებული.

სალამოს უძღვებოდა შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოლოგიის დოქტორი, გამომცემლობა „სიესტას“ რედაქტორი გაგა ლომიძე, რომელმაც პირველი სიტყვა მთარგმნელს გადასცა.

ქალბატონი მერი მოკლედ შეჩერდა იმ ფაქტზე, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ თვით ევროპაშიც კი ვერ მოხერხდა ესპანური ლიტერატურის დროული გატანა და ამის ერთ-ერთ მიზეზად როგორც ესპანეთის სამოქალაქო ომი, ისე მისი პოლიტიკური რეჟიმები დასახელდა.

ახალგაზრდა მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ აღნიშნა, მერი ტიტვინიძის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უნამუნოს მხატვრული სამყარო, მისი რომანების, წერილების, ესეების სახით საქართველოში პირველად სწორედ მან შემოიყვანა, ისევე, როგორც თომას მანის სამყაროს ქართულ კულტურაში დასახლება დალი ფანჯიკიძის სახელს, ხოლო ჰერმან ჰესესი ბუბა ყარალაშვილისა და ნანა გოგოლაშვილის სახელებს უკავშირდება.

დარბაზში მყოფმა შესანიშნავმა მთარგმნელმა ქალბატონებმა დალი ფანჯიკიძემ და ნანა გოგოლაშვილმა მაღალი შეფასება მისცეს მერი ტიტვინიძის როგორც პედაგოგიურ, ისე მთარგმნელობით მოღვაწეობას. სალამოზე ისიც აღინიშნა, რომ სწორედ ქალბატონი მერის წყალობით მოდის ახალი ცვლა, ახალი თაობა, რომელმაც მომავალში უნდა განაგრძოს ესპანეთის, როგორც დიდი კულტურის მქონე ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ღირსეული თარგმნა და პროპაგანდა საქართველოში.


სალამოზე სიტყვით გამოვიდა გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი კახმეგ კუდავა. აღინიშნა, რომ ჩვენში დიდ ლიტერატურას, კლასიკურ ლიტერატურას ყოველთვის ჰყავდა კლასიკური მთარგმნელები და ამის მაგალითია თუნდაც დღევანდელ სალამოზე წარმოდგენილი სამი დიდებული მთარგმნელი ქალბატონი.

დროდადრო, დარბაზში მსხდომ სტუდენტთაგან მთარგმნელის მისამართით გაისმოდა საინტერესო შეკითხვები და ქალბატონი მერი გულდასმით, ვრცლად პასუხობდა მათ.

ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა მაკა ჯოხაძის გამოხვლა, რომელმაც მთარგმნელობით ღვაწლზე, როგორც ამ ურთულეს, უკეთილმოზილეს და ყველაზე „არაეგოისტურ“ პროფესიაზე ისე ისაუბრა. რაც შეეხება უნამუნოს ქართველ მწერლებთან (ილია ჭავჭავაძესთან, მიხეილ ჯავახიშვილთან) თანხვედრას, რომელსაც სალამოზე არაერთგზის გაესვა ხაზი, ამის მიზეზად ქალბატონმა მაკამ არა მხოლოდ ორი ქვეყნის მსგავსი ეპოქალური პროცესები და ტენდენციები, არამედ პირველ რიგში „სულიერი ნათესაობა“ და „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ დაასახელა. გრძნობა, რომელიც, როგორც რობაქიძე იტყოდა, სამწუხაროდ ყველას არ გააჩნია და რომელსაც, არა იმდენად საყოველთაო გლობალიზაცია ებრძვის, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი „კოსმოპოლიტიზმი“ და „გლობალისტები“ ერჩიან.

დასასრულ ტრადიციისამებრ მერი ტიტვინიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, რომელიც მისგან კვლავაც მოელის ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას.

სალომე ასათიანი



ემზარ კვიციანიშვილი

## ნილსი და ბარეული ბატები

(სალმა ლაგარლიოვის  
ჩრდილოური ზღაპარი)

მიყვარს ნილსის ამბავი,  
ზარმაცის, ონავარის;  
სუსტთა დანოკება  
იყო მისთვის მთავარი.

ნამოყრიდა ბუდიდან  
ქათმებს, დილაადრიან,  
ბენვი შეუტრუსა და  
კატა კუდით ათრია.

აცეტებულს ვერარა  
შეასმინეს დიდებმა,  
ათას უმსგავსობისთვის  
დაისაჯა კიდევაც.

გნომმა, ტყიდან მოსულმა,  
იგი ჯუჯად აქცია;  
სადლა გამოჩნდებოდა —  
ცეროდენა, პანია.

ნილსს, ბედისგან დაჩაგრულს,  
გაუმთელდა იარა;  
გარეული ბატების  
გუნდმა გადმოიარა.

იმათ მასხრად აიგდეს  
ბატები, შინაური,  
სულ ლაჩრები უძახეს,  
ატყდა აურზაური.

უცებ ცაში აიჭრა  
თეთრი ბატი — მარტინი,  
ნილსიც თან გაიყოლა  
და გაფრინდნენ მარტონი.

უქმად არ ჩაუვლია  
მალა აფარფატებას;  
შეითვისეს ორივე  
გარეულმა ბატებმა.

ლალ ფრთოსნებს რომ დაჰყვება,  
ოქრო ბიჭი, ნილსია,  
ისე უყვართ, ბატები  
არ არჩევენ შვილშიაც.

ტყე-ტყე რომ დასუნსულებს,  
ხარბი მელა, სმირეა,  
ცხოველი თუ ფრინველი,  
ბევრი გაუნირია.

მტერი ნილსის, ბატების,  
სმირე, გულით ბოროტი,  
ღირსია ამობუგო —  
აშმორებულ სოროთი.

საშველი არ დაადგა  
ხრიკებს მელაკუდასი,  
დღედაღამ დანანნალებს,  
ჩასასმელი გულაში.

ნილსი — ტანით ნამცეცა —  
იქცეოდა კაცურად,  
მაკვარანცხი მელია  
მრავალჯერ გააცურა.

მისიც სურდა გაკენეტა  
სმირეს, კბილებდალესილს,  
ბიჭს იცავდნენ ბატები,  
უყურებდნენ თვალეში,  
მათგან არ დაკლებია —  
მადლობა და აღერსი.

ერთად ეგებებიან  
გაბრწყინებულ აისებს;  
წინამძლოლი ღირსი ჰყავთ —  
აკა კნებეკაიზე.

აქეთ-იქით ფრენაში  
საუკუნე გალია;  
ერთობ ფრთხილი და ქკუის  
საკითხავი ქალია.

აკა ბრძენი ბატია,  
ის და მისი ამალა,  
მელიას გადამკიდე,  
სულ ეძებენ სამალავს.

ბანაკს ეპარებოდა —  
ცუნცულითაც, ცოცვითაც;  
უსხლტებოდნენ, ვერცერთ ბატს  
ბუმბულიც ვერ მონყვიტა.

კისერნაგრძელებულნი,  
ლულუნებენ, მღერინან;  
თეთრი მხოლოდ მარტინი,  
სხვები — ნაცრისფერია.

სამკუთხედად დალაგდნენ,  
ლტოლვა მათი დიდია;  
ზღაპრულ ლაპლანდიაში  
საზაფხულოდ მიდიან.

ლამისთევა ბატების  
მძიმე სანახავია;  
თავს ესხმიან მძინარეთ —  
კვერნაა თუ წავია.

როცა საბავშვო ლიტერატურას  
ვკითხულობთ, ნება-უნებლიეთ გვა-  
ხსენდება კლასიკადქცეული გამოთ-  
ქმა: ბავშვებისთვის უნდა ვწეროთ  
ისე, როგორც დიდებისთვის, ოღონდ  
ცოტა უფრო უკეთესად.

ცხადია, იმაზეც გვიფიქრია, თუ  
რა არის, რას ნიშნავს, როგორ გავი-  
გოთ ეს „ცოტა უფრო უკეთესად“?

ჩვენი აზრით, ეს არის სინათლე,  
სიცხადე და სიკეთე. სინათლე — მხატ-  
ვრული გამოსახვისა; სიცხადე — აზ-  
რისა; სიკეთე — იდეური ჩანაფიქრისა.

ემზარ კვიციანიშვილის ეს მშვენი-  
ერი სკანდინავიური პროექტიც ამის  
დასტურია.

ზღაპრის გადატანა პოეტურ  
ფორმაში იოლი საქმე არ არის, მაგ-  
რამ ოსტატის ნიჭი და გამოცდილე-  
ბა ყველა სიძნელეს სძლევეს.

იშვიათია ასეთი სისადავე, უბრა-  
ლოება, რაც ზღაპრის თითოეულ  
სტრიქონში გამოსჭვივის. ზომიერი  
რიტმი, გახსნილი, ლალი ინტონაცია  
და გამჭვირვალე რითმა შესანიშნავ  
ეფექტს იძლევა. რითმა აქ სამშვენიისი  
კი არ არის, არამედ ცოცხალი ძალაა,  
რომელიც დაულალავად მუშაობს აზ-  
რის, შინაარსის, განწყობილების შე-  
საქმნელად. ყველაფერი ზღაპრულია,  
ბავშვურია, მშვენიერია. სიცოცხლით  
სუნთქავს ეს ლაპლანდიური კარნა-  
ვალი, რომელიც ოსტატურად არის  
გადმოქართულებული და მოჭრილი  
ჩვენი საბავშვო ლიტერატურის თარ-  
გზე.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქ-  
ვას: ისე, როგორც დიდებისთვის,  
ოღონდ ცოტა უფრო უკეთესად.

მაშ ასე, პოეტური ნიღბებით გვეწ-  
ვივნენ სელმა ლაგერლოვის გმირები  
— ონავარი ნილს ჰოლგერსონი,  
ემმაკი მელია სმირე, თეთრი ბატი მარ-  
ტინი, ბატების ბრძენი წინამძლოლი  
აკა კანებეკაიზე, მისი გაზრდილი  
მართვე გორგო, რომლებიც დღეიდან  
ჩვენი საბავშვო ლიტერატურის სტუმ-

თვალებს აბრიალებენ,  
წყვილია შენაგუები,  
საშოვარზე ბინდისას  
გამოსული ბუები.

რასაც ვამბობ, ცოტ-ცოტას,  
იმ ნიგინდან გიყვებით;  
ნეშოს აშრიალებენ —  
ზღარბები და ციყვები.

გუბე გადააქოთეს  
გრძელფეხება ყანჩებმა,  
ბაყაყები, ყიყინა,  
ინყველიან გაჩენას.

დილიდან რომ ქაქანებს,  
ნეტა საით მიქანავს —  
კუდგრძელი, ენაგრძელი,  
კაჭკაჭი, ჭორიკანა.

ბატმა აკამ ობოლი  
მართვე — გორგო — გაზარდა,  
საკვები არ დააკლო,  
არაფერს არ დაზარდა.

ბატების გუნდს თუ რამე  
დაემუქრა ხიფათი,  
გორგო მყისვე მიფრინავს,  
მშველელია იმათი.

არასდროს აშინებდა,  
არც მებნი და არც წვიმა;  
გაიხარა, დედობილს  
გაუმართლა არნივმა.

ბატებს ყველგან იცავდა  
და იცოდა, რატომაც;  
მანაც წუნკი მელია  
ხახამშრალი დატოვა.

შენის მზერა მეფური,  
გამორჩეულს სისხარტით;  
მტერს ჩაესო იმისი  
კლანჭები და ნისკარტი.

ნილს ჰოლგერსონს კარგის ქმნა  
ჩვევად ჰქონდა ნიადაგ;  
კიდევ დაუახლოვდა  
ოჯახს დათუნიათა.

შეიყვარა ბაჯბაჯა,  
ყურპანტურა ბელები,  
მალე გახდნენ ისინი  
მისი მისაშველები.

დაზამთრებას ელიან,  
სანამდი არ დათბება,

ნესი მოსდგამთ, ბუნაგში  
დაიძინონ დათვებმა.

მუდამ ახსოვთ ის ღამე,  
უმადლოდნენ მაშინაც;  
თოფის ტყვიას დათვები  
ნილსმა გადაარჩინა.

გაერიდა ძველ ბუნაგს  
გრძელდრუნჩათა კრებული;  
მონადირე, ორივე,  
დარჩა განბილებული.

გავიხსენოთ, როგორ გახდა  
ნილსი გმირი, მესია;  
იგი იხმეს, როს სასახლეს  
ვირთხები შეესია.

ხელთ საკრავი მოიმარჯვა,  
ნება იყო განგების;  
გაიტყუა მან მღრღნელები  
ჯადოსნური ჰანგებით.

გააბრუა, გაიყვანა  
ფრთხილად, ნანილ-ნანილად  
და ლაშქარი ვირთხებისა  
ერთ დიდ ტბაში ჩაძირა.

თუკი ერთად დავდგებით,  
მტერი გზას ვერ აგვირევს;  
ფრინველთა და ცხოველთა  
ზეიმს ვნახავთ საკვირველს.

საგანგებოდ არჩევდნენ  
მოხდენილებს და მარდებს;  
არნახული, საზღაპრო  
შეჯიბრება გამართეს.

ფრენასა და ნავარდში  
ყვავთა გუნდი ჩაება.  
აქ სუყველა დაჯაბნეს  
„ფრთოსანმა ყაჩაღებმა“.

ყურცქვიტებმა არც იმ დღეს  
შეირცხვინეს ულვაში;  
კურდღლებს ვერვინ აჯობა —  
კოტრიალში, ხტუნვაში.

ავკაცობა მელიამ  
იქაც არ მოიშალა;  
ბნელი ჰქონდა განზარახვა  
ვერაგსა და მშიშარას.

მელას სურდა, აკას გუნდს  
დასცემოდა მეხურად,  
გადარჩენას ბატების  
შეენირა ბელურა.

ვნახავთ — სმირეს, შერისხულს,  
შობილს წუნკად, აჯამად,  
უხუცესმა მელიამ  
ყური რომ ნააჭამა.

რახან ყველა შეიკლა,  
დასცინოდა სიკეთეს,  
საძაგელი არსება  
მხეცებმაც მოიკვეთეს.

სხვების ამნიოკებელს,  
თავად ერგო ნამება,  
ფლიდმა დღესასწაულის  
ვერ შესძლო ჩაშხამება.

მორჩნენ ასპარეზობას,  
არ დაიკლეს პურობაც;  
როჭოების ტინტინმა  
შესძრეს იქაურობა.

გვერდით უსხდნენ ქედნები  
ქორებსა და შევარდნებს;  
ქორბუდებმა — ირმებმა,  
რქები მალლა შემართეს.

ულოცავენ ერთმანეთს  
დღეს ნათელს და დარიანს,  
გაზაფხულის შემოსვლას  
შესტრფიან, შეჰხარინ.

ითქვა, კვლავ შევიკრიბოთ  
მკვიდრნი ტყეთა, ველთაო,  
ჩავატაროთ ზეიმი —  
დიდი, საყოველთაო.

იქ მყოფთ რჩებათ სახსოვრად  
ის დღე, გაუხუნარი,  
ნეტავ ადამიანთაც  
ჰქონდეთ ამის უნარი...

დგება ჟამი, ბატები  
ტოვებენ ლაპლანდიას;  
ცაში ფრთების შრიალი,  
დაბლა — მათი ლანდია.

ემშში შედის მყივართა  
ქროლვა შეუჩერები;  
თრთიან დაფერდებული —  
ფიორდები, შხერები.

ნილსი ტყეებს დაჰყურებს,  
გაშლილს ფერად წრებად,  
ერთგან წყალში დაძირულ  
ქალაქს ნახავს, ვეებას.

კოშქთან დგანან მცველები,  
ნაირ-ნაირ სამოსით,

დააბოტებს ქუჩაში  
ქანდაკი ბრინჯაოსი.

ნილსმა მეგობრისათვის  
იმდენი იფრატუნა,  
აპოვინა საცოლე —  
შინაური ბატუნა.

შეუღლება მყის მოხდა  
მარტინის და მარტასი;  
ახალ ცოლ-ქმარს გაუჩნდა  
საზრუნავი ათასი.

მათი შთამომავლობაც  
არ დაგვრჩეს შეუქები;  
ერთმანეთზე ლამაზი  
გამორჩევს ჭუკები.

ბოლოს ვნახოთ, სახე როგორ  
დაიბრუნა ბიჭუნამ;  
გაიზარდა და შელოცვის  
სასწაული ირწმუნა.

იგონებდა, რა სიამე  
იყო მაღლა ფრენაში,  
არაფერი ეტყობოდა  
ჯუჯის, ცეროდენასი.

ბედნიერი გამოცხადდა  
სახლში, შინაურებთან,  
დაჭკვიანდა, ძველებურად  
უკვე აღარ ურევდა.

ყველამ იცის, მზე მოსდევს  
ავდარს, ამინდს ნისლიანს;  
თავიც, ბოლოც ამ ზღაპრის  
ცქვიტი ბიჭი, ნილსია.

აქ არ ჩამომითვლია  
ყველა ფრინველ-ცხოველი,  
ნაიკითხავთ თავადვე,  
თქვენგან პასუხს მოველი.

არ ნააგებთ, მოგროვდით  
ზღაპრულ ნიგნის გარშემო,  
ყველაფერს ნუ მაცოლებთ,  
თვითონ ნახავთ, ბავშვებო!

დააკვირდით, ნილსს რითი  
გაუვარდა სახელი;  
თქვენებურად შეავსეთ,  
რამე თუ დავაკელი.

თუმცა კაცის სიცოცხლე  
სანთელივით ილევა,  
ხასიათს ნუ შევიცვლით,  
კვლავ დავრჩეთ ყმანვილებად!

მერაბ კალანდაძე

# დიმიტრი უზნაძე ნაპოლეონზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, პედაგოგიკისა და ისტორიის აქტუალური საკითხები.

მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მდიდარ ლიტერატურაში საკითხი — დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი — პერიფერიულ თემად რჩება და დღემდე შეუსწავლელია. მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიმიტრი უზნაძის დამსახურებას წარმოადგენს. საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ტაბუდადებულ თემად იქნა გამოცხადებული და იმხანად გამოცემული დიმიტრი უზნაძის მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები თანდათან დავინწყებას მიეცა. ვფიქრობთ, დადგა დრო, ამ თემას გადავწმინდოთ მივიწყების მტვერი და სათანადო შუქი მოვფინოთ. ეს ჩვენი მოვალეობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ისტორიის თემატიკით დიმიტრი უზნაძის დანტერესება შემთხვევითი არ ყოფილა. ეს არაა მარტო გატაცება და ჰობი. იგი პროფესიულ ხასიათს ატარებს. მას მიღებული ჰქონდა ისტორიული განათლება. 1909-1913 წლებში ექსტერნის წესით დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი ისტორიის განხორით და გასული საუკუნის 10-იან წლებში მუშაობდა სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ლოგიკური შედეგია.

ეს ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მასში ჩვენ შევეცდებით განვსაზღვროთ დიმიტრი უზნაძის ადგილი ქართულ ნაპოლეონიანაში.

\*\*\*

დიმიტრი უზნაძის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ნაპოლეონის მოღვაწეობის და მისი ეპოქის ისტორიის გაშუქებას. ეს ადვილი გასაგებიცაა და უზინარესად ამ პერიოდის ისტორიის მნიშვნელობითაა განპირობებული.

დიმიტრი უზნაძის დანტერესება ნაპოლეონის მოღვაწეობით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და უპირატესად ორი გარემოებით უნდა იყოს განპირობებული. ნაპოლეონი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი რთული პიროვნება იყო. მკვლევარს, ცხადია, აინტერესებს საკითხი — ისტორიაში პიროვნების როლის მნიშვნელობა — და მის გადაწყვეტას ნაპოლეონის მოღვაწეობის გაშუქებით ცდილობს. მეორეც, ნაპოლეონის სახელს უკავშირდება გრანდიოზული ხასიათის გარდაქმნები, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო და საფუძვლად დაედო ახლის შენებას.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძე თავის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში ამჟღავნებს ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფაქტობრივი მასალის კარგ ცოდნას და ამ ეპოქის ისტორიაში საკმაოდ ჩახედული უნდა ჩანდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ის არ კმაყოფილდება ისტორიული ფაქტების მშრალი გადმოცემით და დიდ ყურადღებას უთმობს მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამორკვევას. ამ თემაზე მისი მსჯელობა ანალიტიკური მუხბითაა გაჯერებული. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დიმიტრი უზ-

ნადის დამსახურება, სწორედ ისაა, რომ ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის პოპულარიზაციას საქართველოში მეცნიერული ელფერი შესძინა. ეს წინადადგმული ნაბიჯი იყო და ქართული ნაპოლეონიანას ახალ, კიდევ უფრო მაღალ, საფეხურს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა ის გახლდათ, რომ საფუძველი ჩაეყარა ნაპოლეონის მოღვაწეობის პოპულარიზაციის მეცნიერულ წინამძღვრებს. დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა ქართულ ნაპოლეონიანაში და ამის გვერდის ავლა, წაყრუება სწორი არ იქნებოდა.

ეს მონაკვეთი სახელმძღვანელოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მკვლევარი ნაპოლეონის მოღვაწეობას განიხილავს და სხვადასხვა ასპექტში წარმოაჩენს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პოზიტიური მხარეა. ის ეხება ნაპოლეონის მოღვაწეობის მთელ რიგ საჭირობო საკითხებს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, განიხილავს ნაპოლეონის ომებს. უყურადღებოდ არ ტოვებს მის კანონშემოქმედებით საქმიანობას. მოკლედ ჩერდება „ნაპოლეონის კოდექსებზე“. განიხილავს 1799 წლის კონსტიტუციას, ბიუროკრატიულ სისტემას, სწავლა-განათლებას, კონკორდატს, ძალიან მოკლედ შეეხო ნაპოლეონის ეკონომიკურ პოლიტიკას, კერძოდ კი „კონტინენტურ ბლოკადას“. დამორჩილებული ქვეყნების მდგომარეობას და იქ გატარებული რეფორმების ისტორიულ მნიშვნელობას. ეს მონაკვეთი, ალბათ, გაცილებით უპრიანი იქნებოდა დაწყებულიყო არა 1799 წლის კონსტიტუციის განხილვით, არამედ ნაპოლეონის ბიოგრაფიის გადმოცემით. ამას, ცხადია, თავისი შემეცნებითი დატვირთვა ჰქონდა და მოსწავლეებს სრულ წარმოდგენას შეუქმნიდა ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის აღზევების მოტივებზე. იგი არაფერს არ ამბობს ნაპოლეონის ბავშვობაზე, სკოლაზე, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, კორსიკაზე, პირველ წარმატებებზე. კრინტს არ ძრავს ტულონის აღებაზე 1793 წლის 17-19 დეკემბერს. ლევ ტოლსტოის თქმით, ეს იყო „პირველი ნაბიჯი დიდების გზაზე“.

ხშირად ნაპოლეონის ეპოქას საფრანგეთის რევოლუციის ხანად მოიაზრებენ. ეს მოსაზრება ერთ-ერთი პირველი რესტავრაციის ეპოქის ფრანგმა ისტორიკოსებმა გამოთქვეს და მას შემდგომ ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა. საინტერესოა, რა პოზიცია ეკავა ამ პრინციპულ საკითხში დიმიტრი უზნაძეს. პირველი ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იგი ხაზს უსვამს რევოლუციის ხანისა და ნაპოლეონის ეპოქას შორის არსებულ გენეტიკურ კავშირს, მაგრამ ამ ორ ეპოქას არ ავიგებს და მკვეთრად გამოიჯნავს. მათ შორის წყალგამყოფად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1799 წლის

18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალება ესახება. ეს იყო სავსებით სწორი მიდგომა, რომელიც აღნიშნულ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება, თუმცა, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა ამის კიდევ უფრო მკაფიოდ, გამჭვირვალედ საზგასმა.

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა ნაპოლეონის ომებს. დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ ნაპოლეონი იყო თავის დროის უდიდესი მხედართმთავარი. ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატების გასაღებს დიმიტრი უზნაძე სავსებით სამართლიანად დიდი ძალების შეთანხმებულ მოქმედებაში ხედავს და დასძენს: „ნაპოლეონი ასეთი ჯარებისათვის სწორედ შესაფერი სარდალი იყო: დიდი ძალებით მასზე უკეთ არავის არ შეეძლო სარგებლობა“. ეს მისი მსჯელობის კიდევ ერთი დადებითი მხარეა.

სახელმძღვანელოში ფართოდ არის გაშუქებული ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა, მისი ომები. ცხადია, ეს ძალიან კარგია, მაგრამ აქ წამოიჭრება ერთი საკითხი. ხომ არ ხდება ეს საშინაო პოლიტიკის განხილვის საზიანოდ? რა დოზით შეიძლება მივანდოლოთ მოსწავლეს ეს თემები? უნდა გამოვწიოთ საგარეო და საშინაო პოლიტიკის შეწინააღმდეგებლად გაშუქების ოპტიმალური გზა. აქ სახელმძღვანელო ჯერ ისევ ძიების პროცესშია.

სახელმძღვანელო ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე ყურადღების გამახვილება წარმოადგენს. საკითხის ამგვარი გადანყვეტა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში პირველ ყოვლისა რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს კეთილსიმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი ჩანს. შარლ დე გოლის თქმით, „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო საქმესა და მმართველობაში“. პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გაუუსვათ იმას, რომ დიმიტრი უზნაძის მიდგომა არ წარმოადგენს ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობის აპოლოგიას. სავსებით ვეთანხმებით მას, როდესაც საკანონმდებლო ხელისუფლებას უფრო სუსტად მიიჩნევს. მან კარგად აღნიშნა, რომ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობა პროგრესულ ხასიათს ატარებდა. „სამოქალაქო უფლება ორ საფუძველზე იყო აშენებული — კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობაზე და ინდივიდუალიზმზე“. ფაქტობრივად, აქ მხედველობაში აქვს ის, რომ ნაპოლეონმა შეინარჩუნა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. თანამედროვე ავსტრალიელმა ისტორიკოსმა, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორმა, მარტინ ლაიონსმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონმა იურიდიულად გააფორმა და განამტკიცა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი.



დიმიტრი უზნაძე

ვით, ალბათ, გაცილებით უპრიანი იქნებოდა დაწყებულიყო არა 1799 წლის კონსტიტუციის განხილვით, არამედ ნაპოლეონის ბიოგრაფიის გადმოცემით. ამას, ცხადია, თავისი შემეცნებითი დატვირთვა ჰქონდა და მოსწავლეებს სრულ წარმოდგენას შეუქმნიდა ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის აღზევების მოტივებზე. იგი არაფერს არ ამბობს ნაპოლეონის ბავშვობაზე, სკოლაზე, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, კორსიკაზე, პირველ წარმატებებზე. კრინტს არ ძრავს ტულონის აღებაზე 1793 წლის 17-19 დეკემბერს. ლევ ტოლსტოის თქმით, ეს იყო „პირველი ნაბიჯი დიდების გზაზე“.

ხშირად ნაპოლეონის ეპოქას საფრანგეთის რევოლუციის ხანად მოიაზრებენ. ეს მოსაზრება ერთ-ერთი პირველი რესტავრაციის ეპოქის ფრანგმა ისტორიკოსებმა გამოთქვეს და მას შემდგომ ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა. საინტერესოა, რა პოზიცია ეკავა ამ პრინციპულ საკითხში დიმიტრი უზნაძეს. პირველი ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იგი ხაზს უსვამს რევოლუციის ხანისა და ნაპოლეონის ეპოქას შორის არსებულ გენეტიკურ კავშირს, მაგრამ ამ ორ ეპოქას არ ავიგებს და მკვეთრად გამოიჯნავს. მათ შორის წყალგამყოფად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1799 წლის

კონკორდატისადმი დამოკიდებულება სახელმძღვანელო კიდევ ერთი ღირსებაა. „კონსულმა გადასწყვიტა, რელიგიური რწმენა თავისი უფლების განსამტკიცებლად გამოეყენებინა. რევოლუციის იდეა რელიგიური ტოლერანტობისა მან საფუძვლად მიიღო და ყველა სარწმუნოებას თავისუფალი არსებობის უფლება მიანიჭა სახელმწიფოში, მაგრამ საფრანგეთის მთავარ სარწმუნოებრივ დაწესებულებად მაინც კათოლიკური ეკლესია სცნო და, რამდენადაც ეს შესაძლო იყო, მისი ორგანიზაციის სახელმწიფოს ორგანიზაციასთან შეგუებას შეეცადა“.

ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნაპოლეონი შეეცადა რელიგიური საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტას და კურსი რჯულთმემწყნარებლობაზე აიღო. ამან რელიგიურ საკითხს დაუკარგა უწინდელი სიმწვავე. კონკორდატის თანახმად, ეპისკოპოსებს მთავრობა დანიშნავდა, ხოლო პაპი კანონიკურად დაამტკიცებდა მათ. ეს საფრანგეთის დიპლომატიის დიდი წარმატება იყო, ვინაიდან საფრანგეთის ახალი რეჟიმი სცნო მისმა ყველაზე დაუძინებელმა მტერმა — რომის პაპმა. კონკორდატს წმინდა კონფესიული დატვირთვის გარდა, პოლიტიკური მუხტიც ჰქონდა. ნაპოლეონი შორსმდევალ მიზნებს ისახავდა და სურდა, რომ კათოლიკეები ჩამოემორებინა როიალიზმისათვის. კონკორდატის შედეგად მან შეძლო ამის განხორციელება. თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟან ტიულარი ფიქრობს, რომ დიდი ხნის მანძილზე როიალისტური მოძრაობის სისუსტე მნიშვნელოვანწილად რელიგიური საკითხის გადანაცვლებით იყო გამოწვეული.

დიმიტრი უზნაძეს უყურადღებოდ არ რჩება ნაპოლეონის ეკონომიკური პოლიტიკა, სახელდობრ, კონტინენტური ბლოკადა. სახელმძღვანელოში ამ თემის განხილვისათვის მიჩენილი ადგილი დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. ეს საკითხი საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილია და ჰაერში გამოკიდებული რჩება. უმჯობესი იქნებოდა განხილულიყენო 1806 წელს პრუსიის დაპყრობის დროს და არა ესპანელი ფანცდელი პირველი წარუმატებლობის შემდეგ. ეს უფრო ლოგიკურია. ნაპოლეონმა კონტინენტური ბლოკადის შესახებ დეკრეტს ხელი მოაწერა ბერლინში 1806 წლის 21 ნოემბერს. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გამოძახილს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში ნაპოლეონის ეკონომიკური პოლიტიკა გაშუქებულია შედარებით სუსტად, მკრთალად.

ამ სახელმძღვანელოში ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ნაპოლეონის ომების სოციალურ ასპექტთა ცაცნობიერება წარმოადგენს. მან კარგად დაინახა და გამოკვეთა, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა. „ნაპოლეონი წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავგოსის თავლებს“. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიმიტრი უზნაძეს ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა ცაცნობიერებული ნაპოლეონის გმირული ეპოპეის პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა. ეს მისი მსჯელობის პოზიტიური მხარედ გვევლინება.

„საფრანგეთის ევროპაში გაბატონებას ერთი კარგი მხარე ჰქონდა: რევოლუციით შექმნილი სამოქალაქო წყობილება თითქმის მთელ ევროპაში გავრცელდა. სადაც კი გამოჩნდნენ საფრანგეთის ჯარები, ბატონყმობა, ფეოდალური პრივილეგიები და დახვსებული ძველი კანონები

ყველგან ისპობოდა და მის მაგიერ სინდისის თავისუფლება, ნაპოლეონის კოდექსი და ფრანგული ბიუროკრატიული სისტემა მყარდებოდა“ (აქ უნებლიეთ გაპარულია ერთი უზუსტობა — ძველი რეჟიმის დროს ბატონყმობა უკვე აღარ არსებობდა).

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა შემთხვევითი არ ყოფილა და მხოლოდ პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გავლენით როდი აიხსნება. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის მოწინავე წარმომადგენელთა სახით მას თვალსაჩინო წინამორბედი ჰყავდა ამ საკითხში. მის შეხედულებათა ფორმირებაზე მათი გავლენა გამორიცხული არ შეიძლება იქნას.

დიმიტრი უზნაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამას ის არ მიჰყავს ნაპოლეონის დაპყრობების აპოლოგიად, რაც ფართოდ ინერგებოდა XX საუკუნის დასაწყისის ფრანგულ ისტორიოგრაფიაში და 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში განცდილი მარცხის ანარეკლს წარმოადგენდა.

გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერ ვანდალი ამტკიცებდა, რომ „ნაპოლეონი ელბასა და ოდერზე, რომ იბრძოდა, მაშინაც სამშობლოს იცავდა“. XX საუკუნის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორის ჟაკ გოდმოს თქმით, „1914 წლის თაობა ალიზარდა ნაპოლეონის კულტის ატმოსფეროში“. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელიც დიმიტრი უზნაძეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული.

მედალს აქვს მეორე მხარე, რომელიც ქართველ მკვლევარს თვალსაჩინო მიღმა არ რჩება. უზარმაზარი კონტრიბუცია და გაზრდილი გადასახადები პირდაპირ წელში წყვეტდა ადგილობრივ მოსახლეობას. ეს დაპყრობილ ტერიტორიებზე ფეთქებადსაშიშ ვითარებას ქმნიდა. იგი იმონმებს ვესტფალიის მეფე ჟერომს, რომელიც თავის ძმას ატყობინებდა: „ომი რომ დაიწყოს, რინსა და ოდერს შუა მდებარე ადგილებს მყის აჯანყება მოიცავს. ამ სამიში მოძრაობის მიზეზი მარტო ფრანგებისა და უცხოელების ბატონობისადმი სიძულვილით როდი აიხსნება. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა საზოგადოების ყველა ფენის გალატაკებას აქვს. გადასახადების აუტანელი სიმძიმის, სამხედრო კონტრიბუციების, ჯარის შენახვის, მეომრების ჩაყენებისა და ყოველგვარი შევიწროვების გამო, რაც აქ ჩვეულებრივი მოვლენად გამხდარა... სილატაკე ყველგან სტანჯავს ოჯახებს. აზნაური, გლეხი, მოქალაქე გაჭყლეტილია ვალეებით და გაჭირვებით. უნდა გვემინოდეს ხალხის სასონარკვეთილების, რომელსაც დასაკარგავი აღარაფერი აქვს, ვინაიდან მას ყველაფერი წაართვეს“. ამიტომაც, მიუხედავად ნაპოლეონისადმი სიმპათიებისა, დიმიტრი უზნაძე არ შეიძლება მივიჩნიოთ ნაპოლეონის ბრმა აპოლოგეტად.

საფიქრებელია, რომ ნაპოლეონის მოღვაწეობის მწვერვალად მას 1805-1807 წლები ესახებოდა. „ამ ზავის (ე.ი. ტილზიტის — მ.კ.) შემდეგ ნაპოლეონის სრულ ბატონობას დასავლეთ ევროპაში ხელს აღარაფერი უშლიდა“. რუსი დიპლომატი თავადი კურაკინი იმპერატორ ალექსანდრე I-ს ატყობინებდა. „?უნდიდან მესინის სრულტემდე პირინიდან ოდერამდე ყველაფერი საფრანგეთია“. როდესაც გენერალ გურგომ ნაპოლეონს ჰკითხა, როდის იმყოფებოდა ძლიერების ზენიტში, ის ცოტა ხანს დაფიქრდა და მიუგო: „ალბათ, ტილზიტში“.

დიმიტრი უზნაძეს ნაპოლეონის დამარცხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მსოფლიო ბატონობისკენ მისი მისწრაფება ესახება. მსოფლიოს დაპყრობის იდეა ქიმერა იყო. ამაში დ. უზნაძე სავსებით მართალია. ტრიუმფალურმა წარმატებებმა ნაპოლეონს თავბრუ დაახვია. განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ, ეტყობა, რეალობის გრძნობა დაუკარგა. შესაძლებელია ამით აიხსნებოდეს, რომ ნაპოლეონი უარს ამბობდა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე და ხსნას ბრძოლის ველზე ეძებდა. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ როგორც კი ნაპოლეონის ომების სოციალურმა ასპექტებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ამ ომებმა მკვეთრად გამოკვეთილი დაპყრობითი ხასიათი მიიღო, ნაპოლეონის დაცემა გარდაუვალი შეიქნა.

ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია მისი მოსაზრება, თითქოსდა „გენერალ ბონაპარტეს იდეალს ის შეადგენდა, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია სრულიად სამხედრო ორგანიზაციისათვის დაექვემდებარებინა“. ეს იყო ერთი ხედვა, რომელსაც მაშინაც და დღესაც თავისი მომხრეები ჰყავს. არის სხვა ხედვაც. სინამდვილეში საქმის ვითარება გაცილებით რთულია. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა თანამედროვე ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან ტიულარმა, რომელიც ნაპოლეონის რეჟიმისადმი საკმაოდ კრიტიკულადაა განწყობილი. მისი შეხედულებით, ნაპოლეონის რეჟიმი არ წარმოადგენს წმინდა სამხედრო დიქტატურას. სახელმწიფო ხელისუფლებამ შეინარჩუნა სამოქალაქო ხასიათი.

საკამათოდ მიგვაჩნია დიმიტრი უზნაძის მოსაზრებაც, თითქოსდა რევოლუციის დროს, ნაპოლეონი იყო რობესპიერის პარტიის მომხრე. რეალობა გაცილებით უფრო რთული და მრავალნახნაგოვანია. ნაპოლეონი არასოდეს ყოფილა რწმენით იაკობინელი. ფრანგი ისტორიკოსის არტურ შიუკეს თქმით, „ნაპოლეონი იმიტომ ემხრობოდა იაკობინელებს, რომ გამაჯფება მათ მხარეს იყო“. ნაპოლეონის მხრივ ეს იყო პირწმინდად პრაგმატული ნაბიჯი.

ძნელი სათქმელია, რომ 1812 წელს რუსეთში ნაპოლეონის არმიის წარუმატებლობა განპირობებული იყო მკაცრი რუსული ზამთრით. ეს უეჭველად, იყო ერთ-ერთი ფაქტორი. სხვათა შორის, ეს აზრი ერთ-ერთმა პირველმა ნაპოლეონმა გამოთქვა. შემდგომ ეს იდეა ისტორიკოსებმაც აიტაცეს. ერთ-ერთი იყო ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი ჰანს დელბრიუკი. არსებობს ამის გამომწვევი სხვა სერიოზული ფაქტორებიც, რომლის გვერდის ავლიაც, აღნიშნულ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი შეგვიქმნის.

არაა გამორიცხული სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის კომპოზიციის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა. ჩვენი აზრით, ის ძალიან დანაწევრებულია და მთლად დამაჯერებელი როდი ჩანს. ფაქტობრივად, ის იძლევა საკითხის პარაგრაფების და არა თავების მიხედვით დაყოფას. ამითაა განპირობებული, რომ დეტალები დომინირებს საკვანძო საკითხებზე მსჯელობისას. ამგვარი მიდგომა რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ეს მოსწავლეს ყურადღებას უფანტავს. შესაძლოა დიმიტრი უზნაძეს უნდოდა მასში გარკვეული კორექტივების შეტანა, მაგრამ დროის იმ მცირე მონაკვეთში, მწვავე ცაიტნოტში,

რომელიც სუვერენულ საქართველოში არსებობდა, ეტყობა, ველარ მოასწრო. სასურველი იქნებოდა მოსწავლეთა ყურადღების წარმართვა სამი ძირითადი მიმართულებით: 1. ნაპოლეონის სიჭაბუკე და აღზვევა (1769-1799). 2. კონსულობის ხანა (1799 1804), 3. იმპერია (1804-1815).

ამას თავისი შემეცნებითი დატვირთვა აქვს. აქ ის მოგვცემდა ნაპოლეონის ეპოქის პერიოდიზაციას. ეს მოსწავლეებს ამ პრობლემაზე კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა. ფაქტობრივად, აღნიშნული პრობლემის განხილვას, სწორედ ეს სქემა უდევს საფუძვლად, მაგრამ ძალიან დანაწევრებულია. ცალკეული თემები დომინირებს პრობლემებზე.

დიმიტრი უზნაძეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლის მნიშვნელობა. დიდ ადამიანს შესწევს უნარი კატალიზატორის როლი შეასრულოს და დააჩქაროს ისტორიული პროცესები. მათი დამსახურება ესაა. დიმიტრი უზნაძე სწორედ ასეთ პიროვნებად მოიაზრებდა ნაპოლეონს. შეიძლება ითქვას, რომ ის არჩევანში არ შემცდარა. ნაპოლეონისადმი მისი სიმპათია ამის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ნაპოლეონის მოღვაწეობის მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღებია, მაგრამ ზომიერების გრძნობა უნდა დავიცვათ. ნაპოლეონის განდიდება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

მისასალმებელია, რომ სახელმძღვანელო გადატვირთული არაა ფაქტებით. ის არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. ასეთი სახელმძღვანელო საინტერესო არაა. ამ სახელმძღვანელოს ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ მათ რიცხვს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მაგრამ, როგორც ჩანს, ის სხვა უკიდურესობაში ვარდება. ვგულისხმობთ, რომ ის ასახელებს მოვლენებს, დიდ ბრძოლებს, მაგრამ მათ თარიღებს არ მიუთითებს. მეთოდური თვალსაზრისით ეს გამართლებული არ უნდა ჩანდეს. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ქართველი მკვლევარი პ. ვინოგრადოვის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს კვალს მიყვება.

\*\*\*

ამრიგად, დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში თავმოყრილია საინტერესო და მდიდარი ინფორმაცია ნაპოლეონზე, რომლის მნიშვნელობას ძირითადად მისი შემეცნებითი დატვირთვა განაპირობებს. სახელმძღვანელო ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. ეს იყო მთავარი. ამ კულტურტრეგერულ მისიას ავტორებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მისი მნიშვნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. დიმიტრი უზნაძის სახით საქმე გვაქვს ქართულ ნაპოლეონიანაში ბონაპარტიტული ფრთის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან. მისი დამსახურება ისაა, რომ ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პოპულარიზაცია მეცნიერული ელფერი შეიძინა. იკვეთება აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის მეცნიერული წანამძღვრები. ეს კი ქართულ ნაპოლეონიანაში თვისებრივი სიახლე იყო.



კრისტოფ მაგნუსონი დაიბადა 1976 წელს, ჰამბურგში, ცხოვრობს ბერლინში, არის მწერალი და მთარგმნელი ისლანდიურიდან. მისი კომედია „კაცების საუნჯე“ დაიდგა ოცდაათზე მეტ თეატრში — შინ თუ საზღვარგარეთ... ინტერვიუ მისი რომანის „ეს მე არ ვიყავი“ შესახებ დაიბეჭდა ჟურნალში „Financial Times Deutschland“ („გერმანიის ფინანსური დროება“).

## ფინანსური სამყარო ცხოვრობს რეპორტაჟებით

— გადაუხადეთ მადლობა ფინანსურ კრიზისს?

— როგორ?

— თქვენი რომანი პირველი წიგნია, რომელიც კრიზისს აღწერს. ეს მაინც კარგი რეკლამაა თქვენთვის.

— არადა, წიგნის წერა ფინანსურ კრიზისამდე ბევრად ადრე დავიწყე, 2007 წლის ზაფხულში, ის იყო იწყებოდა იპოთეკის კრიზისი, ლემან ბროდერი იძულებული რომ გახდა, თავი გადახდისუუნაროდ გამოეცხადებინა, მოქმედების ჩონჩხი უკვე მზად მქონდა. მაშინ ჯერ კიდევ ვფიქრობდი: წყეული კრიზისი დიდი ხნით ჩავლილი იქნება, როცა ჩემი წიგნი გამოვა-მეთქი.

— და რას ფიქრობთ დღეს?

— ფინანსური კრიზისი იყო — ჩემს წიგნს შეეხება რაც — სულ მცირე უძვირესი სარეკლამო კამპანია, რაც კი ოდესმე ყოფილა. ამიტომ შემძლია მადლობა გადავუხადო.

— მაინც რატომ ჰყვებით ამბავს საგანგებოდ ფინანსური სამყაროდან?

— რადგან ფული ლიტერატურაში ძალიან იშვიათად თამაშობს როლს. უპირატესად, თუ დაფიქრდები, ნეტა რომელ მნიშვნელოვან როლს იკავებს ჩვენს ცხოვრებაში. გარდა ამისა, მაინტერესებს კავშირი ნარატივისა და ფინანსების.

— რას გულისხმობთ?

— არავინ გაიმეტებს ინვესტიციას მხოლოდ წარმოებისათვის. ფინანსური სამყარო ცხოვრობს, როგორც კარგი ამბების ლიტერატურა. ბირჟებზე ცვივა წინადადებანი, ვთქვათ, „აქციის ისტორია ჯერაც მოქმედია“ — ინვესტორები შეცდომით აბანდებენ ფულს ლამაზ ისტორიებში, რაიმე ნამომწყების პერსპექტივაში. მე ამ სამყარომ დიდი ხანია მომხიბლა. სხვათა შორის, ყრმობიდანვე ვარ საკმაოდ თავისუფალი ილუზიებისგან.

— როგორ?

— პირველი ზიარებისას მივიღე 400 მარკა საჩუქრად, რაც, სამწუხაროდ, მაგნიტოფონისთვისაც არ კმაროდა, ამიტომ მე ის უბრა — და — ზალციის — აქციებში დავაბანდე, რაც თავიდან ძალიან კარგად აენყო. შემდეგ კი ბრემერის ვულკანზე აღმოვჩნდი. კარგით, უკვე იცით, როგორ წარიმართა გადაგდება ბრემენში... ამიტომ ფასდაკლება არასდროს გამიკეთებია. ის მე არ მაინტერესებდა, როგორც საშუალება ფულის საშოვნელად, მაგრამ ხიბლი ფინანსური სამყაროსადმი დარჩა.

— რომანისთვის აუცილებლად უნდა შეგეთხზა ერთ საქმოსანზე. როგორ მოახერხე ეს?

— ჯერ ბევრი ვიკითხე, სხვა წიგნებს შორის წიგნი „ლიარს პოკერ“, სადაც მიხაელ ლევის, ინვესტორთა ბანკის თანამშრომლის, გამოცდილებას ვამუშავებდი. და ავტობიოგრაფიას ნიკ ლესონისა, რომელმაც 1995 თავისი სპეკულაციებით ინვესტორთა ბანკი დაანგრია. გარდა ამისა, 2008 წლის დამდეგს ჯერომე კერვილის ისტორიასაც გავეკიდე, რომელიც სოსიეტე შენერალს ხუთი მილიარდი ევრო დაუჯდა.

— ესაუბრებოდი ბიზნესმენებს ფრანკფურტშიც?

— შემეძლო რამდენიმე დღე ინვესტორთან ერთ დიდ ბანკში გამეტარებინა და მისთვის მხრებს ზემოდან მეშხირა. გარდა ამ-



კრისტოფ მაგნუსონი

სა, დიდხანს ვსაუბრობდი ყოფილ ბიზნესმენტან, რომელმაც ფრანკფურტში, ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლაში, დისერტაცია დაიცვა. ძალიან ვწერე ვილობდი. მსურდა ჩემს წიგნში სამყარო სწორად აღმეწერა და, ამასთან, უწინარესად საშინელი იარლიყებს ვავრდიებოდი. რატომღაც ყოველთვის ფიქრობენ, რომ სავაჭრო სახლებში საშინელი ხმაურია. მაგრამ ამ სურათს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. იქ ნამდვილად სიმშვიდეა, თუმც თითოეულს ორი ტელეფონი აქვს.

— ჯასპერი გაუთავებლად „სნიკერსებს“ ჭამს. ეს თქვენი დაკვირვებაა?

— ჭამის კალორიები ვაჭრებთან ნამდვილად მეტისმეტია. ეს არა მხოლოდ დროის ნაკლებობითაა გამოწვეული, არამედ, მჯერა, კულტურასაც ეკუთვნის. მათ საერთოდ არ სურთ ისე იყვნენ, როგორც ახალგაზრდები, რომლებიც ჯანმრთელად ცხოვრობენ და სამუშაო ოთახებში კედელთან სხედან. ბიზნესმენტა დარბაზები მოკრძალებულია. ხალხი ძლიერი ნებისაა, თავს გრძობენ როკვარსკვლავებად.

— კლიშე კი დიახაც არის: მოთამაშეთა სამყარო შურიანია.

— მე ამას ასე არ ვიტყვოდი, რადგანაც რომანში ფინანსური სამყაროს შეფასება არ უნდა ყოფილიყო. არც საყვედური, არც ბოდიში, ანდა — თავის მართლება.

— თქვენი მთავარი პერსონაჟი ჯასპერი იარლიყს არც შეეფერება, იგი უფრო სიმპათიური ახალგაზრდაა საახლობლოდ.

— მე მას თანავუგრძობდი. მკითხველს უნდა შეეძლოს დისტანცირება, გაგება იმისა, თუ რატომ იქცევა კასპერი ისე, როგორც იქცევა. იგი ქმნის თავის პროფესიას, რადგანაც აღიარება სურს. შურით და დემონურად რომ მომენყო, მისი თავიდან მოშორება ძალიან მარტივად შეიძლებოდა, მაგრამ ამაზე ვერ ააგებ კავშირს პიროვნებასთან. აქ იმაზე იყო, ნორმალური და მნიშვნელოვანი მეჩვენებინა. ამიტომ არის მაგალითად, ჯერომე კერვილი ჩემთან უფრო ახლოს, ვიდრე ნიკ ლესონი.

— რა მსგავსებაა ჯასპერსა და კერვილს შორის?

— ჯერომესაც არ ჰყავდა მეგობრები ბანკში, ახალგაზრდა ინვესტორი იყო და იქვე ჩაიძირა, იმიტომ, რომ სწორი პოზიცია არ ჰქონდა. ვიფიქრე, ლიტერატურულად ეს შესაძლოა ასე გააკეთო. ეს შესაძლოა ნამდვილად მოხდეს, თუ ვინმე საზღვრებს გადააბიჯებს, რადგანაც აღიარება მონებებია.

— რა ნაგადაგათ აქედან წიგნითა და კრიზისით?

— შეფასებანი საბოლოოდ მაინც შემომეპარა რომანში. თუმცა მე არადოგმატურად მივუდექი ამბავს. აქ არ უნდა ყოფილიყო დიდი იდეოლოგიური შეფასებანი. არც საჩივარი, არც დიდ მოპოვებებს, ანდა — გამართლება, მაგრამ წინა კარიდან გარკვეული სახის კაპიტალიზმის კრიტიკა — ანდა სულაც ფინანსური სამყაროს კრიტიკა — მაინც შემომეპარა.

გერმანულიდან თარგმნა  
სათუნა პატაპურმა

# თეატრი ზნეობას უნდა ემსახურებოდეს!

ნიკო ჩხიკვიძის  
ესაუბრაბა  
თემურ ჩხეიძე

— ბატონო თემურ...

— ნინო, ერთი რამ უნდა გითხრათ: საერთოდ, ამ ტიპის ინტერვიუებს სატელევიზიო ინტერვიუ მირჩევნია, რადგანაც მასში ყოველთვის არის ინტონაცია, საგაზეთოში კი — არა.

— მესმის, რასაც გულისხმობთ...

— ერთხელ რა მკითხეს, იცით?

— ?..

— მოსკოვში ჩავიტანეთ „ოტელიო“. დიდი გამომხაურება მოჰყვა. ერთ-ერთ სატელევიზიო შეხვედრაზე ჟურნალისტმა მკითხა: „ოტელიო“ რატომ აირჩიეთ დასადგმელადო? იმიტომ, რომ კარგი პიესაა-მეთქი, ვუპასუხე. ამაზე ყველას გაეცინა და მორჩა...

— ამ დროს, ეს საგაზეთო ინტერვიუში რომ გეთქვათ, ატყდებოდა ერთი ამბავი.

— აბა რა! თუ გახსოვთ, ერთხელ ვთქვი: სადაც სპექტაკლს ვდგამ, იქ არის ჩემი სახლი-მეთქი!

— მახსოვს...

— მაშინ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: როცა სპექტაკლს ვდგამ, ვცდილობ, ყველაფერი ვილონო იმისთვის, რომ მონანილეთათვის ის თეატრი საკუთარი სახლი გახდეს. ნუთუ გაუგებარია ეს?


— მაშ მხოლოდ რუსეთი არ ყოფილა თქვენი სახლი, ამერიკაშიც დაგიდიათ ბინა და ეგ არის...

— ეგრეა, ეგრე... ამიტომ არ ღირს ზედმეტი ლაპარაკი, ყოველთვის მოგდებენ შარს: ერთხელ მკითხეს სპექტაკლზე მუშაობისას, რა განსხვავებაა ოპერასა და დრამას შორისო? ვუპასუხე, არავითარი, ოპერაში რატომღაც მღერიან-მეთქი... და ერთმა თეატრმცოდნემ დაწერა — ჩხეიძეს ვერ გაურკვევია, ოპერაში რატომ მღერიანო?!

უმეტესობამ არ იცის მოსმენა...

— და არც კითხვა?

— კითხვა იციან, ამოკითხვა — არა!



— ანუ როგორც გალაკტიონი იტყოდა: არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი... მაგრამ ვინაა აქ გამკითხველი?

— მართალია!..

— ბატონო თემურ, მოდით, ისევ სარეჟისორო „ატრიბუტებს“ დავუბრუნდეთ, ხშირად უგულებელყოფთ თეატრალურ ფარდას?

— არა, რატომ? დეკორაციის ტიპს გააჩნია. გააჩნია რას დგამ და როგორაა სპექტაკლი გადწყვეტილი. როცა ფარდას გახსნი, სხვა სამყაროში უნდა აღმოჩნდეს მაყურებელი. ფარდა ილუზიის შესაქმნელადაა საჭირო.

გეკითხებით, რად უნდა ფარდა „კოპენჰაგენს“, „არტს“, „ბრმა მხედველს“?

„მარიამ სტიუარტი“ არის ფარდა. „ბიძის სიზმარში“ — ოლონდაც ჰაეროვანი, გამჭვირვალე...

— ამიტომაც აღიქმება დეკორაციად, როგორც სიმბოლო, თითქოს გაუხეშებულ ყოველდღიურობას რაღაც უხილავი, გამჭვირვალე ფარდა ფარავს, რომლის მიღმაც იმალება ჩვენი ნამდვილი სულიერი სამყარო...

— მართალია, დეკორაციად აღიქმება, მაგრამ ფარდის ფუნქციასაც ასრულებს;

„მარიამ სტიუარტი“ ოფიციალური ფარდაა იმ თეატრისა, სადაც ვთამაშობთ. უბრალოდ, ყველაზე მეტად მომწონს ის ფარდა, რომელიც უშუალოდ ბდტ-შია, რადგან როგორც მოგესურვება ისე იწვევა, ორივე მხარეს, დიაგონალზე, ფრთებივითაც ადის და უცებ... სადღაც იკარგება.

— „ოტელიოს“ ფარდა არ ჰქონია.

— რადგან საკმაოდ „დატვირთული“ დეკორაცია ჰქონდა, ამიტომ დარბაზში შემოსულ მაყურებელს თავიდანვე უნდა აღექვა ეს სამყარო, რომ მერე

სპექტაკლის მსვლელობას არ მოწყვეტოდა.

— „ჯაყოს ხიზნებს“ ფარდა ჰქონდა? ვერ ვიხსენებ.

— როგორ არა, იყო.

— „ჰაკი აბბას“ არა ჰქონია.

— დეკორაციამ არ მოითხოვა.

— „პილატესაც“ ჰქონდა ფარდა, არა?

— ალბათ კი!..

— აღრეც გითხარით და ამის გამეორებით არ დავილლები — „პილატეს“ ასე არ უნდა „ჩაეწლო“ ...

— თქვენ, მგონი, ერთადერთი ხართ, ვისაც ეს სპექტაკლი მოეწონა.

თუმცა... ერთნიშნა აღქმა არ არსებობს.

— გეთანხმებით, ერთნიშნა აღქმა არ არსებობს, მაგრამ შესაძლებელია კი თემურ ჩხეიძის სპექტაკლის ამგვარი იგნორირება?

— რატომაც არა? რა არის ამაში გასაკვირი? მე არა ვარ გამონაკლისი! ჩემნაირებს კი არა, გენიალურ მწერლებსაც შეჰბედეს: პუშკინი გაიხსენეთ, გინდა შილერი, რა რეცენზიები იწერებოდა მათ ქმნილებებზე და როგორ უწევდათ თავის მართლება, რომ წაიკითხოთ, გაოგნდებით.

იცით ვერდის რას ეძახდნენ?

— ?..

— მეარლნეს... და როგორი მეარლნეა, უსმინეთ ერთი... ამ მაგალითების მერე, რალა უნდა გაგიკვირდეთ?

— ნანარმოების აღქმა სუბიექტურია.

— ისევე როგორ დადგმა, მე და თქვენ ხომ შევთანხმდით ამაზე?

— დიახ, ბუნებრივია, ადამიანი ყოველთვის სუბიექტურად აღიქვამს სამყაროს, მოვლენებს...

— საერთოდ, ხელოვნების ნანარმოები რომელიმე კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის სუბიექტური აღქმის გამოხატვაა. სუბიექტური დამოკიდებულება ცხოვრებისა და მომხდარი ამბისადმი, რომელსაც ავტორი ასევე სუბიექტურად აღწერს. თუმცა... სუბიექტურობა ცუდს არ ნიშნავს.

— მე ასე ვხედავ, ასე მიმაჩნია...

— აბა, სხვანაირად როგორ?! არ მოგწონთ ჩემი ნამუშევარი? კი ბატონო, უკეთესად თქვენ დადგით... ნუ მოვკლავთ ამისთვის რეჟისორს!

— ეტყობა, რალაც ხდება, ბატონო თემურ, ჯერ კიდევ როდის წერდა მიხეილ თუმანიშვილი: დღევანდელი თეატრი საკმაოდ მძიმე სენით არის შეპყრობილი და ამ სენს შეიძლება უსახურობა ვუწოდოთ!

იქნებ ბევრი რეჟისორი, თეატრმცოდნეც შემომედავოს, მაგრამ მაინც ვიტყვი — უსახურ ნარმოდგენათა შორის თქვენს სპექტაკლებს „ნითელი კაბა აცვია“...

— ჩემი სპექტაკლები მჭახე არ არის!

— მჭახეს არა, გამორჩეულობასა და ორიგინალურ ხელწერას ვგულისხმობ... კარგი, „პილატეს“ თავი დავანებოთ, „ბრმა მხედველზე“ მხოლოდ ერთადერთი, მანანა ტურიაშვილის საინტერესო რეცენზია დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს მწერლობის“ ფურცლებზე. მეტი რეცენზია არ უნდა დაბეჭდილიყო?

— საერთოდ, აუცილებელი არ არის სპექტაკლი მოგწონდეს, რომ გამოეხმაურო. ცოცხალი თეატრალური პროცესისთვის განხილვა აუცილებელია.

— რატომ „ჩაიარა“ „ბრმა მხედველმა“ ასე?

— არ ვიცი, ვერ გეტყვი. იცით, რა მითხრა ზოგიერთმა, „მარიამ სტიუარტი“ რომ ნახა?

— რაო?

— აი, ეს როგორი თეატრალური სპექტაკლია და „ბრმა მხედველი“ კიდევო...

— ვითომ არც არაფერიო? არადა, სავსებით ახალი მოვლენაა ქართულ თეატრში. მთელი სპექტაკლი მონოლოგებზეა აგებული. რატომ არავინ აქცევს ამას ყურადღებას?

— არ მოსწონთ, მიუღებელია და მორჩა!

— ერთმა მითხრა, რა არის ეს, მხოლოდ არტისტების ანაბარა ხარ დარჩენილიო, და აბა, ვისი ანაბარა უნდა ვიყო-მეთქი, გამიკვირდა. რატომაც ყოველთვის ჰგონიათ, რომ ასეთ სპექტაკლებს მსახიობები თავისით თამაშობენ...

— როგორც „არტი“, არა? თუმც ესეცაა — ფსიქოლოგიური თეატრი თავის მაცურებელს მოითხოვს... მაინც რატომ დაინტერესდა თემურ ჩხეიძე „ბრმა მხედველით“?

— ამ პიესაში უაღრესად მნიშვნელოვანი რამ ხდება.

— ინგრევა სამი ადამიანის ცხოვრება და ამით ინგრევა სამყარო, რომელიც მათ აკრავს..

— ჰოდა, არ გეტყვით ვინ, მაგრამ ერთმა მითხრა — „ბრმა მხედველში“ მხოლოდ ის მომენტონა, ბოლოს რომ ცეკვაა შუშის უკანო!

— ეს გარეგნული ეფექტია და მეტი არაფერი, ერთგვარი სანახაობა... დღეს მხოლოდ უსაგნო, სანახაობრივი სპექტაკლებისკენაა სწრაფვა. „ბრმა მხედველისა“ და „სტიუარტის“ შედარება როგორ შეიძლება? თუმცა, სახიერების მხრივ, „მარიამ სტიუარტში“ ნამდვილად ჭარბობს ეს ეგერეთონოდებული სახიერება. დედოფლების შეხვედრის სცენა მაგონდება. ჩემთვის ის ერთგვარი „პირველი“ ფინალია.

— ეს შეხვედრა კულმინაციაა!

— რამდენი ხანია, რაც სპექტაკლი არსებობს?

— მეშვიდე წელიწადია და რა არის, იცით?.. ზოგჯერ ისე კარგად გაივლი სამუშაო პროცესს, რომ მერე, რაც მეტი დრო გადის, უკეთესად თამაშობენ მსახიობები, ვიდრე თავის დროზე, როცა სპექტაკლი დადგო.

— ბატონო თემურ, „ბიძის სიზმარზე“ რომ ვსაუბრობდით, მაშინ მაისურაძე ახსენეთ და „მარიამ სტიუარტსაც“ ხომ არ ჰყავს მსგავსი ვინმე?

— არა.

— რაზეა სპექტაკლი, სიყვარულსა და ძალაუფლებაზე?

— ერთი სიტყვით ამისი ახსნა ძალიან ძნელია. უამრავი პლასტია გრძნობებისა და აზრების... ალბათ უფრო მოვალეობაზე! ელისაბედს კარგად ესმის, თუ ქვეყნის სათავეში ხარ, საკუთარ ბედნიერებაზე აღარ უნდა იფიქრო!

— დედოფლობა, არც იმპერატორობა, თურმე სულაც არ ნიშნავს ბედნიერებას, ხშირად პირიქითაც ხდება.

— აბა, რა!

— ანუ ძალაუფლება არაფერს ცვლის ქალის პირად ცხოვრებაში...

— არადა, ამ დროს ინგლისის ისტორიაში შესულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მმართველი.

— რთული ჭიდილია!

— ამგვარ ჭიდილში ელისაბედი ბედნიერი ვერ იქნება... მას უფლება არა აქვს, ჩამოუშვას ხელები და იტყოს — უბედური ვარო!.. ისე, მე თუ მკითხავთ, აქაც კაცები წყვეტენ ყველაფერს. აი, მაგალითად, ბერლი, ხომ ითვლება უარყოფით პერსონაჟად, ამ დროს, მთლად ასეც არაა საქმე: ეს კაცი მთელი თავისი არსებით იბრძვის ინგლისის კეთილდღეობისთვის. თუ გახსოვთ, დედოფალს ეუბნება, მე არა მხოლოდ თქვენი, არამედ მთელი ინგლისის გადარჩენა მინდაო. ამიტომ ითხოვს მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯას, ამიტომ ამტკიცებს, უეჭველად მოხდება აჯანყება, უამრავი ადამიანი გადადის მათ მხარეს, ამ ყველაფერს სათავეში რომის პაპი უდგასო... და რა გირჩევნიათ, დამოუკიდებელი იყოს ინგლისი თუ ყველაფერი დავკარგოთ? ახლა სენტიმენტების დრო არ არისო! მაგრამ მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმა არ კმარა, მე მთელი სპექტაკლის განმავლობაში მოქმედებით უნდა ვაჩვენო, დავარწმუნო მაცურებელი ამ პერსონაჟის სიმართლეში.

როცა პიესას ვკითხულობდი და ვდგამდი, ბერლის ამგვარ კატეგორიულობაში ცუდს ვერაფერს ვხედავდი.

— მარიამ სტიუარტი ენანება რეჟისორს?

— ყველა მენანება! საზარელი ფაქტია. აგერ, ელისაბედს რა დაემართა, მარტოდმარტო დარჩა... მაგრამ ჩემი ვაღია,

მათი დანაწილება კი არა, იმისი ჩვენება, თუ რამ მიიყვანა ეს ხალხი აქამდე? რა მოხდა ისეთი? სად იყო გადამწყვეტი მომენტი? და როცა ამას იკვლევ, უეცრად აღმოაჩენ რომ გადამწყვეტი მაინც პიროვნული მომენტია. სტიუარტის ბედი უკვე გადამწყვეტილია. ელისაბედი კი საშინელ დღეშია: ხელი უნდა მოაწეროს სასიკვდილო განაჩენს.. გახსოვთ, რამდენ ხანს აჭიანურებს ამას? სტიუარტის სიკვდილის მომხრეა, მაგრამ არ უნდა, თვითონ რომ იყოს ამისი მოთავე, ისტორიაში შევიდეს, როგორც მისი მკვლელი. ბოლოს თავს იმით ილიზიანებს, საქმრო წამართვაო, და ხელს აწერს... და აქაც, როგორც ყოველთვის, ვცდილობ ამოვხსნა, თუ რატომ იქცევა ასე, ყველას თავისი სიმართლე აქვს, არა? შეცდომა ყველას მოსდის, უცოდველი არავინაა! ამიტომ მე, როგორც რეჟისორმა, ყველაფერი დეტალურად უნდა გამოვიძიო.

— ანუ როგორც მიხეილ თუმანიშვილი იტყოდა — თემურ ჩხეიძე ცდილობს იპოვოს ადამიანი.

— სხვანაირად არ გამოდის; და თუ ეს პროცესი ნათლად, გასაგებადაა ნაჩვენები სპექტაკლში, მაშინ დარბაზიდან მაცქერალი ადამიანი ძალაუნებურად თავისთავს აყენებს ამა თუ იმ გმირის მდგომარეობაში...

— და იწყებს განსჯას...

— არავინაა დაზღვეული იმისგან, რომ იმავეს გაიმეორებს. ამიტომაც არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით ადამიანის განკითხვა. შენ რა იცი, რა გზა გამოიარა აქამდე, ან რა გარანტია გაქვს იმისა, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში შენც იმავეს არ ჩაიდენ?

— ნუ განიკითხავ და შენც არასდროს განიკითხები!..

— მართალია, ბერლის პოზიცია დაუნდობელია, მაგრამ იქნებ სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ გადაარჩინა ინგლისი და დღემდე შეუწარმუნა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა?

გარკვეული ისტორიული კატაკლიზმების შედეგად არა მხოლოდ ადამიანთა, არამედ ერის ხასიათიც ყალიბდება.

— ბატონო თემურ, როცა ამ სპექტაკლს დგამდით, ერთგვარი ასოციაციური ჯაჭვით, საქართველოსთანაც ხომ არ იყავით მიზმული?

— არა, არა, რატომ მხოლოდ საქართველოსთან? ეს ნებისმიერ ქვეყანას შეიძლება დაუკავშირო.

რა მოეთხოვება მმართველს გადამწყვეტ მომენტში? სად მთავრდება ჩემი და სად იწყება ქვეყნის ინტერესი? — ეს ყველაზე რთული გადასაწყვეტია ცხოვრებაში!

აი, „ანტიგონე“ გაიხსენეთ. შვილი ემუდარება — მამა, შენ ხელისუფალი ხარ, გადაარჩინე ჩემი საცოლეო, და გახსოვთ, კრეონი რას პასუხობს? — მე ხელისუფალი ვარ კანონის გამოცემამდე, მერე კი მისი მონა ვარო. თუ კანონს გამოცემ, პირველი მე უნდა დავემორჩილო! — ეს ჩემთვის ზნეობის უმაღლესი მაგალითია.

ამიტომაც ვდგამ „ანტიგონეს“.

— შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ მაინც გგონია, რომ სწორედ ქართულმა ყოფამ გიბიძგათ ამ სპექტაკლებსიკენ...

— საერთოდ, გინდა-არგინდა, ყოფა მუდამ მოქმედებს ჩვენზე...

— „ჰაკი აძბას“ გავიხსენებ, მაშინაც მითხარით, არავითარი ანტისაბჭოური სპექტაკლი არ დაგიდგამთ და... მიუხედავად ამისა, როცა ვიკვში „ჰაკი აძბა“ ითამაშეთ, იკითხეს — კი მაგრამ თქვენ საბჭოთა კავშირში ცხოვრობთ?

— ასე გითხარით და ახლაც იმავეს გავიმეორებ: სპექტაკლი ზნეობაზე დავდგი. რატომ ითვლებოდა ის ანტისაბჭოურად, ბოლშევიკური გემი რომ მოადგა დამოუკიდებელი საქართველოს ნაპირს, იმიტომ?

— თუნდაც!..

— ეს ხომ ლეო ქიაჩელს უწერია.

— და თქვენც სწორედ ქიაჩელის ეს ნაწარმოები აირჩიეთ...

— გეკითხებით, უფუშ ემხა გმირია თუ რა?

— უდავოდ.

— უფუშს ფიცი აქვს მიცემული რუსი იმპერატორისთვის და ამ ფიცის ერთგული რჩება ბოლომდე.

გახსოვთ, ჰაკიმ რა თქვა, ეგ ძმა არის ჩემიო! — ადათნესების ერთგულება, ესეც ხომ თავისებური ფიცია?!

უდიდესი რამაა, როცა ადამიანი არ ღატობს საკუთარ რწმენას!

— ეს კონცეფცია, როგორც წესი, გადაყვება თქვენს სპექტაკლებს...

— ჰო, აბა, რა! სპექტაკლს რომ ვდგამ, ამ დროს ჩემს თავსაც ვეკითხები — შენ შეძლებ იმავეს? თუ მხოლოდ ოცნებობ ამ ყველაფერზე და მეტი არაფერი შეგიძლია? მაგრამ ზოგჯერ ოცნებაც კარგია, საკუთარ თავს შემოუძახებ — ფრთხილად, არაფერი შეგეშალოსო!

— მაშინ ასე გკითხავთ, როცა „მარიამ სტიუარტს“ დგამდით, რას ფიქრობდით?

— მახსოვს, ახალგაზრდობაში მორალის განმარტება რომ ამოვიკითხე ლექსიკონში, თავზარი დამეცა: რადგან მორალი რა ყოფილა, იცით? ადამიანის უნარი საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენოს საზოგადოებრივი ინტერესები!

ეს თვისება კი ამ დედამიწის ზურგზე ყველა სულდგმულთა შორის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს ახასიათებს!

ჰოდა, თუ ეს არის მორალი, მაშინ მე ვიკვლევ, სად არის ზნეობა და სად — უზნეობა?! ზნეობა ის, რომ დროზე გაარკვიო, რა არის შენი ქვეყნისთვის სასარგებლო, თურმე ის, რაც ზედაპირზე ჩანს, სინამდვილეში სულაც არ ყოფილა კარგი! და მხოლოდ იმისი ძახილი, ჩემი ქვეყანა მიყვარსო, სინამდვილეში მორალის დემონსტრირებას სულაც არ ნიშნავს, რადგან ადამიანი თუ ავად არ არის, მას უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა...

ეჰ, ნინო, სინამდვილეში ბევრი რამ არ არის ისე, როგორც ჩვენ გვგონია და გვინდა! ამიტომაც უნდა შემოუძახო საკუთარ თავს — ფრთხილად, რა გარანტია გაქვს, რომ როგორც შენ ფიქრობ და გგონია, ის არის მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი სიმართლე და ჭეშმარიტება?!

ამიტომაც ერთნიშნად არასდროს არავის ვძრახავ... ამგვარ ანალიზს პროფესიამ მიმაჩვია.

— მარიამ სტიუარტზე ვსაუბრობდით, რატომ ილუპება იგი?

— მარიამ სტიუარტი საპარლამენტო გზის მომხრე იყო. სურდა, ინგლისსა და შოტლანდიას ერთი პარლამენტი ჰყოლოდა, — ეს ცოტა არ იყოს იდეალისტურად მოჩანს.

— იდეალისტები განწირულნი არიან?

— ჰო, ალბათ... ამ შემთხვევაში ელისაბედი უფრო ძლიერი პოლიტიკოსი აღმოჩნდა.

— რეჟისორი მაინც ვის მხარესაა?

— თუ რეჟისორი ვინმეს მხარესაა, ის არ არის რეჟისორი! თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეჟისორს პოზიცია არ გააჩნდეს.

ამ ორ ქალს ისტორიამ თავისი განაჩენი უკვე გამოუტანა — როცა ახსენებ მარიამ სტიუარტს, იქვე გაგონდება ელისაბედი და — პირიქით. აქედან გამომდინარეა სპექტაკლის ფინალი: ელისაბედი ტახტზე კი ზის, მაგრამ იქვეა მარიამის პორტრეტიც, — ესენი განუყრელი არიან, ისევე როგორც ანტიგონე და კრეონი, როგორც ქრისტე და იუდა; იცით, რა არის, მარიამიცა და ელისაბედიც, ორივე განწირულია! ერთმა აუცილებლად უნდა მოკლას მეორე, ერთად ვერ იარსებებენ, თვითონ რომც მოუხდეთ, ამის უფლებას მათი გარემოცვა არ მისცემთ. ელისაბედი ერთი ჯგუფის კერპია, მარიამი — მეორე ჯგუფისა. ქვეყნები არ დაუშვებენ ამას და ერთმანეთს გადაეკიდებიან. გინდა-არგინდა, ყველაფერი იქამდე მიდის, რომ სისხლი დაიღვაროს, საშინელებაა... ისე, ახლა რაღა დროს „მარიამ სტიუარტია“, რამ მოგაგონათ?!

— ქართველმა მაყურებელმა ახლახან ნახა სპექტაკული ბდტ-ს გასტროლისას.

— ჰო, ალბათ, ამიტომ?..

— ბატონო თემურ, ამ რანგისა და მასშტაბის სპექტაკლის დადგმას თუ აპირებთ საქართველოში?

— არ ვიცი, ნინასნარ ვერაფერს გეტყვით.

— მაშინ ასე ვთქვათ: აპირებთ ახალი სპექტაკლის დადგმას ჩვენთან? „თქვენი მსახიობები“ მიტოვებულად გრძნობენ თავს და, ეტყობა, ამიტომაც ბრაზობენ თქვენს მონოსპექტაკლებზე?

— არავინ მიმიტოვებია... თუმცა... იქნებ ამასაც ჰქონდა თავისი მიზეზი, მაგრამ არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი, რაც იყო, იყო... და კიდევ, აი, რა, ვითომ რატომ უნდა მოხდეს ცხოვრებაში ყველაფერი ისე, როგორც ჩვენ გვინდა და გვსურს?

— როგორ, როგორ?

— ეს არის სწორედ ინტერესთა ჯახი: ერთს ასე უნდა, მეორეს — ისე, ან ერთის აზრი გადანონის ან მეორესი. ჯახი ყოველთვის ჩხუბს არ ნიშნავს!..

— უჩხუბრადაც შეიძლება დამორდნენ ადამიანები ერთმანეთს...

— არ მიყვარს ჩხუბამდე საქმის მიყვანა. მირჩევნია, თვითონ განვერიდო რაღაცას...

— „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს“ ?

— საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კი არა, საცა სჯობს, ხანდახან მაშინაც გაცლა სჯობს!

— ჩვენთან დაბრუნდებით?

— აბა, სად წავალ, ბოლოს და ბოლოს, აქ უნდა მოვკვდე...

— არა, არა, ამაზე ფიქრის უფლება არა გაქვთ!... ქართველი მაყურებელი თქვენს საბოლოო დაბრუნებას ელოდება სამშობლოში...

— იქ თეატრის საბოლოო რეკონსტრუქციას ველოდები, დასი უნდა დავაბრუნო თეატრში და... მერე ჩამოვალ!

მე, იცით რა, მარჯანიშვილის თეატრის შემდეგ გადაწყვეტილი მქონდა, რომ არასდროს გაემხდარიყავი თეატრის ხელმძღვანელი...

— მაგრამ ბდტ-ში ხომ მოვლენები თითქმის თქვენგან დამოუკიდებლად წარიმართა?

— ჰო, შეიძლება, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უარის თქმა ხომ ყოველთვის ჩვენზეა დამოკიდებული?!

— აღმოჩნდა, რომ იქ უკეთ იცაან თქვენი ფასი, ვიდრე...

— ახლა იმაზე ვფიქრობ, ბდტ-ში ვილაც შევარჩიო და

ჩემს ნაცვლად დავტოვო...

— ჰოდა, მაგიტომ გეკითხებით, როცა საქართველოში დაბრუნდებით, გექნებათ თქვენი თეატრი?

— არა, დღეს ამაზე არ ვფიქრობ, ალბათ, ჩემი უმცროსი კოლეგები წელიწადში ერთ სპექტაკლს ყოველთვის დამადგმევინებენ...

— თქვენს მაყურებელს უნდა საქართველოში არსებობდეს თემურ ჩხეიძის თეატრი.

— მოვიდეს ჩემი მაყურებელი ჩემს დადგმულ სპექტაკლებზე და ნახოს მერე, ვინ უშლის...

— ეგ სხვაა, საკუთარი თეატრი კიდევ სხვა.

— არა, არა... ამაზე არ ვფიქრობ, მირჩევნია მომავალი რეჟისორები გაეზარდო... აღარ მინდა ისევე თეატრს ვუხელმძღვანელო და, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ზოგჯერ სხვებს გული ვატკინო...

— გულს მაშინაც ხომ სტკენტ იმ მსახიობებს, რომელთაც როლების გარეშე ტოვებთ?

— მესმის, რასაც ამბობთ, მაგრამ ამას ისიც ემატება, ხელმძღვანელი რომ ხარ და ყველაფერი შენზე რომაა დამოკიდებული... და ამ დროს, იცით რა?..

— ?..

— ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა რეპეტიციის ჩატარება, როცა რეპეტიციაზე შევდივარ, ყველაფერი მაინყდება!

თანაც ისიც მინდა, სხვებს რაღაც ვასწავლო... აი, თუნდაც დიალოგის აგება. რა არის ენის ფუნქცია. სამწუხაროდ, ამაზე ახლა აღარავინ ფიქრობს: ხშირად ელემენტარული რაღაც არ ესმით; ვეკითხები, რატომ გინდა ამა თუ იმ სპექტაკლის დადგმა-მეთქი და... ვერ მპასუხობენ. კულმინაციის განსაზღვრა უჭირთ, სპექტაკლის აგება არ იციან, არადა, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ სად დასვამ კულმინაციას, საით მიგყავს სპექტაკლი?! არ მახსოვს, გვისაუბრია სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეზე“?

— არა და.. გისმენთ!

— პიესაში არის ერთი მაცდური რამ, სადაც შეიძლება შეიკრას კვანძი...

— ? ..

— თუ გახსოვთ, პიესის დასაწყისში კრეონი ამბობს, აპოლომ ლაოსის მკვლელის მოძებნა დამავალა, აუცილებლად უნდა მოვძებნოთ და უნდა განვდევნოთ იგი, ვიდრე ასე არ მოვიქცევით, ჭირი არ მოშორდება ქვეყანას!

ამიტომ ოიდიპოსი მოინვევს თათბირს და გამოაცხადებს: თუ თქვენ იცით, ვინ არის მკვლელი, უნდა დაასახელოთ, მაშინ სიკვდილით არ დავსჯი, მხოლოდ ქალაქიდან გავაძევებო, თუ არადა... — აი, სად არის კვანძის შეკვრა!

— იქ, სადაც ოიდიპოსი აცხადებს — თუ მკვლელი თავისი ნებით არ გამოტყდება, ჩემი ოჯახის წევრიც რომ იყოს, დავსჯი!... და როცა თვითონ აღმოჩნდა ეს ადამიანი, თვალეები დაითხარა! ამ — ერთი შეხედვით ყველაზე უზნეო — ადამიანს, მეტი საშინელება რა უნდა ჩაედინა, მამა მოკლა, დედისგან შვილები გააჩინა და მანაც უთანაგრძნობ, რატომ? იმიტომ, რომ პასუხისმგებლობას არ გაექცა, თვალეები დაითხარა, ამ საშინელებისთვის რომ არ ეცქირა...

— !..

— ეჰ, იმდენი რამე არ ვიცი, ჩვენ მხოლოდ იმას ვიკვლევთ, რაც ჩვენს არეალშია, რაც ჩვენს გარშემო ხდება... „იმის იქით“ ვერ ვიხედებით, რაც დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები ამაში.

— თქვენ თუ ასე ფიქრობთ, მაშინ მე რაღა მეთქმის ?

— ასეა, ერთნიშნა პასუხები არ არსებობს! თეატრმა მაყურებელს ჭკუა კი არ უნდა დაარიგოს, არამედ დაანახოს, სად არის ზნეობა და სად — უზნეობა. თეატრი ზნეობის მიკვლევას უნდა ემსახურებოდეს!

ელემენტარულად, ბავშვობიდანვე ხომ ვიცით ათი მცნება და ყველას გვგონია, რომ ვიცავთ, მაგრამ სინამდვილეში, თუ ჩავუყვირდებით, ბოლომდე არ ვასრულებთ ყველა მცნებას...

- გვსურს, მაგრამ ვერ ვახერხებთ...
- გვინდა-არგვინდა, დაგვირღვევია...
- ოდესმე „ოიდიოსს“ დადგამთ?
- არა!
- რატომ?
- იმიტომ, რომ არ ვიცი, ვინ უნდა ითამაშოს ოიდიოსი.
- ასე იყო, ჰამლეტის შემცველი ვერ იპოვნეთ და აღარ დადგით, ახლა გული არ გწყდებათ?
- გული არაფერზე მწყდება. გულის დანყვეტა არ შე-

როსტომ ჩხეიძე

# აქა ამბავი აქვსენტი ყაზბეგისა და მისი პარიზული წერილისა

ნიკა აგიაშვილი ყოველთვის სახუმაროდ მომართულიყო და ხან ველარც მოზომავდა, ვისთან რისი თქმა შეიძლებოდა.

აკი აქვსენტი ყაზბეგიო?

აკი რაღაც პარიზული წერილიო?

იქამდე სწორედ ეს ძაფი მოგვიყვანს, ეს კოლორიტული პიროვნება ყოველთვის სახუმაროდ რომ მომართულიყო.

აგერ ერთხელაც, „მნათობის“ რედაქციაში, სადაც იგი პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა, პავლე ინგოროყვა კი კრიტიკის განყოფილების გამგედ, ონავრულ გუნებაზე დამდგარი გამოაცხადებდა: პურის რუსული სახელი „ხლებ“ პირველად ჩვენს მწერლობაში დავით გურამიშვილმა კი არა, შოთა რუსთაველმა ახსენაო.

პავლეს უეცრად სახე და საფეთქლები წამოუჭარხლდებოდა და ზეზე წამომდგარი ხელებს მაგიდას დააყრდნობდა, თითქოს წაქცევას ლამობდა და თავი შეიკავაო.

— მაინც, მაინც, სად და როდის? შენ სახეიროს არაფერს იტყვი, მაგრამ მაინც გამაგონე, რა მოგიჩმახავს, — და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდებოდა — სათვალის ჩარჩოთა მიღმა აციმციმებული თაფლისფერი თვალებით.

ნიკა დაუსახელებდა... „ვეფხისტყაოსნის“ 1095-ე სტრიქონს, ავთანდილისაგან ფატმან-ხათუნის პასუხად მიწერილი წიგნიდან: შენცა გინდა, მეცა მინდა გაუნყვეტლად შენი ხლებაო.

იმას რაღაც უხალისო, პაუზებიანი მშრალი ხარხარი აუტყდებოდა: ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა! — მარტოდენ ყელში ჩაიხითხითებდა, მერე შუბლს შეიკრავდა და მდუმარედ მიაჩერდებოდა.

ხოლო მანამდე, 1937 წლის 15-28 თებერვალს ქუთაისში რომ შეადგენდა ვრცელ წერილს ირაკლი აბაშიძის სახელზე, არსებითად კი დოკუმენტური პროზის მშვენიერ ნიმუშს, იმ წუხილსაც გამოთქვამდა, რომ ამ ქალაქში ძლიერ მოკლევადიანად ლიტერატურულ ცხოვრებას, მთელ დღეს რედაქციაში ატარებდნენ, საღამოს კი სტამ-

ბაში იკრიბებოდნენ და ცისას და ბარისას ყვებოდნენ სულის მოსათქმელად.

ნიკა აგიაშვილი ყოველდღე იგონებდა „ფრიად დამაფიქრებელ“ კითხვებს, მოულოდნელ შეკითხვებს და მოკლე ტყუილ-ტყუილ ამბებსაც აცნობდა ზოგიერთ გულუბრყვილოს.

გაავრცელებდა ასეთ ცრუხმებს:

— „არსენას ლექსის“ ავტორი არის აკაკი.

— გრიგოლ ორბელიანმა დაწერა ლექსი „მიშა ბოქულაძე“ და არა „მუშა ბოქულაძე“.

— ნინოშვილის მოთხრობის გმირი ვაიშვილი იყო.

ასეთ „ღრმამინაარსიან“ შეკითხვებსაც მოიფიქრებდა:

— აბა, ვინ იტყვის, თუ სად წაიღო და სად შეინახა ტარიელმა ვეფხის ტყავი ნესტანის ნახვისა და მათი გამეფების შემდეგ?

— აბა, ვინ იცის, ვინ ნახა და ვის ერგო ის ფული, რომლის შესახებაც სიკვდილის დროს არსენამ თქვა: ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში ძევსაო?

და ამისთანებს კიდევ რამდენს.

ზოგიერთი მსმენელი სერიოზულად აღიქვამდა ყოველივე ამას და... სასაცილო მდგომარეობაშიც იგდებდნენ თავს.

წერილის მხიარულ ტონს გაავრცელებდა იმ ეპიზოდის გახსენება, რამდენიმე წლის წინათ კოლაუ ნადირაძესთან ერთად „ახალგაზრდა კომუნისტში“ რომ გამოეცხო იუმორისტული მასალა და დიდი მღელვარებაც გამოეწვია საზოგადოებაში.

ნეტა ირაკლი აბაშიძესაც შეეტყო თუ არა ეს ამბავი?

ნიკა აგიაშვილი ყოველი შემთხვევისათვის მაინც წამოატივტივებდა, თუ როგორ დაყრიდნენ ხმას:

ალექსანდრესა და დიმიტრი ყაზბეგებს ჰყავდათ მესამე ბიძაშვილიც აქვსენტი (თუ აქვსენტი) ყაზბეგი და ყველა მოთხრობა მისი დანერვილიაო.

ამის მსგავსი ჭორი აკი ალექსანდრე ყაზბეგის სიცოცხლეშივე გაავრცელებინა მის ბიძაშვილს ელისაბედ

ყაზბეგს, დიმიტრის დას: ყველა ეს თხზულება, რაც სანდროს სახელით ქვეყნდება, ჩემი ძმის დანერვილია და სანდრომ უკანონოდ მიითვისა, არადა, მის ნამდვილ შემქმნელს უნდა დაუბრუნდესო.

- სასაცილოდ არ ეყოფოდა ეს ჭორი ილია ჭავჭავაძეს.
- არც აკაკი წერეთელს.
- არც ვაჟა-ფშაველას.
- არც დავით კლდიაშვილს.
- არც ვასილ ბარნოვს.

სასაცილოდ არ ეყოფოდა არავის, ვინც ოდნავ მიანიც ჩახედულიყო შემოქმედებით ფსიქოლოგიასა და სალიტერატურო პროცესში — არც მწერლებს და არც რედაქციის თანამშრომლებს, რომელთა თვალწინაც იქმნებოდა ალექსანდრე ყაზბეგის კავკასიური ილიადა; და არც სტამბის მუშებს, რომელთა დაჟინებული თხოვნითაც საგულისხმო ნოველა „ელგუჯა“ დიდებულ რომანად გარდაისახებოდა, მთელ საქართველოს ბრძოლის ჟინითა და დამოუკიდებლობის აღდგენის წყურვილით რომ აღანთებდა.

ჭორი იმის ჭორია, ცრუხმა იმის ცრუხმაა, რომ ასე ადვილად ვერ აცამტვერებს ჭეშმარიტება და კარგა ხანს უნდა იფუთფუთოს და ნამლოს ადამიანთა შეგნება — სულაც არ დასრულდეს ჭორების ქსელში გახლართული უცოდველი პიროვნების სიკვდილისთანავე.

ერთი სიკვდილი ვერას დააკლებდა ორგზის დაბადებულ ალექსანდრე ყაზბეგს — თავისი მადლიანი კალამი რომ ეძღვნა ქვეყნისათვის, ამ ხელმეორე დაბადებას მაინც რალა დაასამარებდა, ვიდრე საქართველო იარსებებდა უკუნიით უკუნისამდე.


მაგრამ ის ჭორი, ავისმოსურნეთა და მოშურნეთა, მალემრწმენთა და მიაშიტთა მიერ დაყრილი და ატაცებული კიდევ კარგა ხანს იბოგინებდა და ძალიან შეაწუხებდა წიგნიერ და ზნეობრივ საზოგადოებას, რომელიც ისე გაბეზრდებოდა ანტიყაზბეგური ენის სარსარით, მას შემდეგ, რაც მიხილ ზანდუკელიც გამოიჩინდა მისთვის უპატიებელ გულუბრყვილობასა თუ ზერელეობა-აჩქარებას და ხელი ნაუცდებოდა დიმიტრი ყაზბეგის ავტორობის სამტკიცებლად, სწორედ ეს წიგნიერი და ზნეობრივი საქართველო გამოიღებდა ხელს და ვახტანგ კოტეტიშვილის მონოგრაფიით, ბიოგრაფიული რომანის ნიშნებსაც რომ მკაფიოდ ამჟღავნებს, ქვას ქვაზე არ დატოვებდა იმ ჭორისა თუ ცრუხმისაგან.

ალექსანდრე ყაზბეგს XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს კიდევ ერთხელ დაუდასტურებოდა თავისი ავტორო-

ბა, ხოლო დიმიტრი ყაზბეგი ჩვენი ლიტერატურის ისტორიას შემორჩებოდა ფრიად განათლებულ და გემოვნებიან პიროვნებად, ვინც სასიკეთო ზეგავლენა იქონია თავისი ბიძაშვილის, კავკასიური ილიადას შემქმნელის, გემოვნებასა და განათლებაზეც და მწერლად ჩამოყალიბებაზეც.

მოგესხენებათ, ლიტერატურა ძალადობას ნაკლებად ემორჩილება.

ესლა აკლდა ალექსანდრე ყაზბეგის ისედაც განამბულ, ტრაგიკულ ცხოვრებას, რომ სისხლით ნაწერიც აღარ დაენარჩუნებინათ მისთვის.



მხატვარი კარლო ფაჩულია

ვახტანგ კოტეტიშვილის ის გამარჯვება ხელოვნურად შეკონინებულ დისკუსიაში ისე კი შეარყევდა იმ მონაჭორს, საჯაროდ აღარავის გაემეორებინა — აღარც დაეწერათ, აღარც სამეცნიერო თუ ლიტერატურულ თავყრილობებზე ემტკიცებინათ, მაგრამ კულუარული ტუტუნი არა და არა ცხრებოდა და ამ ჭკუის ადამიანთა გასაპამპულებლად მოეგონებინათ ნიკა აგიაშვილსა და კოლაუ ნადირაძეს ის იუმორისტული (უფრო ზუსტად: სარკასტული) გამოსვლა გაზეთის ფურცლებზე, ალექსანდრესა და დიმიტრის მესამე ბიძაშვილიც ჰყავდათ, აქვსენტი თუ ავქსენტი, და ყველა ეს რომანი თუ მოთხრობა მისი დანერვილიაო.

ღირსნი კი არიან ასეთი სულის ადამიანები ამგვარი მასხრად აგდების.

ამდენი თუ აღმოჩნდებოდნენ, ეს ტანდემი ვერც წარმოიდგენდა — ხუმრობის გუნებაზე დამდგარი. არადა, იცინებდნენ და რას იცინებდნენ, როდესაც ამ იუმორესკით საზოგადოებაში დიდ მღელვარებას გამოიწვევდნენ:

— მთელი ორი კვირის განმავლობაში დავაჯერეთ მრავალი სტუდენტი, მწერალი და პროფესორიც კი.

მიაშიტ სტუდენტთა, პროლეტარულ მწერალთა და წითელ პროფესორთა დარწმუნებას რა უნდოდა!..

მაგრამ აქ საგულისხმო ისაა, რომ:

— წარმოიდგინე, ზანდუკელმაც დაიჯერა, არ ვიცი, რამდენად მართლა და ერთი ელემენტული მოსვლოდა.

მთლად არ ეჭაშნიკებოდა იმ ვილაც აქვსენტისა თუ ავქსენტის გამოტყვრომა, მის „თეორიასაც“ რომ თავდაყირა აყენებდა და დიმიტრი ყაზბეგს არაფერს უტოვებდა, მაგრამ თან ისე გაახარებდა, ალექსანდრე ყაზბეგიც რომ უარაფროდ რჩებოდა, შეეგუებოდა აქვსენტი-ავქსენტის მოვლინებას, როგორც ვახტანგ კოტეტიშვილის მტკიცებისათვის ყოველგვარი საფუძვლის გამომცლელისა.

თუ მიხილ ზანდუკელი ცდებოდა, აგერ თურმე არანაკლებ ცდებოდა ვახტანგ კოტეტიშვილიც!..

და გულზე მალამოდ დაედებოდა ნიკა აგიაშვილისა და კოლაუ ნადირაძის „აღმორჩენა“. ელეთმელეთი ამისა გახლდათ, მაცთუნებელი ჭიაც რომ უსათუოდ შეუჯდებოდა, კვლავ ხომ არ დავბრუნებოდი ამ თემას და დამემსხვრია ალექსანდრე ყაზბეგის მითით.

ეშხში შევიდოდა ტანდემი!..

კოლაუ სულაც წერილსაც შეთხზავდა, თითქოსდა აქცენტი-ავქსენტის გამოგზავნილს პარიზიდან და... ახალ-ახალ გასართობებსაც დაგეგმავდნენ ამ თემის გარშემო. მაგრამ განა როდემდე?!

მოზებრდებოდათ.

ის კი არა, ამ უგრძეს ბარათშიც, დოკუმენტურ თხზულებასაც რომ გაიგივებია, ნიკა აგიაშვილი ადრესატს ამცნობს: შემეძლო უფრო ვრცელადაც მომეწერა ამის შესახებ, მოგწერდი იმ „პარიზიდან გამოგზავნილი“ წერილის შინაარსსაც, ყველაფერს მოგწერდი, მაგრამ მეშინია, თავი არ შეგანწყინო (ამ ბოლო ფრაზას, ირონიის გასაძლიერებლად, რუსულად ჩაუნერდა). და დაატანდა: ისედაც გამიგრძელდა, რა ვქნა, კალამს ვერ შეეუშვი ხელიო!..

არადა, რა სახალისო მასალები მოგვაკლო!..

ადრესატს თუ თავს შეანყენდა, ჩვენ სულაც არ გავბეზრდებოდით ამ მონაკვეთის კითხვით. ჯერ ეს ვრცელი წერილი ისედაც რა კარგი საკითხავია და ამ თემის გაგრძელება კიდევ უფრო დაამშვენებდა... მაგრამ მისი ავტორი ამდენს აღარ იფიქრებდა — შთამომავლობასაც ძალიან წაადგებო. მონყენილობისაგან ინიშნავდა და ინიშნავდა წუთიერ შთაბეჭდილებებსა და განწყობილებებს და გულს აყოლებდა ლიტერატურულ ცხოვრებას მოკლებული: აქ კალამი წერდა უმთავრესად, რაც სამელნიდან ამოიღო და წვერზე მოადგაო.

ჭორი იმის ჭორია, ცრუხმა იმის ცრუხმაა, რომ ასე ადვილად ვერ აცამტვერებს ჭეშმარიტება და კარგა ხანს უნდა იფუთფუთოსო...

მითუმეტეს — ხელის ჩამჭიდებელი და უკეთური მიზნისათვის გამომყენებელი ყოველთვის გამოუჩნდება. „სენსაციებზე მონადირეთა“ წრეებში, ბრბოს ფსიქოლოგიაზე რომ აუგიათ თავიანთი ცხოვრება-საქმიანობის სტილი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაც თუ ხელს გინყობს, ხომ მთლად უკეთესია.

წინა საუკუნის 20-30-იან წლებში ძალიან გაშმაგდებოდა და გაღრმავდებოდა ჩვენი მწერლობის კლასიკოსების წინააღმდეგ ლაშქრობა და მათ სრულ გაცამტვერებასაც მონდომებდნენ.

ან უკვე გადაშენებული სოციალისტები გლობალიზმი სწორედ საამისოდ მომართულიყო.

გადასაშენებლად განწირული ლიბერალური გლობალიზმიც სწორედ საამისოდ მომართულა.

ოლონდაც ჭორებს ჩაეჭიდა, ოლონდაც ცრუხმებს გამოეკიდე ძვირფასის, ამაღლებულის, სანუკვარის, ნამდვილის, შეუბღალავის დასამცირებლად თუ შეურაცხყოფის მისაყენებლად და გზასაც სიხარულით დაგილოცავენ და მწვანე შუქსაც აგინებენ, ნაირ-ნაირ საშუალებებსაც უხვად შემოგთავაზებენ... თუნდ როგორც მოხდებოდა აკა მორჩილაძის ზეპირი მოთხრობების ყოვლად მიამიტური და პრიმიტიული ციკლისას, ტელეკომპანია „იმედი“

დიდმნიშვნელოვან მოვლენად რომ შესთავაზებდა მაყურებელს და გაუთავებელი ტრიალით ჩაუჭყდავდა და ჩაუჭყდავდა გონებაში იმ გამასხრებელი ჭორის აკაურ ხელახალ წამონევას, როგორც სიმართლის მიგნებასა და ალექსანდრე ყაზბეგისათვის დაუმსახურებელი სახელდიდების ჩამორთმევას.

ძნელი ამოსაცნობი არ არის ზეპირ მოთხრობათა ავტორის თავგამოდების ფსიქოლოგიური მოტივების დადგენა, გარდა ზოგადლიბერალური სულისკვეთებისა, თუმც ამდენს ნულა გამოვედევნებთ.

ჩვენი რეალობისათვის ნიშანდობლივი ამ ეპიზოდის გახსენებაც მხოლოდ იმისათვის დავისაჭიროვე, რომ თუკი კვლავ მოინადინებენ ამ სამარცხვინო გამონაგონის წამონევას აკა მორჩილაძე თუ მსგავსნი მისნი, იცოდნენ, რომ ალექსანდრე ყაზბეგს კიდევ ერთი ბიძაშვილიც ჰყავდა, აქცენტი თუ ავქსენტი, და სწორედ იგი გახლავთ კავკასიური საგის სრულყოფილებიანი ავტორი. ის კი არა, მისი ბარათიც არსებობს, ამ აქცენტი-ავქსენტისა, პარიზიდან გამოგზავნილი, და მონდომებული ადამიანი სხვა „მამხილებელ დოკუმენტებსაც“ აღმოაჩენს ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის გასაბათილებელს და აქცენტი-ავქსენტისათვის მიმაკუთვნებულს.

და კიდევ ის, რომ: „არსენას ლექსის“ ნამდვილი ავტორი აკაკი წერეთელია.

და რომ: გრიგოლ ორბელიანის ლექსია „მიშა ბოქულაძე“ და არა „მეშა ბოქულაძე“.

და რომ: ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა, პერსონაჟის ნამდვილი გვარ-სახელის მიხედვით, ასე უნდა სათაურდებოდეს: „გოგია ვაიშვილი“.

და რომ: პურის რუსული სახელი „ხლებ“ ჩვენს მწერლობაში დავით გურამიშვილამდე ჯერ კიდევ შოთა რუსთველმა ახსენა.

და რომ... და რომ...

არ დაილევა საამისო მასალა.

არც მათი მძებნელნი და მომბლაუჭებელნი დაილევინან.

\*\*\*

— ეს პარიზიდან გამოგზავნილი წერილი ხომ კარგად მოვიფიქრეო, — აღტაცდებოდა კოლაუ ნადირაძე. თუ აბსურდის სტილისტიკა გახლდათ, ბოლომდე აბსურდის სტილისტიკა ყოფილიყო.

— კარგია, კარგი, ოღონდ აქ ნუ გავჩერდებითო, — შეაგულიანებდა ნიკა აგიაშვილი მასაც და საკუთარ თავსაც და, გახალისებულს, ეს ფიქრიც მწარედ ჩაჩხვლელტდა გულს: რა ეშველება ამ ხალხსო!..

\*\*\*

თავს აღარ დამანებებენო?! — შემოგვჩვივლებდა ალექსანდრე ყაზბეგის აჩრდილი ...ელსინორის ტერასაზე გადმომდგარი!.. არადა, რომ დასცლოდა, ეგებ მართლაც ეთამაშა ჰამლეტის მამის მოვლინების სცენა.

\*\*\*

ისე ნეტა ვაჟა-ფშაველას ნაწერებიც სინამდვილეში მისი ბიძაშვილისა ხომ არ არის?!



თეიმურაზ დოიაშვილი

# „იგი, თანამგზავრი, სწირად მიჩვენება“

„მზეო თიბათვისა“ კარგა ხანია, რაც ლიტერატურათმცოდნეთა თვალსაწიერში მოექცა და ხანგრძლივი პოლემიკის საგანიც გახდა. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ გიორგი გაჩეჩილაძემ გალაკტიონის შედევრი მიხეილ ლერმონტოვის „ლოცვასთან“ („Молитва“) „შემოქმედებითი შეხვედრის“ ასპექტში განიხილა და ლექსებს შორის რამდენიმე შეხების წერტილიც მონიშნა („ლიტ. საქართველო“, 1964, 16 ოქტომბერი).

მცირე საგაზეთო წერილს მძაფრი კრიტიკით გამოეხმაურა როლანდ ბურჭულაძე. მისი შეფასებით, „გ. გაჩეჩილაძე შესადაარებელი მასალის მეტისმეტად ზედაპირული მსგავსებით დაკმაყოფილდა და ამიტომ ანალიზი არ იყო სწორი“ („მხოლოდ ინტეგრალები“, 1980, გვ. 82). თავის მხრით, რ. ბურჭულაძემ „მზეო თიბათვისა“ ვაგნერის ოპერა „ლოენგრინიდან“ მიღებულ შთაბეჭდილებებს დაუკავშირა.

მოგვიანებით ეს თვალსაზრისი გაიმეორა ვენერა კავთიაშვილმა („ლიტ. ძიებანი“, XXI, გვ. 297-298).

რ. ბურჭულაძის წიგნზე ლევან ბრეგაძესთან თანაავტორობით დაწერილ რეცენზიაში ჩვენ არ გავიზიარეთ გალაკტიონ ტაბიძის არაერთი სიმბოლისტური ლექსის, მათ შორის „მზეო თიბათვისას“, წარმოდგენილი გენეზისი და შესაბამისი არგუმენტებიც მოვიხმეთ („დაკარგული გასაღების ძიებაში“, 1985, გვ. 40-67). ოცი წლის შემდეგ, „მხოლოდ ინტეგრალების“ მეორე გამოცემაში რ. ბურჭულაძემ ძველი შეხედულებანი უცვლელად გაიმეორა, ხოლო „პოლემიკურ ეპილოგში“ საკუთარი ტექსტის სუბიექტური ინტერპრეტაციითა და „გაღმა შეედავეს“ ხერხით თავის მართლებაც სცადა (გვ. 247-321).

ლექსს „მზეო თიბათვისა“ სპეციალური წერილი მიუძღვნა ნოდარ ტაბიძემ. გალაკტიონის მანამდე **უცნობი დღიურიდან** მან დაიმონმა საგულისხმო ამონარიდი, სადაც პოეტი წერს:

„მე ოლია შემდეგი ლექსით გავაცვილე რუსეთს:

**მზეო თიბათვისა, მზეო ღვთისმშობელო, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები...“**

ლექსის ციტირების შემდეგ გალაკტიონი განაგრძობს: „იგი აქ არის, ტფილისშია. მაშასადამე, ისმინა თუ არა ღვთისმშობელმა ჩემი ვედრება? აი, რა არის გამოსარკვევი. ეს ლექსი ხომ მას შეეხება“ (ნ. ტაბიძე. გალაკტიონოლოგია, 2002, გვ. 117).

დამონმებულ ამონარიდზე დაყრდნობით მკვლევარმა ასეთი დასკვნა გააკეთა: „ყველაფერი ცხადია. ლექსს საფუძვლად უდევს არა რ. ვაგნერის ოპერიდან მომდინარე შთაბეჭდილებები, არამედ კონკრეტული ცხოვრებისეული ეპიზოდი, უძვირფასესი ადამიანის — ოლია ოკუჯავას მოსკოვს გამგზავრება“.

ნ. ტაბიძის პუბლიკაციის შემდეგ დასტამბულ თავის წიგნში „გერმანული ლიტერატურულ-ესთეტიკური რეცეფციები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ (2006, გვ. 168-169) ვ. კავთიაშვილი ჩვენთან შეფარული პოლემიკის კონტექსტში, იმონებს გალაკტიონის ამ ჩანაწერს, როგორც იმის საბუთს, რომ „მზე“ ნამდვილად ღვთისმშობელს გულისხმობს და არა წარმართულ ღვთაებას, — თითქოს ასეთი აზრი ვინმეს გამოეთქვას! — მაგრამ თვალს უხუჭავს უმთავრესს — პოეტისეულ ინფორმაციას ლექსის გენეზისზე. იგი ისე იმეორებს ძველ, ბურჭულაძესთან საზიარო თვალსაზრისს, რომ „ლექსი ლოენგრინის ვედრებას წარმოადგენს“ და ა. შ., თითქოს არც გალაკტიონის დღიურში დაცული ცნობა ჰქონდეს წაკითხული და არც ნ. ტაბიძის დასკვნას იცნობდეს...\*



\*\*\*

„მზეო თიბათვისა“ გალაკტიონის აკადემიური გამოცემის მეორე ტომში 1917 წლით, პირველი პუბლიკაციის მიხედვით არის დათარიღებული, ხოლო „შენიშვნებში“ პუბლიკაციის ადგილიც არის მითითებული: გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, №259.

რადგან ლექსი 1917 წლისთვის არამცთუ დაწერილი, დაბეჭდილიც ჩანს, მეუღლის გაცილება, რასაც გალაკტიონი პოეტურად გამოხმაურებია, სადაც ახლო ხანებშივე უნდა მომხდარიყო. მიემართოთ ფაქტებს:

ოლია ოკუჯავა რუსეთში, კერძოდ მოსკოვს, პირველად 1916 წლის აგვისტოში გაემგზავრა, მაგრამ მარტო კი არა, გალაკტიონთან ერთად, წყვილის დაქორწინებისთანავე. ნოემბერში გალაკტიონი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო ოლია მოსკოვში დარჩა. 1917 წლის დეკემბერში პოეტი მეორედ ეწვია მოსკოვს, იქ ექვსი თვე დაჰყო, რამდენიმე დღით რევოლუციურ პეტროგრადშიც ჩავიდა და 1918 წლის ივლისში, — ოლიას გარეშე, — გამოემგზავრა უკან. საქართველოში ოლია ოკუჯავა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა.

ირკვევა, რომ 1916 წლის ზაფხულიდან 1921 წლის გაზაფხულამდე ოლია მუდმივად რუსეთში ცხოვრობდა, გა-

\* კრიტიკას ვერ უძლებს ვ. კავთიაშვილის მოსაზრება, რომ „გრაალს შევედრები“ უნდა გავიგოთ, როგორც „გრაალს შევევედრები“, რომ სიტყვის ასეთი „დამახინჯება“ („ვე“ მარცვლის ამოკლება) საზომის გამო მოხდა („ლიტ. ძიებანი“, XXI, გვ. 297). გალაკტიონის პოეზიაში, ცხადია, არის პოეტური ლიცენციის შემთხვევები, მაგრამ ამის შედეგად ე.წ. დამახინჯებული სიტყვის სემანტიკა არასოდეს იცვლება. ავტორის პოეტური ტექნიკა, როდესაც ის „მზეო თიბათვისას“ ქმნიდა, იმ სიმალღეზე იდგა, რომ მსგავს კაზუსს არაფრით დაუშვებდა; ამასთან, ასეთი გააზრებისას, ჰიპოთეტური რითმა ტავტოლოგიურობის უმწეო იერს იღებს: შევევედრები – ვევედრები).

ლაკტიონს რეალური შემთხვევა არ ჰქონია, იგი მოსკოვს გაეცილებინა და, მასასადამე, დროის ამ მონაკვეთში ვერც „კონკრეტული ცხოვრების ეპიზოდით“ შთაგონებულ გამოსათხოვარ ლექსს შექმნიდა.

დამაფიქრებელია ერთი გარემოებაც: „მზეო თიბათვისა“ 1916-1917 წლებში დაწერილი რომ ყოფილიყო, იგი აუცილებლად მოხვდებოდა „არტისტულ ყვავილებში“ (1919), რომლის კონტექსტში სიმბოლისტური ლირიკის ეს ნიმუში ბუნებრივად, ორგანულად ჩაენერებოდა.

მაგრამ ხომ არსებობს აკადემიური გამოცემის ცნობა და კონკრეტული მითითებაც ლექსის დაბეჭდვის ადგილისა და დროის თაობაზე? როდესაც ცნობა გადავამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ „მზეო თიბათვისა“ გაზეთ „ჩვენი მეგობარის“ მითითებულ ნომერში დაბეჭდილი არ არის.

ამონარიდს, რომელიც ნ. ტაბიძემ დაიმონმა, 1921 წლის 24 მაისის თარიღი უზის და მიუხედავად იმისა, რომ პოეტის ინფორმაციას ფაქტების ლოგიკა უპირისპირდება, ერთი რამ უდავოა — „მზეო თიბათვისა“ 1921 წლის გაზაფხულზე უკვე დაწერილია.

გალაკტიონის ჩანაწერი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს პოეტი სხვებისთვის ცნობილ, იქნებ დაბეჭდილ, ლექსზეც კი საუბრობს. სწორედ ამან განსაზღვრა შემდგომი ძიება, რომელიც მოულოდნელი, მაგრამ სასურველი შედეგით დაგვირგვინდა. 1920-1921 წლების პრესის გადათვალთვალებისას ჟურნალში „სახალხო გვარდიელი“ (1921, №2, გვ. 6), რომლის პასუხისმგებელი მდივანი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი გალაკტიონ ტაბიძე იყო, აღმოჩნდა თავდაპირველი, ვრცელი ვერსია ლექსისა „მზეო თიბათვისა“! მისი არსებობა აკადემიურ გამოცემაში ასახული არაა, ამიტომ ეს ტექსტი უცნობი დარჩა მკვლევართათვის:

1920

მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებიერო,  
მზეო თიბათვისა — გრაალს შევედრები...  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთებით დაიფარე — ამას გვევედრები.  
მწარე მოჩვენებებს თვალნი მიურიდენ,  
ღამე გაუთენე კარგი, შენმიერი...  
დილა მიანიჭე ისევ ციურიდან  
შუქი უმანკოთა მიეც შევნიერი.  
დაე ნუ მოწყდება ბაგეს ამოოხვრა,  
თვალეებს ნუ მოწყდება ცრემლი უეცარი,  
სხვად ნუ შეიცვლება მისი მიმოოხვრა  
მით, რომ საუკუნე დადგა უმეცარი.  
ამას გვევედრები, დროის შეჩვენება  
სიკვდილს უცხოეთში მე ნუ გამაგონებს.  
იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება,  
იგი, მწუხარება, ხშირად დამალონებს...  
წელმა საოცარმა გზა რომ შეეღება  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...  
მძაფრი ქარტყილი მას ნუ შეეხება,  
მზეო-ღვთისმშობელო, ამას გვევედრები.

ტფილისი.  
გალაკტიონ ტაბიძე

როგორც ლექსის სათაური და შინაარსი, ისე ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ გამოსვლის თარიღი (1921 წლის პირველი იანვარი) გვარანშუენებს, რომ საწყისი ვერსია ლექსისა „მზეო თიბათვისა“ დაწერილი უნდა იყოს 1920 წლის მიწურულს.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ გალაკტიონს დაბეჭდილი ტექსტი **სასწრაფოდ (იანვარი — მაისი) გადაუმუშავებია**, შეუკუმშავს და სახეთა აბსტრაქციების გზით სიმბოლისტური მრავალმნიშვნელოვნებისა და გაუმჭვირვალობისთვის მიულწევია. ამასთან, დღიურში, სადაც იგი ლექსს ოლიას უკავშირებს, გამოქვეყნებულ ტექსტს კი არ იმონებს, რომელიც კონკრეტუკას შეიცავდა, არამედ მის ახალ, გამოუქვეყნებელ ვერსიას.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ბადებს ვარაუდს, რომ გალაკტიონმა, — ჩვენთვის ჯერხნობით დაუდგენელი მიზეზისა თუ მიზეზების გამო, — მისტიფიკაციას მიმართა, როცა პოსტ ფაქტუმ შეთხზა ლეგენდა, თითქოს ამ ლექსით მეუღლის გაცილების რეალურ ფაქტს გამოეხმაურა.

რატომ დასჭირდა გალაკტიონს ამის გაკეთება?!

\*\*\*

ლერმონტოვის „ლოცვასთან“ გალაკტიონის შემოქმედებითი შეხვედრა გ. გაჩეჩილაძემ განსაზღვრა, როგორც „ასოციაციური მიმართება“. ჩემი დაკვირვებით, ეს შეხვედრა უფრო ღრმაა და მნიშვნელოვანი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ლერმონტოვის ლექსი გალაკტიონისათვის შთაგონების სათავე ჩანს. დავიმონმოთ ტექსტი:

МОЛИТВА

**Я, мать божия, ныне с молитвою  
Пред твоим образом, ярким сиянием,  
Не о спасении, не перед битвою,  
Не с благодарностью иль покаянием,**

**Не за свою молю душу пустынную,  
За душу странника в свете безродного;  
Но я вручить хочу деву невинную  
Теплой заступнице мира холодного.**

**Окружи счастьем душу достойную;  
Дай ей спутников, полных внимания,  
Молодость светлую, старость покойную,  
Сердцу незлобному мир упования.**

**Срок ли приблизится часу прощальному  
В утро ли шумное, в ночь ли безгласную —  
Ты воспринять пошли к ложу печальному  
Лучшего ангела душу прекрасную.**

თავიდანვე ვიტყვი: უცხოენოვანი ტექსტის ჟღერადობა ისეთი ზღვრული ადეკვატურობით აქვს გადმოღებული გალაკტიონს, რომ შესადაარებელი ლექსების მეტრულ-რიტმული და ინტონაციური თანხვედრა სრულიად თვალნათელივია. ლოცვის ფორმასთან ერთად სწორედ ეს თანაჟღერადობაა ობიექტური სიგნალი ინტერტექსტუალური კავშირის არსებობისა.

სანამ „ლოცვის“ აზრობრივ შინაარსს შევხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია მცირე განმარტება.

„ლოცვა“ 1837 წელს არის დანერილი, ლერმონტოვის კავკასიაში გამგზავრების წინ და, როგორც ვარაუდობენ, ეძღვნება ვარვარა ლოპუხინას (1815-1851), ბანოვანს, რომლისადმი ფაქიზი გრძნობა პოეტს ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ჩვიდმეტი წლის ყმანვილმა ვარვარა 1831 წელს გაიცნო, მონათესავე სულთა შორის კავშირიც გაიბა, მაგრამ მიზეზთა გამო, რაშიც ლერმონტოვი უცოდველი არ ჩანს, ლოპუხინა მოულოდნელად გათხოვდა. პოეტმა ქალის ნაბიჯი აღიქვა, როგორც **ლალატი**, თუმცა შემდგომში კიდევ რამდენიმე გრძნობიერი ლექსი უძღვნა გარდასულ სიყვარულს.

კავკასიაში მიმავალი ლერმონტოვი, რომელსაც ლექსში მსხემის, ყარბის სახე მიუღია, — ავტოგრაფში ნაწარმოების სათაურია „ყარბის ლოცვა“ („Молитва странника“), — ხიფათიან გზაზე შემდგარი, საკუთარ პერსონას კი არ ავედრებს ღვთისმშობელს, არამედ პოულობს შინაგან ძალას, ამაღლდეს პირად ტკივილსა და წყენაზე. მას სურს, უმანკო, უბოროტო გულისა და მშვენიერი სულის ქალწულს ბედნიერი ახალგაზრდობა და მშვიდი სიბერე ჰქონდეს, არ შეეხოს ზეპური საზოგადოების გულგრილობა და სიცვიც, სიკვდილის ჟამს კი წმინდა მარიამის მოვლენილმა ანგელოზმა განუსვენოს.

განშორების თემისთვის დამახასიათებელი სევდა და დრამატიზმი „ლოცვაში“ მლოცველის ალტრუიზმითა და კეთილშობილი სულის ლირიკული თრთოლვით არის განსპეტაკებული.

არსებობს თუ არა ორ ლექსს შორის, ფორმალურთან ერთად, აზრობრივ-შინაარსობრივი მსგავსება, თუ ამ მხრივ, როგორც გვარნმუნებენ, მართლაც „სემანტიკური სხვადასხვაობაა“ (ბურჭულაძე)?

დავიწყოთ იმით, რომ, ისე როგორც ლერმონტოვთან, გალაკტიონის ლექსშიც ლოცვა ღვთისმშობელს მიემართება (დასაწყისში: „მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებეირო“, ბოლოში: „მზეო-ღვთისმშობელო, ამას გვევედრები“).

მსგავსია ლირიკულ სუბიექტთა ინტენციაც, რამდენადაც ორივე გულწრფელი ღალადისით ივედრება **ყოფილ** სატრფოთა საფრთხისგან გადარჩენას თუ სიმშვიდე-კეთილდღეობას. გალაკტიონი ამბობს: „იგი, ვინც **მიყვარდა** დიდი სიყვარულით“, მასადაამე, გრძნობა წარსულის კუთვნილებაა. ლერმონტოვთან ამაზე უშუალო მინიშნება არაა, მაგრამ რადგან ლექსი ლოპუხინას „ლალატის“ შემდეგაა შექმნილი, გრძნობის აპოგეა აქაც წარსულს ეკუთვნის.

დაკვირვებული ნაკითხვისას ტექსტებს შორის გადაძახილი და რემინისცენციებიც შეიმჩნევა. „Пошли ангела“, — ითხოვს ლერმონტოვი. „ფრთებით დაიფარე“, — ივედრება გალაკტიონი. „В утро ли шумное, в ночь ли безгласную“, — ვკითხულობთ ლერმონტოვთან. **„ღამე** გაუთენე... **დილა** მიანიჭე“, — წერს გალაკტიონი...

რასაკვირველია, ტექსტები, როგორც დამოუკიდებელი ლექსები, ერთმანეთისაგან განსხვავდება კიდევ: გალაკტიონი ლერმონტოვს კი არ ბაძავს, არამედ, მისით შთაგონებული, — მსგავს განწყობილებით-სიტუაციურ და ვერსიფიკაციულ ჩარჩოში! — განშორების თემის საკუთარ, ტრაგიკულ ვერსიას თხზავს.

გალაკტიონის ლექსთან შედარებით, ლერმონტოვის „ლოცვა“ ღია ტექსტია, რომელშიც, ასე თუ ისე, მოცემულია ინფორმაცია ლირიკულ სუბიექტზეც და მფარველობის ობიექტზეც. გალაკტიონის ლირიკული „მე“-ს შესახებ, ფაქტობ-

რივად, არაფერი ვიცით, თვინიერ იმისა, რომ ის უკიდურესად შენუხებულია ყოფილი სატრფოს მდგომარეობით. თავად ეს არსებაც („იგი“) გაურკვეველობითაა შეზღუდული. მისი საფრთხიდან გამოსხნა ლირიკული სუბიექტის ძალას აღემატება. უძღურებიდან მოდის „მე“-ს იდუმალი ტრაგიზმი, რომლის სიღრმე და ხარისხი ლოცვის სიმზურვალეში აისახება.

\*\*\*

გალაკტიონის ლექსში ძნელი მისახვედრია, რაა მიზეზი „დიდი სიყვარულის“ გაქრობის თუ განელებისა („იგი, ვინც მიყვარდა...“), თუმცა რალაც მკრთალი მინიშნება ამაზე მაინც არსებობს. რას ითხოვს, რას ევედრება პოეტი (ლირიკული „მე“) ღვთისმშობელს?

**ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ, სული მოავლინე ისევ შენმიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც შევნიერი.**

პირველ რიგში, ეს ტანჯვა-განსაცდელის არიდების, ფიზიკური გადარჩენის თხოვნაა, მაგრამ მთავარი, შეფარული სათხოვარი, ჩემი აზრით, მომდევნო სამ სტრიქონშია მოქცეული. მლოცველი ევედრება დედა ღვთისას, დაუბრუნოს ყოფილ სატრფოს ის, რაც ჰქონდა და აღარა აქვს: დაუბრუნოს თავისი კეთილგანწყობა და მონყალეობა („სული მოავლინე **ისევ** შენმიერი“), ღამის ნაცვლად კვლავაც მიუბოძოს სხივნათელი დილა („დილა გაუთენე **ისევ** ციურიდან“; პირველნაბეჭდში: „ღამე გაუთენე... დილა მიანიჭე“), ალუდგინოს უმანკოთა მშვენიერი სული („სული უმანკოთა მიეც შევნიერი“). ქალის ცხოვრებაში, როგორც ჩანს, მოხდა რალაც ისეთი, რასაც პირდაპირ არ გვიმხელენ, მხოლოდ მიგვანიშნებენ, რამაც მას დააკარგვინა სულის უმანკოება და, მასთან ერთად — ღვთისმშობლის მფარველობაც. ევედრების კეთილშობილური მიზანი ისაა, რომ ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად მოხდეს ცოდვილი სულის აღდგინება, განწმენდა, სანკტიფიკაცია, რაც ღვთისმშობლის მისიაა.

მძიმე განწყობილება, რომელიც განფენილია ლექსში „მზეო თიბათვისა“, პირველნაბეჭდში კონკრეტულ დროს უკავშირდება — „1920“, როგორც აზრობრივ-ემოციური კონტექსტის განმსაზღვრელი თარიღი, სათაურადაა გატანილი. ცხედრებით მოფენილი, სისხლიანი „საოცარი წელი“ ბედითად აისახება ადამიანთა ცხოვრებაზე. ამ კომმარული სიზმარ-ცხადის ფონზე „ეჩვენება“ გალაკტიონს თავისი „თანამგზავრი“ — გარდასული „დიდი სიყვარული“...

\*\*\*

„მე ოლია შემდეგი ლექსით გავაცილე რუსეთს“, — წერს გალაკტიონი.

„მზეო თიბათვისა“, როგორც გაიკვია, მეუღლის გაცილებას არ უკავშირდება, მაგრამ ტექსტის ორივე ვერსიაში მეტ-ნაკლები სიცხადით ილანდება ოლია ოკუფავას სახება („ეს ლექსი ხომ მას შეეხება“). ლექსის შექმნის გარემოებანი დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1920 წლის მიწურულია. ყოფილ იმპერიაში ომი, გაპარტახება და შიმშილი მძვინვარებს, ტფილისს კი კასპიისპირეთიდან დაძრული „წითელი ვეფხვი“ უახლოვდება რისხვით. ბოლშევიკების შემოსვლას უთუოდ ოლიას დაბრუნება მოჰყვება...

ინყება მუდმივი ფიქრი ოლიაზე („იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება“), რომელთანაც გალაკტიონი მარტო დრომ და სივრცემ კი არა, არამედ ახალი ფორმაციის ქალბატონის არაორდინარულმა ცხოვრების წესმაც დააშორა (იხ.: ო. ოკუჯავას 1919-1920 წლების დღიურები).

პოეტი ლერმონტოვის „ლოცვის“ შთაბეჭდილების ქვეშაა, თავის ფიქრებსა და განცდებს, ლერმონტოვის ანალოგიით, იგი ლოცვის, ვედრების ფორმაში აქცევს — იქმნება ეპოქისა და პიროვნულ-ბიოგრაფიულს ლირიკულად ტრანსფორმირებული ტრაგიკული სურათი, როგორც შედეგი მხატვრული იმაგინაციისა.

რა დამოკიდებულება ჰქონდა გალაკტიონს მეუღლესთან იმ ხანებში, როცა „მზეო თიბათვისა“ ინერებოდა, ანუ ოლიას მოსალოდნელი დაბრუნების წინ?

1921 წლის 24 მაისი, დღე, როდესაც პოეტმა ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი გააკეთა, წლობით უნახავ მეუღლესთან შეხვედრის პირველი დღეა. ეს შეხვედრა მომდევნო დღეს (25 მაისს) თვით გალაკტიონს აქვს დეტალურად აღწერილი და ორ, ერთმანეთისგან სრულიად გაუცხოებულ პიროვნებას წარმოგვიდგენს: ერთი მათგანი (ოლია) — შემცოდება, მეორე (გალაკტიონი) — შემნდობი... შეძრწუნებული, ეიფორიაში მყოფი პოეტი უმწეოდ ცდილობს ქალის გამართლებას მისი მიმნდობი ბუნებით.

გალაკტიონს ოლიას გამო რომ მტანჯველი ფიქრები აწამებდა, ცხადლივ ჩანს ნაკლებად ცნობილი ვარიანტიდან ლექსისა „რაც უფრო შორს ხარ“. ეს ლექსი დაწერილია არა 1908 წელს, როგორც მიჩნეული იყო, არამედ — 20-იან წლებში (ნ. ტაბიძე), ჩემი ვარაუდით, „მზეო თიბათვისას“ შექმნის ახლო ხანებში. მომაქვს ფინალური სტროფები, რომლებიც გალაკტიონმა ლექსის საბოლოო რედაქციაში აღარ შეიტანა:

**მაგრამ თუ როსმე მომიახლოვდი,  
ოცნების კოშკი მსწრაფლ დაიმსხვრევა,  
ველარ მიშველის მხურვალე ლოცვა  
და ვერც ნაკადად ცრემლების ფრქვევა.  
სიძულვილისა ნისლი მწუხარი  
შენს სულზე ჩემს ზიზღს გადააქარგავს,  
შორი სურათი თუ მატყვევებდა,  
სურათი ახლოს ელფერს დაჰკარგავს.**

სტრიქონები — „ველარ მიშველის მხურვალე ლოცვა“ და „სიძულვილისა ნისლი მწუხარი / შენს სულზე ჩემს ზიზღს გადააქარგავს“, ვფიქრობ, კომენტარს არც საჭიროებს. გალაკტიონის მაღალი, სპეტაკი ოცნება, „სიშორის“ გაუქმებისას, რეალობის პირისპირ დარჩენილი, მარცხდება და „ოცნების ლურჯი ანგელოზის“ ნაცვლად იხატება „სული“, რომელსაც პოეტი მხოლოდ სიძულვილსა და ზიზღს „გადააქარგავს“...

ახლა დავუკვირდეთ გალაკტიონის ჩანაწერის ერთ დეტალს:

„ისმინა თუ არა ღვთისმშობელმა ჩემი ვედრება? აი, რა არის გამოსარკვევი“...

ოლია უკვე ტფილისშია, მამ რალაა გამოსარკვევი?! პასუხს ამ კითხვაზე მომდევნო დღის, 25 მაისის დღიურში ვპოულობთ:

„ვინ იცის, რანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი (ოლია — თ. დ.)?“

ეს ჩემთვის სამუდამოდ გამოუცნობ გამოცანად დარჩება.

... მლაღატობენ მეგობრები, მლაღატობენ ნათესავები, მლაღატობს, საზოგადოდ, ბედი, მილაღატა ოლიამაც და მთელ ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ლალატი... რად, რად ჩაიდინა ასეთი რამ ოლიამ?

და ისევ ვფიქრობდი: მაგრამ ოლია ავადა. ავადა მხოლოდ იმის გამო, რომ ვილაცამ მისი ცხოვრების ახლო გაიარა, ტლანქად და მოურიდებლად. შეიძლება ეს „ვილაცა“ ვიყავი თვითონ მე... გრცხვენოდეს, ოლია. შენ მეტად ავად ხარ იმისთვის, რომ ოდესმე გაგაგებინო. მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი! არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იქნეს შენთვის? მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასე შებრალებით მიყვარხარ. შენ კი თუ გსურს, კიდეც მილაღატე, მილაღატე, როგორც მლაღატობს ყველა: გალაკტიონ ტაბიძე თავის თავს არ უღალატებს! შენ არ გილაღატია! ვერავინ, ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქოს, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა“.

გამოსარკვევი, ვფიქრობ, გარკვეულია: თვით ღვთისმშობელმაც ვერ შეძლო მშვენიერი სულის უმანკოების აღდგენა, ე.ი. ვერ განხორციელდა ის სასწაული, რასაც ასეთი სასოებით შესთხოვდა დედა ღვთისას „ლოცვად მუხლმოყრილი“ პოეტი.

\* \* \*

დავუბრუნდეთ კითხვას, თუ რატომ მიმართა გალაკტიონმა მისტიფიკაციას.

პოეტის ჩანაწერი 50-იან წლებს რომ ეკუთვნოდეს, დროს, როდესაც მიზანმიმართულად დაიწყო თავისი ე.წ. დეკადენტურ-სიმბოლისტური ლექსების რეალისტური ინტერპრეტირება, პასუხიც იოლი იქნებოდა. ასე აღმოჩნდა, რომ „მე და ღამე“ რევოლუციურ საიდუმლოს ფარავს, „მთაწმინდის მთვარე“ ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი სულის მონოლოგია, „მერი“ — რეალური ქალის, ფრეილინა მერი შერვაშიძისადმი სიყვარულის ანარეკლი, ხოლო „ლურჯა ცხენები“ — სამეცნიერო თემაზე დაწერილი რეალისტური ლექსი! რომ არა ჩანაწერის თარიღი — 1921 წლის მაისი — ლექსის „მზეო თიბათვისა“ რეალისტური ფესვების მოშოშვლებაც ამ რიგის მოვლენად ჩაითვლებოდა...

ჩატარებული კვლევის კონტექსტში, ჩემი ვარაუდით, მისტიფიკაციას ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური, შემოქმედებითი და პიროვნული მოტივები აქვს.

ჩანაწერის გაკეთების დროს ბოლშევიკები უკვე თბილისში არიან, ყველაფერს ეჭვის თვალთა აკვირდებიან და არასაიმედოებს დაუნდობლად, სასტიკად უსწორდებიან. გალაკტიონის კეთილგანწყობა და თანამშრომლობა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებასთან ისედაც არ იყო დაფარული, ამიტომ გასაბჭოების თითქმის წინა დღეებში დაბეჭდილი ლექსი „1920“ პოეტისათვის, შეიძლება, სახიფათო აღმოჩენილიყო. მიუხედავად ინტიმურ-ლირიკული ხასიათისა, ტექსტი აშკარად შეიცავს ახალი, პოსტ-რევოლუციური დროის ნეგატიურ დახასიათებას: ჩვენ წინაშე არა ჟამი განახლებისა — დიადი რევოლუცია, რომელსაც ხალხისთვის ნანატრი თავისუფლება უნდა მოეტანა, არამედ „საშინელი ხანა“ — „საუკუნე უმეცარი“, როდესაც „დროის შეჩვენება“ სოციალური თანასწორობის სახელით ფიზიკურად და სულიერად ანადგურებს ადამიანებს. პირველნაბეჭდში ისიც ჩანს, რომ „თანამგზავრი“,

რომლის ბედიც ანუხებდა პოეტს, უცხოეთში (რუსეთში) იმყოფება, ხოლო სასტიკი, სისხლითა და ცხედრებით მოფენილი გარემო „გამარჯვებული რევოლუციის“ ქვეყანაა — პოსტრევოლუციური რუსეთი.

გალაკტიონმა სასწრაფოდ ამოიღო არასასურველი კონკრეტულის შემცველი ორი სტროფი, ხოლო მოგვიანებით — მეორე პუბლიკაციისა (1927), შეცვლილი ვითარების გათვალისწინებით, „ღვთისმშობელი“ მზის მეტაფორით დაშიფრა, „ხანა საშინელი“ კი უფრო განყენებულმა „ხანმა უნდობარმა“ ჩაანაცვლა.

ჩანანერიდან იგრძნობა, რომ გალაკტიონს არ სურს ლექსის გამოქვეყნებული ვერსიის გახსენება, ფაქტობრივად, მაღავს მას. საკუთარ დღიურშიც კი იგი ძნელად შესაძლებელ ახალ ვერსიას იმონებს და იქვე ცრუნფორმაცია-საც აფიქსირებს, თითქოს ლექსი მეუღლის რუსეთში გაცილების ფაქტს ეხება. და რადგან ეს ფაქტი მხოლოდ 1916 წელს შეიძლება მომხდარიყო, როდესაც ოლია მოსკოვს გაემგზავრა, შესაბამისად, „მზეო თიბათვისა“ რევოლუციის სისხლიან შედეგებს კი არ აირეკლავს, არამედ — რუსეთის იმპერიის რღვევისა და მსოფლიო ომის მძიმე ხანას.

ასეთია მისტიფიკაციის პოლიტიკური ასპექტი.

უფრო იოლი წარმოსაჩენია მისტიფიკაციის, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი მიზეზი: ლექსის წარმომავლობის კონკრეტულ ცხოვრებისეულ ეპიზოდთან დაკავშირებით თუ არ იშლება, ფერმკრთალდება მაინც რეალური გენეტიკური სათავისაკენ (ლერმონტოვის „ლოცვა“) მიმავალი კვალი.

დასასრულ, მისტიფიკაციის შედეგად ბუნდოვანდება ლექსში გადასული მწარე პიროვნული განცდები, რომლის გამხელა ოლიას **დაბრუნების** მომლოდინე გალაკტიონს არაგისთვის სურდა. პოეტი ცდილობს, ვითარება ისე წარმოადგინოს, თითქოს ტექსტში ოდენ ოლიას გაცილებით აღძრული შეშფოთებაა გამოხატული, რათა ოცნების, პოეზიის სივრცე მაინც დარჩეს შეუბღალავი... გალაკტიონის ნამდვილი ცხოვრება ხომ მხოლოდ ამ წარმოსახულ, იდეალურ სივრცეში მიედინებოდა.

რაც შეეხება ლერმონტოვის ლექსის ზეგავლენას გალაკტიონზე, გავიგებოვებ იმას, რაც ერთგზის უკვე ვთქვი: „პოეზიაში შეხმიანება თუ სესხება არაფერს წყვეტს, მთავარი ახალი ესთეტიკური ფასეულობის შექმნაა. გალაკტიონი ისე გარდაქმნის ყველაფერს, — ანტიკურსაც, რომანტიკულსაც, თანამედროვესაც, — აზრისა და ფორმის ისეთ მწვერვალებს აღწევს, რომ ხშირად უკან იტოვებს პირველწყაროს, რაოდენ მაღალი რანგის ქმნილებაც არ უნდა იყოს იგი“.

\* \* \*

ლექსის „მზეო თიბათვისა“ ახლადმიგნებული პირველნაბეჭდი ტექსტი („1920“) და წარმოდგენილი ანალიზი კიდევ ერთხელ და, ვფიქრობ, საბოლოოდ ცხადყოფს, რომ გალაკტიონის შედევრის დაკავშირება რ. ვაგნერის „ლოენგრინთან“ უმართებულაა. ლირიკული სუბიექტის ლოცვა მიემართება არა გრაალს, როგორც ამას დაფიქრებით გვიმტკიცებენ („გრაალს შევე-ვე-დრები“), არამედ „მზე-ღვთისმშობელს“. ლერმონტოვის ლექსით შთაგონებული გალაკტიონი თავისი გარდასული „დიდი სიყვარულის“ ხორციელ უსაფრთხოებასა და სულიერ აღდგომას ივედრება, რასაც

არაფერი აქვს საერთო ლოენგრინის ლოცვასთან ელზასთან განშორების წინ.

„მზეო თიბათვისა“ („1920“) კონკრეტული ისტორიული ეპოქის გამოძახილია და ავტობიოგრაფიულ რემინისცენციებს შეიცავს. უტყუარი ფაქტების ფონზე არასერიოზული და ღიმილისმომგვრელიც კი ჩანს მტკიცება, რომ ლექსის ფინალური სტრიქონები („ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, / უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“) ლოენგრინის მიერ დახოცილ ფრიდრიხ ფონ ტერლამუნდს და მის მსახურებს გულისხმობს („მხოლოდ ინტეგრალები“, 1980, გვ. 80).

დასკვნისთვის, მოკლედ შევჩერდეთ იმაზეც, თუ როგორ შეიძლება გავიგოთ „გრაალს შევედრები“.

როგორც ადრეც ვწერდით, „გრაალს შევედრები“ ნიშნავს — ვიქნები გრაალის მსგავსი, „გრაალს დავემსგავსები“. ასე აქვს ეს სახე განმარტებული აკაკი ბაქრაძესაც: „ლოცვად მუხლმოყრილი სისხლით სახვე თასს ვგავარო“ (გალაკტიონოლოგია V, გვ. 56). მაგრამ როგორ უნდა დაემსგავსოს ლირიკული სუბიექტი **თასს**?

გრაალი ჭურჭელია (თასი, ბარძიმი), რომელმაც მაცხოვრის სისხლის გამო შეიძინა **წმინდა** გრაალის სტატუსი. მსგავსება გრაალთან (თასთან) ორი ასპექტით შეიძლება იქნეს განხილული — ფიზიკური და სიმბოლური ასპექტებით. მლოცველის პოზა (მუხლმოყრილი, ზეცისკენ ხელაპყრობილი ადამიანი), ამ პოზის გრაფიკული კონტური ვიზუალური ასოციაციით, შესაძლოა, მიამსგავსონ კიდევ გრაალის თასს, როგორც ის მხატვართა ტილოებზეა გამოსახული. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: თავდაპირველ ტექსტში გალაკტიონთან მლოცველის პოზა არ ფიგურირებდა — „ლოცვად მუხლმოყრილი“ მოგვიანებით გაჩნდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ პოეტის წარმოსახვა უფრო არსობრივ-სიმბოლურ მსგავსებაზე იყო ორიენტირებული.

რა სიმბოლური სემანტიკა აქვს წმინდა გრაალს? თასში მოქცეული სისხლი მაცხოვრისა არის სასწაულებრივად გადარჩენილი, მარადიული **სული ახალი ალექსისა** („ეს არის ჩემი სისხლი (ახალი) ალექსისა, მრავალთათვის რომ იღვრებოდა ცოდვების მისატევებლად“ — მათე 26:28). ლირიკული სუბიექტი, რომელიც ვედრებით მიმართავს ღვთისმშობელს, აუნყებს მას, რომ, როგორც გრაალის ჭურჭელი სისხლს, საკუთარ არსებაში, სხეულში, ახალი ალექსის სულს ატარებს (შდრ.: ვალერი ბრიუსოვის სტრუქტურულად მსგავსი სახე: „Я... полон, как кубок мой вином, - безмерной мудростью“), რომ მზადაა მოყვასის საშველად. მაგრამ შორს მყოფის შველა მოკვდავის ძალებს აღემატება, ამიტომ ლირიკული სუბიექტი, მსგავსად გრაალისა, მედიუმის ფუნქციას კისრულობს — ტანჯვა-განსაცდელში ჩავარდნილ არსებას ღვთისმშობელთან შუამდგომლობს.

ეპოქის კულტურულ-ლიტერატურულ კონტექსტში ძნელი არაა იმის დადგენაც, საიდან გაჩნდა გალაკტიონის ლექსებში „გრაალი“. თქმულება გრაალზე, გრაალის სახე-სიმბოლო აქტუალიზებული იყო რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში, რომელსაც ზედმიწევნით იცნობდა გალაკტიონი. აქვე არც რუდოლფ შტაინერის ხსენება იქნება უადგილო: მისდამი ინტერესი პოეტმა ადრეიდანვე, 10-იან წლებში გამოხატა „სულიერების საფუძვლების“ ფრაგმენტის თარგმნით.

ძვირფასო მკითხველო, წინა წერილში („ალავერდი“ შენთან ვარ, წინაო ალავარო!) მხილებული ფაქტის გამო, ოკამის სამარ-  
თებლის პრინციპზე დაყრდნობით, გამჭირვალობამდე სპეტაკი სინდისით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მწერალთა  
კავშირის მიერ გამოცემული კრებული „ალავერდი“ არაფრად ვარგა და, მე თუ მკითხავთ, მისი დარჩენილი ტირაჟი სასწრაფოდ  
უნდა განადგურდეს... თუმცა (რაკი ეს არ მოხერხდა), ალბათ, უპრიანი იქნება, თუ ამ წიგნში დაბეჭდილი ტექსტების მხატვრულ-  
ლიტერატურულ ღირებულებას მაინც გამოვიკვლევთ...

ლექსო დორეული

# „ალავერდი“ შენთან ვარ, მკითხველო!

როგორც სარეცენზიო წიგნის სარჩევი გვატყობინებს, თანამედროვე საქართველოში თხუთმეტიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ოთხმოცზე ბევრად მეტი პროზაიკოსია. იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, როგორც „ალავერდის“ ანოტაცია გვემუქრება, „წლების მერე არაერთი მათგანი დაამშვენებს დიდ ქართულ მწერლობას“, ავშენებულვართ და ეგ არის! ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მალე თხუთმეტიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ქართველი პროზაიკოსები მსოფლიოს მასშტაბით შექმნიან ლიტერატურულ კლიმატს! დიდი იმედი მაქვს, ისინი ამის გაკეთებას „თავიანთი“, ანუ ალვარო იუნკეს, ხულიო კორტასარის, ხოსე ალვარესისა და ბორხესის მოთხრობებით არ აპირებენ!

სცადეთ მომიტყვოთ, მაგრამ ეს ყოველივე იმ ამბავს მაგონებს, ერთმა ცნობილმა ფრანგულმა გამოცემლობამ წიგნები — „მსოფლიო ისტორიის ასი ყველაზე დიდი ადამიანი“ და „მსოფლიო ისტორიის ასი ყველაზე დიდი ებრაელი“ — ცალ-ცალკე რომ გამოუშვა. რა დასამალია და, დარწმუნებული ვარ, „le chemin“-ის (ფრ. „გზა“) დირექტორატს „ალავერდი“ თვალთ მანც რომ ჰქონოდა ნანახი, ტრილოგიის მესამე ნაწილს უთუოდ ასე — „მსოფლიო ისტორიის ასი ყველაზე დიდი თხუთმეტიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ქართველი პროზაიკოსი“ — დაასათაურებდა.

მაგრამ, მეგობრებო, რა ვქნა, არც ისეთი თავზეხელაღებული ვარ, რომ „ალავერდში“ მოხვედრილი (ალბათ, დიდი კონკურენციის დაძლევა დასჭირდათ) ყველა ავტორის შემოქმედებითი წვის შედეგები განვიხილო. არა, იმიტომ არა, რომ მეზარება. საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, კრებულში დაბეჭდილი ტექსტების უმეტესობას აბსოლუტურად არაფერი აკავშირებს ლიტერატურასთან და, შესაბამისად, არც კრიტიკულ ანალიზს ექვემდებარება. მეტიც, ავტორთა უმრავლესობა არათუ მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის აგებისათვის აუცილებელ, ელემენტარულ უნარებს ვერ ფლობს, არამედ მათ გამართული ქართული წერაც არ ძალუძთ. „ალავერდის“ ზერეულე გაცნობითაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დასახვეწია ჩვენი განათლების სისტემა. აბა, დაბეჭდილი ტექსტების იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით სილატაკე, ზედაპირულობა და ტრივიალურობა რა სალაპარაკოა, როდესაც მათს დიდ ნაწილში ენის უელემენტარულესი, გრამატიკული ნორმებიც კი არ არის დაცული...

თუმცა, დიდად სასიხარულოა, რომ წარმოდგენილთაგან რამდენიმე ავტორი უდავოდ ნიჭიერია...

ასე რომ, წინასწარ ვთხოვ შენდობას მათ, ვისი ნაწერების მეცნიერულ-ლიტერატურული ანალიზიც შეუძლებლად, წარმოუდგენლად მიმაჩნია. ასეთი ავტორების ნაკლებობით სარეცენზიო წიგნი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. თუმცა ეს დაკვირვება ზედმეტად ზოგად, დაუსაბუთებელ მსჯელობად რომ არ ჩამომართვან, თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე მაგალითის განვიხილვას მაინც შევეცდები... როგორც კრიტიკული რაციონალიზმის „მამა“ **კარლ რაიმუნდ პოპერი** ერთგან წერს: „ვილაციოსთვის აუცილებლად უნდა იქცეს მიზნად (უსიამოვნო მიზნად) ვილაციოს უაზრობის („უაზრობის“ ცნებაში პოპერი ტექსტის უსაზრისობას გულისხმობს. ლ. დ.) გამოაშკარავება, რადგან იგი შეიძლება სახიფათო უაზრობა იყოს“. უსიტყვოდ ვემორჩილები კარლს და შევეუდგები კიდევ საქმეს...



მაშ, ასე! რუბრიკა 1-ის — „Asinus ad lyram“ — ფარგლებში ვინცებთ კვლევას იმ ტექსტებისა, რომელთაც მხატვრულ ლიტერატურასთან ისეთივე ღრმა კავშირები მოეპოვება როგორც სახედარს — ლირასთან.

\*\*\*

ქალბატონ **ირმა გოდერძიშვილს**, რომელიც მკითხველის წინაშე, პირდაპირ ვიტყვი, ნაძალადევად სენტიმენტალური მოთხრობა — „ცხოვრების კამათლებით“ — წარდგა, როგორც ირკვევა, მტკიცედ გადაუწყვეტია, თავისი ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, სოფლის სკოლის ერთ ინვალიდ, რიგით მასწავლებელს ქართველი კლასიკოსის, მწერალ ვაჟა-ფშაველას ბედი გააზიარებინოს. ვინ ოხერი იყო დამძლეული და... ასეც მოიქცა! ავტორს, ალბათ, მეხუთემეექვსე კლასის ქართული ლიტერატურის წიგნში ნაუკითხავს, ფშაველ გენიოსს გარდაცვალებამდე ბალახი და ყვავილები რომ მოუთხოვია და, ანალოგიის ლოგიკის ძალით, პატივცემული ვანოც მსგავსი სიკვდილისწინანდელი სურვილით აღასრულა. ოღონდ, ერთი განსხვავებით; ქალბატონ ირმას აზროვნების მთელი ჰერმენევტიკული ბუნება სრულად გამოუვლენია და, ვაჟასაგან განსხვავებით, ცხონებული ვანო „პამიდურის“ (ხაზგასმა ჩემია. მოგეხსენებათ, ამ სახელწოდების ბოსტნეული, ყოველ შემთხვევაში აქამდე, ბუნებაში არ არსებობდა. თუ ავტორს რაიმე ახალი ჯიშის გამოუყვანია, სავარაუდოა, რომ ის ტრადიციულ „პომიდორს“ გულისხმობს. ლ. დ.) დაყვედრებული ფოთლებით გააცილეს უკანასკნელ გზაზე. შედეგად,

მოთხრობამ, რომელსაც იდეაში გულამოვარდნით უნდა აეტირებინა მკითხველი, მეტად კომიკური ელფერი მიიღო და, შეძლებისდაგვარად, გააშარჟა დიდი ქართველი პოეტის სიკვდილის მართლაც ტრაგიკული სცენა...

შემდეგი იმედგაცრუება ვინმე **მაია გონჯილაშვილია**. არ ვიცი, რამდენი წლისაა ეს ადამიანი და რა საბედისწერო შემთხვევამ გადაწყვეტინა კალმის ხელში აღება, მაგრამ, თუ დაგვიანებული არ არის, ვურჩევ, მის (კალმის) სასწრაფოდ უკანვე დადებას.

თავად განსაჯეთ, მოთხრობა — „მიტოვებულ ცრემლში“ — ზოგ ეპიზოდში — „სამყარო თერ მანტიას **ისხავედა**“ (უნდა იყოს „ისხამდა“), ზოგან კი — „ბურთივით გაიჭყედა სათქმელი“... მერედა სად? რა თქმა უნდა, ფიქრებში! შემდეგ კი, „გაიფანტა და დაიქსაქსა“!!!

ანდა, ქალბატონი მაიასთვის რა საკადრისია ასეთი ქართულით წერა: „გოგო კიდევ აპირებდა კითხვების თავსხმა გაეგრძელებინა, მამაკაცის დაბნეულ მზერას ნააწყდა...“? თქვენი არ ვიცი, **მაგრამ** (სწორედ ეს სიტყვა დაენანა ზემომოყვანილი წინადადებისათვის ავტორს) მე ნამდვილად არ მესმის, მაგალითად, ამ ფრაზის აზრი: „მამაკაცს ხმა თანდათან **უტყედობდა**“ (ხაზგასმა ჩემია. ლ. დ.). ხმაში ბზარის გარჩენა გამიგია, მაგრამ მისი ასე უმოწყალოდ, პირდაპირ გატყდომა — არა! ხმა არც ფაიფურის თეფშია და არც თიხის დოქი, რომ გატყდეს. „ხმის გატყევას“ ქართულ (არალექსიკონურ) იდიომატიკაში სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და ის რალაც საიდუმლო ამბის გახმაურებას გულისხმობს (მისი კორელატიური შესიტყვებაა — „ხმის გავარდნა“). მწერალი ქალბატონი კი მას მეორე ქართულ მყარ შესიტყვებაში — „ხმაში ბზარის შეპარვა“ — ურევს.

შეამჩნევდით, ამ ავტორის პრობლემა არა მხოლოდ გრამატიკული ნორმების მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება, არამედ, როგორც **უაიტჰედი** იტყოდა, მშობლიური „ენის გონის დისკურსში“ ვერ „შესვლა-დარჩენაა“. ეს კი გაცილებით „სახიფათოა“, ვიდრე გაუმართავი სტილითა და მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული ნესების უგულვებლყოფით ასე გატაცებით თხზვა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, ახალგაზრდა პროზაიკოსის სანუგეშოდ ითქვას, რომ ენისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ არის მხოლოდ მისი პრობლემა და ის ტიპურია თანამედროვე ქართველი მწერლების დიდი ნაწილისათვის...

გარდა ამ გაჭირვებისა, ავტორმა არ იცის აბზაცის გამოყოფაც. მაგალითად, ერთგან ვკითხულობთ: „ქართული სიტყვები გავიგონე, ამ გაყინულ სამყაროში აღარ მეგონა თუ ასეთი თბილი **კიდე** (ხაზგასმა ჩემია. უნდა ეწეროს „კიდევ“ და არა — „კიდე“, რომელსაც, თუ ალექსანდრე ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონში ჩავხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები აქვს. ლ. დ.) რამე იქნებოდა. მგონი მყუდროება დაგირღვიე“... დიდი გამჭირაობა არ სჭირდება იმის დასკვნას, რომ „მგონი მყუდროება დაგირღვიე“ მოთხრობის სხვა პერსონაჟის სიტყვებია და მისი აბზაცით გამოყოფა ურიგო იდეა სულაც არ უნდა იყოს.

რაც შეეხება განსახილველი ტექსტის ტროპულ თავისებურებას, ქალბატონ მაიას მხატვრული სახეების შექმნის ორი ძირითადი საშუალება მოუძებნია: ის ან თითებიდან გამონოვილ, გულისგამანვრილებლად უბადრუკ მეტაფორებს ახვავებს, ანდა სხვა ავტორთა შემოქმედებიდან სეს-

ხულობს მათ. თუმცა მის სასახლოდ უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ტროპი ერთდროულად სუსტიცაა და ნასესხებიც. მაგალითად, საინტერესოა, მერამდენედ უნდა ჩაეხვიოს მზერა ყავის თუ ჩაის ტრიალს („მზერას ყავის ჭიქის ორთქლში ახვევდა...“ — მაია გონჯილაშვილი; „მზერა ჩაეხვია ჩაის ტრიალს“ — **გენრი დოლიძე**), რომელსაც ეს უკანასკნელი (მზერა), პირდაპირ სასწაულია — „საგზლად უკვე ჩავლილ ნამებს ატანდა“!

ეს ავტორი მკითხველს ვერც ორიგინალურ, ნოვაციურ აზრებს სთავაზობს. ტექსტი სავსეა ტრივიალური, უკიდურესად ბანალური იდეებითა და მსჯელობებით. მაგალითად, როდესაც ქალბატონი მაია წერს: „გოგოს **უქართველო საქართველო** ასტკივდა“-ო, მხედველობის მიღმა რჩება, რომ ლოზუნგი „საქართველო — ქართველების გარეშე“ „არახალია“ და მისი თავიდან მოფიქრებაც თითქოს არც კი უნდა იყოს საჭირო. მითუმეტეს, თუ ამ აზრის იდენტური სინტაქსური კონსტრუქციით ასე ლაკონურად გამოთქმა, რაღა შორს ნავიდე, თუნდაც შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა **ზინა სოლომნიშვილმა** სულ რამდენიმე ათეული წლით დაასწრო: — „*შენი სოხუმი და სამაჩაბლო / ეს უქართველო საქართველოა*“ (ზ. სოლომნიშვილი).

მკითხველო, ხომ ხედავთ, რა დღეში ჩააგდო პატივცემულმა მაია გონჯილაშვილმა ქართული ენა? წიგნის რედაქტორები კი გვიმტკიცებენ, „ალავერდის“ ავტორები დიდ ქართულ მწერლობას დაამშვენებენო“!

ამ საქმეს (დიდი ქართული მწერლობის დამშვენებას) ვერც **დავით ჩომახიძეს** ვანდობთ. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობა („სოფლის შარავზა“), რომელიც ისეთი გულისგამანვრილებლად სენტიმენტალური სიუჟეტითაა აგებული, კრებულში ავტორის ფოტო-სურათი რომ არ ყოფილიყო მითითებული, ვერაფრით ვივარაუდებდი, მამაკაცის დაწერილი რომაა. მაგრამ, მოგესხენებათ, მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმად მისი შემქმნელის სქესის დადგენა (თუნდაც დიდი გაჭირვების ხარჯზე) არ გამოგვადგება. ამიტომაც აჯობებს, ტექსტის ანალიზს ლიტერატურის თეორიის იმ კატეგორიებზე დაყრდნობით მივყოთ ხელი, „სოფლის შარავზის“ შეფასებაში რომ გავვიწვევს დახმარებას...

სარეცენზიო მოთხრობა უთუოდ კლასიკური ესთეტიკის დისკურსშია განსახილველი; დაცულია ტექსტის აგების ტრადიციული სტრუქტურა — გაკვანძვა, კულმინაცია და კვანძის გახსნა; დავითი, მაღლობის მეტი რა გვეთქმის და, მცირე ექსპოზიციურ ექსკურსსაც კი გვთავაზობს.

რაც შეეხება ამ ნაწარმოების შინაარსისეულ გარკვეულობას, ავტორს ამ თვალსაზრისითაც არაფერი გამოუგონია ახალი და განსაკუთრებული. ფაბულა, რომელზეც ეს ტექსტია აგებული არის ძალზე პრიმიტიული, ბანალური და საფუძვლად უდევს კაცობრიობის ისტორიაში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა არცთუ ისე მცირე ნაწილს. ასეთ კვაზირომანტიკულ ისტორიას ხშირად ნააწყდებით ხელოვნების სხვა, კონცეპტუალურად ასევე არაფრით გამოორჩეულ ქმნილებებში. მაგალითისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ ქართული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“...

ბატონი დავითიც სწორედ შეყვარებულ წყვილზე მოგვითხრობს, რომელიც, რა თქმა უნდა, „სიფრიფანა გოგონას“ მოთხრობის ახირებული გადაწყვეტილების გამო (მიხედვობდით, მათ სურთ, რომ საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში გადაბარგდნენ) იძულებით შორდება! მაგრამ, აბა,

ისე როგორ იქნებოდა, სიყვარულს, როგორც ყოველთვის, აქაც არ ეზიმა გამარჯვება! მართლაც, რამდენიმე წლის შემდეგ, სიმბოლურია, რომ განშორების ადგილზევე ხდება მიჯნურების ხელახლა შეყრა!

მკითხველო, არ გეგონოს, ამბავი შევამოკლე. ამ მოთხრობამ მხოლოდ ტრადიციული, დაზეპირებული, ვიტყვი — „ვინუფდენი“ კადრების აღწერით შეადგინა სრული სამი გვერდი! მართლაც, ავტორი ვერ ძლება საკუთარი ესთეტიკური დაკვირვებების ჩვენთვის გაზიარებით და შესაშური უშუალოდ აღგვიწერს, როგორ უმონყალოდ აცხვენებდა აგვისტოს მზე სოფლის შარავზას, სოფელს მონატრებული გოგონა, მოზღვავებული ემოციების ნიადაგზე, როგორ აეკრო სახით ავტობუსის მინას, როგორ ელოდა, ავტორისეული სიტყვებით რომ ვთქვათ, — „არე-მარე“ (უნდა იყოს „არემარე“) „ზამთრისთვის ესოდენ დამახასიათებელ... თოვლს...“ და როგორ „ფარფატებდნენ ღამეულ ცაში თოვლის ფანტელები ფარვანებით“. მოკლედ, „სოფლის შარავზა“ ვერც ტროპული მეტყველების აქამდე უთქმელ სახეებს გვთავაზობს და მხოლოდ ძლიერ გაცვეთილი მხატვრული შედარებებით — „ტანამოლტილი ნაძვები“, „რძისფერი ნისლი“, „მრისხანად გადმოკიდებული ღრუბლები“ და ა. შ. — უშედეგოდ ცდილობს რეციპიენტისათვის ესთეტიკური ტკობის მინიჭებას.

და კიდევ რამდენიმე, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებიც მაფიქრებინებს, რომ ასეთი სუსტი მოთხრობები არ უნდა ქვეყნდებოდეს — ნანარმოები თავისუფალია ყოველგვარი ქვეტექსტებისაგან, გვთავაზობს ზომიერად ტრივიალურ იდეებს, აზრებს და გაუმართავია როგორც ენობრივად, ისე — სინტაქსურად. მომიწევს, ავტორს ავუსხსნა, რომ „ფანტასტიურის“ სწორი ფორმა „ფანტასტიკურია“; ხოლო ას ორმოცდაათი სიტყვა-ნიშნისაგან შემდგარი, უკიდურესად გაუგებარი და დაულაგებელი წინადადებების გადმონერისგან, ფართის ეკონომიის მიზნით, თუ პატივცემული დავითი ძალიან არ დაიჟინებს, ამჯერად თავს შევიკავებ...

სტილისა და მორფოლოგია-ორთოგრაფიის თვალსაზრისით, არც **სალომე შენგელიას** აქვს მისალოცად საქმე. მოვიტან ერთ ციტატას მისი მოთხრობა „სპილოებიდან“: „ზღაპრებს ვუყვებოდი. განსაკუთრებით ერთი **ზღაპარი** უყვარდა **სპილოებზე**. ამ **ზღაპარს** ყოველ დღე სხვადასხვანაირად ვყვებოდი, რადგან ჩემი მოგონილი იყო და მავინყდებოდა. სამაგიეროდ ანდრეას ახსოვდა ყველაფერი და მიზრაზღებოდა, როცა რაღაცას შეეცვლიდი. ისეთი საყვარელი იყო, როცა მიბლერდა, რომ ცვდილობდი მომეგონებინა, რა გადახდათ **სპილოებს**. ერთხელ კი სადღაც მოვისმინე **სპილოებს** შორის განქორწინება 17%-იაო, **სპილოების** და პინგვინების განქორწინებაზე ფიქრი მახალისებდა, ანდრეას **ზღაპარშიც სპილოები** ხან შორდებოდნენ, ხან ქორწინდებოდნენ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ძალიან უყვარდათ შვილები. ალბათ ამიტომ ამოიჩემა ანდრეამ **სპილოები**. მარტო **სპილოებს** ხატავდა. და თუ **ზღაპარში სპილოები** არ იყვნენ, ანდრეას ის **ზღაპარი** აღარ აინტერესებდა“.

მიხარია, სალომე ეპისტემოლოგიურ ტრადიციებზე რომ აღმოჩნდა აღზრდილი; გამეორება ხომ ცოდნის დედა!

მაგრამ, ნწუ, მე სპილოები და ზღაპრები ბავშვობიდან ისე თავდავინყებით მიყვარს, მათთვის სლოკინით სულის ამოხდას ვერაფრით დავუშვებ! ამიტომაც, აჯობებს, ავტორი მისთვის ჩვენზე მეტად სასურველ „კამპანიასთან“ გან-

ქორწინებული, **ზღაპრული სპილოების** დაუფინყარ კონცენტრაციასთან მარტო დავტოვოთ და ხელიც აღარ შევუშალოთ! ვატყობ, მაგათ ისეთი მჭიდრო ტავტოლოგიური სიახლოვე აკავშირებთ, თვითონ უკეთ მორიგდებიან! მიუთმეტეს, ძალუმად იკვეთება, რომ სალომეს მრავალფეროვან ფანტაზიას არაფერი დაენუნება!

სამწუხაროდ, იმავეს თქმა გამიჭირდება ჩემს ამხანაგ **მარიამ შოვნაძეზე**, რომლის მოთხრობაც სათაურით — „სახლი ანუ სამნი“ — სიუჟეტურადაც და კონცეპტუალურადაც უფრო ჯემალ ქარჩხაძის „იგი“-ს და ფრანგული ფილმის — „მილიონი წელი ჩვენს ერამდე“ — საშუალო არითმეტიკულს ჰგავს, ვიდრე ახალგაზრდა ავტორის შექმნილ, ორიგინალურ ნანარმოებს. ის კი არა, ტექსტის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟსაც კი „იგი“ ჰქვია! მოდიოთ, ერთად ჩავიჭყითოთ: „ხიდის უკან მას შეეჯახა, იგი ისეთი უბრალო იყო, იგი სხვებს არ ჰგავდა“...

შეიძლება მარიამს ძალიანაც მოსწონს ქართული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა, მაგრამ ეს როდი გამოდგება იმის საბუთად, რომ „იგის“ გაგრძელების დასაწერად უნდა გარჯილიყო!

ავტორი რაიმე ახალს არც მაშინ იგონებს, როდესაც დედამინას ატრაქციონს ადარებს — „ჭერში ობობები მომრავლდნენ და დედამინას ერთ ქსელში ახვევენ, ისე რომ უკვე ბრუნვა უჭირს ჩვენს ატრაქციონს“.

დავინყოთ იმით, რომ ამ ობობებისა და „ერთი ქსელის“ ამბის, მიუთმეტეს დედამინასთან მიმართებით, მე ვერაფერი გავიგე. თუმცა ეს შეიძლება ჩემი ესთეტიკური ჭვრეტის უნიათობის ბრალიცაა და ამიტომაც მიჭირს მისი აღქმა.

მაგრამ დედამინას ატრაქციონთან შედარება რატომ არის ასე მიმზიდველი ჩვენი მწერლებისათვის, ნამდვილად არ მესმის!

მოგეხსენებათ, ეს მხატვრული სახე იმდენად გაცვდა, რომ არც ისე სასაცილო ანეკდოტებსაც კი შეაფარა თავი. საკმარისია, გავიხსენოთ მაროსა და მიხას ერთი დიალოგი: „— იცი, მიხა, დედამინა ბრუნავს?!“

— ჩუმად იყავი, ქალო, თორემ კარუსელზე კატაობის ფულს გადაგვახდევინებენ“!

ასე რომ, ის კი არ არის ქალობა, ტექსტი უგემოვნო, ათასჯერთქმული და სუსტი მხატვრული სახეებით აავსო...

ძვირფასო მკითხველო, შევეცადე რუბრიკის — „sinus ad lyram“ — ფარგლებში განხილვისათვის შემეწრია ტექსტები, რომლებშიც „დაშვებული შეცდომები“ არაპრივატულია. ეს „ხარვეზები“ გამოკვეთს იმ ტენდენციებს, რომლებიც დამახასიათებელია არა მხოლოდ მათი „შემქმნელების“ პოეტიკისათვის, არამედ ტიპური და ტენდენციური „ალავერდში“ მოხვედრილი სხვა ავტორებისათვისაც.

მართლაც, კრებულში წარმოდგენილ მწერალთა დიდი ნაწილი, ალბათ, წინასწარი, ერთსულოვანი შეთანხმების საფუძველზე, არ სცნობს გრამატიკულ ნორმებს, ვერ გვთავაზობს ახალ, საინტერესო იდეებს, აზრებს, კონცეპტუალურად დამოუკიდებელ, ორიგინალურ ფაბულებსა და ესთეტიკურად დახვეწილ მხატვრულ სახეებს. ამ ტექსტების უმთავრეს პრობლემად უნდა მივიჩნიოთ, რომ უაზროდ განელილი, სტრუქტურულ-ორგანიზაციულად შეუმდგარი სიუჟეტები უბრალოდ ძალზე უინტერესოდ იკითხება; სტილი — მეთოდურად და სახეობრივ-სისტემურად განუსაზღვრელი, მდარე და უსიცოცხლო, სინტაქსი — გაუმარ-



თავი და „კოჭლი“, პერსონაჟები კი — აპოდიქტურობამდე სქემატური.

კრებულში წარმოდგენილი ტექსტების უმრავლესობა ამ დონისაა, ზოგი — უფრო სუსტიც. საგანგაშო კი ისაა, რომ რამდენიმე მათგანი კონკურსის ნომინანტთა შორისაც კი აღმოჩნდა!

ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რა მიზეზით აღტახტეს, მაგალითად, **ზაზა სუყაშვილი** და ჩემი მეგობარი **ქრისტინე ბებია**. თუ ამ უკანასკნელს „ალავერდში“ დაბეჭდილ მოთხრობაზე ბევრად უკეთესი ნაწარმოებები დაუწერია და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარსული დამსახურებებისათვის მიენიჭა პრემია, ყოვლად უგემოვნო და დაუხვეწავი ტექსტების ავტორ სუყაშვილის ამგვარი დაფასება ცოტა ზედმეტად მეჩვენება! საკუთარი წარმომავლობით გაუთავებელი, თანაც უნიჭო მანიპულირებით შეიძლება კეთილმა ბიძია-დეიდებმა ლიტერატურულ კონკურსებში გაგამარჯვებინონ (როგორც ეს გურამ რჩეულიშვილისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურულ მოხდა), მაგრამ ეს რომ კარგი ნაწარმოების შესაქმნელად არ კმარა, ვეჭვობ, თავად ავტორსაც მშვენივრად მოეხსენება!

რაც შეეხება კონკურს „ალავერდის“ მთავარ გამარჯვებულს, მათი ნაწარმოებების ანალიზს მეორე რუბრიკაში — *Potior est, qui prior est?! — შემოგთავაზებთ!*

\* \* \*

პრემირებულ **ბექა ელბაქიძეს** დაუწერია რომანი — „ნაპოლეონი ანუ **სიურეალისტური ნამცხვარი**“ (სათაურშივე (თანაც რომანის!) ასეთ უხემ შეცდომას რომ გადაეყრები, კი წაგიხდება კაცს გუნება... სწორი ფორმაა — „**სიურეალისტური**“; იხ. მაგალითად, **რ. ჭილაიას** „**ლიტერატურათმცოდნეობა**“, ანდა „უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი“).

ავტორისთვის ერთი კარგი და ერთიც ცუდი ამბავი მაქვს: ახალგაზრდა მწერალს გაახარებს, რომ ვინაიდან „ალავერდში“ მის მიერ შექმნილი ლიტერატურული მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი, მე ვერ შევძლებ მთლიანი რომანის აკარგაინაობაზე მსჯელობას; სამაგიეროდ, კრებულში დაბეჭდილი ხუთი არასრული გვერდის ზერელე გაცნობითაც კი ნათელი ხდება, რომ საქმე გვაქვს მწერალთან, რომელმაც არც წერა იცის და არც ის ენა, რომელზეც წერს.

განსაკუთრებით იმით შევწუხდი, რომ ავტორი ცოცხალი (არა მხოლოდ) ბუნების საგნებსა და მოვლენებს ფრიად უცნაურად, ზედმეტად ინტიმურადაც კი აღიქვამს... მაგალითად, „სახეზეა“: „**გარყვნილი ნიავი**“, რომელიც თურმე „გამომწვევად ევლებოდა თავს მინდორში ჯგუფ-ჯგუფად ჩარიგებულ იასამნებს“. უთუოდ შესამჩნევია **ფაშატი**, რომელიც „**მაცდურად** კუნტრუშობდა მის (მთავარ პერსონაჟ ნაპოს. ლ. დ.) გარშემო“...

მდგომარეობა კულმინაციას მამინ აღწევს, როცა, როგორც ავტორი წერს — „**აღზნებული მხედარი**“ მაცდურად მოკუნტრუშე ფაშატის გამოწვევასა და ცდუნებას ვერ გაუძლებს და სწვდება კიდევ ფაფარში!

მეგობრებო, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს! ამიტომ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე — დროებით როგორღაც თვალი მოვწყვიტოთ „აღზნებული მხედრისა“ და „მაცდურად მოკუნტრუშე ფაშატის“ სიამტკბილობის სცენას.

თუმცა, ავტორი ტექსტის სხვა ნაწილებშიც თავის სტიქიაშია: „ტიტებმა კაბა გაიხადეს და ურცხვად გამოშვლდნენ ალიონთან“... ღმერთო, რა შეგცოდდე! ურცხვად გამოშვლებული ტიტების ეროტიკალა გვაკლდა!

მოკლედ, მკითხველო, ვდგავართ ფაქტების, უფრო სწორად — აქტების წინაშე: თუ ერთგან გარყვნილი ნიავისა და იასამნების ალერსის სცენას შევესწარით, ხოლო მეორეგან ფაშატისა და „აღზნებული მხედრის“ მართო დატოვება მოგვინია (კაცმა არ იცის, ახლა რას აკეთებენ!), კაბაგახდილმა, ურცხვმა ტიტებმა და ალიონმა რაღა დააშავა? ამიტომ, სანამ ძვირფასი „წყვილები“ ძირითად საქმეს მოათავებდნენ, ჩვენ დრო ვიხელოთ და ტექსტის ენობრივი გამართულობით დავინტერესდეთ.

პირველ რიგში, მსურს ავტორს ვურჩიო, რომ „რამდენიმე თვიანი“, „თეთრ ხალათიანი“ და „ჭალარა თმისანი“ ერთი სიტყვაა და შემდგომში ნულარ დაამორიშორებს; როგორც ზემოთ ვნახეთ, ბექას ისეთი ოდიოზური და შთამბეჭდავი წყვილები ჰყავს შეკავშირებული, რომ ჩამოთვლილი სიტყვების ერთმანეთთან შეერთება ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს.

გაუგებარია, ბიჭებმა ერთ მხარზე როგორ გადაიკიდეს რომანის მთავარი პერსონაჟი: „ბიჭები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ფრთხილად გადმოიყვანეს საწოლიდან. ნაპოს ერთხანს თავბრუ დაეხვა, მაგრამ არ შეიმჩნია. ასე მხარზე გადაკიდებული გაიყვანეს...“.

ასევე ვერ მივესალმები ავტორის ამგვარ ტავტოლოგიურ უხვსიტყვაობას: „სიამაყით დამძიმებული მთები უმზერდა მაღლიდან...“. როგორც ნაწარმოებიდან გვიმჟღავნდება, კაცი აივანზე ზის და მკითხველს ამ „მაღლიდან“-ის გარეშეც არ გაუჭირდება მიხვდეს, რომ მთა ნაპოს ქვევიდან ვერ ამოხედავს.

იგივე შემთხვევა ვთქვა ამ შემთხვევაზეც: „ნაპოს ახლა მხოლოდ თავისივე ხმა ესმოდა ყურში...“. გასაგებია, რომ თავისივე ხმას ფეხში, საკვერცხეებში ან მუხლის კვირისტაველებში ვერ გაიგონებდა! ემპირიული ვერიფიცირების გზით ადვილი დასადგენია, რომ ყური ადამიანის ერთადერთი სმენის ორგანოა! ეს არაფრისმომცემი კონკრეტულად არ აქვს, მხოლოდ იმის დასტურია, რომ ავტორი ქართულ ენას შინაგანად ვერ გრძნობს! აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანები „ჩახუტებული“ კი არა, ჩახუტებულები შეიძლება იწვნენ — „ასე იწვნენ კარგა ხანს **ჩახუტებული**, როგორც შარშან...“. მოგახსენებთ იმასაც, რომ მსგავსი სპეციფიკის ენობრივი ხარვეზები ნაწარმოებში კიდევ მრავლად არის.

ელბაქიძეს რატომღაც თვალში არ მოსდის ქართული იდიომატური სისტემა. ალბათ, სწორედ ამ მიზეზით გადააკეთა მან მყარი შესიტყვება — ვარსკვლავებთან თამაში („ადამიანები ვერ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს, **კოსმოსს ვერთამაშებით**...“ ბ. ელბაქიძე) და ის კოსმიურ სივრცეზე გავრცელებით უფრო მასშტაბური და იუმორისტულიც გახდა!

მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფრით მოვიწონებთ ავტორის ესთეტიკურ კონცეფციას. „გარყვნილი ნიავისა“ და „ურცხვ ტიტებს“ თავი რომც დავანებოთ, ბექა არც სხვა შემთხვევაში ამჟღავნებს მაღალმხატვრულ გემოვნებას!

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პატივცემული ელბაქიძე სახელდახელოდ შედგენილი მეტაფორების რვე-

ულიდან ამოკრეფილ გაცვეთილ მხატვრულ სახეებს უკონტექსტოდ, უსაზრისოდ ათავსებს ტექსტში.

აქ ყველაფერი ტრადიციული და „არახალია“: „ნამგალა მთვარე“, „ქლიავისფრად დაფერილი ფერდობები“, „გახურებული ვაგზალი“, რომელიც „დაჭრილი მხეცივით გმიწავს“...

ზოგჯერ კი ავტორს ნამდვილად ღალატობს ესთეტიკური ზომიერების გრძნობა და ისეთ მხატვრულ სახეებს ახვავებს, რომ ტექსტი უნებლიეთ კომიკურ ელფერს იძენს; მკითხველს კი ძალიან უჭირს გარკვევა, „სერიოზულ“ რომანს კითხულობს თუ უხარისხო საბავშვო ლიტერატურულ ნაწარმოებს. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ შემდეგი ფრაზა: „უკვე მობრძანებულიყო თეთრ ხალათიანი კოდალა საუზმეზე“. მოგესხებათ, მსგავს კონტექსტში „მობრძანებულიყო“ ღრმა ირონიულ დატვირთვას იძენს (მერედა, ასეთი რა შესცოდა ამ ფრინველმა?) კოდალა თეთრი ხალათით კი ბექა ელბაქიძემდეც უამრავ საბავშვო მწერალს შეუმოსავს...

ავტორი ვერც ღრმა ფილოსოფიურ ნიაღვრებს გვთავაზობს. ჯერ იყო და მთელი ოთხი აბზაცი მოანდომა იმის აღმოჩენას, რომ ადამიანი სოციალური ცხოველია, შემდეგ კი ორიგინალური აზროვნების უმაღლესი მწვერვალიც დაიპყრო: „ვინც ყვინთავს, ის უფრო ბევრ რამეს ხედავს ოკეანის ფსკერზე, იქ საერთოდ სხვა სამყაროა“.

ნიჭიერებაში ძვირფას კოლეგას დიდად არც გიორგი შერვაშიძე ჩამორჩება. მერე და, რა დასანანია, რომ „ალავერდში“ მისი მოთხრობა „ჩემი იერუსალიმიდან“ მხოლოდ ერთი ნაწყვეტია წარმოდგენილი!

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ... მომიწევს მწარე სიმართლის თქმა — ასეთი ტექსტის შესაქმნელად სრულიად არ არის საჭირო არანაირი მწერლურ-შემოქმედებითი უნარების ფლობა და ინტელექტუალურ-ინფორმაციული მომზადება. საკმარისია, საკუთარი (გნებავთ სხვისი) ცხოვრებიდან გაიხსენოთ ერთი ჩვეულებრივი, „ყოველდღიური“ ამბავი და შეუდგეთ კიდეც მის ფურცელზე აღწერას მსგავსად იმისა, როგორც მას ტელეფონით თქვენს რომელიმე ამხანაგს მოუყვებოდით.

წარმოდგენილ ტექსტს ესთეტიკური პლანი საერთოდ არ აქვს, არ გააჩნია არც მხატვრული საზრისის სიცოცხლე; თუ არ ჩავთვლით ნაძალადევი, ხისტი და გამაღიზიანებელი ირონიით (აღარ მობეზრდა ერის მანკიერებებთან ცინიზმით მებრძოდ ამ ხალხს ქართველთა უცხოეთში ჩადენილ „საგმირო საქმეებზე“ უთავბოლო და უმიზნო ქილიკი?!) გაჯერებულ რამდენიმე პასაჟს, შეიძლება ვთქვათ, რომ მისი მეპატრონე თხრობისას არ მიმართავს არც ერთ სტილისტურ ხერხს. ყოველივე აქედან გამომდინარე, არავითარი საბუთი გვაქვს, „ოპერაცია „ღვთაებრივი ცეცხლი“ ლიტერატურულ ნაწარმოებად რომ მივიჩნიოთ. ჩემი აზრით, სკოლის რიგითი მოსწავლის პირად დღიურებში გაკეთებული ჩანაწერები გაცილებით მხატვრული შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ხსენებული ვითომ-მოთხრობა.

ამ ტექსტის მაგალითზე კიდევ უფრო ნათლად იკვეთება ის ფუნდამენტური განსხვავებები, რაც დოკუმენტურ პროზას უბრალო ფაქტოლოგიისაგან განასხვავებს... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბატონი გიორგი ოცი ყველაზე „პოპულარული“ სიტყვის კომბინირებით ცდილობს მკითხველთან კომუნიკაციის დამყარებას...

ავტორს, ალბათ, არ გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ბუხარს მიფიცხებული ბავშვები ასეთ მშრალ, ზომიერად საინტერესო და მხატვრულად აბსოლუტურად შეუფუთავ თავგადასავლებს ყოველ საღამოს ისმენენ თავიანთი პაპა-ბებიებისაგან!

პირადად მეც, მსგავსი ისტორიების წიგნში წაკითხვას, მათი ზემოდახასიათებულ — მეტად სასურველ სიტუაციაში მოსმენა მირჩევნია, მაგრამ ჩემი სურვილებისა და გემოვნების მიხედვით კრებულებს რომ არ ადგენენ „ალავერდის“ განხილვითაც ვრწმუნდებით... რას ვიზამ, იძულებული ვარ, ჩემი პროფესიული ვალდებულება პირნათლად შევასრულო და სარეცენზიო ვაი-მოთხრობის მოკლე ტექსტულურ განხილვას შევეუდგე...

თუ გიორგი შერვაშიძე საკუთარი ლიტერატურული კარიერის გაგრძელებას ამგვარად არ აპირებს, მას აუცილებლად მოუწევს, შეელიოს გაუმართავი, დაულაგებელი წინადადებებით თხზვას, რაც ასე დამახასიათებელია მისთვის. მოვიტან ერთ მაგალითს: „ყველგან დაიკავა ადგილი (საუბარია, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართველთა ურდოებზე“; ლ. დ.) და იქაც კი, სადაც ცალი ფეხის ჩაყოფა მაინც იყო შესაძლებელი“. ადვილი შესამჩნევია, რომ სინტაქსური თვალსაზრისით არც ამ წინადადებებშია ყველაფერი რიგზე: „სხუთ წუთში ერთხელ საპირფარეშოს სიგარეტის კვამლით ვბუღავდით და ისინი კიდეც არამწვევლები იყვნენ. ხოლო ყავას, ცოცხალი ჯაჭვის მეშვეობით, ხელიდანხელში (უნდა იყოს — ხელიდან ხელში; ლ. დ.) მეორე სართულისაკენ ისე ვექაჩებოდით, რომ იმათ ცხელი წყალიღა რჩებოდათ“. რა იმათ? რა ჯაჭვი? რა ცხელი წყალი რჩებოდათ? ასე ვაპირებთ დიდი ქართული ლიტერატურის დამშვენებას? დამეთანხმებით, ჭირს გარკვევა, რისი თქმა სურს ავტორს...

კონკურსის გამარჯვებულმა ახალგაზრდა მწერალმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ სწორი ფორმაა — „**ძალზე**“ („ასეთინი ძალზედ ცოტანი აღმოჩნდნენ...“), „დაჯილდოვებულის“ („უსაზღვრო ერთგულების ნიჭით დაჯილდოვებული...“) მაგიერ კი უნდა ეხმარა — „**დაჯილდოებული**“... და ა.შ. და ა.შ... გაგრძელება იქამდე შეიძლება, სანამ მკითხველს მოთმინება ეყოფა... მაგრამ მე, გიორგი შერვაშიძისაგან გასხვავებით, მის (მკითხველის ნებისყოფის) გამოცდას არ ვაპირებ!

უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს გურამ რჩეულიშვილის კონკურსის გამარჯვებული სხვა ავტორების — **ირაკლი შამათავასა** და **ურა ზაქაშვილის** — მოთხრობები; შესაბამისად, „ბავშვობადაკარგული თაობა ანუ ბოლოსიტყვაობა, რომელიც ავტობიოგრაფიას ჰგავს“ და „მშობლიური ეფემერა“.

ორივე ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია თხრობის დახვეწილი, ზომიერად რბილი სტილი. ამათგან თუ პირველი მოთხრობა ექსპრესიული თვალსაზრისით ძლიერია და მის ავტორს არც მშობლიური ენის ცოდნა დაეწუნება, უჩა ზაქაშვილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ნამდვილად კარგად იცნობს საკითხს, რომელზეც არანაძალადევი, ხალასი იუმორით წერს.

თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა მწერლებს გვარიანი ოფლისღვრა მოუწევთ, რათა ღირსეულად გაიმარჯვონ კონკურსში, რომელშიც ალგარო იუნკე და თუნდაც ჩვენი შემდეგი რუბრიკის — *Vae victis? – Fiat lux!* — მთავარი გმირი, ჩემთვის უცნობი **ოთარ ჯირკვალიშვილი** მონაწილეობენ...

\* \* \*

მკითხველო, „ალავერდის“ მესვეურებს მხოლოდ ალვა-რო იუნკე არ დაუჩაგრავთ! მათ თვალთახედვიდან „გამორჩათ“ რამდენიმე ძალიან ნიჭიერი ავტორი, რომლებიც ზოგიერთი გამარჯვებულისაგან განსხვავებით, ალაღად იმსახურებდნენ პრემიის მინიჭებას!

თამამად განაცხადებ, ოთარ ჯირკვალიშვილის პუბლიცისტიკის ელემენტებით გაჯერებული მოთხრობა „ლიტერატურული ეკლექტიზმი ანუ საქართველო ეშმაკის სახეში, ფრაგმენტი გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლის შემდგომი ნახევრად გროტესკული ჩანაწერებიდან“ კრებულში წარმოდგენილ ყველა ტექსტს, ერთად აღებულსაც კი, ნებისმიერი ლიტერატურული კატეგორიის გათვალისწინებით, ბევრად აღემატება!

დერიდას დავესტესები და ვიტყვი, რომ არიან ავტორები, რომლებიც უნდა მოკლა, — გადალახო! ისინი სტრიქონ-სტრიქონ გამუნათებენ, დაგცინიან, ყურში ხელს ჩაგავლებენ და შენი რეფლექსია-ინტენციითურთ აქეთ-იქით დაგარბენინებენ! მაგრამ, სამაგიეროდ, საკუთარ თავსა და განწყობებში სიცილს გასწავლიან!

ჩემი აზრით, სწორედ ასეთი ავტორია ოთარი...

ერთი შეხედვით პარადოქსია, — ეს ტიპიური პოსტსტრუქტურალისტური (და არა — პოსტმოდერნისტული) ტექსტია, ფენომენოლოგიური სულისკვეთებითა და ლოგიკურ-პოზიტივისტური ტემპერამენტით გაჯერებული.

უთუოდ აღსანიშნავია ავტორის კარგი ფილოსოფიურ-ინტელექტუალური მომზადება, რომელიც ნაწარმოებს ამდიდრებს აზროვნების უამრავი ნიმუშით, — პარადიგმითა და ერთმანეთთან კონტექსტუალურად დაკავშირებული ალუზიებით. ეს არის ჰერმენევტიკულად „ჩაკეტილი“, „მზა“ ტექსტი, რომელიც არ არის ინერციით აზროვნების შედეგი... ვგონებ, ასეც უნდა იყოს; (განსაკუთრებით) თანამედროვე ანგლოსაქსურმა ლიტერატურამ საბოლოოდ დააფუძნა თეზისი, რომ, გარკვეული გაგებით, სიტყვები, ტექსტები ერთმანეთთან უნებლიე ქიმიურ რეაქციაში შედიან და მიზანდასახულობის გარეშე ქმნიან კონტექსტს, წარმოშობენ საზრისს (ამის საუკეთესო მაგალითია მაიკლ პალმერის ლექსი „ავტობიოგრაფია“). აქედან გამომდინარე, გასაგები და მართებულია ოთარ ჯირკვალიშვილის მისწრაფება, მკაფიო კონცეპტუალიზმით, აზრების გამონვლილვით წეროს, რაც ერთგვარი მყარი იმუნიტეტია ყოველგვარი არასწორი ინტერპრეტაციების, — ტექსტზე ძალადობის წინააღმდეგ.

აქ ერთდროულად თავს იყრის: ჰარტმანის ესთეტიკური კონცეფციები ხელოვნების სისტემურობის შესახებ, მზერის ფენომენის მორის მერლო-პონტისეული გაგება, მიზანშეწონილობის ლოგიკის რასელიანური კრიტიკა, უმბერტო ეკოსეული ქრისტოლოგიური ანთროპომორფიზმი, ჰაიდეგერის ფარული დეკრეტის პრინციპის (დიქტატორი, რომელიც სიკვდილსა და ადამიანს შორის აღმართულა) რილკესეული, შეიძლება ითქვას, მალტესეული მხატვრული რეინტერპრეტაცია, კონსტიტუციური ფენომენოლოგიის გარკვეული საკითხების კარტეზიანული ვარიაციები და ა. შ.

მთავარი კი ისაა, რომ ავტორი ამ პარადიგმებს უბრალოდ კი არ გვანვდის, არამედ მათში „შედის“ და დისკურ-

სულ, პრიმორდიალურ („დაუშლელ იდეებად“ არსებულ), მხატვრულ-სტიქიონალურ სიცოცხლეს ანიჭებს.

ორი სიტყვით შევეხობ ოთარ ჯირკვალიშვილის მწერლურ ენასაც. მისი სტილი ზომიერად ირონიული, პოლიინტონაციური, უშუალო და „ინტერაქტიულია“. მოთხრობის კითხვისას მკითხველი მძაფრად განიცდის იმ ემოციურ დაწინაობას, რომელიც შეუძლებელია, მაგალითად, ამ მონაკვეთმა არ აღძრას: „აქ უკვე დროა, პერსონაჟი შემოვიყვანო. ჩემი თავი — ეს ერთადერთი ადამიანია, ვისზედაც ღირს წერა“. ვინცებ: მე თქვენ მიყვარხართ სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით, — ვამბობ მე, გურამ რჩეულიშვილი. ამ სიტყვების პერიფრაზი: მე თქვენ არ მიყვარხართ, ან კი რატომ უნდა მიყვარდეთ! კეთილი ინებეთ, ვერ თქვენ შემყვარეთ, მერე ვიფიქრებ, ეგებ მეც მოვახერხო თქვენი შეყვარება. მე სოხუმის ზღვაში დავიხრჩვები, თქვენ კი სოხუმს დაკარგავთ. თქვენ ჩემი სიკვდილი დაკარგეთ, როგორღა შევძლო თქვენი შეყვარება?! გასსოვდეთ, სიკვდილის შეყვარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლის, რადგან ქრისტეს სიკვდილით ვახდა სამყაროში სიცოცხლე შესაძლებელი, და საერთოდ, ადამიანმა უნდა იცოდეს რისთვის კვდება“.

დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ ავტორმა კოსმიური დრო მიზანმიმართულად აურია, რათა საოცარი ექსისტენციალური „მონასმებით“ გადმოეცა დიდი ქართველი პროზაიკოსის ტრაგიკული ისტორია, რომელიც დღესაც გრძელდება...

ოთარ ჯირკვალიშვილის თხრობის სტილისთვის კიდევ ერთი სპეციფიკური, ძალზე მნიშვნელოვანი ნიშანია დამახასიათებელი. დგება მომენტი, როდესაც ავტორი მაგრად ჩაგკიდებს ხელს და გიქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს უსასრულო დიდაქტიკური შეგონებებით აპირებდეს ტვინის განყალბებას. მაგრამ ამ კვამლს ის მალევე გაფანტავს ხოლმე მახვილგონივრული ირონიით და გაოგნებული მკითხველიც გაფაციცებული განაგრძობს მისთვის მიყურადებას. ამ თვალსაზრისით ეს მოთხრობა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრაკურსული და ინტეგრალური ტექსტია. მაგალითად, ერთგან ავტორი წერს: „არა, ძვირფასო ხელოვანო, ვერ დაასაჭურისებთ ხელოვნებას ესთეტიზმით! ალბათ, დაკვირვებხარ, ქართულში როგორაა: ხელოვნება — ხელი და ვნება, მეხება და ვნება. ვთქვათ, შიშველი ხეილი შეეხე ლამაზი ქალის სხეულს; არც შენში არც ქალში სიფაქიზე არ წარმოიშვა (ქალებს არ უყვართ ნაზი კაცები), არამედ ვნება. ალბათ, იგივე ვნება დაგეუფლება, თუ მიქელანჯელოს დავითს ჩამოუსვამ ხელს. გაერთიანდა ხელი და ვნება, რაც, დამეთანხმეთ, სხეულბერივიცაა და რაღაც განსაკუთრებული ეროტიკული იმპულსის მატარებელიც. რად გვინდა აქ ეს უსაგნო ესთეტიზმი? სულაც არაა საჭირო შიშველი სხეულის უანგაროდ აღქმა, ეს საჭურისების საქმეა“!

ხედავთ რა მოხდენილად, ილინცურად და ღრმააზროვნადაა ვერ უარყოფილი და შემდეგ გადათამაშებული „ხელოვნების“ ეტიმოლოგიური გაგების (ხელოვნება როგორც ხელიდან გამოსული) შესატყვისობა მის კლასიკურ დეფინიციასთან (ხელოვნება როგორც უანგარო ესთეტიკურ მმართვებაში ყოფნა)?..

მიკვირს, რატომ არ ან ვერ დაინახა ეს ყოველივე „ალავერდის“ ჟიურში...

ალსანიშნავია ისიც, რომ კონკურსის პრიზიორთა შორის არ ყოფილან ისეთი კარგი და ნიჭიერი ავტორები, როგორებიც არიან, უპირველესად, გიორგი ფიცხალაიშვილი, შემდეგ, გიორგი გამხიტაშვილი (გიორგი მაკაველი), ქეთევან იოსელიანი, ნათია პაპიძე და გიორგი ჭეიშვილი.

თუმცა რას ვიზამთ, წინ საკბილოსშემყურე ნათესავებისა და ახლობლების გრძელი, უსაშველოდ გრძელი ეშელონია! ამიტომ, ჩემო არდაფასებულო ავტორებო, რიგი დაიკავეთ, რიგი... ცოტა თქვენც ხომ უნდა გაინძრეთ?! ან გადაიხადეთ... ანდა რომელიმე ცნობილ ტელეკომპანიაში დაინყეთ მუშაობა!..

\* \* \*

კიდევ ერთხელ ვკითხულობ „ალავერდს“ და ვხვდები, რომ ჩემ მიერ გაკრიტიკებული ერთი ამხანაგი ავტორის გულისტყვილი — „კი, მაგრამ, ლექსო, რედაქტორები და კორექტორები სად იყვნენ, რატომ ვერ შეამჩნიეს ეს შეცდომები?!“ — აბსოლუტურად მართებულია. პირდაპირ ვიტყვი, — ეს არის ყველაზე არაპროფესიონალური ნამუშევარი, რაც კი ოდესმე მინახავს! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამ წიგნში დაბეჭდილი არც ერთი მოთხრობა ექვსი რედაქტორიდან ერთსაც კი არ აქვს ნაკითხული! ეს რომ ასე არ იყოს, ნიჭიერი პროზაიკოსის, **რუსუდან ტყემალაძის**, ერთ არც ისე დიდ მოთხრობაში 80-ზე მეტი (!) გრამატიკული და ტექნიკური შეცდომა არ იქნებოდა დაშვებული; გააგებინებდნენ **კატო ჯავახიშვილს**, რომ ზმნა „ჰგავს“ ორპირიანია და შესაბამის ადგილას უნდა დაენერა „პატარა პუდელს **ჰგავს**“ და არა — „... **გავს**“ (ხაზგასმები ყველგან ჩემია. ლ. დ.). მნამს, ამ ავტორს არც იმას დაუმალავდნენ, რომ წინადადება „ყოველ **მორიგ** მამაკაცისაგან **ერთიდაიგივე** უნდოდა...“ ენობრივად და მორფოლოგიურ-ორთოგრაფიულად გაუმართავია; ქალბატონ **კატოს** უნდა დაენერა — „ყოველი **მორიგი**“, ხოლო ამ „**ერთიდაიგივე**“-ს ნაცვლად — „**ერთი და იგივე**“. კონკურსზე შესული ტექსტებისთვის ვინმეს თვალი მაინც რომ გადაევიწიო, აუცილებლად აღმოაჩენდა **გრიგოლ ჩაჩუა** თავისი მოთხრობა „პირველი ვეზირის“ პირველივე წინადადებაში („12 მამაკაცი პალატებში უხერხული ნაბიჯებით **მიდიოდნენ**“.) არსებით სახელს ზმნას არასწორად რომ უწყობს (უნდა იყოს — „**მიდიოდა**“); შეამჩნევდნენ იმასაც, რომ **ლიკა საჯავახის** დედას, კი არ „**სჯერა**“, რომ „სიცხეს ინვესს ვირუსი“, არამედ — „**ჯერა**“ (როგორც ავტორი წერს); ხოლო, როდესაც **მარიამ მაისურაძე** გვეუბნება: „ხომ გითხარი დაგვაგვიანდება—**თქო**.“ — მშობლიური ენის არცოდნის მეტს ვერაფერს ამჟღავნებს! „ალავერდის“ რედაქტორებს პირნათლად რომ შეესრულებინათ საკუთარი მოვალეობა, **რუსუდან ლომიძისეულ** „ჩაის სვავდა“-ს აუცილებლად შეცვლიდნენ „ჩაის **სვამდათი**“; **მაია კვერენჩილაძეს** კი აუხსნიდნენ, რომ ერთ წინადადებაში — „ნეტა ვინ წარმოიდგინა ასეთი სამინელი სახით ლანდები ხეივანს მიუყვებოდნენ და ერთ დროს ანთებულ, ახლა კი ჩამქრალ ლამპონებს შეჰყურებდნენ“ — მინიმუმ ოთხ ისეთ უხეშ შეცდომას უშვებს, მწერალ ქალბატონს ნამდვილად რომ არ ეკადრება! ენობრივი ნორმების ზედმინევენით მცოდნედ არ გამოიყურება **ეთერ ივანელაშვილიც**, რომელსაც შეცდომით „**აგნოსტიკოსის**“ ნაცვლად, „**აგნოსტიკი**“ უხმა-

რია. აი, რაც შეეხება **სალომე შენგელიძეს**, მას „**თეთრხალათიანი**“ ორი სიტყვა ჰგონია და „თეთრსა“ და „ხალათს“ ერთმანეთისაგან გულმოდგინედ აშორებორებს — „ერთ დღეს დერეფანში თეთრ ხალათიანი...“, „თეთრ ხალათიანი მაგიდასთან იჯდა...“. რედაქტორებს ვერც ის შეუნიშნავთ, რომ **ალეკო წინილაშვილის (თოვლის კაცი)** მოთხრობის („ქალაქის სული“) სასტარტო წინადადებადნან, რომელიც თითქმის ასი (!) სიტყვა-ნიშნისგან შედგება, აზრის გამოტანა ადამიანურ შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. ანდა რას მივანეროთ ქალბატონი **ციცინო ბუკიას** მიერ შემოთავაზებული „სიტყვების“ „გაპიროვნება“ — „მისი სიტყვები აკი **გამართლდნენ!**...“?! კონკურსის გამარჯვებული **გიორგი შერვაშიძისათვის** კი უნდა აეხსნათ, რომ სულიერი არსებითი სახელი ზმნას რიცხვის მიხედვითაც იწყობს — „მოსანვევი, რომელიც მხოლოდ სამღვდლო პირებს **ჰქონდა**“ (უნდა იყოს „**ჰქონდათ**“). ბუნებრივია, იერუსალიმში მყოფ სასულიერო პირებს ერთი მოსანვევი არ ეყოფოდათ!

მკითხველო! „ალავერდში“ „გაპარული“ შეცდომების აღრიცხვას, თუ ბუნებრივი სიკვდილით მიწრია სააქაოს დატოვება, ჩემი დარჩენილი სიცოცხლე ნამდვილად არ ეყოფა! ხოლო თუ თავზე ხელს ავიღებთ და პუნქტუაციური და ბეჭდური ხარვეზების (მე მათ შეგნებულად ავუარე გვერდი) აღნუსხვასაც მოვიწინებთ, ეჭვი მაქვს, ამ საქმეს, ცაიტნოტის გამო, ვერც ჩემი და თქვენი შთამომავლობის მინიმუმ ოთხი თაობა გაართმევს თავს! ამიტომ უპრიანია, აქ შეეჩერდეთ! არ გეგონოთ, კრებულში წარმოდგენილი ტექსტების სისუსტეს მხოლოდ მათი გრამატიკული და ენობრივი გაუმართავობით ვასაბუთებდე. როგორც ზემოთ განხილულმა მაგალითებმა ცხადყო, წარმოდგენილი ნაწარმოებების მხატვრულ-ლიტერატურულ „გაქანებაზე“ დადებითი წარმოდგენა არც მათი ესთეტიკური თუ ფორმა-შინაარსის კატეგორიებით შეფასებამ შეგვიქმნა. შეცდომების საკმაოდ მრავალფეროვანი კოლაჟი, რომელიც მე წარმოვადგინე, უპირველესად, იმაზე მეტყველებს, რომ „ალავერდი“ მის შემდგენელ-რედაქტორებსა და არარსებულ კორექტორებს თვალთ არ აქვთ ნანახი! მათ კონკურსის გამარჯვებულები შეიძლება ლოტოტრონის, სიზმრების, „არიოლი-რეჰქას“ დახმარებით, ანდა საგვარეულო-საახლობლო შტოში დაწინაურებულთა იერარქიულ წესრიგზე დაყრდნობით გამოავლინეს.

ჩემი ვარაუდით, დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობა ახალგაზრდა მწერლებზე მეტად ეკისრებათ „ალავერდის“ რედაქტორებს, რომლებმაც ამ ტექსტების დაბეჭდვით მათს ავტორებს დათვური სამსახური გაუნიეს და მკითხველსაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს!

ასე რომ, ჩემი წერილი, პირველ რიგში, მიმართულია იმ უპასუხისმგებლობისა და არაპროფესიონალიზმის წინააღმდეგ, რაც გურამ რჩელიშვილის სახელობის პრემიის ორგანიზატორებმა, ჟიურის წევრებმა და „ალავერდის“ შემდგენელ-რედაქტორებმა გამოამჟღავნეს!

თუმცა მე ამ ადამიანებისთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდა! ამიტომაც დასასრულს მსურს, მათ პარმენიდეს სიტყვებით მივმართო: „ნუღარ მისცემთ ნებას თქვენს დაბრმავებულ თვალებს, ანდა თქვენს დაყრებულ ყურებს ან თუნდაც ენას, ამ გზაზე იხეტილონ!“ დაგვიჯერეთ... სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

პატრიკ უაიტი (1912-1990) ნობელის პრემიის ლაურეატებს შორის ერთადერთი ავსტრალიელია. მართალია, მწერალი ლონდონში დაიბადა, მაგრამ ექვსი თვისა იყო, როცა მისი ინგლისური წარმომავლობის, ავსტრალიაში დასახლებული მშობლები სიდნეიში დაბრუნდნენ. საშუალო და უმაღლესი განათლება უაიტმა დიდ ბრიტანეთში მიიღო. წარმატებით შედგა მისი ლიტერატურული დებიუტი 1939 წელს. თუმცა შემდეგ მეორე მსოფლიო ომში მოუხდა მონაწილეობის მიღება. იმუშადა ველარ ახერხებდა წერას. მუშაობდა მწვერავად. მოიარა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. უაიტი XX საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რომანისტადაა აღიარებული. მისი როგორც მწერლის ტალანტი განსაკუთრებით კარგად გამოვლინდა მოკლე რომანებში. ასეთი მოკლე რომანი თუ ვრცელი მოთხრობაა „სავსე კუჭი“, რომელიც ომისდროინდელ საბერძნეთზე მოგვითხრობს. საერთოდ კი უაიტმა 1973 წელს ნობელის პრემია არამარტო ეპიკური და ფსიქოლოგიური ნარატიული ხელოვნებისთვის დაიმსახურა, არამედ იმისთვისაც, რომ ახალი კონტინენტი — ავსტრალია — შემოიყვანა მსოფლიო ლიტერატურაში.

გამომცემლობა „ინტელექტი“ სერიით „ნობელის პრემიის ლაურეატები“ პატრიკ უაიტის ნაწარმოებთა გამოქვეყნებას აპირებს. ამჯერად გთავაზობთ მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოების თარგმანს.

პატრიკ უაიტი

სავსე კუჭი

გერმანელების შემოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოხუცი მის მაკრიდისი შეუძლოდ გახდა. იშვიათად ლაპარაკობდა, რაც გარშემომყოფთ ძალიან ცუდ გუნებაზე აყენებდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ რასაც ამბობდა, ფრიად საყურადღებო გახლდათ.

თავის უმცროს დას ეუბნებოდა:

— ნეტავი დროზე დავიხოცებოდეთ, ფრონო, სულ ორი თვე დაგვაკლდებოდა, მაგრამ ასეა თუ ისე, ასაკმა გამოგვანართო და ალბათ დიდხანს მოგვინევს სიკვდილის ლოდინი.

ფრონო, უფრო ემოციური და რბილი, თავის დაზე ნაკლებად ასკეტური, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა — ფაფუკ ზედა ტუჩს აიშვერდა და წუნუნებდა:

— ოჰ, მარო, ისე ლაპარაკობ, თითქოს უკვე მსხვილფეხა საქონელი ვართ და არა ადამიანები.

მის მაკრიდისი არ ეპასუხებოდა. ქალები, ვისაც კარგი სმენა ჰქონდა, ხშირად საუბრობდნენ მაროს სიყრუეზე, რომელიც თანდათან მატულობდა. თუმცა ოჯახი მის დადუმებას აღიქვამდა, როგორც უხილავ ფარდას, რომლის მიღმაც ის უკანდახევას ამჯობინებდა.

— არ მინდა სიკვდილი! — დაჟინებით იმეორებდა ფრონო, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოხატავდა მისთვის მიყენებული ტკივილისა თუ დამცირების გამო.

ორი მოხუცი ქალი იდგა ფანჯარასთან, სინათლეში. შუქი თითქოს ერთადერთი იყო, რაც მათ ნაცნობი ძველი ქალაქიდან შემორჩათ. ამ დროს საგდულებიან კარს მიღმა კოსტა იჯდა და ბარძაყებს შორის ხელებს ითბობდა. ეს იყო ერთ-ერთი ის საღამო, როცა მას სისხლი ეყინებოდა მგრძობიარე თითებში — ვერც იმ დღეს მოახერხა ფორტეპიანო ავეჯიდან ინსტრუმენტად ექცია, რაც ახლა უკვე ხშირად ხდებოდა. მეზობელ ოთახში გამართული საუბარი შეიძლებოდა კიდევ უფრო ავისმომასწავებლად გამოჩენილიყო, კოსტას რომ არ ჰქონოდა რწმენა — რწმენა დეიდების მარადიულობისა. მათი არყოფნა ისეთივე წარმოუდგენელი იყო, როგორც, მაგალითად, პართენონის გაქრობა. რეალური სადმეარო ნამდვილად გადაარჩება ამ საშიშ დროშიც კი, რადგან უზენაესის ნება არ დაუშვებს, რომ ასე არ მოხდეს.

სინათლე უკვე ძლივს დასთამაშებდა ფანჯარასთან მიმდგარ ორ ქალბატონს. სიყმაწვილის წლებიდან მოყო-

ლებული მარო ჭკვია-ნად, მოაზროვნედ ითვლებოდა. ფრონო უფრო ესთეტი იყო; უვლიდა ხილის მაღალ ხეებს, ზეთისხილს, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ კვიპაროსებს, მთელ იარდებზე გადაჭიმულ, ულამაზესი არშიებით გაფორმებულ ბაღს. ამასობაში მარო იდევბს აგროვებდა. გამალებით უცვლიდა აზრებს მამაკაცებს, რომლებიც მისთვის ჭკვიანები და ინტელექტუალურები იყვნენ. თაყვანს სცემდა მათ როგორც მეცნიერებს, პოეტებსა და სასულიერო პირებს. სხვა ყველაფერი უაზრობა იყო. იმებს შორის გოეთე ბრძანდებოდა მისი დიდი სიყვარული. იცოდა ინგლისური, იტალიური, ფრანგული, ცოტა რუსული და უდიდესი, პედანტური სიზუსტით ლაპარაკობდა გერმანულად.

ელენეს გათხოვების შემდეგ ორი და დედასთან ერთად ევროპაში გაემგზავრა იმ იმედით, რომ შესაფერის საქმეს გამოძებნიდნენ. მათ მოიარეს მინერალურწყლიანი ადგილები დედის ღვიძლის, მათი ასთმისა და ნიკრისის ქარის სამკურნალოდ. იქ იყო ბევრი მუზეუმი მაროსთვის — რამდენიმე უნივერსიტეტში სხვადასხვა კურსებიც კი მოისმინა. ფრონოს უფრო მეტად სოციალური კონტაქტები აღეგებდა — გამალებით ტრიალებდა პარიზისა და ვენის ბერძნულ წრეებში, იზომავდა ქუდებს, იხატავდა შედარებით იოლ მონუმენტებს. დედა რომში გარდაიცვალა. საბერძნეთში ჩამოასვენეს, ქრისტიანული წესით რომ დაეკრძალათ და აღმოაჩინეს — ფული გამოლოდათ.

საგდულებიანი კარიდან კოსტა დეიდების ნაოჭებიან ლოყებზე აცახცახებულ ფერფლისფერ-იისფერ მკრთალ შუქს აკვირდებოდა. სინათლე მარმარილოს თითქოს პემზად აქცევდა, სხეულს — ნაცრისფერ თიხად. ეს ნამდვილი სინათლე კოსტას ნიჭსა და შესაძლებლობებსაც ეჭვქვეშ აყენებდა — მას აღარ სჯეროდა მუსიკის, რომელიც დაწინსულებული თითებში გაეყინა.

კოსტას ძალიან გაუხარდა, როდესაც სასადილოსკენ მიმავლამა ანამ მას ნაჩქარევად აკოცა (ახლობლები ანას ცივ ადამიანად მიიჩნევდნენ. ის უბრალოდ ძალიან დაკავებული იყო, ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი). ამ საღამოს



ანას განსაკუთრებით მკაცრი და გალიზიანებული გამო-  
მეტყველება ჰქონდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ თითქ-  
მის მთელი დღე საკვების მოძიებაში გალია. საერთოდ,  
კოსტას მოსწონდა, პრაქტიკული ანას უმცროსი ძმა რომ  
იყო. ახლა ის წამოდგა და გაჰყვა დის მაგარ ნაკუთალბს,  
რომელიც რალაცით მის საკუთარ ხელებს ჰგავდა. კოსტას  
ძალიან აინტერესებდა, რა იდო ქალაქის ფუთაში.

ანა დეიდებს ძალიან ალერსიანად ეპყრობოდა. ასეთ  
სირბილეს სხვებთან ურთიერთობისას იშვიათად ავლენ-  
და, ალბათ, სტარვოსთანაც კი.

— მიიღე აბები? — სახე გამოეცვალა, ხმას დაუნია,  
დეიდა ფრონოს გული რომ მოეგო.

— ხომ არ გცივა, მაროულა? — მეორე მოხუცის ხელს  
შეეხო ისე, თითქოს მტკრევადი რამ ყოფილიყო.

— არა, მაგრამ რომც მციოდეს, ვერავინ ვერაფერს უშ-  
ველიდა ამას. — სწორედ ეს იყო ის რეალიზმი, რომელიც  
გუნებას უფუჭებდა ახლობელ ქალბატონებს.

ამჯერად ამას დეიდა ფრონომ ყურადღება არ მიაქცია,  
რადგან ერთი სული ჰქონდა, ენახა, რა მოიტანა ანამ.

— რა არის ეს? — აქოშინებული, გახშირებული სუნთ-  
ქვითა და აწყლიანებული თვალებით მიაშტერდა ფუთას.

— რა მოიტანე? — თავლისფერ პარკეტზე სრიალ-  
სრიალით მოფრატუნდა პარასკევა.

ოთახის სხვადასხვა კუთხიდან გამოქანდნენ მსახური  
და მისი ქალბატონი, რომლებიც ჯაჯლანსა და უკმაყოფი-  
ლებაში შეაბერდნენ ერთმანეთს.

— ისევ ისაა. — დამნაშავის ხმით უპასუხა ანამ და ძი-  
რიანად ამოგლეჯილი ბაბუანვერა გადასცა.

— ისევ ბაბუანვერა? ფეხზე ველარ ვდგავარ ამის ქა-  
მით. — აბუზღუნდა მსახური და უკან გაფრატუნდა სრი-  
ალ-სრიალით პარკეტზე, რომელიც აღარ იყო ძველებუ-  
რად მოპრიალებული.

დეიდა ფრონომ ურჩია, მადლობა ეთქვა ღმერთისთ-  
ვის, თან თვალებიდან დაპალუპით მოსდიოდა ცრემლები.

— ოჰ! ეტყობა, ის მეორე მხარის გამოკვებითაა დაკავე-  
ბული. — პარასკევა რაღაც კარგ გუნებაზე ვერ იყო იმ დღეს.

დეიდა მარომ შეაჯამა:

— ღმერთმა ცხერის ხორცი გამოგვიგზავნა ვიტინა-  
დან. რა მისი ბრალი იყო, თუ ის ტომრიდან ადამიანის ლო-  
რებმა მოიპარეს.

დეიდა მაროს გაეცინა. ძალიან ამხიარულებდა ეს ფაქ-  
ტი, რადგან იცოდა, რომ ასეც იყო მოსალოდნელი. მაგრამ  
ერთ ნუთში დანადგლიანდა, თვალები აუნყლიანდა — გა-  
ახსენდა, რომ უყვარდა ღმერთი.

ცივი, ნესტიანი მიწის სუნმა გაავსო ოთახი, პარასკევამ  
ბაბუანვერა გარეცხა და მოხარმა. კოსტამ ქამის შესაძ-  
ლებლობა გამოიყენა, როგორც შანსი, გადაედო ჰაიდნის  
სონატაზე მუშაობა. საკუთარ თავს დაჰპირდა, რომ მო-  
ხარშული ბალახი, რომლის მირთმევასაც აპირებდა უცხი-  
მოდ, უმარილოდ და უარაფროდ, მას აავსებდა საჭირო ძა-  
ლებით, ფიზიკური შესაძლებლობით, რომ დაეპყრო აღქ-  
მისა და გაგების მწვერვალები.

თუმცა იცოდა, პარასკევა მართალი იყო — ბაბუანვე-  
რა კიდევ უფრო მოაშიებდა. ასეთივე ღონემიხდილი ნოტე-  
ბი აღმოხდებოდათ მის თითქმის.

— მაგრამ რაღაცას შევჭამე მინც! — დეიდა ფრონო  
წინასწარ აღივსო ისტერიული სიხარულით.

— მე არ შევჭამ. — დავარდნილი ქვასავით მძიმედ გა-  
ისმა დეიდა მაროს გადაწყვეტილება. — ახლა, როცა  
ძლივს გვეოფნის საჭმელი, გაიხსენეთ ბავშვები. მე ვინ  
ვარ, რომ მათ ულუფა წავართვა?!  
თითქმის ყველა ცოტა ნერვიული ჩანდა. კოსტას მუდ-  
მივად სველი თმა ჰქონდა. მოხუცი პარასკევა ბურდლუ-  
ნით რალაცას იმეორებდა — მისი თვალები წვავდა ყვე-  
ლას, ვისაც კი შეხედავდა. სწორედ იმ საღამოს დეიდა მა-  
რო ლოგინში ჩანდა.

შემდგომ დღეებშიც განაგრძობდა ლოცვას „ბავშვე-  
ბისთვის“ (სიტყვა „ბავშვები“, რა თქმა უნდა, გადაჭარბე-  
ბული იყო). ხატებთან მუდმივად ენთო სანთლები, რომლე-  
ბიც თუმცა სწრაფად ინვებოდნენ, რაც ძვირიც უჯდებოდა,  
მანაც დეიდა მაროს „ბავშვებზე“ მაგრად და სოლიდურად  
გამოიყურებოდნენ.

თავიდან ავად მყოფი დეიდები კარგი მიზეზი იყო კოს-  
ტასთვის, რომ არ ემეცადინა ამ პატარა ბინაში.  
მაგრამ მერე დეიდა მარომ სანოლიდან დაჟინებით და-  
იწყო მოთხოვნა:

— ჩემთვის დაუკარი, კოსტაკი. მუსიკა უფრო მანე-  
რია, ვიდრე საჭმელი.

კოსტა უკრავდა დეიდასთვის და დროდარო მისი შეს-  
რულება მართლაც აღწევდა სასურველ დონეს.

მას შემდეგ, რაც მათ მიიღეს ოკუპაცია და აღიარეს ის;  
მას შემდეგ, რაც შიმშილის პირველი, დანასავით ჩხვლეტა  
სიცარიელის მუდმივ ტკივილში გადაიზარდა, კოსტამ გა-  
დანწყობა, ფიზიკური დანაკლისი სულიერების სასარგებ-  
ლოდ გამოეყენებინა (ამასთან დაკავშირებით საგანგებო  
მინიშნებაც კი გააკეთა ფრანგულად თავისი ნატიფი ხე-  
ლით ფორტპიანო *Wohltemperiertes Klavier* – ის უკანა  
მხარეს). ფიქრობდა, რომ გარკვეულწილად წარმატებასაც  
მიაღწია. მაგალითად, შიმშილით გამოწვეული მელანქო-  
ლიური განწყობა ეხმარებოდა შოპენის უკეთ შესრულებაში.

სისხლის მიმოქცევის გაუარესებამ *Cathédrale  
engloutie*-ის დაკვრისას ისეთი თვითრწმენა შეჰმატა, მა-  
ნამდე რომ არ უგრძენია. იოლად დაეუფლა ბახის უბრალო  
და მკაცრ სტრუქტურას. ფრონო ამას „სულის სიმნიფეს“  
აბრალებდა. კოსტას კი ძალა აღარ შესწევდა, დეიდებზე  
გალიზიანებულიყო. პირიქით, დაიწყო საკუთარი „სულის“  
ვიზუალიზაცია გარშემო მყოფთათვის, თითქოს პარტე-  
ნონთან ჰაერში გამოკიდებული ფეხბურთის გასაბერი  
ბურთი ყოფილიყო.

კოსტა იორდანოუ სერიოზული ბიჭი გახლდათ მოკ-  
ლედ შეჭრილი თმითა და დიდი, დაკუნთული ხელებით.  
ასეთი ხელები მართლაც გასაკვირი იყო მისი წარმომავ-  
ლობის ადამიანისთვის.

მარტო დედამისი, ელენე რომ გენახათ... ისეთი მომა-  
ჯადოებელი იყო, ისეთი გამორჩეული თავისი მდიდრული  
ტულეტით, ჩაცმულობით, გრძელი, გამჭვივრავლე სახე-  
ლოებით, კეთილშობილებითა და მახვილგონიერულობით,  
ხშირი თმით, ყელით, თვალებით, რა თვალებით... გასაკვი-  
რი არაფერი იყო, რომ იორდანოუმ, ცივმა, განონასწორე-  
ბულმა, პირდაპირმა და პატიოსანმა მამაკაცმა იგი ყო-  
ველგვარი მზითვის გარეშე წაიყვანა. უეჭველია, სწორედ  
ელენეს დამსახურება იყო, რომ მისი ქმარი პრეზიდენტი  
გახდა. სამწუხაროდ, ლეიკემიის გამო არ დასცალდა დიდ-  
ხანს მუშაობა. კიდევ უფრო ტრაგიკულია ელენეს ამბავი

— თვითონ იჯდა საჭესთან, როდესაც კაკიას კლდის მოსახვევში ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა.

კოსტას მშობლები მხოლოდ ფოტოებსა და მითებში ჰყავდა. დეიდებმა ჩაანაცვლეს ისინი. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ დიდსულოვანმა ადამიანებმა არ მიატოვეს ელენეს შვილები (ბავშვები ყოველთვის ცოდონი არიან). ანა შავგვრემანი, ნაღვლიანი გოგონა იყო, კოსტა კი — სასაცილო ბავშვი, რომელმაც, ფეხი აიდგა თუ არა, ფრონოს პიანინოზე პატარა მელოდიების დაკვრა დაიწყო.

ახლაც, ღვთისმშობლის ხატთან გაშლილი ლოგინიდან მარო ახსენებდა კოსტას თავის საყვარელ მელოდიას:

— კოსტაკი, დაუკარი ჩემთვის *La Cathédrale*. — დეიდის ხმა ნელა მოდიოდა და ის კოსტას აცახცახებულ მუცლიდან ამომავალ ყურყურს ერწყმოდა, ასევე ფანჯრებზე არეკლილი ვარდის ფერით დაფერილი წყლის ხმას.

თავიდან დეიდებმა გადანყვიტეს, რომ ბავშვებს მშობლების ბრწყინვალეობა უნდა გამოჰყოლოდათ. ანა ელჩზე უნდა დაქორწინებულიყო — მზითევს მისი ბიძაშვილი სტეფო მავრომატი გაიღებდა. თუმცა შავგვრემანი ანას რჩეული აღმოჩნდა სტავრო ვლახოსი, ექიმი ვიტინადან. თვეების შემდეგ დეიდების ნაცნობ ქალბატონებს უკვე ისე მოჰქონდათ თავი, თითქოს ამ ქორწინებით ცუდი ან საშიშელი არაფერი მომხდარა.

კიდევ კარგი, კოსტაკი გამოდგა ძალიან ნიჭიერი. ამბობენ, ნინა ზაკინთინოუს შემურდა კიდევ საკუთარი მონადისი. ერთხელ ოდენში ყოფნისას, როგორც იქნა, ანტონიადისმა უთხრა მის მაკრიდისს, რომ კოსტა ისეთ პედაგოგთან უნდა მიეყვანათ, ვის ხელშიც მეტად გაიზრდებოდა. იქიდან მარო ჩვეულებრივზე უფრო შემართული დაბრუნდა, ბიძაშვილ სტეფოს დახმარებით კოსტას პარიზში გაგზავნის საკითხი რომ მოეგვარებინა.

სწორედ ამ დროს დაიქცა მთელი ევროპა.

კოსტამ საკუთარ თავს ასწავლა, თუ როგორ არ უნდა გაეხსენებინა სავარაუდო მომავლის დეტალები. თუმცა გემის ბილეთი მაინც საგანგებოდ შეინახა უჯრაში. მის მუსიკასაც ვერაფერი შეეხო — ისევ ისეთი ფასეული იყო. აგრძელებდა მუშაობას, შეიძლება ადრინდელი ინტენსივობით ველარ, მაგრამ მაინც, — უფრო გახვრეტილი ჭერიდან ჩამომავალი წყლის ბუყბუყივით — ხან უშედეგო შეყვინებებით, ხანაც საკუთარ თავზე ძალდატანებით.

როცა გადაჭედებულ ბინაში, მომაბეზრებელი სიყვარულისა და სულისშემზუთველი დაფიქრებულობის გარემოში მუსიკის ადგილი აღარ რჩებოდა, კოსტა საკუთარ სტუდიანზე ოცნებით ირთობდა თავს: არც ისეთი დიდი ოთახი პიანინოთი და ერთი დივანით, რომლის ბალიშზეც შეძლებდა შემთხვევით რომელიმე გოგოსთვის ტანზე გაეხადა, მაგრამ ჯერ მკაფიოდ ვერ წარმოედგინა, ვისთვის, დაუფლებოდა თეძოებს, მკერდს, რომელიც მის წარმოსახვაში იყო მხოლოდ; ან შეძლებდა ისე, სხვათა შორის, მოსაწვევად შემოვლილ მეგობარ ლუკასთან ერთად განეხილა სიყვარულის თეორიები... თითები ნიკოტინის სუნით... ლუკასმა თქვა, სექსის დროს არსებობს პოზა, როცა ორივე ტანი ერთად ნავს ემსგავსება. აი, ასეო...

ლუკასი, რომელსაც მარცხენა საზარდულთან დაბადებიდან კრეტას რუკის ფორმის ნიშანი ჰქონდა, ნოემბრის ერთ ღამეს გაუჩინარდა ისე, როგორც ადამიანები უჩინარდებოდნენ იმხანად. კრეტას მსგავსმა დაღმა ვერაფერი უშ-

ველა — მისი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. კოსტამ ნელ-ნელა დაივიწყა ლუკასი, უკვე აღარც კი ადარდებდა. სამწუხაროდ, ასეთი გულგრილობაც ჩვეულებრივი რამ გახდა — სავიზიტო ბარათებისა და მატერიალურად უზრუნველყოფილი გაუთხოვარი ქალების ეპოქაში სევდა, ნაღველი, მწუხარება, ტირილი და გლოვა გაბატონდა.

იქნებ კოსტა მართლაც საკუთარ თავზე ორიენტირებული იყო, ეგოისტი, როგორც მას დეიდა ფრონო უწოდებდა, როცა შიმშილი განსაკუთრებით შეანუხებდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ არ უარყოფდა ამას და ყოველთვის აღიარებდა საკუთარ ნაკლს, სულიერსა თუ ფიზიკურს. როცა სარკეში იხედებოდა, თავის გათამამებულ, თვითკმაყოფილ, ყვეფრ სახეზე, ნიკაპზე გაჩენილ ლაქას აკვირდებოდა; ასევე თვალებს, რომელზეც ღამისთევას დაესვა დაღი. რეალურად ხედავდა თავის თავს? იქნებ რამეს აზვიადებდა? უნდოდა ყოფილიყო ისეთივე ასაკოვანი, ცბიერი, ურყევი და შეუვალი, როგორც, მაგალითად, გოეთე თავისი მგრძნობიარობისა და სენსუალობის დასასრულს, როცა ცოდვები წარსულს ჩააბარა, და როცა მისი შაბლონებიც კი ძვირად ფასობდა.

— არადამაკმაყოფილებელია — დეიდა მაროს მისი მექანიკურობა არ მოსწონდა. — არ ჩანს, რომ მუსიკა ფრანგულია. გამაღობ, ძვირფასო კოსტაკი, *Cathédrale* — სთვის.

დეიდა ფრონო კი ჩვეული ბავშვურობით დუღუნებდა:

— *Ravissant*, შესანიშნავია, შესანიშნავი! — თან მაროულას ბალიშებს უწენავდა.

ახალგაზრდობაში ფრონო ერთ ოფიცერზე იყო დანიშნული. არავინ იცის, რატომ ჩაიშალა ეს ნიშნობა. რალაც გაუგებარი შეემთხვა მაროს მიუხედავად, რაც არასოდეს არავის განუხილავს. ამის შემდეგ დებმა ათენს და ღვთისმშობელს უძღვნეს თავი. შესაძლოა სახელებმა განუჩინეს მათ ეს ხვედრი, რომლითაც არცერთი იყო კმაყოფილი. ორივე უარს იტყოდა აღთქმის შესრულებაზე, ერთმანეთისთვის თავის მიძღვნაზე.

— შემევი, ფრონო! — გაბრაზდა მარო და ზურგი მოიფხანა ბალიშზე — ნამდვილი *უსაქმური* ხარ!

— მე მხოლოდ შენს კომფორტზე ვზრუნავ!

კომფორტი ამორალობა იყო მაროსთვის:

— არა, არა, ფრონო! წადი! — ხმამაღლა ამოიკვნესა.

მისი და კი ადგილიდან არ იძვროდა.

— თუ ასე გძულვარ, ნავალ. — დაპირდა ფრონო — მთელი ცხოვრება ცდილობდი, გენყენინებინა ჩემთვის.

მაროს გაეცინა და გასძახა:

— შენსათვის კარგი მახსოვრობა არა მაქვს.

— რა უნდა ვქნათ, თუ დაეკარგავთ მას? მაშინ რალა გვეშველება? — ფრონოს ეს სიტყვები შემთხვევით მოისმინა კოსტამ და მიხვდა, რომ თვითონ არ იყო მათი ადრესატი. როგორც კი ფრონომ კოსტა დაინახა, უთხრა:

— როცა პატარა ვიყავი, პიანინოზე იმიტომ ვუკრავდი, რომ სხვებისთვის მიმენიჭებინა სიამოვნება. მაგრამ პროფესიონალი მუსიკოსები ისეთი ეგოცენტრულები არიან, საერთოდ ავიწყლებათ აუდიტორიის არსებობა, რალა თქმა უნდა იმ გამონაკლისის გარდა, როცა აპლოდისმენტებს ისმენენ.

ყველა ისეთ განწყობაზე იყო, რომ ფრონო ვერავის გამოელაპარაკა, თავის მოახლე პარასკევასაც კი.

— რას დამდგარხარ აქ? — შესძახა ფრონომ — დგახარ და დგახარ! — ალბათ შიმშილმა დაუნწერილა ასე ხმა. — რაზე ფიქრობ ხოლმე, როცა ასე დგახარ?

— ვფიქრობ, — უპასუხა მდორე, ერთფეროვანი ფიქრებით დამძიმებულმა პარასკევამ — რას ვგრძნობდით იმ დროს, როდესაც ჩვენი კუჭები საესე იყო.

— ოხ, ჩვენი კუჭები, ჩვენი მუცლები — მხოლოდ ამაზე უნდა ვიფიქროთ? ასეთ უმნიშვნელო რამეზე?

— ძალიანაც მნიშვნელოვანია. — თქვა პარასკევამ.

შეპასუხებამ შეაცბუნა და ააღელვა ქალბატონი. მისი მსახური ხომ უარყოფდა წიგნებს, რომლებშიც მივინყებულმა ავტორებმა კომპლიმენტები დაუნწერეს რჩეულ ქალებს; არაფრად აგებდა ხატებს, რომლებიც მოვლის მიუხედავად დაზიანდა. ფრონო მტვერს წმენდდა წიგნებსა და ხატებზე.

როცა მტვერს წმენდდა, მას ყოველთვის ეკეთა სპეციალური ხელთათმანი. ერთხელ, სისუფთავის მოთხოვნის მორიგი შემოტყუვისას ხატების ქვეშ მდგარ კანდელში შემთხვევით ალი ჩააქრო, როცა იქ მაროს მიერ მოტანილ ზეთს ამატებდა. ფრონო თავს იდანაშაულებდა იმაში, რომ მკრეხელობა ჩაიდინა.

თუმცა მარომ თვალი გაახილა და თქვა:

— ყველა ცეცხლის ჩაქრობა შეიძლება, ფრონო. ეტყობა, ჩემია გამონაკლისი.

მარომ მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი, როცა ამის მიზეზი მიეცა. ქუთუთოებს მიღმა ყავისფერი, იშვიათი ქარვა გამოუჩნდა. შეიძლებოდა ნელა, ტაატიტ გასულიყო დიდი, განელილი დრო და მაროს მექანიკურად აეხილა თვალები, ისიც სროლისას, რომელიც კომენდანტის საათის დანყების შემდეგ მოისმოდა.

იმ ზამთარს სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, კოსტა იორდანოუზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა რაღაც უჩვეულო გამოცოცხლებით, რომელსაც მხოლოდ ავადმყოფობა და შიმშილი თუ იწვევს ხოლმე. როგორც კი კუთხეში მოუხვევდით, ტერაკოტისფერი დიადემის ქვეშ თვალში მოგხვდებოდათ ღია ყვითელი ფასადი, სიღარიბემ რომ დაალაქავა და ჟამთა ვითარებამ გამოღრუტუნა. ჟანგმოდებულ ანჯამებზე დამაგრებული მონაცრისფრო დარაბები ან ღია იყო, მზეს რომ შეეღწია, ან დაკეტილი, მტერი რომ არ შეეშვა. სახლი უწინდებურად ვერ გამოიყურებოდა. ერთ დროს მართლაც ჰქონდა ჩინებული იერი, მაგრამ ახლა საერთო იყო (სავარაუდოდ, საერთო იმავე ოჯახის წევრებისთვის, მაგრამ შეცვლილი გარემოებით). მას შემდეგ, რაც ექიმმა სტარვო ვლახოსმა და მისმა მეუღლემ ანამ დაიკავეს პირველი სართული, იქ დიდმა უწესრიგობამ დაისადგურა — პაციენტების მისვლა-მოსვლა გაიმართა.



მხატვარი ნინო დვალი

კიბის საფეხურზე ქეციანი მოხუცი ჩამომჯდარიყო ექიმის აბრის ქვეშ და თავის რიგს ელოდებოდა. თუმცა ადგილი არ იყო — ავადმყოფების განთავსება უკვე აღარ შეიძლებოდა.

მეორე მხრივ, მხოლოდ ერთად ცხოვრებას არ მოუტანია ყველა ეს ცვლილება. მაგალითად, ანა უფრო მბრძანებლობისმოყვარული გახდა. დადიოდა ზევით-ქვევით და ორგანიზებას უკეთებდა პაციენტების მიმოსვლას, ყველას ადგილს უჩენდა. ამ დროს მათი ბინა თოჯინების სახლს ემსგავსებოდა. სტავრო დაკავებული კაცი იყო. ის, როგორც ფრონო ამბობდა, თავის პაციენტებზე მეტად ჰგავდა მომაკვდავს (კოსტას უყვარდა თავისი სიძე, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისთვის ერთი-ორი სიტყვის თქმას თუ ახერხებდნენ).

სახლის ზედა სართულზე დაბრეცილი ოთახები ზოლიანი ფერადი ფარდებით ჩაებნელებინათ. იქ მემკვიდრეობით მიღებული ავეჯი იდგა. ზოგიერთი ისეთი მორყეული იყო, დები უსიტყველ რისკზე მიდიოდნენ, როდესაც მათზე სტუმრებს სვამდნენ. მაღალ, გახამებულსაყელიანი ჯენტლმენების, ნახევრადდეკორტირებული ქალბატონების სამახსოვრო ფოტოებზე ყველას არისტოკრატიული ცხვირი ჰქონდა. პრეზიდენტ იორდანოუს სურათი ვერცხლისფერ ჩარჩოში ჩაესვათ, რაც მის სახეს სიცივეს ჰმატებდა. კოსტა ისე არიდებდა ხოლმე თვალს მამას, თითქოს ცოცხალიყო. აძრწუნებდა და შოკს ჰგვრიდა ის, რომ ოდესღაც მხოლოდ სპერმა იყო პრეზიდენტის ტრუსებში. შორეული ნათესავების, ადმირალების სურათები ან თურქების წინააღმდეგ მეტაქოლი წარჩინებული ავანაკების გაცვეთილი ფოტოები უფრო ხიბლავდა. დეიდების საუბარში ყოველთვის გამობრწყინდებოდა ხოლმე სიტყვები „დამოუკიდებლობა“, „თავისუფლება“, რომლებსაც ისინი განსაკუთრებულად წარმოთქვამდნენ ახლაც კი, როცა მთელი ძვირფასეულობა გადაცვლილი ან გაყიდული ჰქონდათ.

მაროს საწოლის თავზე ღვთისმშობლის პანანინა ხატი ეკიდა. პატარაობისას კოსტა საწოლზე ძვრებოდა და თავის ცხვირს წმინდა მარიამის ყავისფერ ბიზანტიურ ცხვირს ადებდა. ერთხელ, მარტო ყოფნისას, შარავანდედის ოქრო ამოკანრა, თუმცა გემო დიდად არ მოეწონა და ხველაც აუტყდა. იმ დროისათვის, როცა მუნწუკები ამოუვიდა, მოეჩვენა, რომ ღვთისმშობელი რაღაცაზე უბრაზდებოდა, კოსტამ მის ყავისფერ ლოყებზე ნახვრეტები შენიშნა. ბოლოს, როგორც იქნა, მათი ურთიერთობა მონესრიგდა — ნახევრად ფორმალური, ნახევრად ირონიული გახდა (მუზეუმების შემოვლის შემდეგ კოსტას ეჭვიც კი



გაუჩნდა, რომ დეიდამისის ხატი ისეთი კარგი არ იყო) მანამ, სანამ იმ ზამთრის ერთ ღამეს, როდესაც სროლის ხმები ისმოდა და მოხარული ბაბუანვერას ნესტისა და სიცივის სუნი იდგა, მისივე სიყვარულისა თუ შიმშილის მოძალეებამ არ აავსებდა ღვთისმშობლის თვალებს. კოსტა ხატის წინ გაშეშდა.

დეიდა მარომ თვალები გაახილა:

— რას უყურებ, კოსტაკი?

ის კი იდგა და ცახცახებდა. თან რცხვენოდა, რომ ჯირკვლების შეუკავებელმა სიმყრალემ დაუსველა ილღიები.

— შენ! — მოატყუა ღიმილით. საკუთარი სიმბდალისა და უხერხულობისგან შეიმშუმნა.

მარომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვინმეს ეფლირტავებოდა, რაც მის დანაოჭებულ ნაკვეთებსა და ჭაღარას სულაც არ უხდებოდა. კოსტა მივარდა და ხელების ზელა დაუნწყო, რომლებიც თითქოს თაბაშირისა ან ტყავისთასმებიანი ხისა იყო. თან თვალელები ჩაჰყურებდა მისთვის ასე კარგად ნაცნობი ყავისფერი ქარვის გაუმჭვირვალობას. შესაძლოა, კოსტა არც არასოდეს ყოფილა დეიდასთან ახლოს, მაგრამ სწამდა, რომ ის სამუდამოდ იქნებოდა, როგორც ხატის ციალი და მშვენიერება.

ღილით ექიმი მოვიდა.

თითქმის ყოველ დილას მისის მაკრიდისთან მოდიოდა ექიმი ვლახოსი, ჩაფსკვნილი კაცი კლდეებისა და ფიჭვების სოფლიდან. კიბეზე ამომავალი სიძის მძიმე ნაბიჯების ხმა კოსტას საჩუქარით ჩაესმოდა.

მარო ვერასოდეს დათანხმდებოდა, რომ მისი დისშვილის ქმარი იყო კაცი, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდა, ვერასოდეს აპატიებდა მას ანაზე დაქორწინებას, რითაც გრანდიოზული გეგმა ჩაუშალა.

კოსტა დილაუთენია გამებს უკრავდა, როდესაც სიძის ხმა გაიგონა. სკამზე შემობრუნებულს შეეძლო სტარვოს მოგროძო თავი და სქელი, უდრეკი კისერი დაენახა.

— ნებისყოფის საქმეა. — უხსნიდა სტარვო — არაფერი გჭირთ, მაროულა. უბრალოდ, სადაა თქვენი ნებისყოფა?

კოსტამ იცოდა, რომ მარო ლაპარაკის დროს თავს ააქანავებდა ბალიშზე:

— ვიცი ეს ყველაფერი, განსაკუთრებით ჩემს ნებისყოფას და გამძლეობას რაც შეეხება, ვიცი, როდის და რა დოზით გამოვიყენო. თუ გადავწყვეტ, რომ ასე არ გავაკეთო, ეს ჩემი საქმეა. — ბუტბუტებდა — ჩემი შესანიშნავი ბავშვებისთვის...

ანა ცდილობდა დეიდა მოეხიბლა იმით, რომ ზოგიერთი პაციენტი საფასურს რამდენიმე კვერცხით ან ცოტა ზეთით ანაზღაურებდა. ერთხელ თხის ხორცის კატლებიც კი მოართვეს.

იმ დილით ანამ მათლაფით ბრინჯის წვნიანი ამოიტანა. თევზს მტვრიანი, ნებოვანი ძირი ჰქონდა. ქალბატონმა ვასილოპოულომ იმოვა და არც არავის უკითხავს, როგორ. ანას სიამოვნებდა, ერთგვარი შურისმგებლური გულმონყალებით რომ შეეძლო შეეთავაზებინა ვლახოსის ნანვალეები მოხუცი, წუნუნა, სნობი დეიდასათვის.

ანა ბრინჯს სულს უბერავდა და ამბობდა:

— მხოლოდ ერთი ყლუპი, მაროულა. — შემდეგ დასძინდა იმ ბრწყინვალეობით, რომელიც მემკვიდრეობით ერგო მშობლებისაგან — ისეთი უგემურია, სინდისის ქენჯენა არავის შეანუხებს.

სხვა თუ არაფერი, დეიდას და დისშვილს შეეძლოთ ამაზე ერთად გაეცინათ.

მაგრამ კოსტა მიხვდა, რომ მის დას არაფერი გამოუვიდა. გაიგო ანას ამოხვნეშა, რასაც ფაიფურზე კოვზის ხმა მოჰყვა.

ვლახოსი ქვემოთ ჩავიდა, დილიდან გულმოდგინედ უნდა ეშრომა. საოპერაციოდან პაციენტების ხმაური აღწევდა. კოსტას ეცნო იმ ადამიანთა გაუბედავი ტონი და აკანკალებული ხმა, რომლებსაც მკურნალობის საფასურის გადახდა არ შეეძლოთ.

მან თავი აიძულა, რომ მუსიკის ენამა. როცა გამებს უკრავდა, მარღვებში მუსიკის სისხლი უჩქეფდა. რომ შეძლებოდა, მუსიკისთვის ეცოცხლა! მუსიკა მას აუცილებლად მისცემდა სამაგიერო სიცოცხლეს — სულს, მოხუცმა ბახმა ასე მგრძობიარედ რომ გამოხატა. კოსტასთვის ნუგეშისმიმცემი იყო იმის შეგრძნება, რომ ღმერთისკენ გრძობა მიუძღოდა და არა დემონი.

მოულოდნელად იძულებული გახდა, პატარა ბინის ბნელი, დაკლაკნილი გზებით გაქცეულიყო, სააბაზანომდე დროზე რომ მიეღწია. ძლივს მიუსწრო — ეს ყველაფერი ბაბუანვერას ბრალი იყო — სულიერება ბოლოს მწვანე ლორწოს ნაკადად იქცა.

გაახსენდა ის საღამო, ახალშემოსულმა მტერმა პოზიციები რომ დაიკავა. ფრონო ოთახიდან ოთახში დახტოდა. ეს ყოფილი ბალერინა მოლოდინისა და შიშისგან უხამსობებსაც კი კადრულობდა. კოსტას გული უსკდებოდა. უხაროდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დისშვილი იყო.

მეორე სართულზე პარასკევა ამოვიდა. კოსტას აოცებდა, რომ ისეთ მოქნილსა და დრეკადს, როგორიც მათი მსახური იყო, ასე ძლიერად ცახცახი შეეძლო.

— გერმანელი ოფიცერი. — ამოღერლა მან.

— რა რანგის? — ამოილულულა ფრონომ, რომელიც ერთგვარ ფორმალობას იცავდა. ამ დროს კი მისი თითები შიშის მთელ არპეჯიოებს გამოისახავდა.

პარასკევას საიდან ცემდინებოდა სამხედროს ჩინი — ნებისმიერ შემთხვევაში გერმანელი იყო გერმანელი.

ფრონომ სხვაგვარი რეაქცია ვეღარ გამოხატა:

— მაშ ჩვენ წასაყვანად მოვიდნენ.

სამივე გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, წმინდანთა შეწევნასა და ღვთის მოწყალებას ელოდა.

მარო სკამიდან წამოდგა. მიხვდნენ, რისი იმედიც უნდა ჰქონოდათ. მარო იყო ერთადერთი მშველელი, რომელიც მათ იხსნიდა.

ყველანი ქვემოთ ჩავიდნენ. კოსტამ შვებით ამოისუნთქა.

ქარი ქროდა. იმ ზამთარს ლიკავიტოსზე არ შეწყვეტილა ქარი. სტარვო ავადმყოფთან გამოიძახეს. ანა ბაბუანვერას მოსათხრელად წავიდა. ცივი, წვიმიანი საღამო იყო.

მდგომარეობის სიმძიმემ ოთხივე გარეთ, ქუჩაში გამოყარა. ფრონოს თმა ემორჩილებოდა, მარო კი მთლად გაიწენა. ის შეიძლება ცუდი რეპუტაციის მქონედ გამოჩენილიყო, თუმცა დების წარჩინებულობა ყველანაირ ამინდს უძლებდა.

არაბუნებრივად გამართული ახალგაზრდა ლეიტენანტი — რომელზეც შემდეგ მაროს გარდა ყველა ამბობდა, სულაც არაა უსიამოვნო — გარეთ, სახლთან იდგა და მათ მოგროძო, სუფთა ამანათს სთავაზობდა.

— მის მაკრიდის, — გაუბედავად თქვა ბერძნულად — თუ შეიძლება მიიღეთ, პროფესორმა შლოცჰაუერმა, რომლის სტუდენტიც გახლდით მიუნხენში, მოკითხვა შემოგიტვალათ — ეს ნამდვილი ყავის პატარა შეკვრაა.

პატრიარქ ესაიას ქუჩაზე სიჩუმე ჩამოწვა.

მის მაკრიდისმა გამოუყენებელი, მაგრამ უშეცდომო, გამართული გერმანული უთხრა:

— პროფესორმა შლოცჰაუერმა ვერ გაითვალისწინა, რომ ამ ყავის შეკვრის მიღებით ლალატს მაიძულებს. დარწმუნებული ვარ, ეს არ ენდომებოდა.

განწილი თმა მის მარმარილოს სახეზე თეთრი ღრუბელივით იშლებოდა.

პარასკევა ისევ ბუზღუნებდა და იღრინებოდა.

მარო ამჟამად მკაცრ, კაცურ ტუჩებს ილოკავდა:

— უთხარით, — პრაქტიკულად ამღერდა, თუმცა ხმა ყველაზე მაღალ და უსუფთავეს ნოტზე ცოტა გაებზარა — გადაეცით. — და გაჩუმდა.

გერმანელმა ლეიტენანტმა ენა გაანკლაპუნა. სამხედრო წესით საღამო მისცა და გაბრუნდა ფალანგის მიერ განადგურებული. ხელში ისევ ეჭირა ყავის შეკვრა.

გამარჯვებული ბერძნები ზევით ავიდნენ. სადღესასწაულო საღამო არ ყოფილა. ფრონო ნუნუნით მიდი-მოდიოდა. მას შემდეგ, რაც გათბობა გამოირთო, სულ სციოდა. მოხუცი პარასკევა ითვლიდა, რამდენ ფინჯან ყავას გაამზადებდა იმ ერთი შეკვრიდან. მალე ყავის არომატი გაიფანტა, ოთახში მოხარშული ჭინჭრის მყრალი სუნი დადგა.

როცა თავისი სირცხვილის დილას კოსტა იორდანოუ სააბაზანოში იჯდა და ბარძაყებს ხელსახოცით ინმენდა, ბაბუანვერების უსიამოვნო სუნიც კი აღარ იდგა. იყო ფეკალიებისა და სიცივის სუნი. ბინა დაცარიელდა. პარასკევა და ფრონო „სანადიროდ“ ნავიდნენ სხვადასხვა მიმართულებით. ერთ დღესაც შეიძლებოდა ისინი ვიდაცას დაეხოცა. მანამდე კი იმედი ჰქონდათ, რომ ბაბუანვერებით გაიტანდნენ თავს.

კოსტა მაროს ოთახში შევიდა. ბალიშზე წამოსწია და ჩაეხუტა თავის მთლად გაციებულ დეიდას. სანოლის გვერდით პატარა მაგიდაზე მდგარი შეგრილებული ბრინჯით სავსე თეფშიდან მას ხანშიშესული ადამიანის ტანის სუნი მოუვიდა. დეიდის ქუთუთოები გლეხის მიერ ფეხებშეკრულ ქათამს აგონებდა, თუმცა მისი რბილი, მოცისფრო ტუჩები ადამიანის ტუჩებს ჰგავდა. მაროს ყურებას ვეღარ გაუძლო. სახლის კარი გაიჯახუნა და წავიდა, თვითონაც არ იცოდა, სად. ის იყო საძაგელი გენიოსი, საკუთარი ნაკლოვანებანი ხახას უმწარებდა და თეძოებში ესობოდა.

და მაინც, დროდადრო სიმართლის პატარა, წმინდა ნიშანივით ხვდებოდა თვალში და მის გონებამდევ ალწევდა ცა, რომელიც ისევ ითმენდა და სწყალობდა ქვევით, სახლების ნადებიან სახურავებს; ნემსინვერა, რომელიც ისევ ყვავდა ქოთანში; და ვირი, რომელიც ისევ ტოვებდა საცოდავ, სურნელოვან განაევალს.

კოსტამ ქურთუკის ღილები შეიკრა, ქალეგის ქუჩას ჩაუყვავა. თესალოგენოსისკენ გაემართა. ქვას ფეხი წამოკრა და კინალამ წაიქცა. მიტრიალდა და ქვა შეაგინა. მელეაგროუმი კერძო სახლის პირველი სართულიდან მისის ვასილოპოულომ გამოიხედა, ის-ის იყო თავზე ქუდი უნდა დაეხურა, მაგრამ მოიხადა და კოსტაკის დაუძახა, შინ შეიპატიჟა.

აუხსნა:

— ვინმეს მივყავარ ჩემს დასთან პორტო რაფტიში, თუ შესაძლებელია, კვირაში ერთხელ. სწორედ ჩემი დისგან მომაქვს კვერცხები.

მისის ვასილოპოულომ ჩაახველა, მთელი სხეულით აღელდა — კვერცხებს დღეს ყვავილების დანიშნულება აქვთ. მისი დის ქათმები ყავისფერ კვერცხებს დებენ — ისინი მის პოროვან თაროებზე ყვავიან — სრულყოფილი კვერცხები, რომელიც საჭმელად არაა განკუთვნილი. ალბათ ამიტომ ვეღარ იტან მისის ვასილოპოულოსის კვერცხებს...

ამ ქალს ცხიმინი კანი და ოდნავ შესამჩნევი ჩიყვი ჰქონდა. ტანის სუნი ასდიოდა და დაბეჟილ, მოყავისფრო მსხალს ჰგავდა.

ლაპარაკისას ქუთუთოებს დაბლა ხრიდა: „ჩემი და პორტო რაფტიში...“

სახეგაპუდრული თვლებს ახამხამებდა და ილიმებოდა: „საიდანაცაა კვერცხები...“

მისის ვასილოპოულო უცებ დასერიოზულდა, თვლები დააჭყიტა, სახე მოელუშა — ნაოჭებით გაეცხო მოჭმულ-ნული ბურთივით — იფიქრებდით, მუცელში ჭვავი აქვსო, და დაიწყო:

— კოსტაკი, ყოველდღე აივლი, ჩაივლი და ჩემს თავს ვეკითხები, რა დაგუშავე ისეთი, რომ ერთხელაც არ შემოიხედავს-მეთქი. ვიცი, რომ ახალგაზრდა ბიჭები სიუხეშის ფაზაში შედიან. მერე, გვიან ხვდებიან — თვლებიდან ცრემლი წასკდა — რა გაუშვეს ხელიდან.

უეცრად კოსტაკის ხელებს სწვდა და ისინი პირდაპირ დამპალი მსხლის საბუდარში ჩაასო. კოსტა გაიოფლა. არასოდეს უგრძენია ფეხებს შორის ასეთი სიცივე და მოდუნება.

მისის ვასილოპოულო ისევ ილიმებოდა. ეს ღიმილი უფრო საშიში იყო, ვიდრე მისი მუცლის ტკივილი. კოსტას ნესტოებში პუდრაში ჩასაფრებული ტანის სუნი ეცა.

— არ მჯერა, — ამოიხვნეშა ქალმა — რომ ასეთი უხეში ხარ. არც ისეთი ანგელოზი ხარ.

კოსტამ თავისი დადამბლავებული ხელი უკან გამოაძვრინა:

— შენც და შენი ძველი კვერცხებიც!

იმ ემოციისგან, რომელმაც ოთახი აავსო, თასზე კვერცხებიც კი გაბერილი ჩანდა, თითქოს მათმა რაოდენობამაც იმატა. კოსტამ და მისის ვასილოპოულომ ერთიანად აათრთოლეს პატარა ოთახი.

— ჩემი კვერცხები? — დაიკვილა — არასოდეს ყოფილა ასეთი დიდი და ახალი!

კვილისას მისი ძუძუები დახტუნაობდა.

— თუმცა რა არის კვერცხები? — აილო რამდენიმე ცალი — ეს — დაიღრიალა — ფეხებზე მკიდია! — გადაადგო — და შენც! — ისევ მოისროლა რამდენიმე კვერცხი — და შენი ქედმაღალი გიჟი დეიდებიც! — კიდევ მოისროლა — საძაგელო, საზიზღარო!

კოსტა გარეთ გავიდა. საბედნიეროდ, მისის ვასილოპოულომ მხოლოდ საკუთარი სალონის კედლების დაზიანება შეძლო.

შემალეებული ბორცვიდან კოსტა ვინრო, გაუკაცრიელებული ქუჩებით დაეშვა, რომლებიც თითქოს მის ფეხებქვეშ ქანაობდა, როგორც გემის საბიჯელა მძვინვარე, აბო-

ბოქრებულ ზღვაზე. ახლა ამ ქალაქში ყველაზე სუფთა დილა ცი ალბათ ყველაზე მწარე იყო, მყიფე და მსხვერველადი, განუწყვეტლივ რაღაცის მოლოდინში...

ბობოლინას ქუჩაზე ვიღაც მოხუცი ქალი ეგდო. ქუდი, რომელიც წესით თავზე უნდა ხურებოდა, მისი საგულდაგულოდ დავარცხნილი თმიდან სადღაც გამქრალიყო. ფეხსაცმელი გამძვრალი ჰქონდა და წინდებიანი ფეხები განზე გაეჭიმა. ამ ქალის შავი აბრეშუმის თეთრწინკლებიანი მოკრძალებული კაბა, ყველაფერი — სახის გარდა — კოსტას საკუთარ ცოცხალ დეიდებს აგონებდა.

სიკვდილმა ქალს ვერ მოაცილა ჩანთა, რომელიც ხელში ჩაეხელაუჭებინა. კოსტამ ჩანთაში ჩაიხედა. დღესდღეობით არავინ, დეიდების გარდა რასაკვირველია, ხელიდან არ უშვებდა სადმე რამეს ანაპვნის შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, ჩანთა ცარიელი იყო.

ლაბირინთებში გააგრძელა გზა, რკინის დარაბებს შორის. ცარიელი ქარვასლის შესასვლელთან გერმანელი კაპრალი იდგა და თავისი წითელი ხელისგულით რაღაცის კონსერვს სთავაზობდა: შეხედეთ, ხორცისააო — ირწმუნებოდა.

კონსერვის გაუხსნელი ქილა ისეთი თვალისმომჭრელად კრიალა იყო, სავარაუდოდ, ყველა გამოცანაზე პასუხს შეიცავდა.

კოსტა ქილით მოიხიბლა.

კაპრალმა ხმას დაუნია და მაცდურად განაგრძო:

— **Seh gamo kahol, paithee, Ehla! Nimm's doch!**

კაპრალს გაჭრილი ხელი ხმასავით უკანკალებდა.

კოსტა იორდანოუმ უბრალოდ თქვა:

— ნადი და უკან შეიტენე.

წესით საავდროდ ნათქვამი ეს ფრაზა, რომლის ექოც ჭუჭყიანმა კედლებმა აირეკლა, ისე წვრილად და ტალღოვნად გაისმა, სკოლის მოსწავლის ნათქვამს უფრო ჰგავდა, თუმცა საფრთხის მომასწავებელი იყო.

ასე რომ, კოსტა გაიქცა. საკუთარ ვითომ დამუქრებას გაექცა. ცარიელ მაღაზიაში შევარდა. მირობდა თავის ერთ დროს დაკუნთულ, ახლა წყალ-წყალა, მორყეულ ფეხებზე. ქარი და სიჩუმე მის წინააღმდეგ იყო.

ცარიელ ქუჩებს ჩაუყვია და აგორამდე მიიღწია მთლად გამოფიტულმა და ძალაგამოცლილმა. აქოშინებული ძირს გართხმულ მცენარეებზე განვა. გასულ წლებში, ზაფხულობით მეგობარ ლუკასთან ერთად დაყიალობდა ამ სიმწვანეში. ისინი, ყვითელი მთვარის შუქზე, ჯერ კიდევ მზით გამთბარ მინაზე დადიოდნენ და შეყვარებულ წყვილებს დასცინოდნენ. ახლა ფოთლები მხოლოდ ქარის დაბერვაზე თუ შრილდებდნენ. შეყვარებულები ხავერდოვან ღამეებთან ერთად გამქრალიყვნენ. აღარსად ჩანდა ვაბერილი, ოქროსფერი მთვარე. წელს მხოლოდ ტრაგიკულად დამძიმებული გოგონები უშვერდნენ მუცელს ქარს.

კოსტამ გააცნობიერა, რომ ზამთრის უსულო, გამხმარ ბალახზე იწვა წყნარად, მშვიდად და იმიტომ არა, რომ ძალა ჰქონდა გამოცლილი. გაახსენდა შემწვარი ბატონის ხორცი, სადღაც ჰალანდრის გზაზე რომ ჭამა. მეხსიერებაში სამუზეუმო ექსპონატივით ამოტივტივდა ვერცხლისფერი დასერილი კანი წვნიანში, ვარდისფერ-სპილოსძვლისფერი მჭლე ნაჭერი, გრანულირებული ხორცი, ძვლები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო გადაყრილი და საბოლოო ქანდაკებად ქცეული, საუკეთესო პატარა თირკმელი.

მოჩურჩულე ფოთლებში კოსტას თვალებიდან წამოსული ცრემლები ჩაეშვა. ყველაზე აუტანელი იყო ის, რომ ცოცხალი სითხე მიედინებოდა მის ძარღვებში და მწვანე მცენარეებივით დაგრეხილ, მავთულისებრ, დრეკად კუნთებში.

წამოჯდა. რა თქმა უნდა, უკვე მოიპოვა ცოტაოდენი კვერცხი და გერმანული ხორცის კონსერვი. პირის საჭმლით გამოტენვის მოთხოვნილებასთან შედარებით ბახი თვით მხიარულება და სიმსუბუქე იყო. კოსტა თანდათან დორბლიან ცხოველად იქცა, სული დასცინოდა მას აგორაში.

ძლივს წამოფოფხდა, ფეხზე წამოგდა. გერმანელი კაპრალი ნაკლებად ჭუჭყიანი და მოუნესრიგებელი იქნებოდა... ნებისმიერ შემთხვევაში მისის ვასილოპოულო ჩაჭყყილი მსხლებითა და სრულყოფილი კვერცხებით უკვე დალაგებდა თავის სალონს და დასთან წავიდოდა... გერმანელ კაპრალს უზარმაზარი, ჩასუქებული ხელები ჰქონდა...

კოსტა (კოსტაკი — როგორც მას ეძახდნენ, და იორდანოუ — როგორც საკუთარ თავს დაბეჭდილს ხედავდა ხოლმე) უკვე მიემართებოდა თავისი საეჭვო განზრახვის აღსასრულებლად, თუმცა მერყევად, ყანყალით ცუდი გზისა თუ დაბინდული გონების გამო. დიდხანს მიდიოდა. ჩვეულებრივ, აგორას ფრთხილად კვეთდა ხოლმე. შრიალის, ტკაცვა-ტკუცის ხმებს აყურადებდა. ახლა უნდა ერქარა, მაგრამ კოჭლობა დაიწყო. შესაძლოა, დაშავებულიც იყო. სარეველასგან დაგებული ხაფანგი მახეში აბამდა. ნაბორძიკდა. მონასტირაკისკენ მიმავალ ქუჩას სირბილით გაუყვა.

მირობდა.

თან ჰაერს ყლაპავდა.

ჩაუარა რკინის დარაბებს, ვინრო შესახვევებთან მდგარი სპეკულანტებისა და მეძავეების ბრტყელ-ბრტყელ სახეებს, რომლებიც არ ჩანდნენ რაიმეთი გაოცებულები. კოსტაც მათი სამყაროდან იყო? მისი სუნი დაფხვნილი ბათქაშის, სველი კარტონის, მოსაპარადაც კი უვარგისი, მიყრილი ჭინჭების სუნს შეუერთდა. ეძებდა კაპრალს, რომელიც მისი გეგმების განხორციელებას უნდა დალოდებოდა. არც კი ჯვეროდა, რომ შეიძლებოდა იქ აღარ ყოფილიყო ის, ან გერმანული ხორცის კონსერვი.

კაპრალი ხომ ძალიან სოლიდური იყო, წვერიანი, თუმცა მწებარე კვირტები ჰქონდა ენაზე ამობიბინებული. კონსერვის ქილის გახსნის მცდელობისას და მჭრელი კბილანებიდან მარმარილოს ხორცის ამოღებისას სულ ერთიანად დასერილი ხელები უკანკალებდა.

კოსტა იმ სახლებსა და მაღაზიებს შორის მირობდა, სადაც მთელი ცხოვრება დადიოდა. მტვრიანი კვიპაროსები... დიოგენეს ძეგლი... ეს ყველაფერი ადასტურებდა, რომ წამდვილი ცხოვრება გრძელდებოდა, კოსტაც წამდვილი იყო. ვერასოდეს ყლაპავდა უმ კვერცხს. მას უნდა წაელო კვერცხები შინ, მოეხარმა, გაენაწილებინა დეიდებისთვის, რომელთა თავდადება მისთვის საოცრად მტკივნეული იყო; მსახურისთვის, რომლის კაცური მადაც ასაკთან ერთად არ იკლებდა. კვერცხები... ხორცი... ხომ შეიძლო ხარბად მთაენთქა, კედლისკენ შეტრიალებულს, ისე, რომ ოცნებასრულულ ტუჩებს მისი ამოღებისას განცდილი ტკივილი ვერც კი ეგრძნო.

ხორცი...

გარბოდა. მტკივნეული იყო იმის გაცნობიერება, რას აკეთებდა. ჩიხების გავლით მიაღწია შენობამდე, მაცდური კაპრალის ძებნაში ჩაუარა თაღედს. გერმანელს რომ შეხვედროდა, მის ხორციან ტუჩებს გაუმაძღრად აკოცებდა. ეტყობა, ძლიერია შედეგის ძალა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გერმანელს უყვარს ვაგნერზე ლაპარაკი, არცერთ ბერძენს არ შეუძლია ბრალი დასდოს ლალატის მუსიკას.

ხომ გესმით, ამ შემთხვევაში ორთოდოქსული, მართლმადიდებლური სულის გამოვლინებაა საჭირო.

სირბილისას თითქოს ღვთისმშობელი დაენია და თავისი მოციხფრო-მოთეთრო ნაკეცებიანი კალთა ჩამოუშვა. ყოველი მისი მოძრაობა იყო მსუბუქი და უკიდურესად გრაციოზული. კოსტას ღვთისმშობელი. ის წმ. მარიამის თვალებს ისეთი სიყვარულით ეძებდა, რაც არავის მიმართ არ განუცდია და ალბათ მომავალშიც არ განიცდიდა. ღვთისმშობლის თმაზე მზის შუქის მკრთალი ნაკადი იღვრებოდა.

სისუსტემ, ბოლოს და ბოლოს, თავისი ქნა — მუხლები მოეკვეთა და წმ. მარიამიც სადღაც გაქრა.

ამ დროს ბორცვზე მდებარე ხარების პატარა ეკლესიას ჩაუარა. მოცუტქნული, ყავისფერი ტაძრის დანახვაზე ფრონო ამბობდა ხოლმე: ღარიბები ყოველთვის უფრო უცოდველები არიანო. კოსტა დეიდასთან ერთად ბოლო აღდგომას მოვიდა აქ. ახლა ტაძრის მორყეული კარი შეალო, და უეცრად ჩაკეტილი სივარდილე შემოეგება.

ის მიეყრდნო თუ მიეთხლიმა ამბიონს, ცოტა სული რომ მოეთქვა, თუმცა მოძველებული ხე არ აღმოჩნდა კარგი საყრდენი, არწივივით გაიშლართა ძირს. მისმა ბიზანტიურმა ნეკნებმა ჭრიალი დაიწყა. კანკელიდან უმზერდნენ ქრისტე, წმინდანები, ოთხი მახარებელი.

შეეძლო ელოცა კიდეც, რამდენიმე ძირითადი ფრაზა მაინც ეთქვა, ენა რომ არ დავიწყებოდა. უქმად ყოფნისას ან სასიხარულო მომენტებში კოსტას მოსწონდა იმის დაჯერება, რომ ცოცხალი ქმნილება მლოცველი იყო, თუმცა ეს ვერ შეელოდა სასონარკვეთილების დროს. ღრმად შეისუნთქა მკვდარი საკმევლის სუნი, თავი დახარა, ნაბორძიკდა. ერთადერთი პატარა სანთელი ენთო ბინძურ ტყვიებს შორის, ცვილის საცოდავი სანთელი. ახლანდელ მოღუშულ, მერყევ, ნაცრისფერ გარემოში მაშინდელი ოქროსფერი ლიტურგიები ჰაერში ისევ ეკიდა თითქოს. იქიდან კოსტას ტუჩები ნოყიერ საარსებო საზრდოს იმედინად ისრუტავდა.

ტაძრის შუაგულში მისი საკუთარი ხის ღვთისმშობლის ხატი იყო. მართალია, მკაცრად იყო შეფუთული, ქარს მისი ორთოდოქსული თმა და არამინიერი ცხვირი მაინც გაენვალებინა. უეცრად ნაცნობმა წმინდანმა კოსტას ყურებსა და ტვინში შეაღწია:

*აიღე, შეჭამე — თქვა მან — ეს ჩემი სხეულია, ნყალწყალა შავი ბრინჯის ულუფა, რომელიც შენ მოგეცა.*

კოსტამ საკუთარი სივარდილისა და გამოფიტულობის ღრუბელში ცხადად დაინახა არა საკმევლის კვამლი, არამედ მოხარული ბრინჯიდან ამომავალი ორთქლი.

ღვთისმშობლის მძიმე ქუთუთოები განამტკიცებდნენ მის გადაწყვეტილებას.

კოსტა იორდანოუ მოსწყდა ამბიონს. საკუთარ ფეხებზე დადგა. ძალა და ნებისყოფა მოიკრიბა, ახედა ბორცვს,

ზიგზაგისებურ ჰორიზონტსა და კვიპაროსებს, ზემოთ ამაველ ქუჩებსა და სახლებს, რომლებსაც ერთ დროს კარგი მისამართები ჰქონდათ.

მისი მზერა სანუკვარი რძისფერი ბრინჯის თეფშსაც კი მისწვდა, ბრინჯს, რომელსაც უკვე ლეჭავდა.

სცადა, მადლობა გადაეხადა ღვთისმშობლისათვის. ნელა, ნახევრად ფრთხილი, ნახევრად მისტიკური წინდახედულებით წამოდგა. სიამოვნებით მოუხმობდა საშველად დებიუსის. ნაკითხული ჰქონდა, რომ ჯმუხი, თავგასიებული დებიუსი ბოლოს კიბომ შეჭამა. აქ, მარჯვნივ იყო კედელი, რომელზეც კოსტას ძალიან დიდი ხნის წინათ დიდი ასოებით ამოეტიფრა „იორდანოუ“. ეს წარწერა ისევ არსებობდა. სიკვდილი ხომ ისაა, რაც ყოველთვის სხვას ემართება, დებიუსის ან სხვებს. იორდანოუსთვის მომავალი წყალწყალა ბრინჯის ამოხვრეპასთან იყო დაკავშირებული.

კოსტა უხეშად შევარდა სახლში. ჩანდა, რომ სტარვო და ანა შინ არ იყვნენ, რამაც ის მხოლოდ კი არ გაამხიარულა, გააკადნიერა კიდეც.

რას იტყობა, დეიდა თუ გაახელდა თვალებს? თუმცა ღვთისმშობელი ხომ უკვე უყურებდა.

ვერც კი გაიაზრა, რომ ბევრი კარი უნდა გაეარა, ვიდრე იქამდე მიაღწევდა.

აი, დეიდა მაროს კარის სახელურიც. ყველაზე მსუბუქი კარი ისე გამოალო, რომ არასაჭირო ძალისხმევა დახარჯა. მაღალი, გამხდარი, მოხუცი ქალი იწვა, როგორც ყოველთვის, სწორად, თვალდახუჭული. გადასაფარებელი ცივ ნიკაპამდე აენია.

ყველაზე მძიმე, დამშოკავი სანახავი მაინც ფაიფურიდან აღებული კოვზი იყო.

დეიდა ფრონო... სწორედ ის ჭამდა ხარბად ბრინჯის თეფშიდან...

ფრონომ თავის ცარციან, დანაოჭებულ სახეზე თვალეზი გადაატრიალა. კოვზი პირდაპირ პირისკენ გაიქანა ისე, კოსტას მანამდე რომ არ ენახა. ისევ გაიქანა... კოსტას ესმოდა მეტალის ხმა მის კბილებზე. ისევ ჩაიტენა. ჭურჭლის ნკრიალით ნაბილნა დის ოთახი. ნათელი იყო, ფრონოს არასოდეს ესმოდა, როგორ უნდა ეცა სინმინდისათვის პატივი.

*შენ!* — წვრილი სისინივით მოესმა კოსტას საკუთარი ხმა, მის ენას კი თითქოს ბოლოკის ფორმა ჰქონდა.

თეფშს მივარდა და... ჭიდაობა დაიწყეს.

— შენ არ გესმის, — ყრუ ხმით ამბობდა ფრონო — ისე საშინლად მშია!

კოსტამ დეიდის სახე ასაკოვანი, გაუმაძღარი, ხარბი გოგონას სახეს მიამსგავსა. ის გააცოფა ძალამ დეიდის ხელებში. ფრონო ხელიკივით ცივი იყო, თუმცა მისი სიმარჯვე და სიციქციტე დიდ ფრინველს მოგაგონებდათ, ხელიდან რომ არ უშვებს ნადავლს. ფრონომ, რომლის დაღეჭილი ბრინჯის სუნით გაჯერებული სუნთქვაც ტალღებად აღწევდა კოსტამდე, უშნო ენა გამოყო.

— არა! არა, კოსტაკი! — დაიკვივლა აღერსიანმა, მოსიყვარულე დეიდამ — არ გებრალეები?! ოდნავი პატივისცემაც არ გაქვს?!

როცა ჭიდაობდნენ, დეიდას თვალეზი საშინელი სისხლძარღვები გამოუჩნდა. ერთი შეღავათი ის იყო, რომ ფრონოს ბეჭდები ხელებს არ ფხაჭნიდა. ყველა ბეჭედი გა-

ყიდული ჰქონდა. ბოლოს კოვზი გაცვეთილ ხალიჩაზე დავარდა და ანკრიალდა.

— არა, არა კოსტა! კო-სტა-კი!

მისი სახელი ლანძღვასავით გაისმა.

— შენ ხარ დამნაშავე! — იმდენად მგზნებარედ თქვა ფრონომ, გეგონებოდათ იცინისო.

ამან კიდევ უფრო გააძლიერა კოსტა. თითქმის დაარწმუნა, რომ მას ერთგვარი მისია, დანიშნულება ჰქონდა.

თეფში დავარდა, ანას თეფში. მზითევის არქონის გამო, სხვა მცირე რაღაცების გარდა, ანას კარგი სადილის სერვიზი მისცეს. იგი ძალიან ამაყობდა თავისი ოჯახის საკუთრებით.

ძირს დავარდნილი თეფშის უკანასკნელი ნამსხვრევებიც გადათელეს.

— კოსტა, შენ დაიტანჯები! — ალერსიანი დეიდა ფრონო საკმარისად ველარ კიოდა, რომ ვინმე დაედანაშაულე-ბინა მეტად, ვიდრე საკუთარი თავი.

მან კოსტას შორიხლოს რაღაც შავ-თეთრი მწერივით დაიწყო ხტუნვა. ოთახიდან გასვლის მერე კი კივილისგან თავი შეიკავა მსახურის გამო, რომელიც თასებს აქეთ-იქით აწყობდა ცარიელ სამზარეულოში.

როდესაც დეიდა გავიდა, კოსტა იორდანოუ ხალიჩაზე დაეხეთქა და ბრინჯის ნარჩენებით, მცირეოდენი გადარჩენილი მარცვლებით პირი გამოიტენა. ხალიჩიდან ცოტა ბუსუსები და უხეში ძაფებიც შეყვა. მისი ტუჩები მოხარულად ბრინჯივით დასიებულყო. მარცვლები თითებსა და ხელისგულებზე მიენება. თითები აილოკა. ფაიფურის ნასხვრევებმა ტუჩები დაუკანრა. სისხლი წამოუვიდა. სისხლიც კი საკვები იყო.

რაღაც მომენტში, აღარც ახსოვს, როდის, დეიდა მაროს უნდა გაეხილა თვალები:

— ჭამეთ, საცოდავო სულელებო — თქვა მან — ამოივსეთ კუჭები, ბავშვებო.

კოსტა ძალიან დაკავებული იყო საიმისოდ, რომ დედისკენ მიეხედა. თუმცა ესმოდა:

— მე მხოლოდ იმისთვის ვლოცულობ, რომ იცოდეთ, როგორ აპატიოთ ერთმანეთს.

სალამოს პარასკევა მოვიდა. მთელს სახლში გაჰყვიროდა:

— ქალბატონო ფრონო, კოსტაკი, სუნს გრძნობთ? ანას ბატკნის თავი და ორი ფეხი მისცეს, და ფილტვები! ღმერთო! წმიდაო მარიამ! დღეს დღესასწაული გვაქვს!

ღამით კოსტა იორდანოუს სიცარიელის განცდა დაეუფლა. იმ სამარცხვინო ოთახისკენ გაემართა, სადაც იმედი ჰქონდა, რომ წმინდა ხატი დაარწმუნებდა — არა უშავს, რაც მოხდა, მოხდა... ის შეეხო დეიდა მაროს თითების ძვლებს, მაგრამ მისი ქუთუთოები აღარ იძვროდა. ცოტა ხნით შეჩერდა. ყური დაუგდო დეიდის სუნთქვას. თუმცა სიჩუმის მეტი ვერაფრის ხმა გაიგონა.

საბედნიეროდ, მათ ვინრო სახლში ოთახის კუთხეები საკმარისად იყო დაშორიშორებული. საჭიროების შემთხვევაში იქ დამალვა და შეყუყუვაც შეიძლებოდა. თუმცა გასვენების პროცესიამ კუთხეებიდან ყველა გამოყარა და აიძულა, ერთმანეთისთვის სახეში ჩაეხედათ. მერე კი მარტონი დარჩნენ ერთად, როგორც ჩანს, უკვე უსიცოცხლო ქალაქის გულში.

ინგლისურიდან თარგმნა  
ნინო დოლიძე

იოსებ ჭუმბურიძე

## კარგად შესწავლილის შესასწავლად

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თამაზ ჯოლოგუამ** გამოსცა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ (XIX საუკუნე, ნაკვეთი I).

ქართული ჟურნალისტიკის ისტორია საკმაოდ კარგად არის შესწავლილი.

საკმარისია, დავასახელოთ რამდენიმე წიგნი: **მიხეილ გოცაძის** „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, **პაატა გუგუშვილის** „ქართული ჟურნალისტიკა“, **ალექსანდრე კალანდაძის** „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“...

ამ და სხვა ნაშრომებში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკაა განხილული.

ეს არაა შემთხვევითი.

ეს ხომ ის ეპოქაა, სადაც ქართული ჟურნალისტიკა კიდევ იშვა და მწვერვალსაც მიაღწია (ილიას „ივერია“, მისივე პუბლიცისტიკა).

XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლა ძნელიც არის და ადვილიც.

ძნელია იმიტომ, რომ ეს ილიას საუკუნეა.

ადვილიც ამიტომ არის.

XX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორია გაცილებით ძნელი დასაწერია.

ამიტომაცაა დღემდე დაუნერვლი.

XIX საუკუნე იტანს იმას, რასაც ალექსანდრე კალანდაძე აღიარებს: „**რამდენადაც ეს ნაშრომი XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ლიტერატურული განხრით შესწავლის პირველი ცდაა, ვცდილობდით, არც ჟურნალისტიკის სპეციფიკური საკითხები გამოგვჩვენოდა**“.

ეს ხომ, ფაქტობრივად, კუროზია: როგორ შეიძლება, ჟურნალისტიკის შესწავლისას, „**ჟურნალისტიკის სპეციფიკური საკითხები**“ გამოგვჩვენოდა?!

იძულებული ვარ, საკუთარი კუროზიც ვაღიარო, ანუ ის, რაც დასაწყისში ვთქვი, აქვე უარვყო: „საკმაოდ კარგად შესწავლილი“ ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, უმეტესად „**ლიტერატურული განხრით**“ არის შესწავლილი!

ეს — მეცხრამეტე საუკუნისა.

მეოცესი — თითქმის შეუსწავლელია.

რადგან მეოცე ასეთ მიდგომას საერთოდ ვერ მოითმენს. მეცხრამეტეში პრესა და მწერლობა თითქმის განუყოფელი იყო. დიდი ილია, მათ სინონიმებადაც კი განიხილავდა.

მეოცეში სულ სხვა ვითარებაა.

აქ ჟურნალისტიკას „**ლიტერატურული განხრით**“ ვერ შეისწავლი.

მაგრამ მეცხრამეტეს და ვუბრუნდეთ...

მეცნიერი, ვინც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კვლევას გეზი შეუცვალა და სწორი მიმართულება მისცა, პროფესორი **ნოდარ ტაბიძეა**. მის მონოგრაფიებში („პირველი

ქართული გაზეთი“, „ილია ჭავჭავაძის „ივერია...“ წინა პლანზე, სწორედ „ჟურნალისტიკის სპეციფიკური საკითხებია“ წამოწეული.

თუმცა თამაზ ჯოლოგუას „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ ალექსანდრე კალანდაძის გზას უფრო მიჰყვება, მისი გამოცემა მაინც მნიშვნელოვანი ფაქტია.

ჯერ ერთი, ალექსანდრე კალანდაძის „კაპიტალური ნაშრომი“ უკვე ბიბლიოგრაფიული იმეიათობაა.

მეორე: ზემოხსენებული ხუთტომეული საბჭოთა ეპოქაში დაინერა და ამისი კვალი ამჟამად ატყვია, განსაკუთრებით მის ვრცელ შესავალს (45 გვერდი!), რომელიც ასე იწყება: „ქართული ჟურნალისტიკა ერთ-ერთი უძველესია საბჭოთა კავშირში“.

იქ ასეთ ფრაზებსაც შეხვდებით: „ქართულმა ჟურნალისტიკამ თვალსაჩინო როლი შეასრულა მშრომელთა ფართო ფენების გათვითცნობიერებაში, მათ იდეურ გამოწვევასა და დარაზმვაში, დიდი იდეალების განხორციელებაში“.

გასაგებია, ეს სავალდებულო ფრაზები იყო და მათი დაწერა, ალბათ, თვით ალექსანდრე კალანდაძესაც არ უხაროდა. საბედნიეროდ, თამაზ ჯოლოგუა ამგვარი „ვალდებულებებისაგან“ თავისუფალი იყო და მისი წიგნის ლაკონიური შესავალი (8 გვერდი) დღევანდელ სტუდენტობას წინანდელივით აღარ დააფრთხობს.

დიახ, ეს წიგნი, უმთავრესად, სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი — ცხადია, მათთვის, პროფესიად ჟურნალისტობა რომ აურჩევიათ.

შესავალში ავტორი თავის მიზანსაც გამოკვეთს: „სტუდენტებს გაუიოლოს მეტისმეტად ვრცელ მასალაში ორიენტირება“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მიზანი მიღწეულია, თუმცა ესეც უნდა აღინიშნოს: მართალია, ალექსანდრე კალანდაძის „ისტორიაში“ თითოეული პერიოდული გამოცემა შედარებით ვრცლად არის განხილული, მაგრამ შესწავლა-გაცნობიერებას აშკარად აადვილებს ნაშრომის ქვეთავებზე დაყოფა. მაგალითად, თავში, რომელიც პირველ ქართულ გაზეთს („საქართველოს გაზეთი“/„ქართული გაზეთი“) ეძღვნება, ასეთი ქვეთავებია: „გამოცემის ორგანიზაცია და პროგრამა“, „რედაქცია, თანამშრომლები“, „სტამბა, ფორმატი, პერიოდულობა“, „პუბლიცისტიკა“, „დახურვა“.

ვფიქრობთ, სტუდენტებს ამ გზით უფრო გაუიოლდებათ „მეტისმეტად ვრცელ მასალაში ორიენტირება“.

„სახელმძღვანელო, ბუნებრივია, ძირითადად ეყრდნობა წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებს, თუმცა მასში დამოუკიდებელი კვლევის შედეგებიცაა ასახული“. — აღნიშნავს ავტორი.

დამოუკიდებელი კვლევის შედეგების პოვნა არცთუ ადვილია. აქ, ალბათ, ის დებულებები უნდა ვიგულისხმოთ, მეტწილად, სადავოდ რომ გვეჩვენება. მაგალითად, ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველმა ქართულმა გაზეთმა „ქართულ სალიტერატურო ენას განვითარების ახალი გზა და პერსპექტივები შესძინა“.

ძნელია, ეს თქვა გაზეთზე, რომელსაც პროფესორი ნოდარ ტაბიძე ასე აფასებს: „პრობლემატიკა შეზღუდულია, ეკლექტიზმიც თვალსაჩინოა... შინაგან პათოსს თვითმ-



პერობელური სულისკვეთება განსაზღვრავს... ნეგატიურია გაზეთის ენა და ტექნიკური გაფორმება“. ხოლო მიხეილ გოცაძის აზრით, „გაზეთის ენას „აშკარად თარგმანის ხელი ეტყობოდა და, ცხადია, არც იდგა შესაფერ დონეზე“.

მკვლევარს ვერც მ. ვორონცოვის კავკასიურ პოლიტიკაზე მსჯელობისას დავეთანხმებით, თითქოს ეს პოლიტიკა ყველაზე სწორად აკაკი წერეთელს შეეფასებინოს.

თუ მიკერძობულნი არ ვართ, მაშინ სტუდენტებს ილია ჭავჭავაძის აზრიც უნდა გავაცნოთ და ისიც უნდა ავუხსნათ, თუ რატომ უწოდებდა ალექსანდრე ორბელიანი მ. ვორონცოვს ცბიერ პოლიტიკოსს.

ასევე ძნელად გასაზიარებელია ავტორის ეს მსჯელობა: „ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს „სადიეტარტურო ნაწილში“... რუსეთის იმპერატორისადმი აღვნიშნული ქება-დი-

დების გამოქვეყნება, მაგრამ, ჯერ ერთი, შესაძლებელია, ეს ცენზურის თვალის ასახვევად ყოფილიყო გამოყენებული და, ამას გარდა, ს. დოდაშვილი ლექსის დაბეჭდვაზე უარსაც ვერ ეტყოდა ხელისუფლების მიერ უაღრესად დაფასებულ, დიდი ავტორიტეტისა და გავლენის მქონე მემამულესა და გენერალს“.

ალბათ, გაძნელდება, თანამედროვე სტუდენტს ეს აუხსნა და გააგებინო.

რატომ ვერ ეტყოდა?! ის ხომ სოლომონ დოდაშვილი იყო?! სწორედ მას უნდა ეთქვა უარი. აქ ბუნებრივად გაგახსენდება დიდი ილია, რომელიც დიმიტრი ყიფიანზე ბრძანებს, „ის არ იტყოდა „კი“-ს მაშინ, როცა გული „არა“-ს ეუბნებოდაო.

სოლომონ დოდაშვილიც ხომ ამ „ჩამოსხმისა“ იყო.

\*\*\*

ზემოთ „საძიებლები“ ვახსენეთ. ეს განყოფილება წიგნის ერთ-ერთი გამორჩეული ღირსებაა, რადგან უხვ ინფორმაციას შეიცავს. ამას ისიც განაპირობებს, რომ „საძიებლები“ რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი: პირთა, პერიოდულ გამოცემათა, თხზულებათა, გეოგრაფიულ სახელთა... „საძიებლებს“ სამასგვერდიანი წიგნის თითქმის მესამედი უჭირავს.

შესაძლოა, ეს მეტისმეტად ბევრია, მაგრამ უპირატესად, სტუდენტებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში მსგავსი განმარტებანი ფრიად საჭირო და სასარგებლოა.

ერთ რამეს კი ვერ გავიზიარებთ: არა გვეგონია, XIX საუკუნეში, ლეთისმშობლის წილხვედრ საქართველოში, იესო ქრისტეს განმარტება იყოს საჭირო. ანდა, როგორ უნდა განვმარტოთ უფალი? ნუთუ ასე: „იესო ქრისტე — ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი“.

გვხვდება შედარებით მსუბუქი უხერხულობანიც: მაგალითად, „საძიებლებში“ ვკითხულობთ: „წერეთელი მარი — XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი“. ეს პიროვნება ავტორს მხოლოდ წინასიტყვაობაში ჰყავს ნახსენები. არა მხოლოდ ჟურნალისტიკის, „საზოგადოებრივი აზრის მკვლევარის“ აზრი წიგნში ერთხელაც არ დასჭირვებია.

\*\*\*

ნიგნს აშკარად ამდიდრებს ბოლოში დართული ფოტო-ლუსტრაციები, მით უმეტეს, რომ „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ I ნაკვეთი XIX საუკუნეს (1819-1876 წლები) მოიცავს და ფოტომასალა ძნელად მოსაპოვებელია.

\*\*\*

ბოლოს უნდა ითქვას მთავარი: თამაზ ჯოლოგუას ახალი სახელმძღვანელო ქართული ჟურნალისტიკისმცოდნეობის უდავო შენაძენია. მასში, შესაძლოა, ვნახოთ სადავო დებულებები, მაგრამ ვერ ვნახავთ არაკომპეტენტურ, ზერელე და მით უფრო გაუგებარ „აზრებს“, რითაც გადავსებულია ჩვენი კოლეგების ბოლოდროინდელი „ნაშრომები“.

„ბექდურ მედიაში ნებისმიერ ადგილს თავისი „გადაკვეთა“ და „დატვირთვა“ აქვს, რომელიც გაზეთის

ენაზე, თავისი გზავნილებით კონკრეტული აუდიტორიის სოციალურ დიალექტსაც აგნებს. თუ განხილვის საგანი სწორედ ეს სვეტებია, ეს არ უნდა ნიშნავდეს მის სრულ იზოლაციას ფორმოპრივი სტატუსიდან, პირიქით, პუბლიცისტური სვეტი სასურველია, ინარჩუნებდეს თავის ოპტიკურ, ვიზუალურ იერსახეს“ (მ. გერსამია, ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, თბ. 2010, გვ. 36).

„დილის მაუწყებლობა განსხვავდება იმის მიხედვით, არიან თუ არა ოჯახში ბავშვები“ (გ. ჩართოლანი, ტელე-ჟურნალისტიკა, თბ. 2008, გვ. 177).

სამწუხაროდ ასეთ „ნაშრომებს“ ჯერ კიდევ აქვთ გასავალი... მათ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება თამაზ ჯოლოგუას „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ მნიშვნელობა...

მარინე კაკაჩია

სულხან-საბას კვალში

კიდევ ერთი ლექსიკონი — იორამ ლუდუშაურის მოხეური სიტყვარი (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების გამოცემა, 2012 წ.), კიდევ ერთი ქართველი, სიტყვათ შესაკონადად სულხან-საბა ორბელიანის კვალში ჩამდგარი. და გიკვირს... ძნელია ეს გაკვირვება რედაქტორზე (როსტომ ჩხეიძე) უკეთ გამოთქვა: პოეტური სულის პიროვნებანი ნეტა როგორ ახერხებენ ასეთ უმადურსა და უჯი-ათ გარჯას, როგორიც ლექსიკონის შედგენაა?

პასუხიც რომ მზადა აქვს!


თუმც პოეზია ყველგანაა, თვით ყველაზე მშრალ საქმიანობაშიც, მთავარია მიაგნო მის ძარღვს და ის საქმე შინაგანი პოეტური გზნებით განმსჭვალო.

არ გასჭირვებია მთავარი ძარღვის მიგნება იორამ ლუდუშაურს! ანკი როგორ გაუჭირდებოდა ამ მოწაღმართე (მისივე განმარტებით ყოველგვარი საქმის წაღმა ნამყვანი გვ. 62) კაცსა?!

კაცი, რომელიც სიტყვათშეკონვას არ სჯერდება და ნიშნულად მოტანის დროსაც კი ცდილობს სათქმელს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს. „ღმერთმა დოგიფარს (როგორ ეხმიანება მეგრულ „ღორონთქ დოგიფარ“-ს! შემთხვევითია ვითომ?) რო სოფლებში მოწაღმართე კაცები გადაგვარდნენ, ისინი ნახვენ თემსა, საერო საკითხებშიც ეგენივე დგანან წინა.“

და „წინა დგომას“ ვინ დაასწრებდა იორამ ლუდუშაურს! „ეს რასა სჩადიან, ეროვნული გრძნობა უნდა ჩაჰკლან“ — რეკავს მისი ხმა. ნუგეშად ჩაესმის დიდი მწერლის — ოთარ ჩხეიძის ხმა: „ვერ ჩაჰკლავენ!“

რალა ვერა... ყოველივე ეს XX საუკუნის 60-70 წლებამდე ტრიალებდა ლუდუშაურთა გვარში, — გულისტივილითა თუ გადაგვარების შიშით შეპყრობილი აღნიშნავს მკვლევარი სიტყვა „საგორტომოს“ (გვარის ღირსების აღსანიშნავი ქორა



(თეთრი, უნიშნო) ან ცხენი უნაგირისა, რომლის უნაგირზე უნდა ყოფილიყო დაკიდებული მათრახი; გვ. 75) ახსნისას. თავადაც „გულთაი“ ცხენით (გვ.28) მოვლენების შუაგულში ტრიალებს. არაფერი რჩება უყურადღებოდ. „დასულმფონებას“ (სულიერად შვების მიცემა; გვ. 33) ვერა და ვერ ახერხებს. „უხამურობას“ (საქმისადმი შეუსაბამო მიდგომა; გვ.86) ვერა ჰგუობს. „ფელისიაობა“ (მლიქვნელობა გვ. 87) ხომ ყოვლად მიუღებლად მიაჩნია.

ფურცლავ ლექსიკონს და ფიქრი განუხებს. სიტყვები სალიტერატურო ქართულიდან მოხვედრილან მოხეურ დიალექტში თუ პირიქით. „დარიფანა“ (დერეფანი) — სახლის, ძირის სართულზე მიშენებული, მეორე სართულის კარის წინ არსებული ბანიანი ღია მიწური (კიბის თავის როლს ასრულებდა). „სალამ შინ შავიდოდით დარიფანაზე მოგინია დგომამა“; (გვ. 32) ღუქანაი (ღუქანი) — სახლის შესასვლელთან მიშენებული მაგიდის მსგავსი ქვის (ჭაჭის) ნაგებობა. (მაგიდის როლს ასრულებდა). „ყველს რო შასწურავ, დარეცხილი ტაშტები ღუქანაზე დააპიქოვე და დაინკლიტება წყალი“. (გვ.36) „ხელთათმანი“ — ხელების მოფათურე. „ვახო ქალებთან არ მოიშობა — ხელების თათ-

მანი უყორს.“(გვ.120) ჯოჯგოლი (ჩოჩქოლი) — ძიძგილი. „რაი ამბოვია მანდა? რაზე სჯოჯგოლობთ?“ (გვ.122)

ვინ იცის?!

ვინ იცის ისიც, საიდანაა ზოგადქართული ფლერადობის სიტყვები (კარაჩხა — დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის და ათი სანტიმეტრი მრგვალი ან ოთხკუთხად გათლილი ხის ნაჭერი, რომელსაც ირგვლივ რამდენიმე წყებად ჩხირები აქვს მიმაგრებული გვ.45; კოთხო — წნელით დანულნი (მეტრა-ნახევრის სიმაღლის) მრგვალი გოდორი, გარედან შელესილი ნეხვით. იხმარებოდა მარცვლეულის ჩასაყრელად გვ.47; ლუდუდი — მოუშნიფებელი (დასაპურებელი) ხორბლის, ქერის... თავთავი გვ.94.) ლექსიკონში?!

ვინ იცის?!

იორამ ლუდუშაურმა იცის!

ცანმინდობა (ხანგრძლივად ცის მოწმენდილობა გვ.108) მინდა ვუსურვო მას მრავალმხრივ შემოქმედებაში.

შედეგის მანტაჟის

არაერთი ფსევდონიმი გამოუცვლია თავისი მღელვარე კარიერის გზაზე, როდესაც საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად ირჯებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისსა და ესპანეთში, მაგრამ ისტორიკოსები და ფართო მკითხველიც იცნობენ მას ალექსანდრე ორლოვად.

ეს ფსევდონიმი, მისივე სიტყვით, პირადად სტალინმა მიაკუთვნა 1936 წლის შემოდგომაზე, ესპანეთში რომ გაზავნიდნენ, სადაც უკვე მძინვარებდა სამოქალაქო ომი.

თქვენ წარმოიდგინეთ, სრული კონსპირაციისათვის მამის სახელიც კი გამოუცვალეს და ლეიბა ლაზარევიჩ ფელდბინი, დაბადებული 1895 წლის 21 აგვისტოს ბელორუსიის ქალაქ ბობრუსისკში, როგორც იტყვიან, ხელახლა დაიბადა 1936 წელს, როგორც ალექსანდრე მიხაილოვიჩ ორლოვი (ეს ის კაცია, ერნესტ ჰემინგუეიმ თავის სახელგანთქმულ რომანში „ვისთვის რეკს ზარი“) ვარლოვად რომ მოიხსენია.

გამოხდა ხანი და აი, 1938 წლის 9 ივლისს, როდესაც მთელ ბარსელონას სული ეხუთებოდა ხმელთაშუაზღვეთის გაუსაძლის პაპანაქებაში, „ენკავედეს“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) რეზიდენტურის შტაბ-ბინაში, „სტალინის სუპერმსტორად“ წოდებული ორლოვი გაოგნებით დაჰყურებდა მოსკოვიდან მიღებულ დაშიფრულ დეპეშას, რომელიც უაპელაციოდ უბრძანებდა, რომ სასწრაფოდ გამგზავრებულიყო პარიზში, სადაც უნდა შეხვედროდა საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულს და 14 ივლისს, საელჩოს მანქანით, ჩასულიყვნენ ბელგიის ნავსადგურ ანტვერპენში, ეპოვათ იქ რუსული გემი „სვირ“, რომლის ბორტზეც შედგებოდა თათბირი ერთ დაუსახელებელ პირთან, რომელსაც ორლოვი პირადად იცნობდა. პირველი შთაბეჭდილების მიხედვით, დეპეშა წარმოადგენდა გამოძახებას რაღაც მნიშვნელოვან შეხვედრაზე „ენკავედეს“ ერთ-ერთ დიდმოხელესთან. მაგრამ ხელმოკრედ რომ გადაიკითხა, ორლოვს ერთობ უცნაური ეჩვენა ეს „გრძელი და თავსამტვრევი“ დეპეშა ცენტრიდან.

იმხანად ესპანეთამდეც ჩაელვინა მითქმა-მოთქმას „ენკავედეს“ წიაღში გაჩაღებული „წმენდის“ თაობაზე (სპეცლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მარტოოდენ 1937 წელს ლიკვიდირებულ იქნა ამ მრისხანე უწყების დაახლ. 3000 ოპერატიული თანამშრომელი).

ორლოვმა გადაწყვიტა, რომ არ გაბმულიყო დაგებულ მახეში, ოღონდ არაფრით გაუმჟღავნებია თავისი ხვაშიადი (კედელსაც ყურები ჰქონდა!) და 13 ივლისს, ცოლ-შვილთან ერთად, თავი ამოჰყო პარიზში. შორს ანტვერპენი! შორს გემი „სვირ“!

სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი ორლოვი (ეს წოდება შეესაბამებოდა წითელი არმიის გენერალ-მაიორს) სამუდამოდ ეთხოვებოდა სამშობლოს და თავის წარმატებულ სამსახურს საბჭოთა დაზვერვის რიგებში.

14 ივლისს შერბურის ნავსადგურიდან გავიდა კანადური გემი და საბჭოთა „დიფექტორთაგან“ ყველაზე მაღალჩინოსანმა გეზი აიღო ამერიკისაკენ (ინგლისურში „დიფექტორ“ ეწოდება განდგომილს, მტერთან გადასულს, უცხოეთში გადახვეწილს).

„ეს იყო სახიფათო თამაში, — იგონებდა შემდგომში ორლოვი, — მე მესმოდა, რომ კრემლის ტერორისტები უკვე გზაში არიან, რათა მომავლად და გამასაღონ“.

ეს მართლაც ასე იყო. გენერალი სუდოპლატოვი თავის მეშუარეებში გვაუწყებს, რომ ორლოვის გაქრობისთანავე მოსკოვში შედგენილ იქნა ე.წ. „ორიენტროვკა“, რომელიც უნდა გადაეცაოთ საბჭოთა დაზვერვის ყველა რეზიდენტურისათვის საზღვარგარეთ. ეს დოკუმენტი შეიცავდა ორლოვისა და მის ზენ-ჩვეულებათა სრულ აღწერილობას. არც მისი ცოლ-შვილი დავიწყებიათ.

ორლოვმა უყოყმანოდ მიიღო სათანადო ზომები: „მე მივწერე წერილები სტალინს და ენკავედეს უფროსს ეყოვს. ვაფრ-

თხილებდი, რომ თუკი ისინი შეეცდებიან შური იძიონ საბჭოეთში მყოფ დედაჩემზე ან სიდედრზე, ანდა მოახერხებენ ჩემს მოკვლას, ჩემი ადვოკატი გამოაქვეყნებს ჩემთვის ცნობილ მასალებს სტალინის დანაშაულთა შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილი მაქვს ამ ორ წერილში“.

ასეთია ორლოვისეული ვერსია დაგეგმილი მანტაჟისა, რომელსაც იმეორებს თავის პუბლიკაციებში და რომელიც მოახსენა აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროსა და იმიგრაციის სამსახურის გამომძიებლებს. არავის გასჩენია შეკითხვა, თუ რატომ გახდა მხილებათა მუქარა ორლოვისთვის „სიცოცხლის დაზვერვის ოქროს პოლისი“. ერთი მკვლევარის სიტყვით, მარტოოდენ „საზარელ დანაშაულთა“ ხსენება რომ ყოფილიყო, სტალინი ჩაიცინებდა და ხელს ჰკრავდა მათ, როგორც გაბოროტებული ტროცკისტი მოლაღატის დოკუმენტურად დაუსაბუთებელი ცოლისნამებას.

ცხოვნებულმა „პერესტროიკამ“ პასუხი გასცა დასმულ თუ დაუსმელ კითხვებს. „კაგებეს“ არქივებიდან გამოამზეურეს ორლოვის დოსი და ნათელი გახდა, თუ როგორ შეძლო საბჭოეთიდან გაქცეულმა მზვერავმა მოეტყუებინა ამერიკელები იმის თაობაზე, თუ რა გზით აიძულა მან საბჭოთა დიქტატორი — ხელი აეღო მის ძებნასა და ლიკვიდაციაზე, ისევე როგორც საბჭოეთში მყოფი დედისა და სიდედრის მიმართ რეპრესიებზე.

აი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწყვეტი ორლოვის მიერ კრემლში გაგზავნილი ეპისტოლედან:

„თუკი პ. [გლინსკი — რეზიდენტი პარიზში] იყო ჯაშუში, რანაირად აგრძელებთ მუშაობას ისეთ კაცთან, როგორც არის „ტიულპანი“ [მარკ ზბოროვსკი]. როგორ არ გასცა მან „ტიულპანი“? ანდა, თუკი მ. [თეოდორ მალი — რეზიდენტი ლონდონში] იყო ჯაშუში, როგორ არ გასცა მან „ვაიზე“, „ზენხენი“ და სხვები, რომლებთანაც მუშაობა აქამდე გრძელდება“.

აქ მთავარი ის კი არ გახლავთ, იყვნენ თუ არა ჯაშუშები წერილში ნაგულისხმევი გლინსკი და მალი, მათ გამოსარჩლებაზე გაცემული მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოხსენიება სახელგანთქმული „კემბრიჯის ხუთეულის“ ორი წევრის ფსევდონიმებისა („ვაიზე“ — დონალდ მაკლინი და „ზენხენი“ — კიმ ფილბი) იყო სიგნალი მოსკოვისათვის, რომ თუკი „ენკავედეს“ მკვლევები თავს დაესხმოდნენ ამერიკაში გადახვეწილ ორლოვს, ამას მოჰყვებოდა ავბედითი შედეგები იმ ადვანტურული ქსელისათვის, რომელიც თავად ორლოვმა შექმნა და ჩამოაყალიბა ინგლისში („კემბრიჯის ხუთეული“); ხოლო „ტიულპანი“ იყო ტროცკის გარემოცვაში ჩანერგილი აგენტი და მისი გამოძღვანება წყალს შეუყენებდა მომავალ „საუკუნის მკვლევობას“, 1940 წლის აგვისტოში რომ განხორციელდა მექსიკაში.

და თუკი არაფერს დამიშავებთ, კრინტს არ დავძრავო, ოფიცრის ფიცს დებდა ახალგაზომცხვარი „დიფექტორი“.

ორლოვი არავითარ არჩევანს არ უტოვებდა სტალინსა და მის ხელქვეითებს. საარქივო დოკუმენტების თანახმად, როდესაც ორლოვის წერილმა ჩააღვინა მოსკოვს აგვისტოს შუა რიცხვებში, ცენტრში უკვე გამოცხადებული იყო გლობალური ნადირობა მასზე, მაგრამ ბერია მასწრაფოდ დაიბარა ამა საქმეთა დიდოსტატი სუდოპლატოვი და უბრძანა, რომ შეენწყვიტათ ორლოვის ძებნა.

სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ! შემდგომში ორივე მხარე კეთილსინდისიერად ასრულებდა დაუნერელი ხელშეკრულების პირობებს.

ერთი მხრიდან — არავითარი ნადირობა ორლოვსა და მისიანებზე.

მეორე მხრიდან — არავითარი ლალატი ანუ საბჭოთა დაზვერვის უდიდეს საიდუმლოებათა გაცემა, რასაც შეეძლო შეტრიალებინა მსოფლიო ისტორიის მკვლევლობა.



ელ დიაბლო

როდესაც ამბობენ, ბანანის რესპუბლიკაო, აუცილებელი როდია, რომ იმ ქვეყანაში ხარობდეს ბანანი, მაგრამ აღნიშნული ტერმინი ირონიული ელფერისა, თავის დროზე, განუყოფელ მეტსახელად დაუმკვიდრდა ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოებს, სადაც უხვად ხარობდა ბანანი, ოღონდ ხარობდა პროამერიკული რეჟიმებიც ოლიგარქიული ეკონომიკით და პირველ ვილინოს უკრავდა ამერიკელთა „ოუნაიტედ ფრუტ კომპანი“ — ბანანის შემსყიდველი და გამყიდველი.

და აი, ერთ-ერთ ასეთ „ბანანის რესპუბლიკაში“, სახელდობრ — გვატემალაში, 1944 წლის ოქტომბერში, ერთ მშვენიერ დღეს გაიმარჯვა რევოლუციამ, რომელმაც დაამხო გენერალ ხორხე უბიკოს დიქტატორული რეჟიმი. იმავე წლის დეკემბერში ჩატარდა საყოველთაო არჩევნები (თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენთვის ნაცნობ გაყალბებათა გარეშე) და ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ხუან არევალო.

გამოხდა ხანი და 1951 წელს იგი შეცვალა ხაკომო არბენსმა, რომელიც უფრო რადიკალურად იყო განწყობილი და მიისწრაფოდა იმისკენ, რომ გვატემალა გამოეყვანა ნახევრადფეოდალური ჩამორჩენილობიდან, გაემარტებინა ეროვნული ეკონომიკა, დაეცვა მშრომელ ადამიანთა ელემენტარული უფლებანი, გაეტარებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. 1952 წელს გვატემალაში დასაბამი მიეცა აგრარულ რეფორმას, რომლის შედეგადაც ნაციონალიზებულ იქნა ადგილობრივ ოლიგარქთა ლატიფუნდიები, ხოლო „ოუნაიტედ ფრუტ კომპანი“ ჩამოართვეს 80 ათასი ჰექტარი მიწა.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ეს მიწები 30-იან წლებში გვატემალის დიქტატორმა, გენერალმა უბიკომ მიუქთად გადასცა ამერიკელებს, მათი ნაციონალიზაციისას „ოუნაიტედ ფრუტ კომპანი“ მიიღო კომპენსაცია 600 ათასი დოლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, „წმიდათაწმიდა კერძო საკუთრების“ ხელყოფა დაუწყველი ვერ დარჩებოდა და შეერთებული შტატების სულგაყიდვლამა პრესამ ხმაურითი კამპანია გააჩაღა. საზოგადოებას ჩასჩირინებდნენ, რომ გვატემალაში „წითლების დიქტატურა“ დამყარდა, ხოლო პრეზიდენტი არბენსი „მოსკოვიდან მართული მარიონეტია“. ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. გვატემალელი ლიდერი არასოდეს ყოფილა კომუნისტი. ის მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ემოქმედა თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მაგრამ ამერიკელ კონგრესმენტთა რწმენით, სწორედ ეს ნიშნავდა კომუნისტობას. ამას ვერაფრით აპატიებდნენ ვაშინგტონში. 1953 წლის დამლევს აშშ პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა უბრძანა ცენტრალურ სადაზვერუო სამმართველოს, რომ მიემზადებინათ საეკონომიკური სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად გვატემალაში.

პრეზიდენტის ბრძანება, რა თქმა უნდა, შესრულებულ იქნა და 1954 წლის იანვარში აშშ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე განიხილეს არბენსის მთავრობის დასამხობად გამიზნული გეგმა, რომელსაც ებოძა კოდური სახელწოდება „ელ დიაბლო“ (ემში, ავსული).

ამ გეგმის თანახმად, უნდა მოეწყოთ სახელდახელო შეკონინებული „განთავისუფლების არმიის“ შეჭრა გვატემალაში (აშშ სამხედრო-საჰაერო ძალთა საფარქვეშ) და იმავდროულად — ამბოხება გვატემალის არმიაში.

თავისი ემპაიკისეული გეგმის განსახორციელებლად ამერიკულმა დაზვერვამ გვატემალის მეზობელ ჰონდურასსა და ნიკარაგუაში შექმნი შვიდი სამხედრო ბაზა — დაქირავებულ მომართა

მოსამზადებლად. იქვე განათავსეს საიდუმლო რადიოსადგური, რომელიც გადასცემდა მონოდებებს გვატემალის კანონიერი ხელიწაფლების წინააღმდეგ, „განთავისუფლების არმიის“ სათავეში ჩაუყენეს გვატემალის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი კასტილიო არმასი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა აშშ გენშტაბის სკოლა და 1953 წლის აგვისტოდან ემსახურებოდა ამერიკულ დაზვერვას.

1954 წლის 16 ივნისს აშშ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ცენტრალური სადაზვერუო სამმართველოს შეფმა, საქვეყნოდ სახელმწიფოებში აღენ დაღესმა განაცხადა, ოპერაცია „ელ დიაბლო“ სამზადისი დასრულებული არისო.

მისმა უფროსმა ძმამ, აშშ სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დაღესმა გამართა პრეს-კონფერენცია და მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ გვატემალელი ხალხი მზად იყო აჯანყებისათვის საძულველი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

მეორე დღესვე „განთავისუფლების არმია“, პოლკოვნიკ არმასის სარდლობით, გვატემალის საზღვარი გადაკვეთა, ხოლო „უცნობმა“ თვითმფრინავებმა დასანტი გადასხეს და, ამასთან ერთად, დაბომბეს გვატემალის ქალაქები.

ამერიკელთა დახმარების მიუხედავად მეამბოხენი მარცხდებოდნენ, მაგრამ ამასობაში აშშ ელჩი გვატემალაში ჯონ პერიფუა გაურიგდა გვატემალის შეიარაღებულ ძალთა მალაჩინოსნებს. 28 ივნისს გვატემალის არმიის მთავარსარდალი პოლკოვნიკი დიასი, სამხედრო დელეგაციის თანხლებით, ეახლა პრეზიდენტს და დაუყოვნებლივ გადადგომა მოსთხოვა.

პრეზიდენტი არბენსი, შემდგომი სისხლისღვრის თავიდან ასაცდენად, უსიტყვოდ დაემორჩილა ულტიმატუმს.

ამერიკელებმა კასტილიო არმასი გვატემალის დიქტატორად აკურთხეს და მან უმაღლე ხელი მიჰყო რეჟესიებს. 10 ათასი კაცი გამოასალმეს წუთისოფელს, ამდენივე ჩააყუდეს საპრობილემში. 1954 წლის 25 აგვისტოს ქვეყნის ახალმა მმართველმა გამოსცა კანონი „დემოკრატიის დაცვის“ შესახებ, რომელიც კრძალავდა „ნებისმიერ ოპოზიციურ ქმედებას, თუნდაც ირიბად მიმართულს მთავრობის წინააღმდეგ“. იმავდროულად გვატემალაში ამერიკული ნავთობკომპანიების საქმიანობის აკრძალვა, ხოლო 1955 წლის იანვარში „ოუნაიტედ ფრუტ კომპანი“ დაუბრუნეს ნაციონალიზებული მიწები და ახალი პრივილეგიებიც მიანიჭეს.

ამგვარად, გვატემალა დაუბრუნდა თავისუფალ სამყაროს და კვლავინდებურად დაუმშენა მხარი დანარჩენ „ბანანის რესპუბლიკებს“.

ყოველივე ზემოთქმული საბჭოთა პროპაგანდის მონაჩმასი არ გეგონოთ! ამერიკელ მკვლევართა ნორმან პოლმარის და ტომას ალენის წიგნი „შპიონაჟის ენციკლოპედია“ (ნიუ-იორკი, 1998) ვკითხულობთ შემდეგს: „1954 წელს ცენტრალურმა სადაზვერუო სამმართველომ ჩაატარა ნახევრადსამხედრო ოპერაცია გვატემალის მემარცხენე პრეზიდენტის ხაკომო არბენსის დასამხობად, რომელმაც დაუშვა დიდი შეცდომა, როდესაც გაილაშქრა ამერიკული „დოლარის დიპლომატიის“ მეგზურის — „ოუნაიტედ ფრუტ კომპანი“ წინააღმდეგ“.

„ცერეუს“ (როგორც ჩვენში უხმობენ) საცეცებს დღესაც სად არ წაანყდებიო! ყველგან დაულაშავად მფარველობენ დალოცვილ დემოკრატიას და ადამიანის უწმინდეს უფლებებს...

პოეტისა და მთარგმნელის გვანცა ჯობავას პირველი ლირიკული კრებულის „კარდიოგრამა“ წარდგინება არტ კაფე „დევანში“ გაიმართა. წიგნი „ინტელექტმა“ გამოსცა და პრეზენტაციის ორგანიზატორიც სწორედ ეს გამომცემლობა იყო.

ლონისძიება გარკვეულწილად არასტანდარტული ფორმით ჩატარდა და მცირე პერფორმანსის სახე მიეცა, რისთვისაც დამატებით გამოყენებულ იქნა ვიდეო კადრები და მუსიკალური ფონი. ლექსებს კითხულობდნენ თვითონ ავტორი და, მასთან ერთად, ტელენამყვანი და ხელოვნებათმცოდნე ბექა ელ-

ბაქიძე. მუსიკალურად კი აფორმებდა ჰიანისტი ელენე ზენაიშვილი.

ლონისძიებაზე გამოსვლები არ ყოფილა, მხოლოდ დასასრულს მიესალმა დამსწრეებს გამომცემლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მარიკა ბაკურაძე და ავტორმა კი მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვისაც მცირედი წვლილი მანც შეუტანია წიგნის გამოცემაში.

რედაქტორია ივანე ამირხანაშვილი, მასვე ეკუთვნის შესავალი წერილი. გარეკანის დიზაინი კი — თეონა ჭანიშვილს.